ჟიდროლოგია-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

ჟიდროლოგიური გარემონტის ინსტიტუტის გროვები, გრმ № 111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL. 111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

ც. ბასილაშვილი, ქ. მამასახლიძე
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 556.16.06

საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის პრობლემისა
არსებული ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში

წყალდიდობა არის მთავარი ფაზა საქართველოს მთის მდინარეთა წყლის რეჟიმისა, რომლის დროს გაედინება 60-80% წლიური ჩამონადენისა. წყალდიდობის სიდიდეზეა გათვლილი წყალსაცავების შევსება და ექსპლუატაცია, რომელთა საშუალებით ხდება მდინარეთა ჩამონადენის ფართო რეგულირება ჰიდროლექტროსადგურების, წყალმომარაგებისა და სარწყავი სისტემების წყლით უზრუნველსაყოფად მთელი წლის განმავლობაში. ე.ი. წყალდიდობა არის წყალსამეურნეო ობიექტების მთავარი მკვებავი წყარო.

მთის მდინარეთა აუზებში თოვლის ერთდროული დნობის ფართობი არასდროს არ არის ერთნაირი და იცვლება თოვლის დნობის გავრცელების მიხედვით ზედა სიმაღლეებზე. ამიტომ წყალდიდობა მაღალმთიან აუზებში 5 - 6 თვემდე გრძელდება. მაგ. მდ. ენგურზე (ს.ხაიშთან) ის აპრილიდან სექტემბრამდე, შუამთიანეთში კი მარტიდან ივნისამდეა. ასეთ ხანგრძლივ პერიოდში წყალდიდობა ხშირად საშიშ ჰიდროლოგიურ მოვლენად იქცევა ხოლმე, როცა მდინარეები ტბორავენ ქალაქებს, სოფლებს, ანგრევენ საკომუნიკაციო საშუალებებს, გზებს, ხიდებს, ანადგურებენ მოსავალს და პირუტყებს. ამრიგად, წყალდიდობას, სარგებლობის გარდა, დიდი მატერიალური ზარალი და ზოგჯერ მსხვერპლიც მოაქვს. ამიტომ აუცილებელია მისი ჩამონადენის გრძელვადიანი პროგნოზირება.

კვლევის ობიექტებად შერჩეულ იქნა მთავარ მდინარეთა ის ჰიდროკვეთები, რომელთა მონაცემები პრაქტიკულად გამოიყენება სამეცნიერო საქმიანობისათვის და სადაც არის საქმაო რიგი დაკვირვებებისა მდინარეთა ბუნებრივ ჩამონადენზე. კერძოდ, განხილულ იქნა ჰიდროკვეთები: მდ. ენგური - ს.ხაიშთან, მდ. რიონი - ს.ალპანასთან, მდ. ყვირილა - ქ.ზესტაფონთან, მდ. ხანისწყალი - ს.ბაღდადთან, მდ. აჭარისწყალი - ს.ქედასთან, მდ. თეთრი არაგვი - ს.ფასანაურთან, მდ. შავი არაგვი - შესართავთან, მდ. ფშავის არაგვი - ს.მაღაროს-კართან და მდ. ალაზანი - ს.ბირკიანთან და ს.შაქრიანთან.

ჰიდროლოგიური პროგნოზი ემყარება მდინარის ჩამონადენის ფორმირების კანონზომიერებებს. წყალდიდობა ყალიბდება ერთდროულად სეზონური თოვლის, წვიმის, მყინვარებისა და მუდმივი თოვლის

საფარის ნადნობი წელების სხვადასხვა შეფარდებით. შესწავლილი იქნა რა მათი განაწილება, გამოირჩვა, რომ ცალკეული მდინარის აუზში ისინი სხვადასხვა ხასიათს ატარებენ როგორც დროში, ისე სივრცეში და ამის გამო მდინარეთა წყლიანობა და რეემები არ არის იდენტური და გამოირჩევიან გარკვეული თავისებურებებით. ამიტომ ცალკეული მდინარის აუზისათვის საჭიროა შემუშავდეს სხვადასხვა საპროგნოზო მეოთვიკა, რომელიც მორგებული იქნება ფაქტორების განაწილების ინდიკიდუალურ ხასიათზე.

მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზების ზოგად ფიზიკურ საფუძველს წარმოადგენს წყლის ბალანსის განტოლება, რომელშიც მრავალი სხვადასხვა ელემენტი შედის: ჩამონადენი, ნალექები, აორთქლება, კონდენსაცია, ინფილტრაცია და სხვ. ამ ელემენტების გამოყვლის გზით, სათანადო ინფორმაციის საფუძველზე შედგენილია თანამედროვე როტული მათემატიკური საპროგნოზო მოდელები, რომელთა გამოყენება შეიძლება იქ, სადაც კარგადად განვითარებული პიდრომეტეოროლოგიური ქსელი და რეგულარულად მიიღება მათი ინფორმაცია.

საქართველოში, სადღეისოდ, ინფორმაციის დიდი შეზღუდვის გამო, შეუძლებელია ასეთი საპროგნოზო მოდელების გამოყენება. აქ მდინარეთა ჩამონადენის ფაქტორების სიმრავლე, მათი ურთიერთქმედების სირთულე და რაც მთავარია, რიცხვითი ადრიცხვის შეუძლებლობა გვაიძულებს, რომ ჩამონადენის პროგნოზირება მოვახდინოთ ისეთი სტატისტიკური მოდელით, რომლისთვისაც საჭირო რიცხვითი მონაცემები არსებობს სტანდარტული დაკვირვების ოპერატიული ინფორმაციის სახით.

ბოლო წლებში, საქართველოს პიდრომეტეოროლოგიური ქსელის, განსაკუთრებით კი, პიდროლოგიური საგუშტაგოების მნიშვნელოვანი ნაწილის ფუნქციონირების შეწყვეტის გამო, ადარ არსებობს ის ინფორმაციული ბაზა, რომლის საფუძველზე დგებოდა მდინარეთა წყალდიდობის ჩამონადენის ოპერატიული პროგნოზები. ამჟამად საპროგნოზო მეოთვიკების საყრდენი ბაზა არის მარშრუტული თოვლა-აგეგმვისა და ინფორმაციული მეტეოროდენის მწირი ინფორმაცია. ამიტომ ადრე შემუშავებულ საპროგნოზო მოდელში (Ts. Basilashvili, 2000) წინა პერიოდის მდინარის წყლის ხარჯი (Q_t მ³/წ)³) შევცვალეთ თოვლის წყალშემცველობით (W მმ):

$$Q_{t+T} = f(P_{t_0}, W_{t_0}, \theta_{t_0}, P_{t_0+1}, W_{t_0+1}, \theta_{t_0+1}, \dots \\ \dots P_{t-1}, W_{t-1}, \theta_{t-1}, P_t, W_t, \theta_t, P_T, \theta_T). \quad (1)$$

აქ Q_{t+T} - მდინარის წყლის ხარჯის ($\text{მ}^3/\text{წ}$) პროგნოზია, რომელიც უნდა გაიცეს დროის t მომენტში, T - საპროგნოზო პერიოდის ხანგრძლივობაა (დროულობა), t_0 - მეტეოროლოგიური ელემენტების ინფორმაციის ათვლის საწყისი დროა, P - ატმოსფერული ნალექებია

(მმ), θ - ჰაერის ტემპერატურა (°C) და W - თოვლის წყალშემცველობაა (მმ) გარეული დროის მომენტში.

ფაქტორების დანაწევრებით ცალკეული პერიოდის მაჩვენებლებად, საპროგნოზო (1) მოდელში გათვალისწინებულია მეტეოროლოგიური ელემენტების დინამიკის მოქმედება წყალდიდობის ჩამონადენზე, რადგან მასზე სხვადასხვანაირად მოქმედდება, მაგალითად, ნალექები მოსული შემოღომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე. ამიტომ მათი ერთ ჯამად წარმოდგენა, როგორც ეს ადრეულ საპროგნოზო მეთოდი კერძო იყო მიღებული, არ არის მართებული.

(1) მოდელში ჩამონადენზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები განიხილება კომპლექსურად, მაგრამ, ვინაიდან არგუმენტების გაზრდით მცირდება განტოლების მდგრადობა, ამიტომ საპროგნოზო დამოკიდებულების შესადგენად გადამწყვეტია პრედიქტორების ოდენობისა და ხარისხის შერჩევა. სადღეისოდ არ არსებობს ერთიანი მეთოდი მათი ოპტიმალური სისტემის შერჩევისა და შეფასებისა.

ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ჩვენს მიერ სპეციალურად შედგენილი კომპიუტერული პროგრამები (Басилашвили Ц.З., Плоткина И. Г., 1985), რომელთა საშუალებით გაფართოებული საპროგნოზო მოდელიდან გამოირიცხება ნაკლებად ეფექტური და დუბლირებული ფაქტორები. დარჩენილებიდან კი მრავალბიჯიანი გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით დგება ოპტიმალური საპროგნოზო მოდელი. მის საფუძველზე განისაზღვრება საპროგნოზო დამოკიდებულებათა კველა შესაძლებელი ვარიანტი და ხდება ერთდროული კვლევა პრედიქტორების შემცირებისა, პროგნოზების სიზუსტისა და დროულობის გაზრდისა და აგრეთვე საპროგნოზო პერიოდში მოქმედი ფაქტორების (P_T და Θ_T) უგულვბელყოფისა, რომელთა ინფორმაცია პროგნოზის გაცემის დროს პრობლემაზე ურია.

შედეგად, მიიღება სხვადასხვა ფაქტორების შემცველი საპროგნოზო განტოლებები სხვადასხვა ინფორმაციით, სიზუსტითა და დროულობით. მათგან შესაბამის შეფასებათა კრიტერიუმების (ГУГМС ССР, 1962) მიხედვით შეირჩევა პრაქტიკულად მისაღები საუკეთესო საპროგნოზო ვარიანტები.

ადრე არსებული საპროგნოზო მეთოდიკებისაგან განსხვავებით, ამჯერად შემუშავებულია წყალდიდობის საშუალო ჩამონადენის პროგნოზები, როგორც მთლიანი წყალდიდობის პერიოდისათვის (აპრილიდან აგვისტომდე ან მარტიდან ივნისამდე), ასევე მისი აწევისა და დაწევის ფაზებისათვის, აგრეთვე ცალკეული კვარტალისა და თვეებისათვის. ჩამონადენის ასეთი დანაწევრება ნაკარნახევია სამეურნეო ობიექტების უკეთესი მომსახურების საჭიროებით.

ცხრილში მოცემულია მაგალითები მიღებული საპროგნოზო განტოლებებისა. თითოეული პიდროვეთისათვის საპროგნოზო განტოლებათა მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა ოპერატიული პროგ-

ნოზების შედგენის დროს საანგარიშოდ შეირჩეს განტოლება არსებული ინფორმაციის, საჭირო დროულობის ან სიზუსტის მიხედვით. გარდა ამისა, სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით პროგნოზების შედგენით, შეიძლება განისაზღვროს ჩამონადენის მომავალი რყევის ინტერვალი და მოხდეს მიღებული შედეგების ურთიერთკონტროლი.

შესაბამისი “დარიგების” (ГУГМС СССР, 1962) მოთხოვნათა თანახმად, ჩვენს მიერ მიღებული საპროგნოზო განტოლებები “დამაკმაყოფილებელ” ან “კარგი” კატეგორიის პროგნოზებს მიეკუთვნება. კერძოდ, შემუშავებული პროგნოზების შეფასებათა მთავარი კრიტერიუმი - პროგნოზების საშუალო კვადრატული ცდომილების (S) შეფარდება წყალდიდობის ფაქტურის ჩამონადენის საშუალო კვადრატულ გადახრასთან (σ) - $S/\sigma = 0,9 - 0,4$. პროგნოზების გამართლების უზრუნველყოფა $P=60 - 80\%$, კორელაციის კოეფიციენტი წყალდიდობის ფაქტიურ და პროგნოზულ მნიშვნელობებს შორის $r = 0,60 - 0,85$.

ცხრილი 1. წყალდიდობის პერიოდის ჩამონადენის საპროგნოზო განტოლებები მდ. აჭარისწყალზე ს. ქვეასთან

Nº	საპროგნოზო განტოლება	შეფასება(S/σ)
1	$Q_{III-VI} = 0,12 P_{XII-II} + 14,7$	0,61
2	$Q_{III-VI} = 0,05 W_{28/II} + 34,2$	0,59
3	$Q_{III-VI} = 0,08 W_{1600-1700} + 39,6$	0,57
4	$Q_{III-IV} = 0,15 P_{XII-II} + 5,6$	0,70
5	$Q_{III-IV} = 0,06 W_{28/II} + 31,1$	0,69
6	$Q_{III-IV} = 0,08 W_{1600-1700} + 41,2$	0,69
7	$Q_{III-V} = 0,16 P_{XII-II} + 8,3$	0,61
8	$Q_{III-V} = 0,07 W_{28/II} + 32,2$	0,57
9	$Q_{III-V} = 0,09 W_{1600-1700} + 41,3$	0,57
10	$Q_{V-VI} = 0,07 W_{1600-1700} + 38,2$	0,73
11	$Q_{IV-VI} = 0,24 h_{28/II} + 27,1$	0,64
12	$Q_{IV-VI} = 0,15 P_{XII-II} + 6,4$	0,57
13	$Q_{IV-VI} = 0,09 W_{1600-1700} + 39,3$	0,54

შემუშავებული საპროგნოზო მეთოდიკით შედგნილი პროგნოზების გამოყენებით მიღებული ეპონომიკური უფექტი 10-30%-ით აჭარბებს ჩამონადენის ნორმის გამოყენებით მიღებულ ეფექტს.

ოპერატიული პროგნოზების შედგენის დროს გამოანგარიშებული წყალდიდობის საპროგნოზო მნიშვნელობები უნდა შეედაროს მათ ნორმებსა და ექსტრემალურ მნიშვნელობებს, რათა გამორიცხული იქნას გაანგარიშებით ან არასწორი ინფორმაციული მონაცემებით გამოწვეული შეცდომები.

პროგნოზით მიღებული წყალდიდობის ანომალური მნიშვნელობის დროს უნდა გაკეთდეს სათანადო ანალიზი და გაიცეს სათანადო რეკომენდაციები, რათა მიღებულ იქნეს ყველა საჭირო დონისძიება ასეთ შემთხვევაში. ამას ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ შემუშავებული პროგნოზების დროულობა 5-6 თვეა, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ ჩატარდეს ყველა საჭირო სამუშაო მოსალოდნელი საშიშროებისაგან თავდაცვისა და დიდი ზარალის თავიდან ასაცილებლად. კერძოდ ის, რომ მაღალი წყალდიდობის პროგნოზის დროს მოსახლეობამ უნდა დატოვოს დაბლობი ადგილები და უსაფრთხო ადგილას გადაიტანოს თავისი ქონება, გადაიყვანოს საქონელი და ა.შ. შესაბამისმა ორგანოებმა კი უნდა ააგონ წყალდიდობის საწინააღმდეგო ნაგებობები იმ უბანთა დასაცავად, რომელთაც პირველ რიგში ემუქრება საშიშროება. საჭირო მდინარეთა კალაპოტების გაწმენდა და აგრეთვე წყალსაცავების თანდათანობითი დაცლა შესაბამისი გრაფიკით, რაც საშუალებას იძლევა შეკავებულ იქნეს მაღალი წყლის მოდინება და ასეთი დარეგულირებით თავიდან აცილებულ იქნას მოსალოდნელი ზარალი და მსხვერპლი.

დაბალი წყალდიდობის პროგნოზის შემთხვევაში, პირიქით, წყალსაცავებში უნდა დაგროვდეს წყლის მარაგი მისი შემდგომი მომჰქიონებითი ხარჯვის მიზნით. ამ დროს მეტად სასარგებლო იქნება წყალსაცავების მიდამოებში ამინდზე ზემოქმედების საშუალებით მოხდეს ნალექების გაზრდა, რისი ექსპერიმენტებიც თავის დროზე წარმატებით ჩატარდა პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის პოლიგონზე სიონის წყალსაცავთან.

ამით ვლინდება წყალსაცავების მეტად სასარგებლო დანიშნულება – (წყალდიდობებისა და წყალმცირობების დარეგულირება). ამიტომ წყალსაცავების ქსელი პერსპექტივაში აუცილებლად უნდა გაიზარდოს. მართალია, მათი აშენება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მთის მცირე მდინარეების ყოველწლიური აღიდება წყალდიდობის დროს ხშირად გაცილებით უფრო მეტ მატერიალურ დანაკარგს იწვევს, ვიდრე წყალსაცავის აშენებაზე ერთხელ გაწეული დანახახარჯი.

ახალი წყალსაცავის მშენებლობასთან ერთად საჭიროა შემუშავებელი შესაბამისი პიდროლოგიური პროგნოზები, რადგან წყალსაცავების გამოყენება და ექსპლუატაცია ბევრად არის დამოკიდებული პიდროლოგიური პროგნოზებით თერატიული მომსახურების ხარისხზე, განსაკუთრებით კი წყალდიდობის პერიოდის პროგნოზებით.

საშიშროების დროული შეტყობინების გარდა, წყალდიდობის პერიოდის პროგნოზების საფუძველზე შესაძლებელია არსებული წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენების დაგეგმვარება და სადისპეტჩერო გრაფიკების შედგენა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვ-

ნელობა აქვთ კომპლექსური პიდროკვანძების ექსპლუატაციისათვის და მეტად მნიშვნელოვან სახელმძღვანელო დოკუმენტებს წარმოადგენენ.

ამრიგად, შემუშავებულია საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის გრძელვადიანი პროგნოზები, არსებული ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში, რაც იძლევა მათი პრაქტიკული გამოყენების მყარ გარანტიას ოპერატორული პროგნოზების შესადგენად, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, წყალმომარაგების, სარკინიგზო და საავტომობილო გზების მომსახურების მიზნით.

უსაფრთხოების გარდა, მიღებული პროგნოზების გამოყენებით საგრძნობლად გაიზრდება ელექტროენერგიის გამომუშავება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი და წყალმომარაგება, რითაც მიღებული იქნება დიდი ეკონომიკური ეფექტი.

მომავალში, შემუშავებული პროგნოზების ანალოგიურად, აუცილებელია ადრე შედგენილი პროგნოზების სრულყოფა ახალ პირობებთან შეთანხმებით. პირველ რიგში აუცილებელია განახლდეს წყალდიდობის მაქსიმალური ხარჯების პროგნოზები, საჭიროა აგრეთვე შეუსწავლელ მდინარეთა წყალდიდობის საერთო-ტერიტორიული პროგნოზების სრულყოფა, რომლებიც ადრეული მონაცემებით იყო შედგენილი. ამ პროგნოზების დაზუსტება აუცილებელია როგორც გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების, ასევე პიდრობიერებისა და მოსახლეობის დაცვის მიზნით მოსალოდნელი კატასტროფებისაგან.

ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Ts., Basilashvili 2000: The method of working-out Hydrological prognosis in conditions of limited information. Bulletin of the Georgian Academy of Sciences, Volume 162, № 1, pp. 110-112.
2. Ц.З. Басилашвили, И.Г.Плоткина, 1985: Определение многофакторных зависимостей с развертыванием уравнения, оценка их качества и расчёт вероятностных прогнозов. Аннотированный перечень новых поступлений в ОФАП ГоскомГидромета. ВНИИГМИ - МЦД, вып. 4, Обнинск, с.21.
3. ГУГМС СССР, 1962: Наставление по службе прогнозов. Раздел 3, часть I, Л., Гидрометеоиздат, 193 стр.

უაპ 556.16.06

საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის პროგნოზირება არსებული ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში. /ც.ბასილაშვილი, ქ.მამასახლისი/. პმი-ს შრომათა კრებული. –2007.– გ.111.-გვ.30-36,-ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. პროგნოზების შედგენა ხდება მარტში, როცა არსებობს მხოლოდ შემოდგომა-ზამთრის პერიოდის მონაცემები. მრავალბიჯიანი გაცხრილების გზით შეირჩა ოპტიმალური საპროგნოზო მოდელები. მრავალუაქტორიან დამოკიდებულებათა ანალიზის საფუძველზე

დაღგენილია წყალდიდობის ჩამონადენის საუკეთესო საპროგნოზო ვარიანტები.

მიღებული საპროგნოზო განტოლებები სტატისტიკურად მდგრადია და აქვთ მაღალი სიზუსტე. 5-6 თვის დროულობის გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით მნიშვნელოვნად შემცირდება მეურნეობასა და მიმდებარე გარემოზე წყალდიდობით მიუწებული ზარალი. ცხრ. 1, ლიტ. დას. 3.

УДК 556.16.06

Prognosis of Highwater Flows in the Rivers of Georgia in the Conditions of Existing Information Base. /Ts.Basilashvili, G.Mamasakhlisi/. Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. -V.111. - p. 30-36, - Georg.; Summ. Georg., Eng., Rus.

They are forecasted in March when data for only autumn and winter periods are available. By means of multistep selection optimal models of prediction are chosen. According to the multifactor equation solution there the best versions are established for the forecasting of the dependence of flood discharges.

The obtained prognostic equalizations are statistically steady and are positively estimated. Applying 5-6 months early prognosis cause far more less loss brought upon the surroundings and national economy. Tab. 1, Ref. 3.

УДК 556.16.06

Прогнозирование стока половодья рек Грузии в условиях существующей информационной обеспеченности. /Ц.З. Басилашвили, Ж.Г. Мамасахлиси/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. – 2007. – т.111. – с. 30-36, – Груз.; рез. Груз., Англ., Русск.

Прогнозы составляются в марте, когда имеются данные только за осенний и зимний периоды. Путём многошагового проссеивания выбраны оптимальные модели прогнозирования. На основе многофакторных зависимостей установлены наилучшие варианты прогнозических уравнений расходов половодья.

Полученные прогнозы статистически устойчивы и имеют высокую точность. Использование долгосрочных прогнозов с 5-6 месячной заблаговременностью намного понижает ущерб хозяйству и окружающей местности. Таб. 1, Лит. 3.

ჟიდროლოგია-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

ჟიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გროვები, ტომ 111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, თ.სიმონია,
მ.კარტაშვილი, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.578.48

ზეავსაშიშროების თავისებურებანი და აროგნოზი განსაპაროებით უხსიოვებიანი რაიონები

განსაკუთრებით უხსიოვლიან რაიონს უკავია შავი ზღვის მიმდევარე, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთში, დასავლეთში და სამხრეთ-დასავლეთში მდებარე ტერიტორია, სადაც ზღვის ნოტიო ჰაერის მასები შედარებით დაუბრკოლებლად აღწევს. რაიონი მოიცავს დასავლეთ კავკასიონისა და მისი სამხრეთი განშტოებების (გაგრის, ბზიფის, აფხაზეთის და კოდორის ქედი), აგრეთვე აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის დასავლეთი ნაწილის (მესხეთისა და შავშეთის ქედების დასავლეთი ნაწილი) ფერდობებს, კოლხეთის დაბლობის დასავლეთ ნაწილს.

რაიონის რელიეფი დიდი ვერტიკალური და პორიზონულური დანაწევრებით ხასიათდება. საშუალომთიან ზონაში დანაწევრების სიღრმე არის 400-800 მ, ხოლო მაღალმთიან ზონაში - 1000-1500 მ. განსაკუთრებით უხსიოვლიან რაიონში ზედაპირის 15° -ზე ნაკლები დახრილობით ხასიათდება მთლიანი ფართობის 17%, 15-25° დახრილობით - 48%, 25-35° დახრილობით - 33%, ხოლო 35° მეტი დახრილობით - 2%. რაიონი ხასიათდება ტყის ფორმაციების მრავალფეროვნებით, შემადგენლობის სიმძიდრით. ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში ტყეებს მთლიანი ფართობის 40-45%, ხოლო სამხრეთ ნაწილში - 55-60% უკავიათ. საკვლევ ტერიტორიაზე ტყის ჯიშებიც მრავალფეროვანია. ტყით დაფარული ფერდობების 45% უკავია შერეულ ტყეს, 35%-ფოთლოვან ტყეს და 20% წიწვოვან ტყეს.

განსაკუთრებით უხსიოვლიან რაიონში მდებარე ძირითადი მეტეოროლოგიური სადგურის მრავალწლიანი დაკვირვების, აგრეთვე ოქორიული გამოთვლებით მიღებული მონაცემების საფუძველზე დადგენილია მყარი ნალექების რაოდენობისა და ოველის საფარის სიმაღლის საშუალო და ექსტრემალური მნიშვნელობები, გამოვლენილია მათი ადგილის აბსოლუტურ სიმაღლესთან დამოკიდებულებების კანონზომიერებანი და შედგენილია შესაბამისი განტოლებები

$$X_{\text{საშ}} = 0,69H + 8, \quad h_{\text{საშ}} = 2,3588H - 0,0046 H^2 - 0,0925, \quad (1)$$

სადაც X არის მყარი ნალექების წლიური რაოდენობა მმ-ში, H - ადგილის სიმაღლე მ-ში (მყარი ნალექების გამოთვლის დროს) და g -ში

(თოვლის სიმაღლის გამოთვლის დროს), h -თოვლის სიმაღლე მ-ში. განტოლებათა კორელაციის კოეფიციენტი მეტია 0,85, ცდომილება არ აღმატება 10%-ს. განტოლებები შედგენილია ზღვის დონიდან 1800-2000 მ-მდე მდებარე მეტეოსადგურების მონაცემებით.

მეარი ნალექების მაქსიმალური წლიური რაოდენობა იზრდება 350-400 მმ-დან (ზღვის დონიდან 5-50 მ) 1900-2000 მმ-მდე (1800-1900 მ), საშუალო რაოდენობა 10-60 მმ-დან 1250-1300 მმ-მდე (კერტიკალური გრადიენტით 65-70 მმ/100 მ), მინიმალური რაოდენობა 0-10 მმ-დან 600-650 მმ-მდე, ხოლო თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება 100-120 სმ-დან 700-750 სმ-მდე, საშუალო სიმაღლე -30-36 სმ-დან 450-500 სმ-მდე (გრადიენტი არის 20-25 სმ/100 მ), მინიმალური სიმაღლე 0-5 სმ-დან 200-250 სმ-მდე; თოვლის საფარის სიმაღლის ნამატი ერთი თოვისას აღწევს 250-330 სმ-ს, დღე-დამური ნამატი-150-170 სმ-ს.

განსაკუთრებით უხეოვლიან რაიონში ზვავების გავრცელების საზღვრების დასადგენად, ძირითადად, გამოყენებული იქნა ზექნს მიერ საველე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალები. იმ ტერიტორიისათვის, რომლის საფარის არ მოგვეპოვებოდა საკმარისი საველე მასალა, ზვავების გავრცელების საზღვრები დადგენილია ბჟნებრივი პირობების (რელიეფი, მცენარეული საფარი, კლიმატი) თავისებურების ანალიზისა და თეორიული გამოთვლების საფუძველზე.

რაიონის ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში ზვავსაშიში არ არის მხოლოდ ზღვისპირა ვიწრო ზოლი. დინარეების ჭრობის, აჭარისწყლის, გუმისთის, ბზიფისა და ქოვე-კვარას ხეობებში ზვავების გავრცელების ქვედა საზღვარი გადის ზღვის დონიდან 40-50 მ-ზე; საკვლევი ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში კი-100-400 მ-ზე. საკვლევ რაიონში არაზვავსაშიში ტერიტორია მოიცავს კოლხეთის დაბლობს, მის მიმდებარე დამრეც (15°-ზე ნაკლები დახრილობის მქონე) ფერდობებს და ზღვისპირა ვიწრო ზოლს აჭარასა და აფხაზეთში. აბსოლუტურად არაზვავსაშიშია მდ. ბზიფის აუზის მთლიანი ფართობის 3%, მდ. კოდორის და მდ. ჭოროხის აუზების -10-10%; ცალკეულ შედარებით მცირე მდინარეების აუზებში არაზვავსაშიში ტერიტორიის ფართობი აღწევს მთლიანი ფართობის 30-45%.

განსაკუთრებით უხეოვლიან რაიონში კატასტროფული ზვავები, ძირითადად, გავრცელებულია საშუალომთიან და დაბალმთიან ზონებში; კატასტროფული ზვავების გავრცელების რაიონს მდ. ბზიფის აუზში უგავია მთლიანი ფართობის 55%, მდ. კოდორის აუზში- 46%, მდ. ჭოროხის აუზში- 58%, ხოლო შავი ზღვის სევა, შედარებით მცირე შენაკადების აუზებში- 35-40%. ზვავების კოველწლიური გავრცელების რაიონს კი დასახლებულ აუზებში, შესაბამისად, 42%, 44%, 32% და 14-20% უკავია.

რაიონის მაღალმთიან უტყეო, ციცაბო ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა აღწევს 60-80%, ხოლო შედარებით დამრეც, ხშირი

შერეული ან წიწვოვანი ტყით დაფარულ ცერდობებზე ტერიტორიის ზეგაქტიურობა ნაკლებია 20%. განსაკუთრებით დიდი ზეგაქტიურობით (60-80%) ხასიათდება ტერიტორიის მთლიანი ფართობის მხოლოდ 3-5%, გამონაკლისია მდ. კოდორის აუზი, სადაც დიდი ზეგაქტიურობით გამოირჩევა აუზის ფართობის 19%. მაღალმთიან ზონაში ზეგშემკრებების რაოდენობა 1 კმ²-ზე აღწევს – 18-20-ს.

აღნიშნულ რაიონში მთლიანი ფართობის 21%-ზე ზეგების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე ნაკლებია 5-ზე, 18%-ზე შეადგენს 5-10, 16%-ზე - 10-15, ხოლო 25%-ზე აღემატება 15. დანარჩენ ტერიტორიაზე ზეგების ჩამოსვლის ადგილი არ აქვს. მცირეთოვლიან ზამთრებში მცირდება, როგორც ზეგების გაგრცელების ზონის ფართობი, ასევე ზეგების ჩამოსვლის სიხშირეც, კერძოდ მთლიანი ფართობის 30%-ზე ზეგების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში 5-ზე ნაკლებია, 5%-ზე შეადგენს 5-10, ძალიან მცირე ფართობზე აღემატება 10, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე ზეგების ჩამოსვლა არ შეიძნევა.

ზეგსაში პერიოდის ხანგრძლივობა, ანუ ზეგსაში დღეთა რაოდენობა ზამთარში, დიდ ფარგლებში იცვლება როგორც საკვლევ ტერიტორიაზე, ისე დროში. ზეგსაში პერიოდი ნულის ტოლია უხვთოვლიან ზამთარში რაიონის მთლიანი ფართობის 20%-ზე, საშეალოთოვლიან ზამთარში 40%-ზე და მცირეთოვლიან ზამთარში 65%-ზე. უხვთოვლიან ზამთრებში ზეგსაში პერიოდის ხანგრძლივობა 50 დღეზე ნაკლებია საკვლევი რაიონის მთლიანი ფართობის 10%-ზე, 50-100 დღე – 20%-ზე, 100-150 დღე – 20%-ზე, 150 დღეზე მეტი 30%-ზე. მცირეთოვლიან ზამთრებში ზეგსაში პერიოდი 50 დღეზე ნაკლებია განსაკუთრებით უხვთოვლიანი რაიონის მთლიანი ფართობის 20%-ზე, 50-100 დღე – 20%-ზე, ხოლო 100 დღეზე მეტია – 5%-ზე.

განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონში ზეგშემკრებების მორფომეტრიული და ზეგების დინამიკური მახასიათებლები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დაბალმთიან ზონაში იწყება უველა ზეგშემკრებების 25-30%, საშეალომთიან ზონაში – 40-45%, ხოლო მაღალმთიან ზონაში 30-35%. ზეგშემკრებების 43% მთავრდება დაბალმთიან ზონაში, 32%-საშეალომთიან ზონაში, 25%-მაღალმთიან ზონაში. ფართოდა გაგრცელებული 0,5 ჰა ნაკლები ზეგის კერის ფართობის მქონე ზეგშემკრებები (საერთო რაოდენობის 51%), 15%-ის ზეგის კერის ფართობია 0,5-1,0 ჰა, 20%-ის 1,0-10 ჰა, ხოლო დანარჩენი ზეგის კერების (14%) ფართობი 10 ჰა-ზე მეტია. ზეგის კერების საერთო რაოდენობის 20%-ის ზედაპირის დახრილობა არის 15-25°, 45%-ის 25-35°, ხოლო 35%-ის აღემატება 35°. ზეგშემკრებების სიგრძე მერყეობს რამდენიმე ათეული მეტრიდან რამდენიმე კილომეტრამდე; 1 კმ ნაკლები სიგრძით ხასიათდება ზეგშემკრებების საერთო რაოდენობის 50%, 1 კმ-დან 2 კმ-დან - 30%, 2 კმ-დან 5 კმ-დან - 20%, ზეგშემკრებების მხოლოდ მცირე რაოდენობის სიგრძე აღწევს 5-6,5 კმ-ს.

საკვლევ ტერიტორიაზე ზვავების უმრავლესობის (55%) კონუსის მაქსიმალური მოცულობა 5000 მ³ ნაკლებია. 5000 მ³-დან 10000 მ³ - მდე კონუსის მოცულობით ხასიათდება ზვავების საერთო რაოდენობის 15%, 10000 მ³ -დან 100000 მ³- მდე-15%, 100000 მ³ - დან მილიონ მ³- მდე-10%, ხოლო მილიონ მ³-ზე მეტი მოცულობით-5%. ცალკეული ზვავის კონუსის მოცულობა აღწევს 3,0-3,5 მილიონ მ³. 30 მ/წმ-ზე ნაკლები მაქსიმალური სიჩქარით ხასიათდება ზვავების საერთო რაოდენობის 50%, 30 მ/წმ-დან 40 მ-მდე- 40%, 40 მ/წმ-ზე მეტით- 10%. ძვავების 30%-ის დარტყმის ძალა ნაკლებია 30 ტ/მ², 55%-ის შეადგენს 30-60 ტ/მ². მოძრავი ზვავის ორგლის სიმაღლე 10 მ-დე დამახასიათებელია ზვავების საერთო რაოდენობის 10%-თვის, 10 მ-დან 15 მ-დე-50%-თვის, ხოლო 10 მ-ზე მეტი 40%-თვის.

თოვლის ზვავის ჩამოსვლა რთული ფიზიკური პროცესია, რომელ შეიც მრავალი ფაქტორი მონაწილეობს, კერძოდ, მყარი ნალექების რაოდენობა, თოვლის სიმაღლე და სამკვრივე, თოვის ინტენსივობა, ფერდობის დახრილობა, ქარი, ტემპერატურა, და სხვა.

ზვავსაშიშოვნების სტატისტიკური პროგნოზის შედგენის მიზნით შერჩეულ იქნა სხვადასხვა აბსოლუტურ სიმაღლეზე მდებარე მეტეოროდენისტების - ქედის (256 მ), ფსხუს (685 მ) და ცისკარას (1210 მ) მონაცემები. საპროგნოზო სქემის შესადგენად მასალის ხასიათის და შედგენილობის გათვალისწინებით, სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდებიდან უპირატესობა მივანიჭეთ არაპარამეტრული დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდს, კერძოდ ეტალონის მეთოდს [1,2].

არაპარამეტრული დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდები გამოიყენება ობიექტებისა და მოვლენების კლასიფიკაციისათვის. ძირითადი ამოცანა შემდეგია: დაკვირვებით მიღებული მახასიათებლებიდან შედგენილი ი- განხზომილებიანი ვექტორი $x(t)=\{x_1(t), \dots, x_n(t)\}$ უნდა მივაკუთვნოთ ერთ-ერთს ორი კლასიდან, რომლებიც განსაზღვრული არიან მოვლენის მოხდენით ან არ მოხდენით (კლასები A და \hat{A}). ამ მიზნით იქმნება მონაცემთა ბანკი, რომლის ელემენტებია სხვადასხვა $X(t)$ ვექტორები:

$$X = (X(1), X(2), \dots, X(t), \dots, X(n)) .$$

X არქივი იყოფა ორ ნაწილად. პირველი ნაწილი, რომელიც ავღნიშნოთ $X(t)$ წარმოადგენს სიმრავლეს იმ რეალიზაციებისა, რომელთა დროს მოხდა მოვლენა A. მეორე ნაწილი - $X(\hat{A})$, წარმოადგენს სიმრავლეს იმ რეალიზაციებისა, რომელთა დროს მოხდა მოვლენა \hat{A} . ამრიგად, ნებისმიერი $X(t)$ ვექტორისათვის სრულდება ერთ-ერთი ორი პირობიდან:

$$X(t) \in X(A) \quad \text{ან} \quad X(t) \in X(\hat{A}) .$$

ჩვენს მიერ გამოყენებული ეტალონთა მეთოდის არსი შემდეგია: $X(A)$ და $X(\hat{A})$ სიმრავლეებისათვის ამოვირჩევთ, რომელიმე მახასიათები:

ბელ ელექტრონის, რომელიც გველა ძირითად ასპექტში ახასიათებს ამ სიმრავლეს. საპროგნოზო წესი იგება საცდელი $X(t)$ ვექტორის სიახლოების მიხედვით $X(A)$ და $X(\hat{A})$ კლასების ა და ა ეტალონებთან. ალგორითმის რიცხვითი რეალიზაცია შემდეგია, ვითვლით ეკლიფურ მანძილებს $d(X(t), a)$ და $d(X(t), \hat{a})$. ამის შემდეგ დისკრიმინანტული ფუნქცია მოიცემა შემდეგი სახით:

$$G(X) = d(X(t), \hat{a}) - d(X(t), a).$$

საპროგნოზო წესი კი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} \text{თუ } G(X) \geq 0, \text{ მაშინ } X(t) \in X(A), \\ (X) < 0, \text{ მაშინ } X(t) \in X(\hat{A}), \end{aligned} \quad (2)$$

ეტალონად იყენებენ სიმრავლის რომელიმე ცენტრალურ მახასიათებელს: საშუალო მნიშვნელობას, მედიანას ან მოდას. ჩენ გამოვიყენეთ საშუალო მნიშვნელობა, ამიტომ ჩენს შემთხვევაში:

$$G(X) = \sqrt{\sum_{i=1}^n [X_i - m_i(A)]^2} - \sqrt{\sum_{i=1}^n [X_i - m_i(\hat{A})]^2}. \quad (3)$$

საპროგნოზო სქემის ასაგებად გამოვიყენეთ 4 მეტეოროლოგიური ფაქტორი: მოსული მუარი ნალექების რაოდენობა (X), თოვლის საფარის სიმაღლე (h), თოვლის საფარის სიმაღლის ნამატები (Δh) და ჰაერის ტემპერატურა ($t^{\circ}\text{C}$). ამ შემთხვევაში დისკრიმინანტულ ფუნქციას ექნება სახე:

$$G(X) = \sqrt{\sum_{i=1}^4 [X_i - m_i(A)]^2} - \sqrt{\sum_{i=1}^4 [X_i - m_i(\hat{A})]^2} .. \quad (4)$$

სადაც X_i ფრის X საცდელი $X = (X_1, X_2, X_3, X_4)$ ვექტორის i - ური კომპონენტი.

ჩვენი მონაცემების მიხედვით არჩეული სადგურებისათვის მასალის დამუშავების შემდეგ შედგენილი იქნა შემდეგი ეტალონ-ვექტორები:

$$\text{ქედა } \{m(\hat{A}) = (13,5; 60,2; 20,5; 0,3); \{m(A) = (27,9; 168; 33,6; -1,5),$$

$$\text{ფსხუ } \{m(\hat{A}) = (20,7; 67,6; 21,6; -3,0); \{m(A) = (27,9; 169; 33; -1,8),$$

$$\text{ცისკარა } \{m(\hat{A}) = (36,6; 121,5; 27,2; -3,4); \{m(A) = (56,8; 262,7; 36,9; -5,6).$$

რომელთა შეშვეობით სათანადო გამოოვლების შემდეგ ხორციელდება საპროგნოზო წესი (2).

გამოოვლების თანმიმდევრობა სამივე სადგურისათვის იქნება ერთი და იგივე: მაგალითისათვის ავიდოთ სადგურ ცისკარას მონაცემები, ზვავის ჩამოსხლისათვის დამახასიათებელი A კლასიდან განვიხილოთ 1959 წლის ზამთრის ნოემბრის თვე. საცდელი X ვექტორი მოცემულია კოორდინატებით: $X = (33,6; 209; 24; -2)$. დავადგინოთ რომელ კლასს მიეკუთვნება იგი. (3) ფორმულის გამოყენებით ვდებულობთ $G(X) = 28,06 > 0$. ე.ი. (2) საპროგნოზო წესის თანახმად ვაცხადებთ ზვავსაშიშროებას და ვვარაუდობთ ზვავის ჩამოსხლას.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. სიმონია თ., კარტაშვილი გ., 1996: ოოვლის ზვავების ჩამოსვლის პროცენტი პარამეტრული და არაპარამეტრული დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით, საქ. მეც. აკად. პმი-ს შრომათა კრებული, გ.100, გვ. 158-161.
2. М.Г. Тер-Мкртычян, А.И. Снитковский, Л.Е.Лукианова, 1971: Использование дискриминантного анализа для прогноза гололёда. Тр. ГМЦ ССР, вып. 90, с.30-39.

უაკ 551.578. 48

ზვავებისაში შროების თავისებურებანი და პროგნოზი საქართველოს გან-საკუთრებით უხევოვლიან რაიონში. /ლ.ქალდანი, გ. სალუქვაძე, თ.სი-მონია, გ.კარტაშვილი, ნ.კობახიძე, გ.ჯინჭარაძე/, პმი-ს შრომათა კრებული, 2007-გ.111-გვ.37-42, ქართ., რეზ., ქართ., ინგლ., რუს. განხილულია ზვავარმომქმნელი ფაქტორები, დადგენილია ზვავესა-ში შროების რაოდენობრივი მახასიათებლების, ზვავმეტკრებების მორ-ცომეტრიული და ზვავების დინამიკური მაჩვენებლების თავისებურე-ბანი საქართველოს განსაკუთრებით უხევოვლიან რაიონში. შედგენი-ლია ზვავესაში შროების სტატისტიკური პროგნოზი, რომელიც ეფუძნე-ბა დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდს, კერძოდ, ეტალონთა მე-თოდს. ლიტ.დას. 2.

UDC 551.578. 48

Features of avalanche danger and its forecast in GeorgiaZs the most snowy area. /L.Kaldani, M.Salukvadze, T.Simonia, M.Kartashova, N.kobakhidze, G.Gincharadze/. Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. -V.111. - p. 37-42, - Georg.; Summ. Georg., Eng., Rus.

There are discussed avalanche creative factors and are ratificated qualitative features of avalanche danger, features of avalanche collecting morphometric and dynamic characteristicZs in the most snowy area of Georgia. ItZs made the statistical forecast of avalanche danger, which is based on the discriminant analise, in air case-on the method of etalons. Ref.2.

УДК 551. 578. 48

Особенности и прогноз лавиноопасности в особенно многоснежном рай-оне Грузии. /Л.Калдани, М.Салуквадзе, Т.Симония, М.Карташова, Н.Кобахидзе, Г.Джинчарадзе/. Сб. трудов Института Гидрометеорологии Грузии-2007.-т.111.-с. 37-42,Груз.; рез.:Груз.,Анг., Русск.

Рассмотрены лавинообразующие факторы, установлены количественные по-казатели лавиноопасности, морфометрические характеристики лавиносборов и динамические свойства лавин для особенно многоснежного района Грузии. Составлен статистический прогноз лавиноопасности на основе метода диск-риминантного анализа, в частности - метода эталонов. Лит.2.

ჟაროლობის-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

ჟაროლობის ინსტიტუტის გრანტის, ფომი №111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

ს.გორგიჯანიძე, ნ.ცინცაძე
პიდრომეტეოროლოგის ინსტიტუტი


უაკ 551.472.215

მყინვარების შპანდახევის შედეგად წარმოშობილი დაზუბნებული ფასის გეოგრაფია

თანამედროვე მყინვარების რეკიმში გაბატონებულია მყინვარების შემცირების, უკანდახევის პროცესები, რომელიც ძირითადად დაიწყო 1850 წლიდან “ვერნაუს” სტადიოდან, ამან განაპირობა მყინვარების შემცირება კავკასიის, როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ ფერდობზე. ინტენსიური დნობის შედეგად წარმოიშვა მრავალი რელიეფის უარყოფითი ფორმები, როგორიც არის ცირკები, კარები, ტროგული ხეობები, მორქეული ბორცვები და სერები, მათ შორის ჩადაბლებები და სხვ. [Р.Г.Гонеджишвили, 1989]. ამ მყინვარული რელიეფის ფორმებში წარმოიშვა დაგუბებული ტბები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში მყინვარის ენის დაბოლოებაზე არიან მიბჯენილი, ან უშუალოდ მყინვარშია მოთავსებული.

ამგვარი ტბების კვლევას საფუძვლად დაედო 1956-1964 წლების ტოპოგრაფიული რუკები, 1:25000 მასშტაბიანი და ცალკეულ შემთხვევაში აეროფოტოსურათები. ამ მეთოდით აღრიცხული იქნა 16 ტბა. ტბები უმეტესად განაწილებული არიან მდინარეების - ენგურის, კოდორის, რიონის და თერგის აუზებში, რომლებიც გამოიჩინიან ძლიერი გამყინვარებით. აქედან ყველაზე მეტია მდ. ენგურის აუზში, რომელიც გამყინვარებით პირველ ადგილზეა (288,3 კმ ფართობით) საქართველოს სხვა მდინარეთა აუზების გამყინვარებასთან შედარებით [გ.სვანიძე, ვ.ცომაია, 1999, იუ.გ. ილიჩევ, 2002, ვ.შ.ცომაია, ი.ა.დრიბიშვილ, 1977]. საერთოდ ძლიერი გამყინვარების რაიონები გამოიჩინიან დაგუბებული ტბების სიმდლავრით. ამას ადასტურებს ისიც, რომ მოსახლეობა კავკასიონის ჩრდილო ფერდობზე უფრო მეტია დაგუბებული ტბები, ვიდრე სამხრეთ ფერდობზე [იუ.გ. ილიჩევ, 2002, პ.მ.ლურე, 2003]. აღრიცხულ მყინვართან ახლომდებარე 16 ტბას დიდი პრატიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი აფიქსირებენ მოცემულ პერიოდში მყინვარების გავრცელების ქვედა საზღვარს; გარდა ამისა, მათი მორფომეტრული მახასიათებლების ძლიერი ცვალებადობის გამო, რაც დამოიყიდებულია მყინვარულ პროცესებზე და კლიმატურ პირობებზე. ამიტომ მათი შესწავლა დიდ ინტერესს იწვევს.

აღნიშნული კველი ტბა უსახელოა, მდებარეობენ 2565-31948. სიმაღლის ზონაში, საშუალო 2890 მ. სიმაღლეზე (ნახ.1). ტბების წყლის სარჯის საერთო ფართობი 27,91 ჰა, ხოლო მათი ჯამური წყალშემცრები აუზის ფართობი 778,9 ჰა. ტბები განსხვავდებიან თავიანთი მორფომეტრიული მახასიათებლებით. ფორმის მიხედვით უმეტესი მათგანი წრიულია. ყოველივე ამ მოკლეული მასალების საფუძველზე ცხრ.1-ში მოცემულია მათი მორფომეტრიული მახასიათებლები.



ნახ. 1 მდგრადული დაბუგებული ტბები (უსახელია ტემპის ახალგვა)

ცხრილი 1. მყინვარული დაგუბებული ტბების მორფომეტრიული მახასიათებლები და მათი პარამეტრების კოეფიციენტების შედეგები

სულ	აღილის ხილები, გ.	ტბის ხილები გ.	ტბის ხილები გ.	ფართობი, ჰა		K=Ff	\sqrt{f}	$C_1=I/\bar{B}=L^2/f$	$C_2=\bar{B}/B$
				ტბის ხილები	ტბის ხილები -რეზენტული				
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1. კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობი, დალარის უღელტეხილის სამხრეთით ≈ 1.2 კმ. მყინვარების 160-ის და 161-ის ფარგლებში, ჩამჯდარია მყინვარში.									
2957	75.0	125	0.94	21.8	23.2	0.36	1.66	1.00	
2. კავკასიონის ქედის სამხრეთი ფერდობი, დალარის უღელტეხილის სამხრეთით ≈ 1.3 კმ. მყინვარი 159-ის დასავლეთი დაბოლოება, მდ. დალარის სათავე(მდ. ნენსკრა)									
2703	325	325	10.6	125	11.8	0.28	1.00	1.00	
3. კოდორის ქედის დასავლეთ ფერდობზე მყინვარ 122-ის ენის ჩრდილოეთ დაბოლოებაზე, მდ. საქენის მარცხენა შენაკადი									
2731	150	250	3.75	66.4	17.8	0.36	1.60	1.00	
4. კოდორის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მდებარე მყინვარ 121-ის ენის ჩრდილო-აღმოსავლეთი დაბოლოება, მდ. საკენის რიგით მეორე მარცხენა შენაკადი.									
2889	50.0	75.0	0.38	18.8	49.4	0.34	1.48	1.01	
5. კოდორის ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარე მყინვარ 156-ის ენის ჩრდილო დაბოლოება, მდ. ცხანდირის მარჯვენა შენაკადი.									
2565	100	150	1.50	100	66.6	0.34	0.66	1.00	
6. მთა ცხვანდირი, მყინვარ ცხვანდირის აღმოსავლეთით მდებარე მყინვარ 149-ის ფრაგმენტის ჩრდილოეთი დაბოლოება.									
2598	50.0	175	0.88	38.6	43.8	0.52	3.48	1.00	
7. მთა ცხვანდირი, მყინვარ ცხვანდირის აღმოსავლეთით მდებარე მყინვარ 149-ის ფრაგმენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი დაბოლოება.									
2605	125	250	3.12	38.6	12.4	0.39	2.00	0.99	
8. მთა გვერგილდაშის აღმოსავლეთი ფერდობი, მყინვარ 186-ის ენის ჩრდილო-დასავლეთი დაბოლოება, მდ. ნენსკრას მარცხენა შენაკადი.									
2919	150	150	2.25	76.2	33.8	0.28	1.00	1.00	
9. მთა გვერგილდაშის აღმოსავლეთი ფერდობი, მყინვარ 204-ის ენის ჩრდილოეთი დაბოლოება, მდ. ნენსკრას მარჯვენა შენაკადი.									
2656	75.0	75.0	0.56	28.1	50.2	0.28	1.00	0.99	
10. მაუქვეთის ჩრდილო-დასავლეთით, მყინვარ კაპრინაჩურის (197) სამხრეთ-აღმოსავლეთი დაბოლოება, მდ. კაპრინაჩური (მდ. ნაკრა)									
3003	100	175	1.75	43.8	25.1	0.37	1.75	1.00	
11. დვალევის ქედის სამხრეთი ფერდობი, 2,5 კმ-ის სამხრეთით მთა ხალაცასთან, მყინვარ 402-ის ენის აღმოსავლეთი დაბოლოება, ჩამჯდარია მყინვარში									
3037	50.0	100	0.50	51.6	103	0.39	2.00	1.00	

ცხრილი 1-ის გაგრძელება

12.რაჭის ქედის დასავლეთი ფერდობი, მთა კარტატრაგას დასავლეთით, მყინვარ 405-ის ენის ჩრდილო-აღმოსავლეთი დაბოლოება, მდ. ჯგუფის მარცხ. შენაკადი.	2962	75.0	125	0.94	81.2	86.4	0.36	1.66	1.00
13.რაჭის ქედის უკიდურესი ჩრდილო ნაწილი, ზეპარის უდელტეხილის სამხრეთ-დასავლეთით, მყინვარ 404-ის დასავლეთი მხარე, ჩამჯდარია მყინვარში.	3045	25.0	25.0	0.06	25.8	430	0.28	1.04	0.96
14.მთიულეთის ქედის ჩრდილო ფერდობი, ზილგახოხისა და კალასონის მთებს შორის მყინვარების 80, 81, 82-ის ქვაბულში.	3194	75.0	75.0	0.56	21.0	37.6	0.28	1.00	0.99
15.მთიულეთის ქედის ჩრდილო ფერდობი, ზილგახოხისა და კალასონის მთებს შორის მყინვარების 80, 81, 82-ის ქვაბულში.	3194	25.0	25.0	0.06	21.0	351	0.28	1.04	0.96
16.მთიულეთის ქედის ჩრდილო ფერდობი, ზილგახოხისა და კალასონის მთებს შორის მყინვარების 80, 81, 82-ის ქვაბულში.	3194	25.0	25.0	0.06	21.0	351	0.28	1.04	0.96
სულ	3194	325	325	10.6	125	430	0.52	3.48	1.01
	3891	92.2	133	1.74	48.7	105.82	0.34	1.46	0.99
	2565	25.0	25.0	0.06	18.8	11.8	0.28	0.66	0.96
ჯამი	46252	1475	2125	27.91	778.9	1693.1	5.39	23.41	15.9

ტბების ამ მორფომეტრიულ მახასიათებლებზე დიდ გავლენას ახდენს მდებარეობა, რელიეფი, კლიმატი და ა.შ. მათ დასხახისიათგაბლად იყენებენ მთელ რიგ კოეფიციენტებს [ვ.ცომაია, თ.ცინცაძე, ს გორგიჯანიძე, 2007], ასეთებია:

1.ტბების წყალშემკრები აუზის ფართობის განვითარების კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს წყალშემკრები აუზის ფართობის (F) შეფარდებას ტბის სარკის ფართობთან (f):

$$K = F/f$$

2.სანაპირო ხაზის სიგრძის განვითარების კოეფიციენტი, როგამოითვლება ფორმულით $C = 0,28 \cdot 1/\sqrt{f}$ რომელიც მიიღება ტბის სიგრძესა (l) და სარკის ფართობს (f) შორის დამოკიდებულების საფუძველზე, სადაც 1 მაქსიმალური სიგრძეა.

3. განვითარების ანუ გაწელების კოეფიციენტი დამოკიდებულია მის სიგრძეზე და საშუალო სიგანეზე (\bar{B}). ეს დამოკიდებულება გამოისახება ფორმულით:

$$C_1 = l/\bar{B} = l^2/f$$

კოეფიციენტი შედარებით მერყევია.

4. კომპაქტურობის კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს ტბის საშუალო სიგანის შეფარდებას მაქსიმალურ სიგანესთან (B):

$$C_2 = \bar{B} / B$$

იგი განვითარების ანუ გაწელვის კოფიციენტთან შედარებით უფრო მდგრადია. შედეგები მოყვანილია ცხრ.1-ში.

ჯამური და საშუალო მახასიათებლებით გამოირჩევიან გამდინარე ტბები, რომელთა წყლის სარკის ფართობი შეადგენს 21,73 ჰას, წყალშემკრები აუზის ფართობი 534,1 ჰა, სიგანეთა ჯამი 1025 მ, ხოლო სიგრძეების 1325 მ. ეს თითქმის 1,5 – 3-ჯერ მეტია გაუდინარი ტბების ანალოგიურ მახასიათებლებზე, რომელიც შეადგენს: წყლის სარკის ფართობი – 6,18 ჰა, წყალშემკრები აუზის ფართობი – 244,8 ჰა, სიგანეთა ჯამი – 450მ, სიგრძეების – 800მ. ასევე განსხვავებაა სიმაღლეებს შორის, გამდინარე ტბების ჯამური და საშუალო მახასიათებლები გაუმდინარესთან შედარებით მცირეა, ჯამი – 22428 მეტრია, რაც 1370 მეტრით ნაკლებია გაუმდინარ ტბებთან, საშუალო მაჩვენებელი 2803,5 მეტრია და ასევე 170 მეტრით ნაკლებია, სიმაღლის უდიდესი მაჩვენებელი განსხვავდება და 190 მეტრს უდრის. აქედან გამომდინარე უნდა ავღნიშნოთ, რომ ყველა გამდინარე ტბა მდებარეობს გაუმდინარ ტბებთან შედარებით უფრო დაბალ სიმაღლეზე და ამასთან ამ ტბების წყლის სარკის ფართობი დიდი მაჩვენებლით ხასიათდება, ვიდრე გაუმდინარი ტბების წყლის სარკის ფართობი.

ტბების წყლიანობა დიდი არ არის, მათი მოცულობა დაბალოებით არის 35-40 მლ.მ³, რაც შეადგენს მყინვარების წყლის რესურსების 0,13-0,14%-ს, მიუხედავად ასეთი უმნიშვნელო მარაგისა, მათი მნიშვნელობა, როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული კომპონენტი დიდია; ერთის მხრივ ისინი აფიქსირებენ მყინვარების გავრცელების ქვედა საზღვარს 1955-1964 წლების დონეზე, ხოლო მეორეს მხრივ ისინი წარმოადგენენ პოტენციალურად საშიშ ობიექტებს, რადგან მათ გარღვევასთანაა დაკავშირებული ნაზღვდევი კატასტროფული წყალმოვარდნები. განსაკუთრებით ეს საშიშროება გაძლიერდა უკანასკნელ წლებში, რაც დაკავშირებულია მადალმთიან რაიონებში კოკისპირული წვიმების გახშირებასთან. ამიტომ ისინი ყურადღების ცენტრში უნდა იყვნენ. საჭიროა მათზე მუდმივი მეოვალურეობა, რათა დროულად აცილებული იქნას მოსალოდნებელი საშიშროება.

ლიტერატურა—REFERENCES-

1. გ. სვანიძე, ვ.ცომაია. 1999. საქართველოს მყინვარების მოწყვლადების შეფასება კლიმატის მოსალოდნებელი ცვლილებების მიმართ. გარემოს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის ეროვნული ბიულეტენი. №8. თბილისი, გვ. 57-65.
2. ვ.ცომაია, თ.ცინცაძე, ს.გორგიჯანიძე. 2007.ნაზღვდევი წყალმოვარდნები საქართველოში და მათი საშიშროების თავიდან აცილების რეკომენდაციები. ჰიდრომეტეგიონოლოგიის ინსტიტუტის შრომები. (მონოგრაფია). თბილისი, გვ. 185.

3. Р.Г. Гобеджишвили 1989. Ледники Грузии. Институт географии им. Вахушти Багратиони. Академия наук Грузинской ССР. Тбилиси. «Мецниереба». с.125
4. Ю. Г. Ильичев 2002.Малые формы оледенения. Распространение, режим и динамика (на примере Западного Кавказа). Автореферат. Ростов-на-Дону. с.23.
5. П.М. Лурье 2003.Оценка современного состояния и прогноз водных ресурсов Кавказа. Автореферат. (докторской диссертации). Ростов-на-Дону. с.15.
6. В. Ш.Цомая, О.А. Дробышев. 1977. Каталог ледников СССР. Том 8. Северный Кавказ. ч. 10, 11. Гидрометеоиздат. Ленинград. с.70.

უაკ 551. 482. 215

მყინვარების უკანდახევის შედეგად წარმოშობილი დაგუბებული ტბების გეოგრაფია./ს.გორგიჯანიძე, ნ.ცინცაძე/ პმი –ს შრომათა კრებული –2007 – გ.111., გვ.43-49. ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

თანამედროვე მყინვარების რეჟიმში გაბატონებულია მყინვრების შემცირების, უკანდახევის პროცესები, კავკასიის როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ ფერდობებზე, რომელიც ძირითადად დაიწყო 1850 წლიდან “ფერნაუ” სტადიანა.

ინტენსიური დნობის შედეგად წარმოიშვა რელიეფის უარყოფითი ფორმები: ცირკები, კარები, ტროგული ხეობები, მორენული ბორცვები და სერები, მათ შორის ჩადაბლებები და სხვ. რელიეფის ამ ფორმებში წარმოშობილი დაგუბებული ტბები უმეტეს შემთხვევაში მყინვარის ენის დაბოლოებებზე არიან მიბჯენილნი, ან უშუალოდ მყინვარშია მოთავსებული. ამგვარი ტბების კვლევას საფუძვლი დაედო 1956-64 წლების ტოპოგრაფიული რუკების და ცალკეულ შემთხვევებში აეროფოტოსურათების მასალები. ამ მეოდიოთ საქართველოში აღირიცხა 16 ტბა, რომლებსაც პირითად “საშიში ტბები” შეიძლება კურორთ. შედგენილია მათი მორფომეტრული მახასიათებლები, მოცემულია მათი პარამეტრების კოეფიციენტები, რომლებიც აფიქსირებენ მოცემულ პერიოდში მყინვარების გაზრცელების ქვედა საზღვარს. ნახ.1,ცხრ. 1., ლიტ. დას.6.

UDC 551. 472. 215

Geography if dam lakes created by the glaciers stepping back./S.Gorgijanidze, N.Tsintsadze/.Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology.-2007.- V.111.,-p. 43-49. Georg.Summ.Georg.,Eng.,Russ.

In mode modern glacier dominate the processes of the retreat, which basically began with 1850 from stage "Fernau". This has conditioned the reduction a glacier Caucasus both on north, and on south declivity.

As a result of intensive melting appeared many negative forms of the relief, as circuses, trogaly of the valley, exterminated relief and mounds, troughs and others In these forms of the glacial relief were formed dam lake, which in most cases verge to completion of the language of the glacier or are located inwardly glacier. The Reason for study these lake has served the topographical cards 1956-64, but in separate events - an ear photography of the card. In total in Georgia counted 16 such lake. They Are Formed their morphological features, are given results parameter their factor. They important since fix the bottom edge a

glacier at a rate of 1955-64. Besides these lake are potentially dangerous object since with their breakout are bound disastrous catastrophic floods. For this necessary to conduct the constant observations on them to in good time avoid the possible danger.Fig.1,Tab.1, Ref.6.

УДК 551. 482. 215

География запрудных озёр, образованных в результате отступления ледников.
/С.Г. Горгиджанидзе, Н.Т.Цинцадзе/. Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. – 2007 т.111., –с. 43-49. Груз., рез. Груз., Анг., Русск.

В режиме современных ледников господствуют процессы отступления, которые в основном начались с 1850г. из стадии «Фернау». Это обусловило уменьшение ледников Кавказа как на северном, так и на южном склонах.

В результате интенсивного таяния возникали многие отрицательные формы рельефа, как цирки, кары, троговые долины, моренные рельефы и бугры, впадины и др. В этих формах ледникового рельефа образовались запрудные озёра, которые в большинстве случаев примыкают к окончанию языка ледника или расположены неподалеку внутри ледника. Основанием для изучения этих озёр послужили топографические карты 1956-64гг., а в отдельных случаях – аэрофотографические карточки. В итоге в Грузии насчитано 16 таких озёр. Составлены их морфологические характеристики, даны результаты параметров их коэффициентов. Они важны, т.к. фиксируют нижнюю границу ледников на уровне 1955-64 гг. Кроме того эти озёра являются потенциально опасными объектами т.к. с их прорывом связаны катастрофические завалы наводнения. Поэтому необходимо проводить постоянные наблюдения над ними, чтобы своевременно избежать возможную опасность.Рис.1,таб.1,лит.6.

ჰიდროლოგია-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ჟრომები, ფომ №111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

ს.გორგიჯანიძე, ნ.ცინცაძე
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უკ 551. 482. 215

ბაზართის რაიონის კატასტროფული ნაზღვლები წყალმოვარდნები


ბუნებრივ კატასტროფთა რიცხვს მიეკუთვნება მდინარეების ხეობების ჩახერგვები, დაგუბებები, გარდვევები და მათთან დაკავშირებული წყალმოვარდნები, რომელნიც მოსახლეობისათვის კატასტროფულ მოვლენას წარმოადგენენ, ასევე საშიშია მათი ზემოქმედება წყალსაცავების, გზების, კომუნიკაციების, ნავთობისა და გაზასადენების საქმიანობისათვის. ეს პროცესები გამოწვეულია გრავიტაციული და გარეგანი ძალების ზემოქმედების შედეგად.

ამგვარი მოვლენები ხშირია საქართველოში და დღემდე გრძელდება. საკმარისია ბადდათის რაიონის მაგალითი, სადაც ბოლო წლების განმავლობაში სამჯერ დაატყდა თავსხმაკოკისპირული წვიმების სერია, რომელმაც გამოიწვია წყალმოვარდნები. 1999 და 2001 წლებში ორჯერ დაიტბორა და წაილეკა მდ. ლუხუტას (მდ. უკირილას აუზი) ხეობის მიმდებარე ტერიტორია. დააზიანა სასოფლო-სამეურნეო საგარეულები, გზები, ხიდები, რამდენიმე სახლ-კარი [გ.ცომაძა, ს.გორგიჯანიძე, 2001].

2003 წლის 28-29 ივლისს ბადდათის რაიონში ისევ განმეორდა თავსხმაკოკისპირული წვიმები რომელთაც გამოიწვიეს წყალდიდობები და წყალმოვარდნები, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მთელ რაიონს. მომხდარი წყალმოვარდნის შედეგად დაზიანდა სოფლების ნერგეთის, დაფუნის, წელთაშუას, კორიშის, კაკასხიდის, ზეკარის და ხანის სავტომობილო გზა, ხიდები, დაიტბორა სასოფლო-სამეურნეო საგარეულები. დააზიანა სოფ. როკითის მშენებარე წყალსაცავი, ვ.მაიაკოვსეის სახლ-მუზეუმის წინ არსებული მდ.ხანის-წყლის სანაპირო ზოლი. მთლიანმა ზარალმა შეადგინა 75 ათასი ლარი.

წყალდიდობის შესახებ ინფორმაციის დასადგენად და შედეგების გამოსაკვლევად 2003 წლის აგვისტოში მოქმედ ექსპედიცია ავტორის მიერ. შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ 27 ივლისს კოკისპირული წვიმის დროს მდ. ქერშავეთზე (მდ.ხანისწყლის მარცხენა შენაკადი) არსებული ე.წ. IV ხიდზე, მდინარეული ნატანი მასალით (ქა-ლოდებით, ამოთხრილი ხე-ბუქებით) მოხდა ხეობის ჩახერგვა (ნახ.1). მას მოკვა მდინარის შეგუბება, რაც გაგრძელდა

რამოდენიმე საათით, ხოლო შემდგომ მდინარემ მთლიანად გაარღვია ხიდზე სავალი გზა (ნახ.2) და ახალი კალაპოტის მეშვეობით დაეშვა სოფ. კაქასხიდისკენ. დაანგრია სატრანსპორტო გზა (ნახ.3) და დაეშვა მდ. სანისწყლის ქვემო დინებისაკენ. ჩახერგილი მასის სიმაღლე 10მ-ს შეადგენდა, სიგანე 13გ-ს,



ნახ.1 მდ. ძერმავეთის ჩახერგილი უბანის და დაგუბებული ტბის სქემა



ნახ. 2 მდ. ქერშავეთის მიერ გარღვეული საავტომობილო გზა (ფოტო. ს. გორგიჯანიძე)



ნახ.3. მდ.ხანისწყლის მიერ დანგრეული გზა (ბაღდათის რ-ნი) (ფოტო რ.დიაკონიძე).

ჩახერგილი მასის სიმაღლე 10 მ-ს შეადგენს, სიგრძე 13 მ-ს, დაგუბებული უბნის სიგრძე 185მ-ს. აგებული იქნა მდ. ქერშავეთის ჩახერგვის უბანზე გრძივი პროფილი, რომლის თანახმად დადგენილია ვ.ცომაიას მეოთხით ქვაბულის მოცულობა [ვ. ცომაია.1996]

$$W = H \cdot B \cdot L / k$$

სადაც W — არის წარმოშობილი ქვაბულის მოცულობა (მ^3); H —ჩახერგილი მასის სიმაღლე (მ); B —ჩახერგილი მასის სიგანე (მ); L —დაგუბებული უბნის სიგრძე (მ); k —ტოპოგრაფიული კოეფიციენტი, რომელიც მერყეობს 2,7-3,3 ფარგლებში (გამოთვლებისათვის იღებენ $k=3,0$).

აქედან გამომდინარე W=8016მ, ხოლო კაშხლის გარღვევის ადგილას წყალმოვარდნის წყლის მაქსიმალური დონე (h) ჩახერგვის მასის მთლიანი გარღვევისას იყო h=5მ, წყლის მაქსიმალური დონის შესაბაძისი წყლის მაქსიმალური ხარჯი (Q_{აქ}) ჩახერგილი მასის მთლიანი გარღვევისას 781 მ³/წმ, რაც აღემატება 2,1-ჯერ 1%-ანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯს მდ.ხანისწყალი-ბადდათის მაგალითზე (374მ³/წმ). მაშინ კოლხეთის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მონაცემებით 2003 წლის 29 ივლისს წყლის დონემ მდ. ხანის-წყალზე-ბადდათან 3მ-ს და 55სმ-ს მიაღწია. აღდგენილი იქნა შესაბაძისი წყლის მაქსიმალური ხარჯიც, რომელიც 240 მ³/წმ-ში შეაღგენდა, რაც დაახლოებით 5%-იანი უზრუნველყოფის ტოლია და დაგეთხვა ვ.ცომაიას მონაცემებს 259 მ³/წმ და აღემატება 1968 წლის 18 აპრილის წყალმოვარდნის წყლის მაქსიმალურ ხარჯს (290 მ³/წმ) [შომა V.III.1974]. გამოთვლებიდან ჩანს, რომ გარღვევის შედეგად წარმოქმნილ ნაზღვლევ წყალმოვარდნას დიდი გავლენა არ მოუხდებია, სადგურ ბადდათან განვლილი წყალმოვარდნის წყლის მაქსიმალურ ხარჯზე. დაგუბების გარღვევის აღგილიდან ნაზღვლევმა წყალმოვარდნამ 26 კმ-ის გავლის შემდეგ დიდი ტრანსფორმაცია განიცადა. რის შედეგად აქ წყალმოვარდნა ტოლობის თანახმად:

$$Q_{\phi} = \frac{L_1}{L_1 + L_2} \cdot Q_{აქ} = \frac{0,185}{0,185 + 26} = \frac{0,185}{26,185} \cdot 781 = 5,51$$

Q_ტ=5,51 უდრის. ე.ი. ბადდათან წყლის მაქსიმალურ ხარჯს მხოლოდ 5-6 მ³/წმ წყალი დაგენატება.

აღნიშნული მოვლენა მოსალოდნებლია მომავალშიც, რადგან ხეობის ფერდობებზე მრავლად არის ფრაგმენტულად წარმოდგენილი გაშიშვლებები; ანალოგიური თავსებმა წვიმების შედეგად ადგილი ექნება მეწყრის ჩამოსვლას, მდინარის ხეობის გადაკეტვას, ხოლო მის გარღვევას მოვკება კატასტროფული ნაზღვლევი წყალმოვარდნა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე უურადღება უნდა მიეკცეს მთიან რეგიონებს, რადგან აღგილი აქვს მდინარის ხეობების ჩახერგვებს, დაგუბებებს, გარღვევებს და წყალმოვარდნებს, რომლებიც ხშირად მეორდებიან. მათი დროული შესწავლა საშალებას გვაძლევს მოხდეს მოსალოდნების წინასწარი გაფრთხილება, ზოგ შემთხვევაში მათი ევაკუაციაც. აგრეთვე ავაცილოთ ბუნებრივ ტერიტორიულ კომპლექსებს მოსალოდნებლი ეკოლოგიური კატასტროფა. ასევე საჭიროა შერჩეული დაცვითი ტექნოლოგიური ღონისძიებანი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისათვის.

ლიტერატურა-REFERENCES- ЛИТЕРАТУРА

1. ვ.ცომაია; ს.გორგიჯანიძე 2001, ბადდათის რაიონში 2001.წლის 31 მაისის კატასტროფული წყალმოვარდნების ჰიდროგრაფო-ჰიდრომეტეოროლოგიური საფუძვლები და მოსალოდნებლი საშიშროების

- თავიდან აცილების გზები. საქ. მეც. აკად. პმ. თბილისი. (ინსტიტუტის სამეცნიერო ფონდი). გვ. 2-25.
2. ვ.ცომაია – 1996.მთიან რეგიონებში თოვლდაგროვების კანონზომი-ერებათა გეოლოგიური და ჰიდროლოგიური საფუძვლები (საქართველოს მაგალითზე). თბილისი. (სადოქტორო დისერტაცია). გვ. 50-56.
 3. В. Ш. Цомая – 1974. Гидрографические описания рек, озер и водохранилищ. том 9. вып. 1. Гидрометеоиздат. Ленинград. ст. 202-210.

უაკ 551. 482. 215

ბაღდათის რაიონის კატასტროფული ნაზღვლევი წყალმოვარდნები. /ს.გორგი-ჯანიძე, ნ.ცინცაძე/. პმ. –ს ჟრომათა კრებული –2007 –ტ.111., გვ. 50–54 ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

მდ. ხანისჭულის მარცხენა შენაკადის მდ. ქერშავეთს ახასიათებს ნაზღვლევი წყალმოვარდნები. მგვარ პროცეს ადგილი პქონდა 2003 წლის 28 ივნისს, ბაღდათის რაიონში. წყალმოვარდნა გამოწვეული იყო ძლიერი თავსხმა წვიმების შედეგად, რომელთაც გამოიწიეს მდ. ქერშავეთის ჩახერგა მდინარის ნატანი მასალით. ჩახერგილი უბანი 10მ სისქის იყო. წყლის ძლიერმა ნაკადმა მაღლევ გაარღვია ჩახერგილი მასა და გაანგრია ხიდზე სავალი გზა. ამ დროს წყლის მაქსიმალური ხარჯი 781მ³/წ იყო. რომელმაც დიდი ზარალი მიაუქნა რაიონს, დაანგრია გზები, ხიდები და მშენებარე წყალსაცავი. ნახ.3,ლიტ. დას.3.

УДК 551. 472. 215

Catastrophic Flood in the Bagdadi Region./S.Gorgjanidze, N.Tsintsadze /Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology.-2007.-V.111.,-p. 50–54. Georg:Summ. Georg., Eng.,Russ.

For the river Kershaveti, left afflux of river Khanistskali is characteristic flood Such process heed place on the 28of July, 2003 year. It was provoked after showers, and this was the reason of landslide in the ravine. River Kershaveti was locked by 10m.thick mass. Strong stream had broken this mass and destroyed walking way on the bridge. Maximal water expense was 781sm³/sec.It harmed the region, destroyed ways, bridges and dams of water reservoirs, those are in building process.Fig.3,Ref.3

УДК 551. 482. 215

Завальные катастрофические наводнения в Багдадском районе (западная Грузия). /С. Г.Горгиджанидзе, Н.Т. Цинцадзе/. Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. – 2007 т.111., –с. 50–54. Груз., рез. Груз., Анг., Русск.

Левый приток р. Ханисцкали – р. Кершавети характеризуется завальными наводнениями, каковые имели место 28 июля 2003г. в Багдадском районе. Завальное наводнение было вызвано сильными ливневыми осадками способствующими всходу оползней, заваливших русло реки Каршавети толщиной в 10м. Из-за большого притока ливневого стока завал быстро разрушился и прорвал пролечающую дорогу. Максимальный расход воды завального наводнения достиг 781 м³/ск, причинив большой урон и вызвав бедствие в виде разрушенных дорог, мостов и опор строящегося водохранилища. Рис.3,лит.3

პიდროლოგია-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

=====
**პიდროლოგიური გარემონტის ინსტიტუტის გროვები, ტომ 111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111**

ვ. ცომაია, რ. მესხია
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.583.15

ყვლის ბალანსის ელემენტების ცვლილება ჰაერის ფერადაცვის ანომალიების დროს ძველი ქართლში

წყლის ბალანსი წარმოადგენს ჩამონადენის მირთადი მაფორმირებელი ფაქტორების ნალექების და ორთქლების ფუნქციას, რომლებიც იცვლებიან ჰაერის ტემპერატურის ანომალიების დროს.

ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენს მრავალწლიური ბალანსის ელემენტების ვარიაციების კანონობის გადასაცემო მრავალწლიურ საშუალო თვიური ტემპერატურების მრავალწლიურ საშუალოდან სხვადასხვა გრადაციის ანომალიების დროს.

კვლევისათვის გამოვიყენოთ ქვემო ქართლის ტერიტორიაზე განლაგებული ხუთი დამახასიათებელი მეტეოროსადგურების დაკვირვების მონაცემები 1931-90 წ.წ. პერიოდის. ცალკეული წლების თვის ნალექების ჯამის დიფერენცირებული სტატისტიკური ანალიზი გაკეთდა ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურების ($0 \div 0,9$, $1 \div 1,9$, ≥ 2) გრადაციის დაღებითი და უარყოფითი ანომალიების შემთხვევებში ამოკრეფილი თვეების ნალექების საფუძველზე. წლიური ნალექები ცალკეული საღგურების მიხედვით გასაშუალოებულია საკვლევ ტერიტორიაზე, სხვადასხვა გრადაციის ანომალიების დროს მათი მნიშვნელობა მოცემულია ცხრილი 1.

ცხრილი 1. წლიური ნალექები ჰაერის ტემპერატურის სხვადასხვა გრადაციის დაღებითი და უარყოფითი ანომალიების დროს ქვემო ქართლში 1931-90 წ.წ. პერიოდში.

ტემპერატურის ანომალია, °C.	წლიური ნალექები, მმ.					საშუალო	σ , მმ	C_v
	ბილი	ავ	განგ	თებერ	თბილი			
≥ 2	324	450	462	443	323	400	150	0,30
$1 \div 1,9$	411	549	520	565	405	490	153	0,24
$0 \div 0,9$	509	682	718	724	524	631	33	0,16
$-0 \div -0,9$	587	748	803	891	590	723	128	0,19
$-1 \div -1,9$	680	761	840	924	612	763	176	0,28
≤ 2	610	608	727	836	586	673	166	0,31
საშუალო	520	633	678	731	507	613		

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ პაერის ტემპერატურის დადგებითი ანომალიების მატებით წლიური ნალექების რაოდენობა ხუთივე მეტეოსადგურებზე მცირდება, ხოლო ტემპერატურის უარყოფითი ანომალიების მატებით 2°C ნალექები იზრდება, ანომალიის 3°C მატებით ნალექები მცირდება წინა გრადაციის ნალექებთან შედარებით. ადნიშნული მოვლენა აიხსნება ატმოსფეროს ცირკულაციისა და კონვექციული პროცესების შესუსტებით.

საკვლევ ტერიტორიაზე გასაშუალოებული წლიური ნალექები საერთო საშუალო მრავალწლიურობან შედარებით ტემპერატურის დადგებითი ანომალიების დროს მცირება 17%, ხოლო უარყოფითი ანომალიების დროს მეტია 15%. ნალექების საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტები ტემპერატურის დადგებითი და უარყოფითი ანომალიების მატებით იზრდება, შედარებით ნაკლებად მცირე ანომალიების დროს.

ქვემო ქართლის მრავალწლიური წელის ბალანსი შედგენილ იქნა პაერის ტემპერატურის სხვადასხვა გრადაციის ანომალიების დროს საკვლევი ტერიტორიის საშუალო ნალექში 767 მმ ტემპერატურული ანომალიების დროს მისი ცვლილების გათვალისწინებით. ჯამური აორთქლება სხვადასხვა ტემპერატურული ანომალიების დროს ჩამოდებულ იქნა (თურქაძის, 1973) საშუალო წლიური ტემპერატურისა და ჯამურ აორთქლებას შორის დამოკიდებულების გრაფიკიდან.

ქვემო ქართლის მრავალწლიური წელის ბალანსი პაერის ტემპერატურის დადგებითი და უარყოფითი ანომალიების დროს მოცემულია ცხრ.2-ში.

ცხრილი 2. ქვემო ქართლის წელის ბალანსი პაერის ტემპერატურის დადგებითი და უარყოფითი ანომალიების დროს 1931-90 წ.წ. პერიოდში.

ტემპერატურის ანომალია, $^{\circ}\text{C}$.	P, მმ	E, მმ	Q, მმ
≥ 2	468	460	8
1÷1,9	568	430	138
0÷0,9	728	420	308
-0÷-0,9	836	370	466
-1÷-1,9	882	350	532
≤ 2	782	330	452
საშუალო	710	397	314

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ წელის ბალანსის ელემენტები დადგებითი ანომალიების მატებით ნალექები და ჩამონადენი მცირდება, აორთქლება მატულობს, ხოლო უარყოფითი ანომალიების მატებით პირიქით ნალექები და ჩამონადენი იზრდება, აორთქლება მცირდება. ჩამონადენი, ისევე როგორც ნალექები პაერის ტემპერატურის $\geq 2^{\circ}\text{C}$ ანომალიის დროს მცირდება 15% წინა გრადაციის ჩამონადენთან შედარებით.

საერთოდ წყლის ბალანსის ელემენტები, ტემპერატურის დადებითი ანომალიების დროს უარყოფითი ანომალიების შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით წლიური ნალექები ნაკლებია 29%, ჯამური აორთქლება მეტია 27%, ჩამონადენი ნაკლებია 69%. ჩამონადენის მნიშვნელოვანი შემცირება გამოწვეულია ტემპერატურის სხვადასხვა გრადაციის ანომალიების დროს ნალექების საშუალო კვადრატული გადახრების დიდი ვარიაციებით.

წყლის ბალანსის ელემენტების რაოდენობა შესაბამის საერთო საშუალო მრავალწლიურთან შედარებით ტემპერატურის დადებითი და უარყოფითი ანომალიების დროს- იცვლება: ნალექები +17%, ჯამური აორთქლება ±12%, ჩამონადენი +54%.

ამრიგად, გამოვლენილ იქნა წყლის ბალანსის ელემენტების ცვლილება ჰაერის ტემპერატურის სხვადასხვა გრადაციის დადებითი და უარყოფითი ანომალიების დროს, რომელიც შეესაბამება თანამედროვე კლიმატური სიტუაციის კონკრეტულ ვარიანტს, აგრეთვე იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოდელი კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებისა.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Турkadзе Н.Н. 1973, Расчет среднего многолетнего годового испарения с поверхности суща в бассейне р. Кури. Тр. ЗакНИГМИ, вып. 49(55) с. 189-196

უაკ 551.583.15

წყლის ბალანსის ელემენტების ცვლილება ჰაერის ტემპერატურის ანომალიების დროს ქვემო ქართლში. /ვ.ცომაია, რ.მეშქია/. ჰმის შრომათა კრებული.-2007.-გ.111,-გვ.55-57-ქართ; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

განხილულია მრავალწლიური წყლის ბალანსის ელემენტების ვარიაციები ჰაერის ტემპერატურის სხვადასხვა გრადაციის ანომალიების დროს ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, 1931-90 წ.წ. პერიოდის დაკვირვების მონაცემებით. ცხრ. 2., ლიტ.1.

УДК 551.583.15

Change of the Elements of Water Balance on the Anomalies of Air Temperature.
/V.Tsomaya, R. Meskhia/. Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology.2007-v.111,-p.55-57.-Georg.:Summ.Georg.,Engl.,Russ.Tab.2. Ref. 1.
The variations of the elements of multiyear water balance on different scales of the anomalies of air temperature in the territory of Lower Kartli by the network date are researched.

УДК 551.583.15

Изменение элементов водного баланса по аномалиям температуры воздуха.
/В.Ш.Цомая, Р.Ш.Месхия/. Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии.-2007. - т.111,-с.55-57- Груз.; рез. Груз., Англ., Русск.

Исследованы вариации элементов многолетнего водного баланса по различным градациям аномалий температуры воздуха на территории Нижнекартли по данных сетевых наблюдений за 1931-1990 гг периода. Таб..2. лит. 1.

ჟაროლობის-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

ჟაროლობის ინსტიტუტის გრამეზი, თბილი ქოში №111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

რ. მესხია

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.164

601400 და მცხარეული საზარის მიერ ნალექის დაკავების ფანის
გაანგარიშება მდინარის ჩამონადენის
მოღელირებისათვის

მდინარის აუზის ზედაპირზე მოსული ნალექების ნაწილი
ჩამონადენის წარმოქმნამდე იხარჯება ნიადაგის ზედა ფენის
გაჯერებისათვის მაქსიმალურ ტენტევადობამდე, ნაწილი კი
მცენარეული ზედაპირის სრული დასველებისათვის, რომლებიც
საბოლოო ჯამში ორთქლდება.

ჰიდროლოგიაში წვიმის ან თოვლის ნადნობი წყლის ნიადაგის
ზედა ფენაში და მცენარეულ ზედაპირზე დაბაგებას ჩამონადენის
წარმოქმნამდე უწოდებენ ზედაპირული ჩამონადენის საწყის დანაკარგება. ამ უკანასკნელის სიდიდე გამოხატავს აუზის დანერიიანების
ხარისხს და მის მზადყოფნას ჩამონადენის წარმოქმნისათვის.
საწყისი დანაკარგის ფენის დიდიდე განიცდის ვარიაციას
ლანდშაფტური სტრუქტურის მიხედვით დროში და გამოკიდებულია
ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების მსვლელობის ინტენსივობაზე,
ნიადაგის ტენის საწყის მარაგზე, ინფილტრაციაზე და სხვა.

მრავალი გამოკვლევების თანახმად მთის პირობებში ცალკეული
ნალექების საწყისი დანაკარგის ფენის სიდიდე, რომელიც
მთლიანად დაკავდება ნიადაგში და ჩამონადენში არ მონაწილეობს
იცვლება 10-15 მმ. ფარგლებში, უხვი წვიმების შემთხვევაში ეს
სიდიდე 5-7 მმ. არ აღემატება. ცნობილია, რომ ნიადაგის 3-4 სტ.
სისქის ფენის შეუძლია დააკავოს 6-10 მმ წევალი.

ჩამონადენის საწყისი დანაკარგის ფენის Ho, მმ სიდიდე შეეხა-
ბამება ნიადაგის განსაზღვრული სიმძლავრის ფენის სინოტივის დე-
ფიციტს. საანგარიშო მნიშვნელობა ამ სიმძლავრისა ატარებს სტო-
ქასტურ ხასიათს და მისი საშუალო მნიშვნელობა დამოკიდებულია
ნიადაგის ინფილტრაციულ შესაძლებლობაზე (ვინოგრადოვი, 1988).

$$H_o = 230 f_o^{2/3} (W_1 - W) / \Delta z + P, \quad (1)$$

სადაც f_o - ინფილტრაციის პარამეტრია, მმ/წ., W_1 - ზღვრული
ტენტევადობა, მმ, W - უმცირესი ტენტევადობა, მმ., Δz - ნიადაგის
ფენის სიმძლავრე, რომელიც მოდელში მიღებულია 1000 მმ ტოლად, P -
მცენარეული საფარის მიერ ნალექთა დაკავების ფენა მმ.

მცენარეულ ზედაპირზე მცირე წვიმები თითქმის მთლიანად დაკავდება და ორთქლდება. ფოთლოვანი და წიწვიანი ტყე ვეგებრაციის პერიოდში აკაგებენ 10-30% მოსული წლიური ნალექებისა, დამოკიდებულია წვიმის მსვლელობაზე და ინტენსივობაზე, მცენარის სახეობაზე, ასაკზე, სიხშირეზე და მასზე ტენის საწყის მარაგზე. ფოთოლი სუსტი წვიმების დროს აკაგებს 1,5 მმ. წეალს, ქარის დროს ეს დაკაგება უდრის 0,25 მმ და საერთოდ იცვლება 0,25-1,7მმ ფარგლებში (გისმენ, ხარბაფი და სხვა, 1979).

მცენარის ზედაპირის მიერ წვიმის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავდება მის დასაწყისში, შემდგომ დაკაგების ინტენსივობა ჩქარა კარგად მატების ტრენდს და უტოლდება ნულს. ამრიგად, იგი არის წვიმის მსვლელობის ფუნქცია, აორთქლება წვიმების დროს მრავალი გამოკვლევების თანახმად მცირება და ტოლია 0,02-0,04მმ.

მცენარეულ ზედაპირზე წვიმის დღე-დამური დაკაგების ფენის საანგარიშოდ გამოვიყენეთ (გინოგრადოვის, 1988) ფორმულა, სადაც გათვალისწინებულია მცენარის ზედაპირზე ტენის საწყისი მარაგი, რომელიც გამოხატულია დანესტიანების დეფიციტის D, მმ სახით და ტოლია მაქსიმალურ წყალშემაკავებელ უნარსა P_{max}, მმ და მის ზედაპირზე წვიმის მოხვდის წინ არსებულ ტენის რაოდენობას P_I-ს შორის სხვაობის.

$$d = P_{\max} - P_1 \quad (2)$$

წვიმის დღე-დამური დაკაგების P, მმ ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$P = D \left[1 - \exp \left(- \frac{H}{P} \right) \right] \quad (3)$$

სადაც მცენარეული საფარის დანესტიანების დეფიციტი D განისაზღვრება დამოკიდებულებით:

$$D = \min \left\{ \frac{P_{\max} - P_1 + E}{P_{\max}}, \right. \quad (4)$$

სადაც E – აორთქლების ფენაა, მმ სველი ფიტომასის ზედაპირიდან, P₁ – მცენარეული საფარის სინოტივის დეფიციტის საწყისი მნიშვნელობა, მმ.

ფორმულაში (4) ანგარიშისათვის ერთადერთი პატამეტრი P_{max}, მმ მცენარის მაქსიმალური წყალშემაკავებელი უნარი იცვლება მისი სახეობისდა მიხედვით, ამიტომ მისი სისტემატიზაცია მოვახდინეთ ლანდშაფტების ანუ ჩამონადენის მაფორმირებელი კომპლუქსების (ჩმე) მიხედვით.

ჩვენს მიერ ნიადაგის საწყისი დანაკარგის ფენის საანგარიშო ფორმულიდან გამორიცხულ იქნა აუზის გაუდინარ ჩაღრმავებული.

წყლის დაკავება, იგი მთის პირობებში დიდი დახრილობის გამო მცირეა და არ აღემატება 2-5% ანუ 25-50 მმ (0,05%) წლიური ნალექების. აგრეთვე მოდელში არ იქნა გათვალისწინებული თოვლის მცენარეული დაკავება, მართალია დიდი რაოდენობით დაკავდება, მაგრამ ტემპერატურისა და ქარის გავლენით ჩქარა ცვიგა ძირს.

ნიადაგის და მცენარეული საფარის მიერ ნალექთა დაკავების საანგარიშო ფორმულების (1) და (4) პარამეტრები განსაზღვრულია ნაშრომში მითითებული ლიტერატურიდან და ნორმირებულია ლანდშაფტების მიხედვით ცხრილი 1.

ცხრილი 1. ნიადაგის და მცენარეული საფარის მიერ ნალექთა დაკავების პარამეტრები ლანდშაფტების მიხედვით ქვემო ქართლში.

№	ლანდშაფტები	W ₁ -W ₂ მმ.	f _o მმ/წთ	P _{max} მმ
1	ალპური მდელოები	200	0,6	0,70
2	სუბალპური ბალანეულობა	300	6,0	1,85
3	წიწვიანი ტყე	220	4,0	4,60
4	ფოთლოვანი ტყე	180	6,0	4,00
5	სასოფლო-სამეურნეო კომპლექსი	270	0,4	1,62

წინასწარი გამოთვლით ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ნიადაგის დაკავებაზე იხარჯება 41% ანუ 311 მმ., მცენარეულ დაკავებაზე 18% ანუ 140 მმ საშუალო წლიური ნალექების, რომელიც ტოლია 767 მმ. ნიადაგის საწყისი დაკავების ფენის სიდიდე იცვლება ნიადაგის ტიპებისა და ანთროპოგენური ცვლილების შედეგად, მაგალითად თბილისში ნიადაგის დაკავებაზე იხარჯება წლიური ნალექების 33% ანუ 186 მმ, გარდაბანში 45% ანუ 191 მმ.

ამრიგად, თოვლის ნადნობი და წყიმის წყლის ნიადაგის ზედა ფენაში და მცენარეულ ზედაპირზე საწყისი დღე-დამური დაკავების სიდიდეები მცირეა, მაგრამ აუზის ზედაპირზე ნალექების წყვეტილი მსვლელობის დროს, როგორც ვნახეთ მნიშვნელოვან სიდიდეს აღწევს, ამიტომ მათი გათვალისწინება ჩამონადენის მოდელში და საპროგნოზო დამოკიდებულებებში აუცილებელია.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. ტალახაძე გ., მინდელი პ. 1980: საქართველოს მაღალმთიანეთის ნიადაგები. 174 გვ.
2. Виноградов Ю. Б. 1988: Математическое моделирования стока. Л., 312 с.
3. Виссмен У.мл., Харбаф Т.И., Кнэпп Д.У. 1979: Введение в гидрологию. Л. 469 с.
4. Литовченко А.Ф., Мочалов В.П. 1970: Перехват осадков травянистой и кустарниковой растительностью. Сб. геогр.Алма-Ата, с. 74-82 .

უაკ 556.164.

ნიადაგის და მცენარეული საფარის მიერ ნალექთა დაკავების ფენის გაანგარიშება მდინარის ჩამონადენის მოდელირებისათვის. /რ. მესხია/. პმი-ს შრომათა ქრებული. – 2007. ტ.111.-გვ.58-61, – ქართ.: რეზ. ქართ., ინგლ., რუს. ნაშრომში მოცემულია ნალექების ნიადაგში და მცენარეულ ზედაპირზე დღე-დამური საწყისი დაკავების საანგარიშო ფორმულები და განსაზღვრულია მათი პარამეტრები აღმოსავლეთ საქართველოს ლანდშაფტებისათვის. ცხრ. 1, ლიტ. დას. 4.

UDC 556.164

Calculation of the initial layer of the detention of the precipitation, soil and plant. /R. Meskhia/. Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. 2007-v.111.-p.58-61. – Georg.: Summ. Georg., Engl., Russ.

In the work is presented the formulas for the calculation of the daily initial detention of the precipitation, soil and plant surface. Their parameters are determined according to landscape of the East Georgia. Tab.1. Ref. 4.

УДК 556.164.

Расчет начальных слоев задержание осадков почве и растительного покрова для моделирования стока. /Р. Ш. Месхия/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии.– 2007.- т.111,-с.58-61,-Груз.; рез. Груз., Англ., Русск.

Статье данно формулы расчета начальных слоев задержания осадков в почве и растительностью, и определени ее параметров по ландшафтам для Восточной Грузии.

ჟიდროლოგია-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

ჟიდროლოგიური გარემონტის ინსტიტუტის გროვები, ტომ 111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

ვ. ცომაია, ლ. ქიტიაშვილი
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
ზ. ცეკვიტინიძე, დ. ჩიქოვანი
ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია

უაკ 551.482.212.215.7

**გადინარების ატივნარებულ ნატან ხარჯებზე წყალსაცავების
განვითარების შეზასმა ჰიდროგრაფო-ჰიდროლოგიური
მეთოდებით და მდინარე ჰოროზის პრობლემა**

1. **შესავალი** მდინარე ჭოროხზე, წყალსაცავებზე კაშხლების მშენებლობის დაწყებამ თავისი კვალი გამოავლინა. ძლიერდება შავი ზღვის შემოტევა სანაპირო ზოლში. მიწისპირიდან აღიგვა საუკუნეების მანძილზე შექმნილი უნიკალური სიმღიდორე და უახლოესი 25 წლის მანძილზე სავალადო შედეგებია მოსალოდნელი სოფ. ადლიაში. აქ უკვე 2001 წლის ნოემბრიდან დაიწყო 8-9 მეტრი სიმაღლის ზღვის ტალღების შემოჭრა, რომელიც ყველაფერს ანგრევს და დღესაც გრძელდება.

ქართველ მეცნიერთა მოსაზრებები, წინადაღებები, რჩევები წარმოადგენენ უნიკალურ, მეცნიერებისა და პრაქტიკის დღევანდელი მოთხოვნების დონეზე შექმნილ სრულყოფილ და ობიექტურ მეცნიერულ ბაზას, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად წყალსაცავების მოქმედებასთან დაკავშირებულ მყარი ჩამონადენის დეფიციტის გამძაფრების შერძილებას, ადაპტაციის დონისძიებების განხორციელებას ტექნიკურ - ეკონომიკური დასაბუთებისათვის. ასეთ წინასწარ დასკვნას ადასტურებს ახალი კვლევა-ძიებით მიღებული შედეგები.

2. **წყალსატევების გავლენის შედეგები** მდინარის ატივნარებული ნატანის ჩამონადენზე. ზოგიერთ მდინარეზე ატივნარებული ნატანი ჩამონადენის განაწილების ბუნებრივი კანონზომიერება დარღვეულია წყალსატევების გავლენის გამო. ამ უკანასკნელის შეფასებას და მიღებული შედეგების განზოგადებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ მიზნით გამოყენებულ იქნა მდინარეები: ალგეთი, ქცია-ხრამი, რიონი, ფარავანი, ჭოროხი, ქსანი, რომელთა აუზები შეიცავენ წყალსატევებს და მდინარეები: ფოცხოვი, თევთი არაგვი, შავი არაგვი, სადაც არ გვხვდებიან ისინი. მათი ძირითადი ჰიდროგრაფიული და ჰიდროლოგიური მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრ.1-ის სახით. რაც საშუალებას იძლევა გამოვლენილ იქნას მათი ცვლილების კანონზომიერებები. განსაკუთრებით საყურადღებოა წყალსატევებით მდიდარ და დარიბ მდინარეებში, როგორია წყლისა და ატივნარებულ ნატან ჩამონადენთა მსვლელობა. შედარებისათვის აღებულ იქნა პე-


რიოდები წყალსატევების ამოქმედებამდე და ამოქმედების შემდეგ მათი ამოქმედების ღრღ სხვადასხვა წლებით განისაზღვრება. მაგალითად, მდინარე ქცია-ხრამზე წალის წყალსაცავი ამოქმედდა 1948 წ, მდ.რიონზე - 1980 წ, მდ.ალგეთზე - 1981 წ, მდ.ჭოროსზე - 1983 წ და ა.შ. ცხრ.1-ის თანახმად წყლის ხარჯები წყალსაცავების ამოქმედებამდე და ამოქმედების შემდეგ შემცირდა 1.17–1.26-ჯერ, ატივნარებული ნატანი ხარჯებისა კი 4–7-ჯერ. წყლის ხარჯების დაბალი შემცირება გამოწვეულია წყალსაცავებიდან წყლის ადებით და დანაკარგით აორთქლებაზე, რაც დასტურდება მდინარეების კალაპოტის წყლის ბალანსის გამოვლის შედეგებით წყალსაცავის ფარგლებში [2]. ატივნარებული ნატანი ხარჯების შედარებით დიდი შემცირება წყალსატევის ქვემოთ აიხსნება ნატანის აკუმულაციით წყალსატევის ფსკერზე. მოყვანილი შედეგებიდან ყურადღებას იმსახურებს, ატივნარებული ნატანი ჩამონადენის, ბუნებრივი შემცირების კოეფიციენტის დადგენა. კერძოდ, აღებულ იქნა მდინარეები ფარავანი, ქცია-ხრამი და ფოცხოვი, რომელთა აუზების ტბების სარკის ფართობები შეადგენს შესაბამისად 68.4, 38.8 და 0.2კმ²-ს. მათი წყლიანობა თითქმის ერთნაირია - 28.5, 23.8 და 21.8 მ³/წმ, ხოლო ატივნარებული ნატანი ჩამონადენი განსხვავებულია და შეადგენს - 1.6, 3.2 და 9.0 კგ/წმ შესაბამისად, ე.ი. ნატანი ჩამონადენი შემცირდა 5.63, 2.81 და 0.001-ჯერ, ტბების გავლენას მოკლებულ მდ.ფოცხოვი - ს. სხვილისთან შედარებით. მათ საფუძველზე წყალსატევის წყლის სარკის ყოველი 1კმ² ფართობი ამცირებს ნატან ჩამონადენს 0.075-ჯერ. სიღიდე შემოწმდა მდ.ქცია-ხრამის მაგალითზე, თრიალეთის და კაკლიანის კვეთებისათვის. მათ წყალშემკრებ აუზებში წყალსატევების სარკის საერთო ფართობის 76.5კმ² შემთხვევაში ნატანი შემცირდა 5.74-ჯერ, რაც ახლოს დგას ფაქტიურ სიღიდესთან - 7.25 კგ/წმ (იხ.ცხრ.1).

3. ატივნარებულ ნატან ჩამონადენზე მდინარე ჭოროხის წყალსაცავების გავლენის შეფასების შედეგები. ნატან ჩამონადენზე წყალსატევების გავლენის (შემცირების) კოეფიციენტი (k) გამოხატავს წყლის სარკის ერთეულ ფართობზე ნატანი ჩამონადენის შემცირების სიღიდეს და ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევების გავლენის შედეგად გამოვითვალოთ ატივნარებული ნატანის ჩამონადენის, მას პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამას ადასტურებს გამოვლის შედეგები მდ.ჭოროსზე. მასზე გათვალისწინებულია (თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებში) 10 წყალსაცავის მშენებლობა, რომლის განლაგების სქემა წარმოდგენილია ნახ.1-ზე. აქ ნაჩვენებია კაშხლების სიმაღლეები, მდინარის საერთო დახრილობა, ასევე ნაჩვენებია ზოგიერთი აღნიშვნები (N, F), რომელთა მნიშვნელობები გაურკვევად. მიუხედავად ამისა, დადგენილი ნატანის შემცირების კოეფიციენტით გამოვლილი იქნა მშენებარე წყალსაცავის სარკის ფართობი (F) ფორმულით:

$$F = k_1/k_0 = 2.49/0.075 = 33.2 \quad (1)$$

ცხრილი 1. მდინარების წყლისა და ტევზნატექული ნატანის საშუალო ზღიური ხარჯები შეადგენის

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
აჭარისწყლი-ს. ქედა მთლიანი	1360 1540	1470 1400	20 90		41.4	12.6		53.4	20.9		
მაჭაბელიწყლი-ს.სინიუდო მთლიანი	362 367	1390 1390	2		25.7	1.35		23.6	1.9		
რიონი-ს. საქონავიძე მთლიანი	13300 13400	1090 1084	43 307	1930- 41	457	2.92		426	146		2.0
ფარავანის. ხერთვისი მთლიანი	2350 2350	2120 2120	1.0 74	1930- 65	18.5	1.9	1965- 80	18.7	1.6		
ფოცხოვის.სახვილინი მთლიანი	1790 1840	1870 1820	10 64	1930- 65	21.8	11.0	1965-80	21.3	9.0		5.7
ქანი-ს.კორინთა მთლიანი	461	1830	38		9.45	14					
თეთრი არაგვი-ს. მლექა ს. ფასანაური მთლიანი	924 107 335 339	1470 2620 2130 2130	24 21 0.2 41		5.34	0.63					3.4
შევი არაგვი-შესართვე მთლიანი	235 240	2093 2020	1.3 30		7.64	3.50					3.2



ნახ. 1. მდ. ჭოროხის მდენიარე წყალსაცავისა და კაშლების განლაგების გეგმა.

ე. ი. დერინერის წყალსაცავის ამოქმედების შემდეგ, როგორც
ცხრ. 1-დან ჩანს, ნატანი ჩამონადენი შემცირდა 2.49-ჯერ. თუ გამო-
ვიყენებთ შემცირების კოეფიციენტს $K_0=0.075$ -ს 1პ. ქ-ზე, მაშინ მისი
წყლის სარკის ფართობი (F) იქნება 33.2 კვ.მ.

დანარჩენი წყალსაცავებისათვის გამოთვლილ იქნა წყლის
სარკის ფართობები პროპორციის ფორმულით:

$$F_i = h_i \frac{F}{h}, \quad (2)$$

სადაც F_i და F არის გამოსათვლელი და გამოთვლილი წყალსა-
ცავის სარკის ფართობები შესაბამისად, h_i და h კაშხლების
სიმაღლის მახასიათებლები შესაბამისად. რადგან h და F ცნობილია,
მათი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ სხვა წყალსაცავების წყლის
სარკის ფართობის გამოსათვლელ ფორმულას:

$$F_i = h_i \cdot \frac{33,2}{207} = 0,16h_i. \quad (3)$$

მიღებული ფორმულით (3), ადგილად გამოითვლება დანარჩენი 9
მშენებარე წყალსაცავის წყლის სარკის ფართობის მნიშვნელობები:

ლალების		
122x0.16	=	19.5 ϑ^2 ;
იუზუფების		
223x0.16	=	35.7 ϑ^2 ;
ისპირის		
85x0.16	=	13.6 ϑ^2 ;
ართვინის		
135x0.16	=	21.6 ϑ^2 ;
გულუბაგის		
61x0.16	=	9.76 ϑ^2 ;
დერინერის		
207x0.16	=	33.2 ϑ^2 ;
აქსეს		
114x0.16	=	18.2 ϑ^2 ;
ბორჩხის		
86x0.16	=	13.8 ϑ^2 ;
არქუნის		
129x0.16	=	20.6 ϑ^2 ;
მურატლის		
44x0.16	=	7.04 ϑ^2 ;
სულ:		
		79.3 ϑ^2 ;

გამოთვლებიდან ჩანს, რომ ყველა მშენებარე წყალსაცავის წყლის სარკის ჯამური ფართობი იქნება 179 კკმ, რომელიც შეამცირებს ატივნარებულ ნატან ხარჯს 13.4-ჯერ (179×0.075). შემცირების შედეგად ნატანი ხარჯი 1983 წლის დონესთან შედარებით იქნება 22.3 კგ/წმ. კ. ი. წყალსაცავში ნატანი ხარჯის დაგროვების შედეგად შავი ზღვის სანაპირო ჭოროხისაგან ვერ მიიღებს 277 კგ/წმ ანუ 8.7 მლნ ტ/წელი რაოდენობის ნაშალ მასალას. გამოთვლებიდან აშკარად ჩანს, რომ ადგილი ექნება ნატანი ჩამონადენის ძლიერ დაფიციტს.

4. დასტანი

მდინარე ჭოროხზე წყალსაცავების ეტაპობრივი მშენებლობის შედეგად შემცირდება მდინარის ატივნარებული ნატანი მასალის შემოტანა შავი ზღვის სანაპირო ზოლში. ამის გამო გაძლიერდება შავი ზღვის შემოჭრა ხმელეთში, გამძაფრდება საშიში ეკოლოგიური სიტუაციები. მათი შერბილების ან შენელების ერთ-ერთ აღაპტაციურ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს წყალსაცავების გადაყვანა დღედამური რეგულირების რეჟიმზე. ასეთი წყალსაცავები უზრუნველყოფების მათ თვითგაწმენდას და ფსკერზე დალექირდი ატივნარებული ნატანი მასალის შემდგომ გადატანას მდინარის დინების მიმართ უდებით. ასეთ ტიპურ მაგალითს წარმოადგენს მდინარე მტკვარზე განლაგებული – ჩითახეფშესის, ზაჟესის და ორთაჭალჭესის უნიკალური ჰიდროკვანძები, რომლებიც შესაბამისად ამოქმედნენ 1951, 1927 და 1953 წლებში.

ლიტერატურა - REFERENCE - ЛИТЕРАТУРА

1. Гидрографические описаний рек, озер и водохранилищ. 1974. Под редакцией В. Ш. Цомая. Ресурсы поверхностных вод СССР, Т. 9 вып. 1. Гидрометеоиздат, 561 стр.
2. Водные ресурсы Закавказья. 1988, Под редакцией Г. Г. Сванидзе, В. Ш. Цомая. Гидрометеоиздат, 264 стр.

უაკ 551.482.212.215.7

მდინარეების ატივნარებულ ნატან ხარჯებზე წყალსატევების გავლენის შეფასება ჰიდროგრაფო-ჰიდროლოგიური მეთოდებით და მდ-ჭოროხის პრობლემა /ვ. ცომაია, ზ. ცეკვიტინიძე, ლ. ქიტიაშვილი, დ. ჩიქოვანი/. პმ-ს შრომათა ქრებული, 2007, ... გ.111.-გვ.62-69. ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ., რუს. დადგინდითა, რომ წყალსაცავების 1კვ-ტ ფართობი ამცირებს მის ქვემოთ ნატან ჩამონადენს 0,075-ჯერ. მისი გამოყენებით მდ. ჭოროხზე ყველა წყალსაცავების ამოქმედების შემდეგ შავი ზღვა ვერ მიიღებს 277 კგ/წმ ანუ 8,7 მლნ ტ/წელი რაოდენობის ნაშალ მასალას. მოცემულია აღაპტაციის ღონისძიებანი.

UDC 551.48.482.212.215.7

Results of influence of reservoirs on the suspended sediment discharges of the rivers and problem of the r.Chorokhi /V.Tsomaia, Z Tskvitinidze, L.Qitiashvili, D.Chiqvani/.
Transactions of the Georgia Georgian Institute of Hydrometeorology of Academy of Science of 2007.-V.111.p.62-69 –Georg.: Summ. Georg.. Eng.. Russ.

Established that in every 1sq. km the area of reservoir reduces in its below the river drift by 0,075 times. Accordingly as a result is established that riv.Chorokhi after construction of all reservoirs will not transfer 217 kg / with or 8,7 mm t/year drain of river drift to the Black sea. The measures on adaptation are given.

УДК 551.48.482.212.215.7

Результаты влияния водоёмов на взвешенные расходы рек и проблема р.Чорохи
/В.Ш.Цомая, З.И.Цквитинидзе, Л.Р.Китиашвили, Д.Чиковани/. Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии, 2007, т.111, с.62-69. Груз.; рез. Груз., Англ., Русск.

Установлено, что каждый 1 км. кв площадь водоёма снижает ниже его взвешенный расход 0,075 раз. В результате его применения установлено, что р. Чорохи после строительства всех водоёмов не донесёт до Чёрного моря 217 кг/с или 8,7 мм т/г стока взвешенных наносов. Даны мероприятия по адаптации.

ჰიდროგია-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

=====
ჰიდროგეოროგიის ინსტიტუტის გროვები, გრმ № 111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL. 111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

თ. კოპაძე
ჰიდროგეოროგიის ინსტიტუტი

აუქ 551.48

სოფელ ღვერპის საცდელი ჰიდროგეოროგიური დაბგირვების მასალების ბაზობაზების შედეგები

ხარაგაულის რაიონი ბუნებრივი სიმდიდრით გამოირჩევა. იგი წარმოადგენს მთიან რეგიონს, რომელიც მოქცეულია 210 – 2642 მ სიმაღლის ზონაში, რაც ქმნის სელსაყრელ პირობებს ყველა სახის ბუნებრივი მოვლენების განვითარებისათვის. რაიონში უპირველეს ყოვლისა დიდია მდინარეთა როლი. ეს მდინარეები წყალუხვია, რომელთა წყლის ჯამური რესურსები შეადგენს 0,79 კმ³, წყალუზრუნველყოფა ერთ კვადრატულ კილომეტრზე და ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს შესაბამისად 864000 მ³ და 25400 მ³ წყალს წელიწადში. გარდა ამისა მდინარეები ხასიათდებიან დიდი ვარდებით 593 მეტრიდან (მდ. ჩერიმელა), 1927 მეტრამდე (მდ. ბერილისხევი). ეს კი სელს უწყობს პიდროვენერგორესურსების მაღალ მაჩვენებლებს. მარტო ამ ორი მდინარის საერთო პიდროვენერგორესურსების სიმძლავე შეადგენს 55 ათას კვტ, პოტენციალური გამომუშავება კი 500 – 550 მლნ კვტ.სთ, ანუ 17500 კვტ.სთ ერთ სულ მოსახლეზე. ეს დაუშრებელი წყარო ყოველწლიურად განახლებადია.

ასეთ სელსაყრელ პირობებთან ერთად რაიონში ადგილი აქვს საშიშ პიდრომეტეროლოგიურ და გლაციოლოგიურ მოვლენებს. ეშირია წყალმოვარდნები, სელური დვარები, თოვლის ზავები, მეწყერები, ქლდებზვავები და სხვ. ისინი ძლიერ აფერხებენ ხარაგაულის რაიონში ნორმალური ცხოვრების პირობებს. თვალსაჩინოებისათვის მოვალე მონაცემები:

- საშიში გეოლოგიური პროცესების მოქმედების სფეროში მყოფი დასახლებული პუნქტების რაოდენობაა – 62.
- საშიში გეოლოგიური პროცესების რაოდენობა: მეწყერები – 136, სელები – 6
- სხვა (კლდეზავები, თოვლის ზავები და სხვა) – 37.
- საშიში გეოლოგიური პროცესების მოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები: მოსახლეობის გადასახლება (ოჯახთა რაოდენობა) – 1044. პირობით მოსახლეობა (დაკვირვების ქვეშ) – 1100. განადგურებული ს/ს საგარეულები, პა – 741. დაზიანებული ობიექტების რაოდენობა – 294. ფართობი შესაბამისი ღონისძიების გასატარებლად - 2500.


მონაცემებიდან ჩანს, რომ დღეისათვის აღრიცხულია 136 მეწყერი, 6 სელური დგარი, 37 კლდეზეავი და ოოვლის ზეავი. მათი გავრცელების არეში 62 დასახლებული სოფელია, აქედან 1044 ოჯახი გადასახლებს, 1100 ოჯახი კი ჯერ კიდევ ცხოვრობს საშიშ ზონაში. განადგურდა რაიონის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. ყოველი კატასტროფული მოვლენის მიერ მიყენებული ზარალი 2 მლნ ლარამდე აღწევს.

ზემოთ მოყვანილ ბუნების საშიშ მოვლენებს უმველესი დროიდან პქონდა ადგილი და იმ დროიდან დაიწყო მათი შესწავლა. განსაკუთრებით საყურადღებოა 1931-1999 წ.წ. და 1897-1990 წ.წ., როდესაც სხვადასხვა დროს მოქმედებდა 4 ჰიდროლოგიური საგუშაგო და შესაბამისად 6 მეტეოროლოგიური სადგური და საგუშაგო. მათი უმეტესობა განლაგებული იყვნენ მდ. ჩხერიმელას ხეობის ძირას. ბოლო 10 წელზე მეტია, რომ შეწყდა ყოველგარი დაკვირვება, არადა ძლიერდება ჰიდრომეტეოროლოგიურ და გლაციოლოგიურ პირობებთან დაკავშირებული კატასტროფები. დღეს რეალურად საშიშო დაემუქრა 1044 ოჯახს, ხოლო პოტენციალურად საშიშ ზონაში იმყოფება 1100 ოჯახი. პრობლემად იქცა დაკვირვების განახლება ამ ეტაპზე, საყურადღებო პირადი სახსრებით გახსნილი ჰიდროლოგიური საგუშაგო მდ. ყორნებაზე, იქვე ახლოს მეტეოროლოგიური საგუშაგო სოფელ დვერკში, სადაც 3 წელზე მეტია ხდება დაკვირვება საგუშაგოს პროგრამით.

იზომება აგრძელებული ნალექები, ჰაერის ტემპერატურა ფსიხო-მეტრით, ქარის სიჩქარე და მიმართულება, თოვლის საბურველის სისქე, მდინარე ყორნებას წყლის დონე და ხარჯი. სისტემატურად მიმდინარეობს ამ დაკვირვების მასალების დამუშავება და ანალიზი. თანამედროვე პირობებში, როდესაც ძლიერ შემცირებულია ჰიდრომეტეოროლოგიურ საგუშაგოთა რიცხვი, ასეთი სახის დაკვირვებას უაღრესად დიდი პრაქტიკული და ოერორიული მნიშვნელობა აქვს.

გარდა ამისა დაკვირვება წარმოებს მეწყერებზე, კლდეზვავებზე, თოვლის ზვავებზე, სელურ დავარებზე და სხვა უარყოფით პროცესებზე, რომლებიც მდ. ყორნებას ხეობაში მიმდინარეობს.


მეტად საინტერესოა ჩატარებული დაკვირვების შედეგები. შედგენილია მდ. ყორნებას ქვემო წელის კომპლექსური გრძივი პროფილი ნახ.1, სადაც დაგანილია ამ უბანზე მნიშვნელოვანი ჰიდროგრაფიული მახასიათებლები: შენაკადების, ხოვლის წისქვილების, მეწყერების, სამიმოსვლო გზების, კალაპოტის დახრილობის ჩვენებით. ამ უბანზე მდინარის კალაპოტი დრმადა ჩაჭრილი, მისი ძირის სიგანე სულ 30 მეტრია, ხოლო შესართავის რაიონში განივდება 50-100 მეტრამდე.



ნახ. 1. მდ. ყორწინებას ქვემთ წლის გასწევრივი პროფილი

ფერდობები ტყიანი და დამრეცია $15-30^{\circ}$ ფარგლებში. კალაპოტის დახრილობა დიდია $19-40\%$. მდინარის კალაპოტი და მიმდებარე ჭალების ვიწრო ($5-20\delta$) ზოლი ამოვსებულია სხვადასხვა ზომის ლოდებით. გზასავალ უბანზე ვწვდებით მოქმედ და არამოქმედ მეწყერებს, რომელთა კონუსთა ძირი მდინარეში და გადარეცხვას განიცდის მდინარის დინებისაგან, არაა გამორიცხული ჩაიხერგოს მდინარის კალაპოტი, წარმოიშვას დაგუბებული ტბა, ხოლო მისი გარღვევა გამოიწვევს წყალმოვარდნას, რომლის დამანგრეველი ძალა დაუმუქრება ახლო მდებარე რინიგზის მაგისტრალურ საზე. მიღებული დაგვირვების მასალების საფუძველზე შედგა კომპლექსური ჰიდროგრაფი (2002 წლის მაგალითზე) ნახ.2. ქვედა გრაფიკი ასახავს მდინარის წლის დონეების მსვლელობას ცალკეული $0,5-1,3\delta$. პიკებით. რაც გამოწვეულია ხანმოკლე, მაგრამ ძლიერი წვიმებით $35-48$ მმ. ცივ პერიოდში და ხანგრძლივი, მაგრამ მცირე ნალექებით თბილ პერიოდებში. საყურადღებოა ის, რომ ნალექიანი პერიოდი წარმოადგენდა მთელი წლის დღეთა რაოდენობის 61% , აქედან $3-5$ დღიან წვიმებს ადგილი პქონდა $6-7$ კერ ($1,5-2\%$). აქვე წარმოდგენილია პაერის ტემპერატურის ყოველდღიური მსვლელობა $3-5^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში. ყინვებს ადგილი პქონდა სულ $9-10$ -ჯერ იანვრის პირველ ნახევარში და დეკემბრის მეორე ნახევარში. საყურადღებოა, რომ სოფელ დეკემბრის სიმაღლეზე ყინვები დაიწყო წვიმების შეწვების შემდეგ. ისე პაერის ტემპერატურის მსვლელობა ეთანხმება საერთო ცნობილი

ტემპერატურის მსვლელობას. იზრდება იანვრიდან ოქტომბრის ბოლომდე, შემდეგ კი მცირდება უფრო ინტენსიურად წინა ოვეებთან შედარებით. საინტერესოა, რომ ნალექებთან დაკავშირებული იყო სოფელ ღვერაის ქვემოთ მეტყრის გამოცოცხლება და უფრო მეტი სიჩქარით ქვემოთ ჩამოსვლა. მთელი ეს მოვლენები ზაფხულში (ივნისში) სუსტად შეიმჩნეოდა, რაც გამოწვეული იყო ნაზვავი მასის დიდი სიმშრალით და წყლის შეკავების დიდი უნარიანობით.



ნახ. 2. მდ. კორნებას კომპლექსური ჰიდროგრაფი სიფ. ღვერაის საცუმავოს 2002წ.

მიუხედავად ხარაგაულის რაიონის სიძლიდრისა შისი წყლის რესურსები ფაქტიურად გამოუყენებელია სამურნეო საქმიანობაში. ამ გამოუყენებლობამ და ამასთან ერთად სტიქიური მოვლენების გახშირებამ გამოიწვია მოსახლეობის შიდა მიგრაცია, ტოვებენ მაღალმთიან სოფლებს და საცხოვრებლად გადადიან სხვა უსაფრთხო ადგილებზე.

ყოველივე ზემოდან გამომდინარე საჭიროა დაკვირვების გაგრძელება, რათა შეიქმნას მეცნიერული ბაზა. უნდა შემუშვდეს ბუნებრივი საშირი მოვლენების გამძაფრების შერბილებისათვის სათანადო რეკომენდაციები. მომავალში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვება ხელს შეუწყობს მიღებული რეკომენდაციების ტექნიკურ-კონომიკურ დასაბუთებას

ლიტერატურა-REFERENCES-LITERATURA

1. გ.გობეგია, ეწერეთელი 1992, ზოგიერთი საშიში გეოლოგიური პროცესები საქართველოში და წყლის ფაქტორის როლი მათ ფორმირებაში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო

- ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისია. ქ. თბილისი, 17 გვ.
2. ვ.ლეუგა, თ.ნოზაძე. 1988.თანამდეროვე გეომორფოლოგიური პროცესები მდ. ჩხერიმელას აუზში. ქ. თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკული სამცცნიერო კონფერენცია. ქ. თბილისი. 35 გვ.
 3. ა.ციციაშვილი, ს.ცინცაძე. 1990.გარემო ჩვენი არსობისა. ქ. თბილისი, 234 გვ.
 4. В.В. Потолашвили, В.Ш.Цомая. 1990.Водообеспеченность административных районов Грузии, Гидрометеоздат. Москва. с. 55-63

უაგ. 551.48

სოფელ ღერეკის საცდელი ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მასალების განზოგადების შედეგები/თ.კოპაძე/ჟმის შრომათა კრებული 2007.გ.111.გ.70-74,ქართ.,რეზ:ქართ.,ინგლ., რუს.

ხარაგაულის რაიონში ხელსაყრელ პირობებთან ერთად აღილი აქს საშიშ ჰიდრომეტეოროლოგიურ და გლაციოლოგიურ მოვლენების. დაკვირვების მიზნით პირადი სახსრებით გაიხსნა ჰიდროლოგიური საგუშაგო მდ. უორნებაზე და მეტეოროლოგიური საგუშაგო სოფ. ღვერკში. შეგროვდა 3 წლის მონაცემები. სისტემატურად მიმღინარეობს მიღებული მასალების დამუშავება. ამან საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა ბუნებრივი მოვლენების განვითარების კანონზომიერებანი, რათა გამოვყო საშიში უბნები, შევიმუშავოთ საჭირო აღაპტაციური ღონისძიებები და სხვა.

УДК 551.48

The generalization results of experimental Hydro-meteorological materials of village Gverki. /T. Kopadze/ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology.V.111,pp.70-74,2007,Georg.Summ..Georg., Eng., Russ.

In district of Kharagauli, with profitable conditions take place the horror hydrometeorological and occurrences. By observation purpose by personal guard.

In the village Gverki. Three yearsZ datas are collected. Systemically currents received materials work. That gave us a chance to precise the principles of natural occurrences development, for separate the horror district, working out needful adapted measures and other.

УДК 551.48

Обобщение материалов наблюдений на опытном гидрометеорологическом пункте в селе Гверки. /Т.Н. Копадзе/. Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии, 2007,т.111.с.70-74,рез.:Груз.,Анг., Русск.

В Харагаульском районе имеют место опасные гидрометеорологические и гляциологические явления. Для наблюдений на их режиме открыт гидрологический створ на реке Корнеба и метеорологический пост в селе Гверки. Собраны трёхлетние материалы наблюдений; Систематический проводится обработка и анализ их. Это дало возможность уточнить закономерность развития природных явлений, выделить опасные участы и разработать нужные адаптационные мероприятия и др.

ჟიდომლობა-HYDROLOGY-ГИДРОЛОГИЯ

=====
ჟიდომლობის გერმანული გარემონტის მუნიციპალიტეტის გრაფიკი, გრაფიკი №111
TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

ც. ბასილაშვილი
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 556.16

სამხრეთ საქართველოს აღმოსაგლეთი რეგიონის მდინარეთა ჩამონადენის დახასიათება

საკვლევი ტერიტორია 5200 km^2 ფართობით მოიცავს ქვემო ქართლის ვაკის 300-500მ. სიმაღლისა და თრიალეთისა და ჯავახეთის ქვედების 1000-2000მ. სიმაღლის ფერდობებს. რეგიონი წარმოდგება 5 ადმინისტრაციული რაიონისაგან: წალკა, თეთრი-წყარო, ბოლნისი, მარნეული და დმანისი.

აქ მთავარი მდინარეებია ალგეთი და ქცია-ხრამი თავისი მრავალრიცხვანი შენაკადებით, რომელთა შორის უდიდესია დებედა და მაშავრა. მათი წყლები წარმოადგენენ განახლებად წყლის რესურსებს, რომლებიც გარკვეული საზრდოობის წყაროების ხარჯზე ფორმირდებიან.

წვიმისა და თოვლის ნადნობი წყლების გარდა, მდინარეთა საზრდოობაზე აქ მნიშვნელოვანი გავლენას ახდენენ წყაროები, განსაკუთრებით მდ.ქცია-ხრამზე, სადაც მათი \dot{Q} ამური დებიტი $14 \text{ m}^3/\text{s}$ უზრუნველყოფს მდინარის წლიური ჩამონადენის $50\%-ს$. თოვლის ნადნობი წყლებით საზრდოობა $20-30\%$. წვიმის წყლებით საზრდოობა $50\%-ზე$ მეტი გააჩნიათ მდინარეებს: ალგეთს, ასლანკას, ბოლნისსა და დებედას (Гвахария В.А. (ред.) 1991).

მდინარეთა წყლის რესურსების შეფასება ხდება მრავალწლიურ დაკვირვებათა ანალიზის საფუძველზე მიღებული საშუალო სიდიდეებით. ადრე აქ მდინარეთა ჩამონადენის შესწავლა ხდებოდა წყალმზომი საგუშაგოებით, რომლებიც ახლა აღარ მოქმედებენ. ამიტომ წყლის რესურსების შეფასება მოვახდინეთ $90\%-იან$ წლებამდე არსებული დაკვირვებების მონაცემებით, რომელთა რიგის სიგრძე $40-50$ წელია.

საკვლევ ტერიტორიაზე ნალექების შედარებით მცირე რაოდენობა ($500-600 \text{ mm}$) და ზაფხულის მაღალი ტემპერატურები ($22-24^\circ\text{C}$) ხელს უწყობს დიდ აორთქლებას ($400-500 \text{ mm}$) და შესაბამისად ჩამონადენის სიმცირეს, რაც 1კვ კმ⁻² 4 ლ/წმ-დან (მდ.ჭულავერჩაი) 16 ლ/წმ-დე (მდ.ქცია-ხრამი) იცვლება (Г.Г.Сваниძე, В.Ш.Цомая (ред.), 1988). სიმაღლის მიხედვით მდინარეთა ჩამონადენი იზრდება $100 \text{ mm-დან} 500 \text{ mm-ზე}, 400 \text{ mm-მდე} 2500 \text{ mm-ზე}$ (ცხრ. 1).

ცხრილი 1. მდინარეთა საშუალო ჩამონადენი და მისი პარამეტრები

მდინარე-კუნძული	აუზის ფართი, კმ ²	აუზის საშუალო სიმაღლე, მ.	ჩამონადენი			გარიგვის გვევიცება
			მოცულის გვევიცება	მოცულის გვევიცება	მოცულის გვევიცება	
ალგეთი - ვარცხისიძი	359	1320	0.092	8.13	256	0.48
ქვია-ხრამი - კუში	408	2050	0.220	17.2	542	0.15
ქვია-ხრამი-დაგეოთხახინი	2150	1720	0.617	9.12	287	0.22
ქვია-ხრამი - წით. ხიდი	8260	1530	1.640	6.30	198	0.25
მაშავერა - დ. დმანისი	570	1660	0.170	9.47	298	0.36
ბოლნისი - სამწევრისი	292	1280	0.050	5.48	173	0.48
შელავერჩაი - შაუმიანი	116	1070	0.016	4.48	141	0.50
დებედა - სადახლო	3790	1680	0.910	7.62	240	0.30

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია [2] შრომის მონაცემების საფუძველზე.

ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, წყლის რესურსებით უკელაზე მდიდარია მარნეულის რაიონი, სადაც მისი წლიური მოცულობა 10 კმ³, რაც განპირობებულია მდ. დებედას დიდი ტრანზიტული ჩამონადენით. წყლის რესურსებით უკელაზე დარიბი დმანისის და ბოლნისის რაიონებია, სადაც მათი მოცულობა 0,14-0,20 კმ³. წალკისა და თეთრი წყაროს რაიონებში კი წყლის წლიური ოდენობა 0,45-0,49 კმ³, რაც 1 კმ² ვართობზე 400 ათას მ³-ს შეადგენს, მარნეულის რაიონში კი 10 მლნ.მ³ (B.B.Потолашвили, B.Ш. Цомая, 1990).

წყალუხრუნველყოფა წყლიწადში 1 სულ მოსახლეზე შემდგება: წალკისა და თეთრი წყაროს რაიონებში 10-13 ათასი მ³, დმანისისა და ბოლნისის რაიონებში 3-3 ათასი მ³, ხოლო მარნეულის რაიონში ის 112 ათასი მ³ წყლიწადში - ცხრ. 2.

წყლის რესურსების ეს საშუალო სიდიდეები კლიმატური პირობების მიხედვით წლიდან წლამდე იცვლებიან და მათი ვარიაციის კოეფიციენტი 0,20-0,30-ია, რაც იზრდება აღმოსავლეთის მშრალ ზონებში 0,50-მდე (ცხრ. 1).

მდინარეთა ჩამონადენის შიდაწლიური განაწილება, ანალოგიურად ბუნებრივი პირობებისა, მრავალფეროვნებით ხასიათდება.

მაგრამ აქვთ საერთო ნიშნებიც: გაზაფხულის წყალდიდობა და შემოდგომის წყალმოვარდნები.

ცხრილი 2. განახლებადი წყლის რესურსები და წყალუზრუნველყოფა ცალკეული რაიონების მიხედვით

№	რაიონი	ფართი, კმ ²	წყლის რესურსები, კმ ³			წყალუზრუნველყოფა ათასი მ ³	
			სამარტინო მარტინო	ივნისი ივნისი	ივნისი ივნისი	კომპანია კომპანია	წელი წელი
1	წალკა	1050	0.42	0.07	0.49	10.2	467
2	თეთრი წყარო	1174	0.13	0.32	0.45	12.9	383
3	დმანისი	1206	0.14	—	0.14	3.06	116
4	ბოლნისი	783	0.08	0.12	0.20	2.68	255
5	მარნეული	986	0.11	9.93	10.0	112	10142

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია [3] შრომის მონაცემების საფუძველზე.

მდინარეთა პიდროგრაფები ხასიათდებიან ერთი მაქსიმუმით გაზაფხულზე, განბირობებული ძირითადად თოვლის წყლებით და მეორე – შემოდგომაზე, გამოწვეული წვიმის წყლებით. მინიმალური ჩამონადენი კი ზამთარშია, როცა მდინარეები მხოლოდ მიწისქვეშა წყლებით საზრდოობენ, რომელთა წილი წლიურ ჩამონადენში 1 - 6%. ღეკემბერ – თებერვალში დაბალი ტემპერატურების დროს აქ 40-60 დღის განმავლობაში ყინულოვანი მოვლენები შეინიშნება, ხოლო ზოგიერთ მდინარეზე 14-20 დღით ყინულსაფარიც იქმნება (Государственныи Водный Кадастр, 1987).

როგორც ცხრ.3-ის მონაცემებიდან ირკვევა, გაზაფხულის წყალდიდობა განსახილველ მდინარეებზე იწყება მარტში. იმისდა მიხედვით, თუ რა სიმაღლეზეა მდინარის აუზი, წყალდიდობა იწყება მარტის დასაწყისში ან ბოლოში. აპრილიდან იგნისამდე, როცა მიმდინარეობს თოვლის საფარის ინტენსიური დნობა, მდინარეები ხასიათდებიან მაღალი ჩამონადენით, რომლის დაწევა ივლისში ხდება.

წყალდიდობის პერიოდის (მარტიდან ივნისამდე) ჩამონადენის წილი წლიურ ჩამონადენში, სხადასხვა მდინარეზე 50%-დან 70%-მდე იცვლება.

წყალდიდობის დროს ხშირია წვიმებით გამოწვეული წყლის ხარჯების მკვეთრი მატება. ამიტომ წლიური მაქსიმალური ჩამონადენი ხშირად შერეული საზრდოობისაა. მაქსიმალური თვიური

სარჯები აპრილ-მაისშია, ზოგჯერ ნამონადენის 15-35%-ს შეადგენს.

ცხრილი 3. მდინარეთა წყლის ხარჯების ($\text{მ}^3/\text{წ}\cdot\text{მ}$) მრავალწლიური მნიშვნელობები

მდინარე-ტუნები	აუზი. კმ ²	წ ყ ლ ი ს ხ ა რ ჯ ე ბ ი მ (მ ³ /წ·მ)														
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII			
ალაზანი-ფარავისი	359	1.08	1.34	2.99	6.49	7.46	4.90	1.92	1.28	1.56	1.60	1.50	1.11	2.79	63.0	0.40
ხრამი-ჭაველასი	408	3.76	3.87	4.78	15.2	18.2	8.68	5.62	5.20	5.13	5.18	4.85	4.12	7.02	42.6	2.96
ხრამი-ჭაველასის	544	4.08	4.12	5.82	19.4	22.9	11.2	5.92	4.98	4.82	5.07	5.02	4.50	8.14	66.9	3.19
ხრამი-ხრამესი	1140	4.66	4.65	4.93	5.43	5.36	5.34	5.02	4.76	4.68	4.70	4.69	4.65	4.91	39.3	4.28
ხრამი-ჩატანები	1420	5.38	4.20	4.76	6.13	5.79	5.20	5.99	4.82	5.06	4.74	4.93	4.28	4.79	69.5	1.34
ხრამი-ლაპარანინი	2150	16.8	16.9	18.7	29.2	30.3	22.6	16.3	16.1	15.8	15.5	16.4	16.0	19.2	140	6.36
ხრამი-ტერირი	3840	22.3	23.2	25.1	33.3	36.0	26.2	12.5	10.1	16.9	18.6	19.7	21.3	22.2	185	4.42
ხრამი-წითელი ხევი	8260	33.4	34.5	47.6	101	111	88.7	42.9	24.4	30.9	37.1	35.9	33.2	51.7	382	13.4
ოზნი-ტერი	144	3.14	3.10	3.22	4.32	4.65	4.08	3.85	3.63	3.50	3.53	3.38	3.38	3.66	8.01	2.82
ოზნი-ლესა- თიავილისა- თიავილის	39.2	0.01	0.01	0.09	0.73	0.50	0.24	0.08	0.03	0.06	0.08	0.04	0.01	0.15	4.95	0.01
უკუმარი-ტერიაშენი	184	0.37	0.45	1.28	3.29	3.32	2.76	1.05	0.66	0.57	0.62	0.65	0.49	1.28	32.2	0.14
ჯავა-იანი-ორალები	126	0.11	0.13	0.50	1.96	2.15	1.14	0.52	0.36	0.54	0.42	0.33	0.19	0.68	21.9	0.08
ფარაბ-ქლა-ხლო	328	2.66	2.73	3.46	6.41	8.84	6.92	4.44	3.77	3.81	3.40	3.04	2.83	4.37	55.4	2.46
ვაკე-ჭრა-ლენინი	570	2.64	2.53	3.48	8.38	12.9	9.19	5.54	4.04	3.94	3.54	3.16	2.54	5.16	60.9	1.68
ბოლნისი-საჭავალისი	292	0.56	0.66	1.71	4.25	3.92	2.94	1.37	0.70	0.80	0.88	0.80	0.57	1.58	36.0	0.19
ულა-ამინი-შემანი	116	0.28	0.28	0.84	0.89	0.78	0.45	0.35	0.34	0.34	0.35	0.32	0.47	6.74	0.16	
ლებეგა-სალახელი	3790	12.0	13.1	23.4	65.9	73.1	57.0	30.5	16.7	15.2	14.8	14.4	12.5	29.2	232	6.74

შენიშვნა: ცხრილი შედგენილია [4] შრომის მონაცემების საფუძვლების მიხედვის მიზანით.

და შესაბამისად დიდ აორთქლებასთან ერთად, ხელს უწყობს სარწყავად უხვი წყალაღება.

რეგიონის ცალკეულ მდინარეებზე მიმაგრებულია გარკვეული სარწყავი ფართობები: ასლანქასა და მაშავერაზე 9 - 9 ათასი ჰა, ყარაბულახზე 10 ათასი ჰა, ალგეთსა და დებედაზე 14 - 14 ათასი ჰა და ქცია-ხრამზე 67 ათასი ჰა.

წყალუხრულველყოფისა და წყალმოთხოვნილების ურთიერთ შედარებით დადგენილია (გ.სვანიძე, გ.ჩიკვაძე, 2001), რომ მდ. დებედა, მაშავერა და ყარაბულახი მთლიანად უზრუნველყოფენ სარწყავი წყლით მათზე მიმაგრებულ ფართობებს.

მნიშვნელოვანი დაფიციტით ამ მხრივ გამოირჩევიან მდინარეები: ასლანქა, ალგეთი და ქცია-ხრამი. მათი ირიგაციული შესაძლებლობების გაზრდა უნდა მოხდეს მათ აუზებში არსებული წყალსაცავებით (პანტიანი, ალგეთი, მარაბდა, წალკა, დმანისი, ზრესი, ასურეთი და მთისძირა). ამ მხრივ სირთულეები იქმნება მდ. ასლანქაზე და ზოგჯერ ყარაბულახზე, სადაც არ არის წყალსაცავები.

შემოდგომაზე მდინარეთა ღრენების აწევა და წყლის ხარჯების მომატება ხდება უხვი წყიმების მოსვლისას, მაგრამ გაცილებით ნაკლებია, კიდრე გაზაფხულზე. შემოდგომაზე გავლილი წყიმის წყალმოვარდნების ხანგრძლივობა საშუალოდ 5 - 8 დღეა, საიდანაც პირველი ორი დღე ხდება წყლის ხარჯების ინტენსიური აწევა, დანარჩენ დღეებში კი დაწევა.

აღსანიშნავია, რომ ცალკეულ წლებში, უხვი ნალექების დროს, შემოდგომის წყალმოვარდნის მაქსიმუმები რამდენადმე მაღალია გაზაფხულის წყალდიდობის მაქსიმუმებთან შედარებით. მაგ. 1951 წ. მდ. ალგეთის წყალდიდობის მაქსიმუმი 15-16 მაისს 7-ჯერ ნაკლები იყო შემოდგომაზე 10 ოქტომბრის წყალმოვარდნის მაქსიმუმთან შედარებით.

განსაკუთრებით მაღალი წყალმოვარდნები აღრიცხულია მდ.ალგეთზე და მაშავერაზე, სადაც წლიური მაქსიმალური ხარჯები 58-74 მ³/წ-ს შეადგენს. მათი ვარიაცია წლიდან წლამდე 0,80-0,94. კველაზე დიდი რყევადობით გამოირჩევა მაქსიმალური ხარჯები მდ.ბოლნისზე სამწევრისთან, სადაც $C_v=1,84$. როგორც წესი, მდინარეებზე ყოველწლიური წყალდიდობები და წყალმოვარდნები კატასტროფულ ხასიათს არ ატარებს. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ინტენსიურ თოვლდნობას თანხვდება დიდი თავსება წვიმები. ამ დროს ზოგჯერ, მდინარის კალაპოტში წყალი არ ეტევა, გადმოდის ნაპირებიდან და ტბორავს სასოფლო-სამურნეო სავარგულებს, ზოგჯერ კი ანგრევს ხიდებს, გზებს, პიდროტექნიკურ ნაგებობებს, რაც იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს. სწორედ ასეთი კრიტიკული დონეების დასადგენად ადრე გაანგარიშებულ იქნა (Д.П.Чикобавა, 1968) მდინარეთა წყლის მახასიათებელი დონეებისა (Н სმ) და

სარჯების ($Q \text{ მ}^3/\text{წ}$) მნიშვნელობები: მინიმალური (H_1, Q_1), მდინარის ჭალაში გადასცლის (H_2, Q_2), 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმუმებისა (H_3, Q_3) და კატასტროფული დონისა (H_4) და წყლის ხარჯისა (Q_4), რომელთა დროსაც მდინარე იწყებს დამანგრეველ მოქმედებას.

ასეთი მახასიათებლები განსახილველ ტერიტორიაზე, მაშინ, დადგენილ იქნა მხოლოდ მდ. ქვია-ხრამისათვის ს. კუშთან და მდ. მაშავერასთვის დიდ დმანისთან (ცხრ. 4).

ცხრილი 4. მდინარეთა წყლის მახასიათებლელი დონეები და ხარჯები

მდინარე-პუნქტი	საზოგადო აღმოჩენები	დონე $H_{\text{ს}}\text{მ}$	H_1	H_2	H_3	H_4
		ხარჯი $Q \text{ მ}^3/\text{წ}$	Q_1	Q_2	Q_3	Q_4
ქვია-ხრამი – კუშთი	408	H	20	100	144	100
		Q	2.2	43.6	86.8	43.6
მაშავერა – დიდი დმანისი	570	H	29	180	342	180
		Q	2.0	92.5	256	92.5

მომავალში, რეგიონის გარემოსა და ეკოსისტემების მდგრადი განვითარებისათვის, აუცილებელია დაზუსტდეს და დადგინდეს ძირითად მდინარეთა წყლის დონეებისა და ხარჯების კრიტიკული მნიშვნელობები კველა სამეურნეო ობიექტებისა და დასახლებული პუნქტებისათვის, რათა მაღალი წელდიდობისა და წელმოვარდნების შემთხვევაში მოხდეს წყლის დონის მომატების შესახებ დროული გაფრთხილება და მოსალოდნელი მავნე შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ჩატარდეს კველა საჭირო პრევენციული დონისძიებები მიუწებული ზარალის შესამცირებლად.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. В.Гвахария (ред.), 1991: Водный баланс Кавказа и его географические закономерности, «Мецниереба», Тбилиси, 141 стр.
2. Г.Г.Сванидзе, В.Ш.Цомая (ред.), 1988: Водные ресурсы Закавказья. Л., Гидрометеоиздат, 264 стр.
3. В.В.Потолашвили, В.Ш.Цомая, 1990: Водообеспеченность административных районов Грузии. Труды ЗакНИГМИ, вып. 87(94), М., Гидрометеоиздат, с.55-63.
4. Государственный Водный Кадастр, 1987: Том VI, Грузинская ССР, Л., Гидрометеоиздат, 416 стр.
5. გ.სვანიძე, გ.ჩიკვაძე, 2001: აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა აუზებში სარწყავი წყლის დეფიციტის საკითხისათვის. საქ. მეცნ. აკად. პიდრომეტეოროლოგიის ინსტ. შრომები, ტ.106, გვ.31-39.

6. Д.П. Чикобава 1968: Некоторые сведения о критических уровнях воды. Информационное письмо УГМС Груз. ССР, № 2/54, Тбилиси, стр. 35-39.

უაგ 556.16

სამხრეთ საქართველოს აღმოსავლეთი რეგიონის მდინარეთა ჩამონადენის დახასიათება. /ც.ბასილევიშვილი/. პმი-ს შრომათა კრებული.-2007. ტ.111,გვ.75-81 ქართ.; რეზ.:ქართ.,ინგ.,რუს.

ბოლო წლებში აღმოსავლეთი საქართველოში მკვირად მოიმატა ჰაერის ტემპერატურამ და შემცირდა აღმოსფერული ნალექების რაოდენობა. მდგრადი განვითარების კონცეფციისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს წყლის რესურსებს, კერძოდ მათ თანამდროვე მდგრადრევას.

ანალიზის თბილებია მრავალწლიური დაკვირვების რიგების სტატისტიკური დახასიათებლები, მათი სივრცობრივი განაწილების კანონზომიერებები. პირველ რიგში დადგინდა წლის სხვადასხვა პერიოდის მდინარეთა ჩამონადენის ხორმები და მათი შიდაწლიური განაწილება.

მოცემულია ანალიზი მდინარეთა ჩამონადენისა და მისი მაფორმირებელი ფაქტორების სივრცითი განაწილების თავისებურებებისა. ცხრ. 4, ლიტ. 6.

UDC 556.16

Characteristic of rivers runoff in Eastern regions of south Georgia. /Ts. Basilashvili/ Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology.-2007 - V.111, - p.75-81,- Georg.: Summ. Georg., Eng., Russ.

The last years witnessed a dramatic rise in atmospheric temperature and a reduction in atmospheric precipitation in Eastern Georgia. In the conception of the sustainable human development, water resources, particularly their current condition, have a significant strategic impact.

The object of the analysis-statistical characteristics of temporal data series and regularities of their spatial distribution. Initially the norms runoffs of the main rivers for various periods of year and their portions within a year were studied.

The analysis in different scales of the substantial peculiarities of spatial distribution of the river runoff and runoff forming factors is given. Tab. 4, Ref. 6.

УДК 556.16

Характеристика стока рек Восточного региона Южной Грузии. /Басилашвили Ц.З./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. -2007.-т.111,с. 75-81,-Груз.; рез. Груз., Англ., Русск.

В последние годы в Восточной Грузии наблюдалось резкое повышение температуры воздуха и сокращение атмосферных осадков. В концепции устойчивого развития важное стратегическое значение имеют водные ресурсы, и в частности их современное состояние.

Объект анализа – статистические характеристики временных рядов и закономерности их пространственного распределения. Первоначально были установлены нормы стока основных рек за разные периоды года и их внутригодовое распределение.

Приводится анализ существенных особенностей пространственного распределения речного стока и стокоформирующих факторов. Таб. 4, Лит. 6.

ვ.ცომაია, ს.მდივანი
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.48.215.2

სასაზღვრო მდინარე ალაზნის წყლის რჩეულების
პრობლემი ტემაზრულის რჩვანობის ანალიზის
საფუძვლები

მდინარე ალაზნი ერთ-ერთი დიდი მდინარეა ამიერკავკასიაში. მას ქვემო წელში, თითქმის 120 კმ-ის სიგრძეზე, გაუყვება სახელმწიფო საზღვარი აზერბაიჯანის რესურსები და წარმოადგენს სასაზღვრო მდინარეს. მისი წყლის რესურსები დიდ როლს თამაშობს ორ მეზობელ ქვეყნის – საქართველოსა და აზერბაიჯანის რესურსლის ეკონომიკაში. ამ მხრივ მდინარის წყლის რესურსების რაოდენობისა და ცვლილების თავისებურებების შესწავლას დიდი თეორიული, პრაქტიკული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს; ამჟამად მნიშვნელოვანია წყლის რესურსების შესწავლა სახელმწიფო საზღვართან, სადაც 1950 წლიდან მოქმედებს ჰიდროლოგიური საგუშავო, რომელიც მდებარეობს მისი მარცხენა შენაკადის აღრიჩაის შესართავის ქვემოთ 1,7 კმ-ზე და უკირავს 11000 კმ² ფართობი, რომლის თითქმის ნახევარი საქართველოს ტერიტორიაზე. საერთოდ, მისი წყალშემკრები აუზის ფართობი საგუშავომდე შეადგენს მდინარე ალაზნის წყალშემკრები აუზის მთლიანი ფართობის 93%-ს. აქ მდინარის საშუალო წლიური წყლის ხარჯი შეადგენს 104 მ³/წ, ჩამონადენის მოდული 9,45 ლ/წ კმ², ჩამონადენის ფენის სიმაღლე 298 მმ, წყლის მოცულობა 3,3 მლრდ მ³ წლიწადში. საერთოდ, საშუალო წლიური წყლის ხარჯი მერყეობს 61,2 მ³/წ-იდან (1963წ) 150 მ³/წ-დე (2004წ). ვარიაციის კოეფიციენტი მაღალია, შეადგენს 0,25. ჩამონადენის ასეთი რეეფადობა აისხება მთელი რიგი ბუნებრივი ფაქტორების გავლენით. მაგრამ მათი გათვალისწინება დაგვანდელ ეტაპზე შეუძლებელია დაკვირვების ქსელისა და დაკვირვების მოცულობის შემცირების გამო. ასეთი შეზღუდვის პირობებში გამონახული იქნა ახალი მიდგომა საშუალო წლიური წყლის ხარჯების გამოთვლისა და პროგნოზისათვის. იგი ემყარება ზამთრის წინა პერიოდის სიცივისა და სითბოს ინდექსების (N_i) გამოყენებას საშუალო წლიური წყლის ხარჯების (Q_{i+1}) გამოსათვლელად მომდევნო წლისათვის.

N_i და Q_{i+1} შორის დამოკიდებულების საფუძველზე მიღებულ იქნა გმპირიული ფორმულა:

$$Q_{i+1}=104+0,34N_i \quad (1)$$

გამოთვლის სქემა მოიცავს არაასოცირებულ დაკვირვების მთლიან რიგს (ცხრ.1, გრაფა 2,3 და 4), ასევე ასოცირებულ რიგს – დაჯგუფებულს სითბოსა და სიცივის ინდექსების სიდიდეების მიხედვით (გრაფა 8), საშუალო ინდექსის (Ni) 20%-ზე მეტი, 20%-ზე ნაკლები და ინდექსის ნორმასთან ახლოს \pm 20%-ის ფარგლებში, ან უკიდურესად ექსტრემალურ მნიშვნელობებისათვის ჩატარდა გამოთვლები გველა წლებისათვის. შემოკლებული ვარიანტი ნაჩვენებია ცხრ. 1. იგი შედგება 3 განყოფილებისაგან: – პირველი განყოფილება მოიცავს აგზორისეულ ანალიზს, მეორე – საჭარმო შემოწმებას, მესამე – ოპერატიულ შემოწმებას. შედეგები დამატავოვილებელია (სტრიქონი 39 და 63, გრაფა 10). დასაშვები ცდომილების უზრუნველყოფა შეადგენს 81-85%-ს. შეფასების ეს საზღვარი დაბალია. გაუმჯობესების მიზნით მიღებული შედეგების საფუძველზე გამოთვლილია ფაქტიური და გამოთვლილი რიგების Q_{i+1} -ის ჯამი და საშუალო სიდიდე 1950 წლის დონიდან 1970, 1975, 1980, 1985, 1990, 1995 და 2000 წლის დონიდან პერიოდებისათვის, რომლებიც სისტემატიზებულია ცხრ. 2-ში (გრაფა 2 და 3). გადახრები ფაქტიურსა და გამოთვლილ სიდიდეებს შორის არ აღმატება 0,5 მ³/წ ანუ 1%-ს (გრაფა 4 და 5).

ცხრ. 2-ში მოყვანილი მასალების საფუძველზე შედგენილი იქნა საპროგნოზო ფორმულა:

$$Q_{i+1}=103+0.12(n-1976), \quad (2)$$

სადაც n არის საანგარიშო წელი.
ამ მხრივ საინტერესოა პროგნოზის შედეგები 2000-2005 წლებისათვის.

$$Q_{i+1}=103+0.12(2005-1976)=107 \text{ მ}^3/\text{წ}$$

ამრიგად პროგნოზი (გრაფა 7) დაემთხვა ფაქტიურს (გრაფა 6). საყურადღებოა დისპერსიის კორელაციის კოეფიციენტი K_k , რომლის მნიშვნელობა გამოხატავს ფაქტიური და გამოთვლილი რიგების ჯამების, ან საშუალოების შეფარდებას (გრაფა 10); იგი თითქმის 1-ის ტოლია.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სამუშაო ცხრილში მოყვანილი ზამთრის წინა პერიოდის სითბოსა და სიცივის ინდექსები

(Ni) სწორად ასახავენ მომდევნო წლების პირობებით ეოროლოგიურ სიტუაციებს დასაშვები ცდომილების ფარგლებში.

ასეთივე შედეგს უნდა გელოდოთ მომდევნო 2006-2010 წლებისათვის, კერძოდ:

ცხრილი 2. მდ.აღაზანი – 1.7 კმ ქვემოთ მდ.აღრიჩაის შესართავიდან საშუალო წლიური წყლის ხარჯების ჯამები 1950 წლიდან 2005

საშუალო წლიური წყლის ხარჯების ჯამები 1950 წლიდან 2005

წლამდე 5 წლის ინტერვალით

პერიოდი	საშუალო წლიური წყლის ხარჯები					საშუალო					დაცვითი კონსუმი დასახურების დოზი
	ჯამი					საშუალო					
	გაძლიერდის განაკვეთი $\Sigma Q_{I+i/Q}$	გაძლიერდის განაკვეთი $\Sigma Q_{I+i/Q}$	სახელმისამართის მიერ გადასახვა, ΔQ	%	გაძლიერდის განაკვეთი $\Sigma Q_{I+1/Q}$	გაძლიერდის განაკვეთი $\Sigma Q_{I+1/Q}$	სახელმისამართის მიერ გადასახვა, ΔQ	%	გაძლიერდის განაკვეთი $\Sigma Q_{I+1/Q}$		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10		
1950-1970	2167	2146	21	0.97	103	102	1	1.0	0.98		
1950-1975	2678	2671	9	0.26	103	103	0	0.0	1.0		
1950-1980	3193	3215	23	0.72	103	103	0	0.0	1.0		
1950-1985	3289	3760	29	0.77	105	105	0	0.0	1.0		
1950-1990	4300	4272	28	0.65	105	106	1	1.0	0.99		
1950-1995	4875	4836	39	0.80	106	105	1	0.9	1.01		
1950-2000	5353	5314	39	0.73	105	106	1	1.0	0.99		
1950-2005	5987	5939	54	0.9	107	107	0	0.0	1.0		
საშუალო			30	0.73			0.5	0.5			

$$Q_{i+I} = 103 + 0.12(2010 - 1976) = 107$$

გამოვლებიდან ჩანს, რომ 2006-2010 წლებში პერიოდისათვის
მოსალოდნელია ხაშუალო წლიური წელის ხარჯი 107 გვ.ლ.

ამრიგად შეიქმნა საიმედო მეცნიერებლი ბაზა ზამთრის წინა პერიოდის სიობოსა და სიცივის ინდექსების გამოყენებისათვის ოპერატორებს საჭმიანობაში. მიღებული გამოსათვლებლი სქემა

საფუძვლად დაედგა თრ მეზობლად მდებარე სახელმწიფოების მიერ სასაზღვრო მდ. ალაზნის წყლის რესურსების სახელმწიფოთა შორისო რაციონალურ გამოყენებისა და დაცვის პრობლემების გადაწყვეტისათვის საჭირო დონისძიებების ტექნიკურ - ეკონომიკურ დასაბუთებას.

უა551.48.215.2

სასაზღვრო მდინარე ალაზნის წყლის რესურსების პროგნოზი ტემპერატურის რეგვადობის გამოყენების ანალიზის საფუძველზე. /ვ.ცომაა, ს.მდივანი. ჰმი-ს შრომათა კრებული - 2007, - ტ.111, გვ.82-85. რეს.ქართ; ინგლ; რუს.

1939 - 2005 წწ ტემპერატურისა და წყლის ხარჯის დაკვირვების მასალების ანალიზით დადგენილ იქნა ზამთრის წინა პერიოდის სითბოსა და სიცივის ინდექსების მნიშვნელობები. მის საფუძველზე შედგენილი იქნა (N_i)-ს გამოსათვლელი სამუშაო (ოპერატიული) ცხრილი; ცხრილის გამოყენებამ მოგვცა დადგებითი შედეგი მომდევნო წლის საშუალო წლიური წყლის ხარჯის (Q_{i+1})-ს გამოთვლისათვის (პროგნოზისათვის). მეთოდის უზრუნველყოფა 85%.

УДК551.48.215.2

Прогноз водных ресурсов пограничной реки Алазани на основе анализа колебаний температуры /В.Ш.Цомая, С.Г.Мдивани/ Сб.трудов Института Гидрометеорологии. 2007. Т.111. С82-85. Груз. рез.: Груз., Англ., Русск.

На основе анализа материалов по наблюдению над колебаниями температуры и расхода воды (1939-2005 гг.) определены индексы холода и тепла (N_i) предзимья. Составлена рабочая таблица для расчета (прогноза) среднего годового расхода р.Алазани (Q_{i+1}) (на 1,7 км ниже устья р.Агрчай) Использование таблицы для расчета расхода воды на каждый последующий год дало положительный результат. Обеспеченность расчета составляет 85%.

УДК551.48.215.2

Water Resources Forecast for the Border River Alazani on the Basis of Temperature Fluctuations, Analysis /V.Tsomaia, S.Mdivani/ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. V.111. p.82-85. Summ. Georg., Engl., Russ.

On the basis of the data analysis on observed fluctuations in temperature and water discharge (1935-2005) for the River Alazani the cold and heat for the before – winter period indices (N_i) are defined; working table is composed to forecast average annual water discharge (Q_{i+1}) for the R.Alazani (at the 1.7 km below the month of the R.Agrachai) for the each following year. The use of the Table gives good results. Efficacy of the use offered method equals to 85%.

გ.მელაძე

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 63:577.4

ორგანული მიწათმოშორების განვითარების მსოფლიო პრაგმიკა
და მისი თანამდებობები მდგრადი განვითარების საქართველოში

XX საუკუნის მიწურულს კაცობრიობაშ ჩვენი პლანეტის გადარჩენის ერთადერთ რეალურ გზად მდგრადი განვითარების იდეები აღიარა. ჩვენი და მომავალი თაობების კეთილდღეობა და უფრო მეტიც, არსებობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად პარმონიული ურთიერთობა გვექნება ბუნებასთან. მრავალი ქვეყნის ენერგეტიკული, სამრეწველო თუ ს/მ-ის პოლიტიკა სულ უფრო უფასება ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების დანერგვის პრინციპებს.

მსოფლიოში გავრცელებულმა პოლიტიკამ ნებისმიერი საშუალებებით მიეღწიათ მოსავლიანობის მაქსიმალური ზრდისათვის გამოიწვია ს/მ-ის მასიური ქიმიზაცია (გამოიყენებოდა ქიმიური გზით მიღებული მინერალური სასუქები, პეტიციდები, სინთეზური ზრდის რეგულატორები, პორმონები და სხვა), რამაც უდაოდ ააცილა მსოფლიოს მზარდ მოსახლეობას აშეარა შიშილი, მაგრამ მისმა ცალმხრივმა გამოყენებამ ბიოსფეროს ყველა ის კომპონენტი დააზიანა, რომელთა ურთიერთობით ბიოცენოზის სახიცოცხელო პროცესების რეგულირება ხდებოდა. ამიტომ დღეს მავნებლების რიცხობრიობის დასათრგუნად და ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად ბიოცენოზი ითხოვს ქიმიურ ნაერთებს- პეტიციდებისა და მინერალური სასუქების სახით, რაც საკვები პროდუქტებისა და გარემოს დაბინძურებას ახდენს [2].

ბუნებისა და თვით ადამიანის გადასარჩენად აუცილებელი გახდა ალტერნატიული გზის ძიება. ასეთ გზად მიჩნეულია ორგანული მიწათმოქმედება, რომელიც დადებით გავლენას ახდენს გარემოზე, ძირითადად ეკრდნობა რა ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ხელს უწყობს ბუნებაში ეკოლოგიური თანაფარდობის შენარჩუნებასა და ბიოლოგიური პროცესების ოპტიმალურ განვითარებას.

ორგანული მიწათმოქმედების მთავარი მიზანია სოფლის მეურნეობის წარმართვა ბუნებრივი, ეკოლოგიურად უკნებელი მეთოდების გამოყენებით და ამდენად, ეკოლოგიურად უსაფრთხო პროცესების მიღება. ამის წარმატებით განხორციელებას უზრუნველყოფს აგრომეტეოროლოგიური და კლიმატური პირობების გათვალისწინება. ამინდსა და კლიმატურ ფაქტორებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სა-

სოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი პროდუქტიულობისა და ხარისხისა მოსავლის მისაღებად.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში კუროპელი მეცნიერები და ფილოსოფოსები გამოიქვამდნენ მოსაზრებებს უსასუქო და უქმიდასტო მიწათმოქმედების აუცილებლობაზე, მაგრამ მასიური მოძრაობა კოლოგიური მეურნეობების შექმნისათვის დაიწყო მხოლოდ 70-80-იან წლებში.

მეცნიერებმა შენიშნებს, რომ ქიმიური სასუქი ფიტავდა ნიადაგს და ყრველ მომდვერო წელს იგი მზარდი რაოდენობით უნდა შეეტანათ, რაც გლეხს დამოკიდებულს ხდიდა ქიმიურ წარმოებაზე. შესაძიმიკატების გამოყენება იწვევდა ადამიანთა დაგადებას და მავნე გავლენას ახდენდა გარემოზე. გარდა ამისა, მოყვანილ პროდუქციას ნაკლები კუათიანობა გააჩნდა (ამის თვალსაჩინო მაგალითია განსხვავება დღეს თურქეთიდან მოძალებული, ტრიალური ქიმიზაციის პირობებში წარმოებული და ჩვენი გლეხის მიერ მოყვანილ ს/ს პროდუქციას შორის)

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა რ.შტაინერმა ამ საკითხების დრმა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად დასაკვნა, რომ ყოველივე ეს ხელოვნური სასუქებისა და შესაძიმიკატების მიზეზია და რომ ქიმიური სასუქები მცენარისათვის არ არის სრულყოფილი საკვები, ვინაიდნა ისინი შეიცავენ ცალკეულ ელემენტებს, რომლებიც ხსნადი მარილების სახითაა წარმოდგენილი. შტაინერმა ჩამოაყალიბა ე.წ. ბიოდინამიური მეურნეობრიობის ძირითადი საფუძვლები.

ალტერნატიული მიწათმოქმედების ერთ-ერთი მიმართულებაა ბიორგანული მიწათმოქმედება, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში დასაბამი მისცა შევიცარელმა აგროპოლიტიკოსმა ჰ.მიულერმა. მან შეიმუშავა ბიორგანული მეურნეობრიობის საფუძვლები, რომლის ძირითადი არსი მდგრმარეობდა იმაში, რომ გლეხებრ მეურნეობას, საკუთარი დამოუკიდებლობის მეშვეობით, მიეღწია მდგრადი განვითარებისათვის, რაც გულისხმობდა: განთავისუფლებას სასუქებისა და შესაძიმიკატებისაგან და საკუთარი მეურნეობის ძალებით ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას, დამოუკიდებლობის მიღწევას პროდუქციის გასაღებაში.

1920-60 წლებში ინგლისელმა მეცნიერმა ა.ჩედვიკმა შეიმუშავა ბიონიტებისური მიწათმოქმედების მეთოდი (ფრანგული ინტენსიური და ბიოდინამიური მეთოდების გაერთიანების საფუძველზე), რომლის მთავარი იდეაა, მიწის ფართის გადიდების გარეშე მაქსიმალურად გაიზარდოს მოსავლის რაოდენობა და ხარისხი.

ადსანიშნავია ავსტრიელი მეცნიერების მიერ შემუშავებული კოლოგიურად მიზანშეწონილი ს/მ-ის სისტემა, რომელიც ეფუძნება მრავალწლიანი კულტურების მრავალფეროვნებას და ცნობილია „პერმა-

კულტურის” სახელწოდებით, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შეგვიძლია დედამიწაზე ვიარსებოთ შედარებით უკნებელი ენერგიის გამოყენებით, რომელიც ბუნებრივ მოძრაობაში იმყოფება [3].

შეელა ზემოაღნიშნული ალტერნატიული მიწათმოქმედების მიმართულება გულისხმობს: ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებას, გარემოს დაცვას, აგროეკოსისტებში ნივთიერებების წრებრუნვას და ენერგიის გადატანის გააჩტიურებას, წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, პროდუქციის გარანტირებული რაოდენობის წარმოებას, აგროეკოსისტების მდგრადობის უზრუნველყოფას.

ამჟამად მსოფლიოში განვითარებულმა ე.წ. ალტერნატიულმა მიწათმოქმედებამ, დასავლების მთელ რიგ ქავენებში მიიღო „სოფლის მეურნეობის გადარჩენის” სახელწოდება. 1972 წელს ვერსალში შეიქმნა ორგანული მიწათმოქმედების საერთაშორისო ორგანიზაცია (IFOAM). ამ ორგანიზაციის დაცვის ფუნქციას ასრულებს ევროპავშირი. საკანონმდებლო რეგულირება ხორციელდება ავსტრიაში, დანიაში, ესპანეთშა და საფრანგეთში.


1990 წელს ბუდაპეშტში ჩატარდა IFOAM გენერალური სხდომა, სადაც მიიღეს მიიღეს დადგენილება, გაზარდონ ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტების მსოფლიო წარმოება საერთო საბაზრო პოტენციალის მოცულობის 10-20%-მდე [1].

არსებობს ორგანული მიწათმოქმედების მსოფლიო პრაქტიკა, რომლის ერთ-ერთ ლიდერად შევიცარია ითვლება. აქ პირველი ბიოდინამიური და ორგანული ფერმები გასული საუკუნის 30-40-იან წლებში გაჩნდა. ბიომეურნეობათა საერთო ფართი მთელი სასოფლო-სამეურნეო ფართობის 8,9%-ია. ორგანული ფერმების კონცენტრაცია გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით იცვლება. ორგანული ფერმების საერთო რაოდენობის 20% ბარშია (ნახ.1), 11%-მთაგორიან ნაწილში და 69%-ალპურ ზონაში. რაც შეეხება ფართობებს, ბიომეურნეობათა საერთო ფართის 17% ბარშია, 10%-მთაგორიან ნაწილში და 73%-ალპურ ზონაში. ორგანულ მეურნეობათა რაოდენობის ინტენსიური ზრდა 90-იანი წლებიდან დაიწყო, რასაც ძირითადად სამი ფაქტორი განაპირობებდა: 1.მომხმარებელი არჩევს ჯანმრთელი პროდუქციის შეძენას; 2.სახელმწიფო გამოყოფს სუფსიდიებს ორგანული ფერმების დასახმარებლად; 3.ორგანული პროდუქცია უკვე გამოჩნდა შვეიცარიის სუპერმარკეტების ორ მთავარ ქსელში („COOPZZ და „Migros”).

სახელმწიფო კანონი ორგანული აგროწარმოების შესახებ 1998 წლიდანაა ძალაში. მისი მოთხოვნები ეკოლოგიურთიანების კანონმდგბლობასთან შედარებით უფრო მყაცრია. მაგ., თუ ეკოლოგიურთიანებაში დასაშვებია ნებისმიერი ფერმის მხოლოდ ნაწილის გადაყვანა ორგანულ მართვაზე, შვეიცარიის კანონი ამ გამონაკლისს მხოლოდ ვენახისა და ხეხილის ბალებისათვის უშვებს. 1996 წლიდან დაწე-

სებულია ქ.წ. მინიმალური ეკოლოგიური მოთხოვნები, რომელთაც ყველა ორგანული ფერმა უნდა აკმაყოფილებდეს.

ჯერ კიდევ 1989 წელს შვეიცარიის ბიოფერმერთა ორგანიზაციებმა შეიმუშავეს საერთო სტანდარტი და გაერთიანდნენ ერთი სავაჭრო ნიშის ქვეშ „BIO SUISSE.” ეს ლოგო საერთო შვეიცარული წარმოების ყველა ორგანული პროდუქტისათვის. 1993 წლიდან შვეიცარიის ორგანული პროდუქციის დიდი ნაწილი სუპერმარკეტის ადგილობრივი ქსელის „COOPZZ-ის საშუალებით ვრცელდება. რაც შეეხება ფასებს, ორგანული პროდუქცია საშუალოდ 20-30%-ით მეტი ღირს, კონკრეტურთან შედარებით.



ნახ.1. შვეიცარიის ორგანული ფერმები და მათი ფართობები გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით (2000 წელი), 1.შვეიცარიის მთლიანი ტერიტორია; 2.ბარი; 3.მთაგორიანი მხარე; 4.ალპური ზონა.

მსოფლიოში ყველაზე ძველ, დიდ და კომპეტენტურ ინსტიტუტად ითვლება შვეიცარიის ორგანული სოფლის მეურნეობის კალევითი ინსტიტუტი - FIBL, რომელიც 1974 წელს ჩამოყალიბდა. მას აქვს სამრჩეველო და საგანმანათლებლო ცენტრები. ფაქტობრივად ეს ინსტიტუტი ორგანული სოფლის მეურნეობის მართვის მთავარი მაკორდინირებელი ცენტრია ქვეყანაში. დღეისათვის შვეიცარიის ს/მ-ის სახელმწიფო პლატფორმა გარემოზე დატვირთვის შემცირებისკენაა მიმართული. რამდენიმე ასეული მილიონი შვეიცარული ფრანგი ისხარჯება ეკოლოგიურ სუფსიდიებზე სოფლის მეურნეობაში (ცხ.2). აკრძალულია გენმოდიფიცირებული კულტურების მოყვანა [5].

ორგანული მიწაობოქმედება ფართოდ ვითარდება აშშ-ში, რომლის ხერხებიც უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. შემუშავებულია კანონთა მთელი კრებული, რომელიც იცავს მომხმარებელს და ბუნებას ჭარბი ქიმიკატებისაგან.

**ცხრილი 2.შევეცარიის გარემოსდაცვითი პოლიტიკა (პროგრამები
ორგანული ფერმებისათვის)**

სუფსიდიგბი	ვარო 1 ჰექტარზე წელიწადში
მინიმალური ეპოლოგიური მოთხოვნების დაცვა (ორგანულ და ინტეგრირებულ ფერმებში)	750
ბოსტნეული კულტურები (ორგანული)	625
მარცვლოვნი კულტურები (ორგანული)	375
მარცვლოვნების წარმოების ექსტენსიფიკაცია (ორგანული)	250

1979 წელს აშშ-ში მიიღეს გადაწყვეტილება დაეფინანსებინათ გამოკვლევები ბიოლოგიური მიწათმოქმედების ეფექტურობის შესაფასებლად. ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ნათქვამი იყო, რომ „ბიოლოგიური მიწათმოქმედება ეკონომიურად ეფექტურია, უზრუნველყოფს ენერგიის ეკონომიას, გარემოს დაცვას, პროდუქტიულია, სტაბილური და გააჩნია გრძელვადიანი მდგრადობის ტენდენცია.“

1990 წლიდან აშშ-ში მიმდინარეობს სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა SARE (Sustainable Agriculture Research and Education), რომელიც შეისწავლის ალტერნატიული მიწათმოქმედების მეთოდებს და ხელს უწყობს მათ დანერგვას პრაქტიკაში.

ალტერნატიული მიწათმოქმედების მხრივ, გარკვეული გამოცდილება არსებობს საქართველოშიც. აგრარიკოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ინიციატივით 1991 წელს დაარსდა აგროეკოლოგიური საზოგადოება (პრეზიდენტი თ.თურმანიშვილი), რომელიც 1993 წლიდან ორგანული მიწათმოქმედების მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) წევრია. საზოგადოების ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვასთან. აგრეთვე ითვალისწინებს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაგროვილი გამოცდილების შესწავლას და საქართველოს აგროსამრეწველო სექტორში დანერგვას, სასურსათო პროდუქტებისა და ნედლეულის ხარისხის საზოგადოებრივი კონტროლის (სერთიფიცირების) განხორციელებას.

1993 წელს დაუუძნდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ (პრეზიდენტი ნ.ნემსაძე), რომელიც ზრუნავს საქართველოში ეკოლოგიური მეურნეობრიობის ჩამოყალიბებაზე. 1996 წლიდან „ელკანა“ (IFOAM)-ის წევრია. ელკანას ძირითადი მიზნებია: საქართველოში სოციალურად, ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მდგრადი გლეხური მეურნეობების განვითარება. „ელკანაში“ შეიმუშავა ბიოლოგიური მიწათმოქმედების სტანდარტები საქართველოსათვის და განზრახული აქვს ჩამოაყალიბოს ბიოპროდუქტების სერთიფიცირებისა და გასაღების დამოუკიდებელი სამსახური.

ლიტერატურა-REFERENCES -ЛИТЕРАТУРА Л

1. თ.ურუშაძე. 2001,აგროეკოლოგია. თბილისი, გვ.237.
2. ბიოფერმერი. “ელკანა,-ს პერ.გამოც. N3, თბილისი, 1997, გვ.18-29.
3. ზ.კრიბელაშვილი., შ.მანჯავიძე. 1997,ბიონტექსიური მებოსტნება, წიგნი I. თბილისი, გვ.16-21.
4. ბიომეურნე. 1999, ძმელკანა,-ს პერ. გამოც. N5, თბილისი, გვ.26.
5. ბიომეურნე. 2001, “ელკანა,-ს პერ. გამოც. N8, თბილისი, გვ.9-12.

უაკ 63:577.4

ორგანული მიწათმოქმედების განვითარების მსოფლიო პრაქტიკა და მისი თანამედროვე მდგრამარეობა საქართველოში./ მ.მელაძე/ჰმის შრომათა კრებული.-2007 .-ტ.111., .გვ.86-91. .ქართ.:რეზ.ქართ.,ინგლ.,რუს.

წარმოდგენილია ორგანული მიწათმოქმედების განვითარების საფუძვლები, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის მიღებას, გარემოს დაცვას, პროდუქტების და გააჩნია გრძელვადიანი მდგრადობის ტერნდენცია.

ამ სისტემის წარმატებით განხორციელებას ძირითადად განაპირობებს კლიმატური და აგრომეტეოროლოგიური პირობები.

განხილულია ორგანული მიწათმოქმედების განვითარების მსოფლიო პრაქტიკა შევიცარიის და ა.შ.შ-ის მაგალითზე და მისი თანამედროვე მდგრამარეობა საქართველოში ამ მიმართულებით.ცხრ.1,იდ.1,ლიტ.დას.5.

UDC 63:577.4

The World Practice of the Development of Organic Agricultureand its Modern State in Georgia /M.Meladze/Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology- 2007.-V.111., -p.86-91 – Georg. Summ. Georg., Eng., Russ.

In the considered article the bases of the development of organic agriculture are presented. They provide the reseption of ecologically safe products and the environmental protection. They are productive and tend to have a long-term sustention.

Climatic and agrometeorological conditions determine the successful fulfilment of this system.

The world practice of the development of organic agriculture (on the examples of Switzerland, the USA) and the modern state of Georgia in this direction are considered. Tab. 1, Fig. 1, Ref. 5.

УДК 63:577.4

Мировая практика развития органического (экологического) земледелия /М.Г.Меладзе/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии. -2007. -т.111., -с.86-91. Груз.,Анг.,Русск.

Представлена система развития органического (экологического) земледелия, которое обеспечивает производство экологически безопасных продуктов, защиту окружающей среды; оно продуктивно и характеризуется долгосрочной стабильностью.

Удачная реализация этой системы в основном обеспечивается климатическими и агрометеорологическими условиями.

На примере Швейцарии и США рассмотрена всемирная практика развития органического (экологического) земледелия и её современное состояние в Грузии. Таб.1, рис.1, лит 5.

0.ჩოგოვაძე, ბ.მიქაშავიძე

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

551.509

2000-2003 წლებში განვითარებული ცირკულაციური პროცესების
მავრიტანი მერქანტის შესახებ

როველოში დაფიქსირებული ამინდის პირობები მკაფიოდ მეტყველებენ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ. 2001 წლის ზაფხულში პარტიის მაქსიმალურმა ტემპერატურამ ქობილისში მხოლოდ +38°-მდე აიწია, ხოლო 2002 წლის ამავე პერიოდში ტემპერატურის ეს მახასიათებელი უფრო ნაკლები, +36° იყო. ამავდროულად, პარტიის მაქსიმალური ტემპერატურის შედარებით დაბალი მნიშვნელობები აღინიშნებოდა ასევე საქართველოს მთლიან ტერიტორიაზე. ამრიგად, „სახეზე გვაქვს ტემპერატურის სტაბილიზება, ან აღმავლობის ნაცვლად, მისი კლება. რა შეიძლება დასახელდეს ამის მიზეზად? ჩვენ მიგვაჩნია, რომ 2001-2002 წლებში საქართველოში ზაფხულის ოვეგბში დაფიქსირებული შედარებით დაბალი ტემპერატურები იყო ვეროპის კონტინენტზე ახლადგანვითარებული ფართოიმასშტაბიანი ცირკულაციური პროცესების ანარეკლი. საქმე იმაშია, რომ ამ პერიოდში ზემოხსენებულ სივრცეში დაიწყო ცირკულაციური პროცესების საპირისპირ მიმართულებით განვითარება, ვიდრე ამას მანამდე პქონდა ადგილი. კერძოდ, „არქტიკის აუზიდან ტროპოსფეროს შუა ფენებში ხშირად ხორციელდებოდა დაბალი წნევის არის გაგრცელება სამხრეთის მიმართულებით, რაც ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა მიწისპირა ფენაში პარტიის დაბალი ტემპერატურული ფონის ჩამოყალიბებისათვის. ამ მხრივ ყველაზე შთამბეჭდავი 2002 წლის თბილი პერიოდი აღმოჩნდა. ამ დროს ევროპის კონტინენტზე პარტიის დაბალ ტემპერატურებთან ერთად ხშირად დაიკვირვებოდა გადაუდგბელი წვიმები, რომლებმაც არაერთხელ გამოიწვიეს კატასტროფული წყალდიდობები ევროპის მდინარეებზე. აქ საყურადღებო ის არის, რომ არქტიკის აუზიდან სამხრეთისაკენ გადმოადგილებული პარტიის ციფი მასები ევროპის თავზე საკმაოდ დიდხანს სტაციონირებდნენ, რის გამოც ყალიბდებოდა კარ. მაბლოკირებელი ცირკულაციური სიტუაციები, რაც საბოლოო ჯამში გახდა მთავარი მიზეზი ევროპაში ხანგრძლივი წვიმიანი და ციფი პერიოდების განმეორებისა.

ბენებრივია, რომ აღნიშნული ცირკულაციური ფონი ხელსაყრელი ვერ იქნებოდა ევროპის მიმდებარე ტერიტორიებზე(მათ შორის, ამიერკავკასიაში) პარტიის ტემპერატურის ძალიან მაღალი მნიშვნელობების ჩამოყალიბებისათვის.

2002 წლის თბილ პერიოდში ევროპის კონტინენტზე განვითარებული ექსტრემალური პიდრომეტეოროლოგიური პირობები მანიშნებელი იყო იმისა, რომ პირველ სინოპტიკურ სივრცეში(ატლანტის ოკეანიდან დასავლეთ ციმბირამდე) მოხდა ცირკულაციური პროცესების რადიკალური გარდაქმნა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მთელ ჩრდილო ნახევარსფეროში ცირკულაციურ პროცესებს შორის არსებულ თანაფარდობათა დარღვევა. სინოპტიკური პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ასეთ სიტუაციებში იწყება „აღდგენითი“ პროცესების განვითარება, რათა გლობალური პროცესი დაუბრუნდეს „საწყის

მდგომარეობას”. ამ პერიოდს შეიძლება დავარქვათ ატმოსფეროში კწ. “მილევადი რხევების” განვითარების პერიოდი. დროის ამ მონაკვეთში შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც ადრე განვითარებული პროცესების ანალოგიური, ასევე საპირისპირო ხასიათის ცირკულაციური პროცესების განვითარებას.

2002 წლის ბოლოდან, ატმოსფეროში “მილევადი რხევების” განვითარების პერიოდში, საქმე გქონდა ადრინდელის მსგავსი ცირკულაციური პროცესების ჩამოყალიბებასთან, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ამ პროცესების ეპიცენტრი გადანაცვლებული იყო ევროპის უკიდურეს აღმნოსავლეთში. ჩვენთვის სწორედ ეპიცენტრის აღმოსავლეთით გადანაცვლებამ ითამაშა გადამზებები როლი, ვინაიდან ამან, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განაპირობა ცივი ჰაერის მასების გადმოტანა არქტიკის აუზიდან უშუალოდ კავკასიის მიმართულებით. შედევად მივიღეთ, რომ 2002 წლის დეკემბერში და 2003 წლის მარტსა და აპრილში საქართველოში დაფიქსირდა ამინდის განსაკუთრებულად ანომალური პირობები(ძალიან ცივი და უხევნალებიანი). მაგალითად, 2002 წლის დეკემბერში თბილისში ჰაერის საშუალო ტემპერატურის ნორმიდან უარყოფითმა გადახრამ 4 გრადუსს გადააჭარბა, რაც უიშვიათესი მოვლენაა. ტემპერატურის ნორმიდან ანალოგიურ გადახრას დეკემბრის თვეში თბილისში, მხოლოდ 1920 წელს ჰქონდა ადგილი. 2003 წლის მარტსა და აპრილის თვეებში ჰაერის საშუალო ტემპერატურის ნორმიდან უარყოფითმა გადახრამ 2 გრადუსს გადააჭარბა, რასაც ადგილი არ ჰქონია უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

ამრიგად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ საქართველოში ამინდის ანომალური პირობების ჩამოყალიბება(მათ შორის პერიოდებისა ჰაერის ძალიან მაღალი, ან დაბალი ტემპერატურებით) დამოკიდებულია ევროპის კონტინენტზე განვითარებულ ფართომასშტაბიან ცირკულაციურ პროცესებზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენთან ამინდის ანომალური პირობების განვითარების გრძელებიანი (სეზონი, წელი) პროგნოზირება პრინციპულად შეუძლებელია, თუ წინასწარ არ იქნება განსაზღვრული ფართომასშტაბიანი ცირკულაციური პროცესების შესაძლო განვითარება აღნიშნულ ტერიტორიაზე.

უაკ 555.509

2000-2003 წლებში განვითარებული ცირკულაციური პროცესების მკვეთრი მერყეობის შესახებ/ინოგოვანებ, ბ.მიქაელიძე, ჰმის-შრმათა კრებული – 2007-გ.111-გვ. 92-95 – ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს.
გაანალიზებულია ევროპის კონტინენტზე დიდმასშტაბიანი ცირკულაციური პროცესების ცვლილებები(2000-2003 წწ), რაც საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერის ტემპერატურის მკვეთრი მერყეობის მიზეზი გახდა.

UDC 551.509

About sharp fluctuations of circulation processes advanced during 2000-2003 period.

I.V.Chogovadze, B.A.Mikashavidze/, Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorologyof Georgian Academy of Science, 2007- V.111, -p.92-95, - Georg.:Summ.Georg.Eng.Russ.

The changes large-scale of circulation processes over the European continent (2000-2003) are analyzed, that was by the reason of sharp fluctuation of air temperature in the territory of Georgia.

УДК 551.509

О резких колебаниях циркуляционных процессов, развитых в 2000-2003 годы.

/И.В.Чоговадзе, Б.А.Микашавидзе/, Сб. Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии, -2007 т.111, -с.92-95, -Груз., рез. Груз., Анг., Русск.

Проанализированы изменения крупномасштабных циркуляционных процессов над Европейским континентом(2000-2003 гг), что явилось причиной резкого колебания температуры воздуха на территории Грузии.

0.իոջովածյ, 0.մոյամաշոծյ

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

353 551.510

କ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରମାଣିତ ଶରୀରରେ ମନ୍ଦିରରୁ ପାଇବାରେ ଅନୁରୋଧ କରିଛି

სტატია ორ მიზანს ისახავს. პირველი ის, რომ დავაძღინოთ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მოხდა თუ არა რაიმე პროგრესი ჰაერის ტემპერატურის მოკლევადიანი პროგნოზების სიზუსტის ამაღლებაში. მეორე - გამოვალინოთ პროგნოზებში შეცდომების ძირითადი მიზეზი, რათა დავსახოთ მათი გამოსწორების გზები. გარდა ამისა, პროგნოზების სიზუსტის შეფასების აუცილებლობას გვარჩნათხს ისიც, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ამინდის ბიუროში პროგნოზების შედგენა ხდებოდა მხოლოდ სინოპტიკური მეთოდების გამოყენებით. ახლა საქართველოს პიდრომეტრებისა მენტში ექსპლუატაციაშია ფრანგული სუპერთანამედროვე საპროგნოზო კომპიუტერული კომპლექსი (COROBOR-SYSTEMES), რომლითაც მსოფლიო ცენტრებიდან, დღედამეში თრჯერ(00 და 12 სო-ზე გრინგიჩის დროით) მიიღება 72 საათიანი(6 სო-ის ინტერვალით) პროგნოზული მეტეორინფორმაცია. 1999 წლიდან ამ ინფორმაციის გამოყენებით ხდება ამინდის პროგნოზების შედგენა საქართველოს ტერიტორიაზე, მათ შორის ქ.თბილისისათვის. უნდა აღვნიშოთ, რომ პროგნოზების შედგენისა და შეფასების კრიტერიუმები უცვლელი დარჩა. პერძოდ „ტემპერატურის პროგნოზული მნიშვნელობა მიეთიება 2 გრადუსის ინტერვალით. შეფასებისას, თუ ფაქტიურმა გადახრამ ამ ინტერვალს არ გადააჭარბა ± 2 გრადუსით, გამართლება 100%-ია, თუ გადახრა ± 3 გრადუსია - გამართლება 50%-ია, ხოლო 4 და მეტი გრადუსით გადახრისას გამართლება 0%-ია.

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია ექვრნობა 1974-1977 წლებში შედგენილი პროგნოზების გამართლების შევასებებს, რომლებიც შედარებისთვის შევსებულია 2000 წლის მონაცემებით.

როგორც ცხრ.1-დან ჩანს, პაკისტანის მინიმალური ტემპერატურების საერთო საშუალო გამართლება(93.4%) მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურების გამართლება(83.2%). ეს იმაზე მიუთითებს, რომ თბილისში პაკისტანის მინიმალური ტემპერატურა უფრო კონსერვატიულია, ვიდრე მაქსიმალური ტემპერატურა. მაქსიმალური ტემპერატურის პროგნოზის გამართლება წლების შიგნით, ცალკეულ თვეებში, მერყეობს 66%-დან 94%-მდე, ხოლო მინიმალური ტემპერა-

ტურისა 80%-დან 100%-მდე საშუალო წლიური გამართლების ამპლიტუდა ორივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია(6-7%). პროგნოზების უკედაზე მაღალი გამართლება აღინიშნება, როცა ცვლილების აბსოლუტური მნიშვნელობა შედარებით მცირეა, ხოლო თუ ცვლილება ± 6 გრადუსამდე აღწევს, მაშინ მაქსიმალური ტემპერატურის პროგნოზის გამართლება 50 და მინიმალურის 58 %-ამდე მცირდება. თუ ტემპერატურის ცვლილება ± 7 გრადუსი და მეტია, მაშინ პროგნოზების გამართლება ეცემა 34 (მაქსიმალური ტემპერატურა) და 40 %-ამდე(მინიმალური ტემპერატურა).

ცხრილი 1. ქთბილისის პაერის ტემპერატურის 24 საათიანი მეთდური და ინერციული პროგნოზების საშუალო წლიური გამართლება %-ში

წლები	მაქსიმალური ტემპერატურა	მინიმალური ტემპერატურა	მეთდური	ინერციული პროგნოზი
	მეთოდური პროგნოზი	ინერციული პროგნოზი	მეთოდური პროგნოზი	ინერციული პროგნოზი
1974	85	84	96	90
1975	87	85	93	91
1976	83	85	94	88
1977	80	77	90	88
2000	81	78	94	89
საშუალო	83.2	81.8	93.4	89.2
მაქსიმუმი	94(VII,XII)	98(I)	100(I,VIII,X)	100(V,X)
მინიმუმი	66(II)	59(II)	80(XI)	75(XI)

ცნობილია, რომ მეთოდური პროგნოზის ხარისხის დადგენის მიზნით, პირებელ ყოვლისა, ხდება ამ პროგნოზების ინერციულ პროგნოზებთან შედარება. რაც უფრო მაღალია მეთოდური პროგნოზების გამართლება, ინერციული პროგნოზების გამართლებასთან შედარებით, მით უფრო მაღალია მეთოდური პროგნოზების ხარისხი. ჩვენს მიერ შეფასებული იქნა ინერციული პროგნოზები ხუთივე წლი-სათვის. შეფასება ხდებოდა ზემოაღნიშნული წესის მიხედვით. ტემპერატურის პროგნოზირებულ მნიშვნელობებად ამ შემთხვევაში აიღებოდა მიმდინარე დღის ფაქტიური მინიმალური და წინა დღის მაქსიმალური ტემპერატურები(ინერციული პროგნოზების არსი სწორედ ამაშია). შეფასების შედეგები წარმოდგენილია ცხრ.1-ში. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ინერციული პროგნოზების გამართლება საკმაოდ მაღალია. მაგალითად, მაქსიმალური ტემპერატურების მეთოდური პროგნოზების საშუალო გამართლება მხოლოდ $14\%-ით$ მეტია($83.2 - 81.8 = 1.4$) ინერციული პროგნოზების გამართლებაზე, ხოლო მინიმალური ტემპერატურისა $4.2\%-ით$ ($93.4 - 89.2 = 4.2$). მიუხედავად იმისა, რომ მეთოდური პროგნოზების გამართლება ინერციულზე მაღალია, მიღებული შედეგები მეთოდური პროგნოზების მაღალ ხარისხზე მაინც

არ მეტყველებენ, რადგან გამართლებებს შორის სხვაობები ძალზე დაბალია(1.4 და 4.2%).

ცხრ.2-ში მოცემულია დილით დაზუსტებული დღის მაქსიმალური ტემპერატურის პროგნოზების შეფასება 2000 წლის მონაცემებით. როგორც ვხედავთ, ამ პროგნოზების საშუალო წლიურმა გამართლებამ 89.8% შეადგინა. მართალია, ეს სიდიდე წინა დღით შედგენილი პროგნოზების გამართლებაზე 8.8%-ით მეტია(89.8-81.0), მიუხედავად ამისა, შედეგი მაინც საკმაოდ დაბალია. 366 პროგნოზიდან მხოლოდ 317-მა მიიღო შეფასება 100%, 24-მა პროგნოზმა მიიღო შეფასება 50%, ხოლო 25-მა პროგნოზმა – 0%. როდესაც ვაფიქსირებთ, რომ ამ პროგნოზების გამართლება დაბალია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოებაც, რომ დაზუსტებული პროგნოზების წინასწარობა არ აღემატება 10 საათს.

ცხრილი 2. ქთბილისის მიმდინარე დღის პაერის მაქსიმალური

ტემპერატურის დაზუსტებული პროგნოზების გამართლება (%)

თვეების მიხედვით 2000 წელს

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წელი
90	86	90	82	85	92	94	84	98	97	88	92	89.8

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცალკეულ თვეებში პაერის ტემპერატურის მოკლევადიანი (24 საათიანი) პროგნოზების გამართლება ქ.თბილისისათვის საკმაოდ დაბალია და 74%-ზე ქვემოთ ჩამოდის, ხოლო 1977 წლის თვეებრვალში მაქსიმალური ტემპერატურის პროგნოზის გამართლებამ 66% შეადგინა (ცხრ.1). ეს აისხება არა მარტო ფაქტიური ტემპერატურის მნიშვნელოვანი რეგებით, რაზე-დაც მიუთითებს ამ თვეებში ინტრიული პროგნოზების დაბალი გამართლებაც (59%), არამედ პროგნოზების შედგენის მეთოდის შეზღუდულობითაც. მაგალითად, მაქსიმალური ტემპერატურის ± 5 გრადუსითა და მეტით ცვლილების დროს პროგნოზების გამართლებამ საშუალოდ 46% შეადგინა, რაც ძალზე დაბალი მაჩვენებელია.

რა შეიძლება ცალკე ითქვას 2000 წლის პროგნოზების გამართლებაზე? პირველ ყოვლისა შეიძლება აღინიშნოს, რომ ტემპერატურის მნიშვნელოვანი ფაქტიური ცვლილების დროს, პროგნოზების გამართლება შედარებით მაღალია საშუალო ხუთწლიურ გამართლებაზე, რაც ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ თანამედროვე საპროგნოზო კომპიუტერული კომპლექსი (COROBOR-SYSTEMES) აღექვატურად რეაგირებს სინოპტიკური მასშტაბის პროცესების ცვლილებაზე (მაგალითად, ფრონტალურ შემოჭრებზე). მიუხედავად ამისა, მთლიანობაში 2000 წელს პროგნოზების რაიმე გაუმჯობესებაზე საუბარი არ გვიხდება. პირიქით, მათი საერთო გამართლება მაინც იმავე დონეზეა, რაც 1974-1977 წწ. იბადება ბუნებრივი კითხვა, რატომ არ მოგვცა თანამედროვე პროგნოზულმა სისტემამ მოკლევადიანი

პროგნოზების ხარისხის გაუმჯობესების საშუალება? ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ მიწისპირა ჰაერის ტემპერატურის ფორმირებაზე, საერთო ცირკულაციური ფაქტორების გარდა (რასაც სისტემა კარგად იჭერს), დიდ ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი პირობები (რასაც სისტემა ძალიან სუსტად ითვალისწინებს). განსაკუთრებით ეს ვლინდება დღის ტემპერატურის დაზუსტებულ პროგნოზებზე, რომელთა გამართლება ცალკეულ თვეებში 84%-ზე დაბალია. მართალია, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სინოპტიკოსი ამ შემთხვევაში მთლიანად ეყრდნობა სისტემის მონაცემებს, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მის ძლიერ ზეგავლენას განიცდის. აქედან გამომდინარეობს საკმაოდ საყურადღებო დასკვნა, რომ საჭიროა აღნიშნული საპროგნოზო სისტემის ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია. ეს პრაქტიკულად ნიშნავს, რომ უნდა მოხდეს პროგნოზული მნიშვნელობების კორექტორება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (ბუნებრივია, არა მარტო ტემპერატურის პროგნოზისა). ამის მიღწევა შეიძლება თუნდაც შესაბამისი სტატისტიკური პარამეტრების დადგენით, რაც მოითხოვს სპეციალური კვლევითი სამუშაოს ჩატარებას. ასეთი სამუშაოები უკვე მიმდინარეობს საქართველოს ჰიდრომეტრიკული პროგნოზების თანამდებობის მიხედვისას.

აღნიშნული პრობლემა, როგორც ჩანს, ტიპიურია ყველა გლობალური პროგნოზული მოდელისათვის, როდესაც ამა თუ იმ კონკრეტულ რეგიონში ხდება ამ მოდელის შედეგების გამოყენება კორექტირების გარეშე. სწორედ ამით აისხება ის, რომ ინტერნეტიდან აღვეული პროგნოზული ინფორმაცია(რაც საკმაოდ ფართოდ იყიდებს ფეხს ჩვენს საინფორმაციო წეროებში) მთლიანობაში დაბალი სიზუსტისა და ხშირად მომხმარებლის დეზინფორმაციას იწვევს, რაშიც, სამწუხაროდ, თავად მომხმარებელი ჯერ ვერ გარკვეულა.

უაკ 555.510

ჰაერის ტემპერატურის მოკლევადიანი პროგნოზი ქ.თბილისისათვის, /ი.ჩოგოვაძე, ბ.მიქაშვილი/, პმი-ს შრომათა კრებული -2003-ტ. 111. -გვ.96-100,- ქართ. რეტ. ქართ ინგლ. რუს.

განხილულია ქ.თბილისის ჰაერის მაქსიმალური და მინიმალური ტემპერატურების როგორც მეთოდური, ასევე ინერციული პროგნოზების შეფასების შედეგები. ასევე, განხილულია მაქსიმალური ტემპერატურების დაზუსტებული პროგნოზების შედეგები. შიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გამოიყენება თანამედროვე საპროგნოზო კომპიუტერული სისტემა (COROBOR-SYSTEMES), შედეგები მაინც სასურველზე დაბალია. შედეგების გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია აღნიშნული საპროგნოზო სისტემის ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია. ცხრ. 2.

UDC 551.510

**The Short-term Forecast of the Air Temperature for Tbilisi City, /I.V.Chogovadze,
B.A.Mikashavidze/, Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorologyof Georgian
Academy of Science, 2003- V. 111, -p.96-100, -Georg.:Summ.Georg.Eng..Russ.**

The results of estimations of the methodical and inertial forecasts of the maximal and minimal air temperatures of Tbilisi City are reviewed. Also, is reviewed the results of estimations of the specified forecasts of the maximal temperatures. In spite of the fact that last years is used the modern computer forecasting system (COROBOR-SYSTEMES), the results of the forecasts estimations are below desirable. For improvement of the results it is necessary the adaptation of the specified system to local conditions. Table 2.

УДК 551.510

**Краткосрочный прогноз температуры воздуха для г.Тбилиси,/И.В.Чоговадзе,
Б.А.Микашавидзе/, Сб. Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии, -2003-
т.111, -с.96-100, -Груз., рез. Груз., Анг., Русск.**

Рассмотрены результаты оценок методических и инерционных прогнозов максимальных и минимальных температур воздуха г.Тбилиссы. Также рассмотрены результаты оценок уточненных прогнозов максимальных температур. Несмотря на то, что в последние годы используется современная компьютерная прогностическая система(COROBOR-SYSTEMES), все-же результаты оценок прогнозов ниже желаемого. Для улучшения результатов необходима адаптация указанной системы к местным условиям. Таб.2.

გ.ელიზებარაშვილი

ჰერცოგინიელი მარია დოროთია ბავარიუს დედოფლი და ავსტრიის და უნგრეთის დედოფლი

393 551.4.

**ლანდშაფტების პლიოეათოლოგია – ახალი მეცნიერული
მიმართულება**

კაცობრიობის მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უპარასენელ ათწლეულებში საქმაოდ მომრავლებული იმ გლობალური პრობლემების გადაწყვეტაზე, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს მომავალთან. მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, გარემოს დაცვა, მისი მდგომარეობის ოპტიმიზაცია და ეფექტური მართვა. ყველა ჩამოთვლილი პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს გარემოს თანამედროვე მდგომარეობისა და მოსალოდნელი ცელილებების ტენდენციების ცოდნას.

გარემოს მდგომარეობა ცალსახად აისახება ბუნებრივ ლანდშაფტებს, ეს კარგად ჩანს თუნდრაც კავკასიის მაგალითიდან, სადაც განაწილება რეგიონის განვითარებასთან ერთად იკვლებოდა.

თანამედროვე პირობებში, ლანდშაფტის ცვლილების ერთ-ერთი მათობრავებელი ძალა ანთროპოგენური ზემოქმედებაა. ადამიანის ზემოქმედების შედეგად ყალიბდებიან ახალი - ბუნებრივ-ანთროპოგენური ტერიტორიული კომპლექსები, ანუ კომპლექსები, რომლებიც უკავშირდებიან ურბანიზებულ ტერიტორიებს, სამრეწველო, სატრანსპორტო და წყალსამეურნეო ნაგებობებს, რეკრეაციას და სხვ. მიუხედავად ამისა, ბუნებრივი ლანდშაფტების განაწილების ცვლილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მხოლოდ გლობალურ პროცესებს შეუძლია მოახდინოს. ასეთ პროცესებს, უპირველეს ყოვლისა, გლობალური დათობისა და გაუდაბნოება მიეკუთვნება. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მათ სათანადო უურადღება მიაქცია. ჯერ 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში, ხოლო შემდეგ, 1994 წელს, პარიზში მიღებული იყო შესაბამისად გაერთს კლიმატის ცვლილებისა და გაუდაბნოებასთან ბრძოლის ჩატრონიკული ერთობები.

გაუდიაბნოებასთან ბრძოლის ჩარჩო კონვენციის თანახმად გაუდაბნოების ქვეშ იგულისხმება ქლიმატური და ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული მიწების დეგრადაცია არიდულ, ნახევრად არიდულ და მშრალ სუბჰიდრულ რაიონებში. გეოგრაფიული თვალსაზრისით გაუდაბნოება არის უდაბნოსაგან განსხვავდული ლანდშაფტის ტრანსფორმაცია უდაბნოდ. ტრანსფორმაცია შეიძლება განიცადოს სხვა ტიპის ლანდშაფტებმაც ამის მაგალითია მყინვარების უკანა დახმარება და გლაციალური ლანდშაფტების შემცირება, ხოლო გლობალური და გარემონტირებული ლანდშაფტების გადამდებარება.

ლური დათბობის გააქტიურების პირობებში მოსალოდნელია მათი საერთოდ გაქრობა, პეტილური ლანდშაფტების არიდიზაცია და ა.შ. ამრიგად, შეიძლება ვიმსჯელოთ მთლიანად ბუნებრივი ლანდშაფტების შედარებით მოკლე დროში ტრანსფორმაციის შესახებ. და ამ პროცესის მთავარი ფაქტორი კლიმატია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი ლანდშაფტების მოსალოდნელი ტრანსფორმაციისა და საერთოდ, ბუნების შეცვლის მექანიზმების გამოსარკვევად საჭიროა ლანდშაფტებში მიმდინარე ფიზიკური და დინამიკური ხასიათის პროცესების – ლანდშაფტების ფორმირების კლიმატური პირობების, კლიმატური რეჟიმის, ფუნქციონირების, რესურსების პოტენციალის, კლიმატის ცვლილების მიმართ ლანდშაფტების რეაქციისა და მათი ტრანსფორმაციის კლიმატური პირობების გამოკვლევა.

ჩამოთვლილი პრობლემების კვლევა განსაზღვრავს მეცნიერების ახალი დარგის – ლანდშაფტების კლიმატოლოგიის ძირითად შინაარსს. ლანდშაფტების კლიმატოლოგია შეიძლება განხილულ იყოს, როგორც ლანდშაფტების გეოფიზიკის შემადგენელი ნაწილი.

ლანდშაფტების კლიმატოლოგიის ზემოდებამოვლილი პრობლემის კვლევა უკანასკნელ წლებში ინტენსიურად მიმდინარეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატის მოდელირების დაბორაბორიაში. მიღებული შედებით უკვე გამოქვეყნდა საზღვარგარეთის ავტორიტეტულ ჟურნალებში, როთაც მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

აკადემიკოსების ა. გრიგორიევისა და მ.ბუდიკოს (Григорьев А.А., Будыко М.И., 1956) მიერ აღმოჩენილი გეოგრაფიული ზონალურობის პერიოდული კანონის თანახმად დედამიწის თითოეული ბუნებრივი ზონა ყალიბდება სითბოსა და ტენის გარკვეულ პირობებში. გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში თავისი მნიშვნელობის თვალსაზრისით ეს კანონი ანალოგიურია ქიმიაში დამენდელევის პერიოდული სისტემისა. გეოგრაფიული ზონალურობის პერიოდული კანონი შედგენილია დედამიწის ძირითადი ბუნებრივი ზონებისათვის და არ ითვალისწინებს მთის ლანდშაფტების დიდ მრავალფეროვნებას. ჩვენს მიერ შემუშავებული იყო კავკასიის ბუნებრივი ლანდშაფტების ზონალურობის ცხრილი (М.Э. ელიზბარაშვილი, 2002; 2003a), რომელიც შეიძლება განხილულ იქნას, როგორც გეოგრაფიული ზონალურობის პერიოდული კანონის დამატება.

კავკასიის ლანდშაფტების ზონალურობის ცხრილის თანახმად ლანდშაფტის თითოეულ ტიპს (ქვეტიპს) შეესაბამება რაღიაციული ბალანსისა და სიმშრალის რადიაციული ინდექსის კონკრეტული მნიშვნელობები. პირველი მათგანი ახასიათებს ბუნებრივი ლანდშაფტების სითბურ ენერგეტიკულ ბაზას, ხოლო მეორე – დატენიანების რეჟიმს. ამავე ცხრილის თანახმად ვაკე სუბტროპიკული ლანდშაფტების ფორმირების მთავარი ფაქტორი ატმოსფერული ნალექებია, ხოლო მთის

ლანდშაფტების – სითბოა. გამოკვლეულია კავკასიის განსხვავებულ ლანდშაფტებში მიმდინარე ფუნქციონალური პროცესების – მზის რადიაციის ტრანსფორმაციისა და ტენძრუნვის კლიმატური კანონზომიერებანი. ყველაზე მეტად მზის რადიაციას ასუსტებს საშუალო მთის წიფლნარ-მუქწიწვოვანი, მაღალი მთის ტყის, საშუალო მთის ტყის, საშუალო მთის ამიერკავკასიის და სუბტელთაშუაზღვიური კოლხური ზღვისპირა ტყების ლანდშაფტები. ამ ტიპის ლანდშაფტებში ნიადაგზე მოსული რადიაცია შეადგენს მათ ზედა საზღვარზე მოსული ჯამური რადიაციის მხოლოდ 1-4%-ს. სხვადასხვა ტყების საფარის ზედაპირზე მოსული ნალექებიდან 20-135მმ ფოთლებიდან აორთქლდება და ნიადაგის ზედაპირმდე ენერ აღწევს.

გაანგარიშებულია კავკასიის ბუნებრივი ლანდშაფტების რესურსული პოტენციალი (M.ე.ელიზბარაშვილი, 2003б). რესურსების ყველაზე მაღალი ინტეგრალური მაჩვენებელი (80 პირობითი ერთეული) შეესაბამება ვაკეებისა და გორაკ-ბორცვების სუბტროპიკულ ჰუმიდურ ლანდშაფტებს. აქედან ყველაზე დიდი წილი მოდის აგროკლიმატურ (49%) და პიდროგნერგებიტიკულ (45%) რესურსებზე. რესურსების სიმდიდრით გამოირჩევა მაღალმთიანი სუბალპური ტყებუნერარ-მდელოები (70 პირობითი ერთეული). რესურსების 55% მოდის პიდროგნერგეტიკულ, ხოლო 25% - პელიოენერგეტიკულ რესურსებზე. დანარჩენ ლანდშაფტებში რესურსების ინტეგრალური მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია, საშუალო მთის წიწვოვან ტყეებში და მთის ზომიერ არიზულ ლანდშაფტებში შეადგენს 39 ერთეულს. პირველი მათგანი გამოირჩევა აგროკლიმატური (43%), ხოლო მეორე – პელიოენერგეტიკული (59%) რესურსების სიმდიდრით. დანარჩენი ტიპის ლანდშაფტებში რესურსების ინტეგრალური მაჩვენებელი 30 ერთეული და ნაკლებია. ყველაზე დარიბი ბუნებრივი რესურსებით გამოირჩევა ვაკე ზომიერი არიზული ლანდშაფტები (10 პირობითი ერთეული).

გლობალური დათბობის პირობებში ლოკალური კლიმატების ცვლილებას მოზაიკური ხასიათი გააჩნია. ლოკალური კლიმატების ცვლილების ასეთი ხასიათი ჩვენს მიერ ახსნილია ბუნებრივი ლანდშაფტების თავისებურებებით (ე.შ.ელიზბარაშვილი, M.ე.ელიზბარაშვილი, 2002ა). ჰუმიდურ ლანდშაფტებში სითბოს დიდი რაოდენობა იხარჯება აორთქლებაზე, მოებზე კი – თოვლის დნობაზე, ამიტომ ტემპერატურა კლებულობს, რის გამოც ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე ეცემა, ზოგჯერ კი ურყოფითიც ხდება. არიზული ლანდშაფტები კარგად რეაგირებენ გლობალურ დათბობაზე. მათში ტემპერატურის ცვლილების სიჩქარე ახლოსაა გლობალურ ტემპერატურის ცვლილების სიჩქარესთან.

მოხერხდა კავკასიის მაღალმთიანი ლანდშაფტების კლიმატის არასტაციონარული მათემატიკური მოდელის შექმნა, რის საფუძველზედაც მოდელირებული იყო მაღალმთიანი სუბნივალური და გლაცი-

ალურ-ნივალური დანდშაფტების კლიმატური რეჟიმი (М.Э. Элизбара-შვილი, 2007). მიღებული შედეგები საფუძლად დაედო მაღალმთიან და-ნდშაფტებში მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა ქსელის ოპტიმალური სიხშირის შეფასებას (Э.Ш.Элизбарашили, М.Э.Элизбарашили, 2003).

ჩატარებული სამუშაოების დასკვნით შედეგს წარმოადგენს კავკასიის დანდშაფტების ტრანსფორმაციის სქემა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების A სცენარის თანახმად ჩვენი გამოთვლებით გარკვეული ცვლილებები ვაკე დანდშაფტებში მოსალოდნელია მხოლოდ XXI საუკუნის ბოლოს, მთებში კი 2-2,5 საუკუნის შემდგა. კერძოდ, მოსალოდნელია მთის დანდშაფტების ტაბების და ქვეტიპების გადმონაცვლება ერთი საფეხურით ქვემოთ. ანალოგიურ ცვლილებებს ვ სცენარის თანახმად დასჭირდება 3-3,5 საუკუნე. ამრიგად, ბუნებრივი დანდშაფტების ტრანსფორმაცია ძალ-ზე რთული პროცესია (E.Elizbarashvili, M. Elizbarashvili, 2001; Э.Ш.Элиз-барашили, К.А.Тавартиладзе и др., 2002).

გამოკვლეულია აღმოსავლეთ საქართველოს სტეპებისა და ნახევ-რად უდაბნოების გაუდაბნოების ალბათობა, შედგენილია გაუდაბნო-ების ალბათობის რუკა (Э.Ш.Элизбарашили, М.Э.Элизбарашили, 2002б).

ჩატარებული კვლევების შედეგად ჩამოყალიბდა წარმოდგენები მთი-ანი ქვეყნის დანდშაფტებში მიმდინარე ფიზიკური და დინამიკური ხასიათის კლიმატური პროცესების შესახებ, ანუ დადგინდა დანდშა-ფტების ფორმირების, ფუნქციონირებისა და ტრანსფორმაციის რიგი კლიმატური კანონზომიერებები. ამავე დროს კავკასიის მაგალითზე საფუძველი ჩაეყარა დანდშაფტების გეოფიზიკის ახალი მიმართუ-ლებას – დანდშაფტების კლიმატოლოგიას და დაისახა მისი გან-ვითარების შემდგომი პერსპექტივები.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

- Григорьев А.А., Будыко М.И., 1956; О периодическом законе географической зональности. Доклады АН СССР; т. 110, №1, с.21-46.
- Элизбарашили М.Э. 2002; Климатология ландшафтов Кавказа. Кавказский географический журнал, №2, с.10-14.
- Элизбарашили М.Э. 2003а; Климатические условия формирования природных ландшафтов Кавказа. Изв. РАН, сер. Географ. №5, с 30-33
- Элизбарашили М.Э. 2003б; Ресурсный потенциал природных ландшафтов Кавказа. Метеорология и гидрология, №11, с. 99-102.
- Элизбарашили М.Э. 2007, Климатический режим высокогорных субни-вальных и глациально – нивальных ландшафтов Грузии. Известия РАН, сер. Географ. №3, с.48-50
- Элизбарашили Э.Ш., Тавартиладзе К.А., Хантадзе А.Г., Вачнадзе Д.И., Папинашвили Л.К., Мумладзе Д.Г., Элизбарашили М.Э. 2002; Современные изменения климата Грузии. Кавказский географический журнал, №1, с.35-37.

7. Элизбарашили Э. Ш. Элизбарашили М.Э. 2002а; Реакция различных типов ландшафтов Закавказья на глобальное потепление. Изв. РАН, сер. Географ., №5, с.52-56.
8. Элизбарашили Э.Ш., Элизбарашили М.Э. 2002б; К оценке вероятности опустынивания степных и полупустынных ландшафтов на основе концепции периодического закона географической зональности. Метеорология и гидрология, №11, с.44-48.
9. Элизбарашили Э.Ш., Элизбарашили М.Э. 2003; К вопросу оптимизации метеорологической сети Грузии. Кавказский географический журнал, №3, с.73-75.
10. Elizbarashvili E., Elizbarashvili M., 2001; The Climatological Aspects of the Problems of Desertification of the Natural Landscapes of Eastern Georgia. I International Conference of Ecology and Environmental Management in Caucasus, Tbilisi, Georgia, p.74-76.

უაკ 551.4

ლანდშაფტების კლიმატოლოგია - ახალი მეცნიერული მიმართულება/მ.ელიზბარაშვილი / ჰმის შრომათა კრებული-2007-ტ.111 გვ.101-105,ქართ.რეც:ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში მოცემულია უკანასკნელ წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომებეროვალობის ინსტიტუტის კლიმატის მოდელირების დამორჩატორიაში მიმღინარე სამუშაოების ანალიზი კავკასიის ლანდშაფტების ფორმირების კლიმატური პირობების, ფუნქციონირების, რესურსების პოტენციალის, რეაქციის, და ტრანსფორმაციის კვლევის დარგში, რამაც საფუძველი დაუდო ლანდშაფტების გეოფიზიკის ახალი მიმართულების – ლანდშაფტების კლიმატოლოგის განვითარებას. ლიტ.დას.10

UDC 551.4

Landscape Climatology – New Scientific Direction /M.Elizbarashvili/.Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. 2007-V 111.- p.101-105. –Georg.Summ. Georg., Eng.Russ.

Works dedicated to the problems of climate conditions of formation, transformation, function, reaction towards the global warming of the Caucasus natural landscapes, were carried out during last years at the climate modeling laboratory of the Georgian Institute of Hydrometeorology of the Georgian Academy of Sciences. This research created basis for developing new scientific direction – landscape climatology. Analyses of these works are considered in the Article. Ref.10

УДК 551.4.

Климатология ландшафтов - новое научное направление. /Элизбарашили М.Э./ Сб. Трудов ИГМ АН Грузии. - 2007 – т.111 – с.101-105 – Груз.;рез. Груз. Анг.Русск.

Работы, выполненные в последние годы в лаборатории моделирования климата Института Гидрометеорологии АН Грузии в области исследования климатических условий формирования, климатических закономерностей, функционирования, ресурсного потенциала, реакции и трансформации ландшафтов Кавказа (см. список литературы), положили начало развитию нового научного направления геофизики ландшафтов – климатологии ландшафтов. В статье дан анализ современного состояния и перспективы дальнейших исследований в этой области. лит.10

რ. სამუკაშვილი, ც.დიახესამიძე
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

ঢাঙ্গ 551. 521

**ამონსაგლეთ საქართველოს ჰელიოონერგეტიკული ონსურსების
ფინანსურიზაციული განაწილების თანისებურებანი**

საქართველოს და კერძოდ, მისი აღმისავლეთი ნაწილის პელიოდი ენერგორესურსების შეფასებას და მისი ხედრითი წილის განხაზღვრას ქვეყნის სათბობებურგებიკულ ბალანსში გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. ამის გათვალისწინებით ხვენს მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის (გ.სვანიძე და სხვ. 1987)-ში მიღებული შედეგების და მზის რადიაციაზე (მზის ნათების ხანგრძლივობაზე) შედარებით გრძელპერიოდიანი დაკვირვებების რიგების გამოყენებით გაანალიზდა მზის კადასტრის ძირითადი აარამეტრების (პირდაპირი რადიაციის ინტენსივობა სხივისადმი მართობულ ზედაპირზე, ჯამური რადიაცია, მზის ნათების ხანგრძლივობა) სივრცულდროითი ცვალებადობის თავისებურებები, დაღინდა სტრუქტურული კანონზომიერებები. რის შედეგად პელიოდებურგებიკული რესურსების ტერიტორიული განაწილების არსებულ რეგიონზე შესაძლებელი გახდა ზოგიერთი კორექტივის შექანა, ძირითადად ჯამური რადიაციის წლიური ჯამშის გრადაციების დაზუსტების და დამატებითი პელიოდებურგებიკული ზონის გამოყოფის შედეგად კავკასიონის მადალმთიან ($H>3500\text{მ}$) რაიონში, რამაც შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა სიმძლავრის პელიოდანადგარების რაციონალური განლაგებისა და ეფექტური ექსპლოატაციის არსებული რეკომენდაციების დაზუსტება. პელიოდებურგებიკის განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში პერსპექტიულია, ვინაიდნ იგი მდებარეობს კ.წ. “მზის სარტყელში” (50 ჩ.გ.–50 ს.გ.), სადაც აღინიშნება მზის პირდაპირი რადიაციის მადალი ინტენსივობა და მზის ნათების დიდი ხანგრძლივობა.

მზის სხივური ენერგიის პოტენციალის კადასტრების მეთოდოლოგიური საფუძვლები ჩამოყალიბებულია (Гриневич Г.А. 1956, 1963) –ში, რომლებშიც მზის რადიაციის და ნათების სანგრძლივობის ცვლილებები გაანალიზებულია ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებით მათი დეტერმინირებულ-სტრქასტური ბუნების გათვალისწინებით.

გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირება დაიწყო აქტიონმეტრიული სადგურების ქსელმა (სადგურები—თბილისი, თელავი, სკრა, წალკა, ჯვრის უდელ-ტეხილი, მთ ყაბბეგი), სადაც რადიაციული ბალანსის სხვა მდგენ-

ელებთან ერთად სისტემატური დაკვირვებები ტარდებოდა მზის კადასტრის ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, როგორიცაა მზის პირდაპირი რადიაცია სხივისადმი მართობულ ზედაპირზე და ჯამური რადიაცია პორიზონტალურ ზედაპირზე. აღსანიშნავია, რომ აღმოსაფლეთ საქართველოსათვის ჩვენს მიერ გამოყენებული კადასტრული მონაცემების ხანგრძლივობა (გ.სვანიძე და სხვ. 1987)-ში გაანალიზებული ინფორმაციის ხანგრძლივობასთან შედარებით გაიზარდა 10 წლით.

აქტინომეტრიული ინფორმაციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოღრუბლეულობის საშუალო პირობებში მართობულ ზედაპირზე მზის პირდაპირი რადიაციის S_R თვიური ჯამის $\Sigma_{T S_R}$ სიდიდე მერყეობს დაბლობ რაიონებში 165,0-245,0(XII) და 550,0-465,0(VII) $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში. ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდისას $\Sigma_{T S_R}$ მატულობს და აღწევს დეკამეტრში სადგურ წალკაზე (14578)-253,0, ჯვრის უღელტესების პერიოდში კი (VII) ოროგრაფიული ღრუბლიანობის გავლენის შედეგად მთიან რაიონებში აღინიშნება $\Sigma_{T S_R}$ -ს სიდიდეების შემცირება დაბლობ რაიონებთან შედარებით: იგლისში წალკაზე, ჯვრის უღელტესების და მ/მთ კაზბეგზე $\Sigma_{T S_R}$ -ს სიდიდე მერყეობს 500-550 $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში, მაშინ, როდესაც სადგურ თელავში შესაბამისი ჯამი შეადგენს 560,0 $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ს.

ამავე პირობებში ჯამური რადიაციის Q_0 თვიური ჯამების $\Sigma_{T S_R}$ სიდიდე შესაბამისად მერყეობს დაბლობ რაიონებში 135,0-195,0(XII) და 660,0-750,0(VII) $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში. მთიან რაიონებში დეკამეტრის თვიური ჯამი მერყეობს 200,0-265,0, იგლისის თვიური ჯამი კი 625,0-760,0 $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში.

მოწმენდილი ცის პირობებში $\Sigma_{T S_0}$ და $\Sigma_{T Q_0}$ -ის სიდიდეები აღწევენ მაქსიმალურ მნიშვნელობებს რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს პელიოდანადგარების გამომუშავების ზრდის თვალსაზრისით. $\Sigma_{T S_0}$ -ის სიდიდე მერყეობს დაბლობ რაიონებში 600,0-670,0(XII) და 1060,0-1130(VII) $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში, მთიან და მაღალმთიან რაიონებში კი 740,0-880,0(XII) და 1150,0-1430,0(VII) $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში. ამავე პირობებში ჯამური რადიაციის თვიური ჯამი $\Sigma_{T Q_0}$ მერყეობს დაბლობ რაიონებში 260,0-280,0(XII) და 900,0-950,0(VII) $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში, მთიან რაიონებში კი შესაბამისად 310,0-340,0(XII) და 920,0-1130,0(VII) $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში.

მოღრუბლეულობის საშუალო პირობებში მზის პირდაპირი რადიაციის წლიური ჯამი $\Sigma_{w S_R}$ მერყეობს დაბლობ რაიონებში 4160,0-4540,0, მთიან რაიონებში 4620,0-6175,0 $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის, ხოლო $\Sigma_{w S_R}$ შესაბამისად დაბლობ რაიონებში 4830,0-4960,0, მთიან რაიონებში 5120,0-6430,0 $\text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის საზღვრებში.


მზის სხივისადმი მართობულ ზედაპირზე პირდაპირი რადიაციის ინტენსივობის S_0 ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 6 საათის ტოლი დროის მონაკვეთი, როდესაც იგი 0,42კვტ/მ²-ის, არსებობს მთელი წელიწადის განმავლობაში (ეს პირობა წარმოადგენს ეკონომიკურად ხელსაყრელ და ტექნიკურად გამოსაყენებ მზის ენერგიის ვეინბერგის კრიტერიუმს) ქართლის ვაკეზე და ალაზნის ველზე. ნოემბერი-იანვრის პერიოდში დროის ეს მონაცემი მეტია 6 საათზე, ივნისში კი აღწევს 12 საათს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში (წალკის, ჯვრის უდელტეხილისა და მ/მთ ყაზბეგის სადგურების მონაცემებით) დროის ამ მონაცემთის სანგრძლივობა (როდესაც $S_0 \geq 0,42 \text{კვტ/მ}^2$) ზამთრის პერიოდშიც კი შეადგენს 8-10 საათს.

როგორც გამოთვლებიდან ჩანს, ვეინბერგის კრიტერიუმის განმეორადობის უზრუნველყოფა ალაზნის ველზე და ქართლის ვაკეზე წელიწადის განმავლობაში მერყეობს 60-70%-ის ფარგლებში, ხოლო მთიან და მაღალმთიან რაიონებში აღწევს 90%-ს. ცნობილია, რომ მზის ნათების ხანგრძლივობას დიდი მნიშვნელობა აქვს. როგორც პელიოდენერგიული რესურსების შესწავლის, ასევე იმ ტექნიკურ-კონსტრიქტურული პროცედურების გადაჭრის თვალსაზრისით, რომლებიც აუცილებელია მზის ენერგიის პრაქტიკული აოვისების პროცესში. პელიოდანადგარების რადიაციის მიმღებ ზედაპირებზე მზის სხივური ენერგიის მოსვლის ალბათობის ანალიზი, პელიოდანადგარების შესაძლო მუშაობისა და მოცდენების ჯამური ხანგრძლივობის შეფასება მზის რადიაციის მახასიათებლებთან ერთად (სინქრონულად) აუცილებელია ნებისმიერი კონსტრუქციისა და სიმძლავრის პელიოდანადგარების ნაყოფიერების გაანგარიშებისათვის. ამ მიზნით პელიოგრაფებისა და აქტიონგრაფების ყოველდღიური რეგისტრაციის მასალების ანალიზის საფუძვლებზე ხდება მზის უწყვეტი ნათების და წევეტილობის ხანგრძლივობის რიგების დადგენა და მათი სტატისტიკურალბათური ანალიზი. მზის უწყვეტი ნათებისა ხანგრძლივობის (მუნხ) ალბათობის სიდიდე ქართლის ვაკეზე, ალაზნის ველსა და ივრის ზეგანზე ზამთარში 11-15, გაზაფხულზე და შემოღომაზე 19-26, ზაფხულში 31-37%-ის საზღვრებში მერყეობს. სამხრეთ საქართველოს მთიანეთში და კავკასიონზე (ნინოვწმინდა, ჯვრის უდელტეხილი) ზამთრიდან ზაფხულისაენ ასევე ადგილი აქვს პელიოდანადგარების შესაძლო მუშაობის ხანგრძლივობის ალბათობის ზრდას 12-17%-დან 30-39%-მდე.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პელიორესურსების პოტენციალის მიხედვით გამოყოფილი იქნა 6 ზონა (გ.სვანიძე და სხვ., 1987)-ში მოცემულ 4 ზონას დაემატა კიდევ 2 ზონა. გარდა ამისა 1, 2, 3 და 6 ზონებში შესამჩნევად შეიცვალა ჯამური რადიაციის წლიური ჯამების გრადაციების სიდიდეები. (ნაბ.1). პირველ ზონაში გაერთი-

ანდა ივრის ზეგანი და მესხეთ-ჯავახეთის რაიონის ცენტრალური და სამხრეთ ნაწილები, რომლებიც ხასიათდება მოწმენდილი ამინდის დიდი აღბათობით. ამ ზონაში $\Sigma_w Q_R$ მერყეობს $5100-6000 \text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის, მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა $SS-2200-2500$ საათის საზღვრებში. ეს ზონა უზრუნველყოფს ნებისმიერი ტიპის ჰელიოდანადგარების მაქსიმალური ექსპლოატაციის პირობებს.



მეორე ზონაში შედიან ალაზნის ველი, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის ვაკეები, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ის ნაწილი, რომლებიც პირველ ზონაში არ შედის და მდ. ლიახვის აუზის ზედა წლილი როქის უდელტებილის ჩათვლით. ამ ზონაში $\Sigma_w Q_R$ და SS მერყეობენ შესაბამისად $4800-5000 \text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის და $2200-2400$ საათის საზღვრებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰელიოდანადგარების სტაბილურ ექსპლოატაციას.

მესამე ზონა მოიცავს დიდი და მცირე კავკასიონის წინამთის, დაბალ და შუამთის რაოინებს, ქართლის ვაკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ლიხის ქედის აღმოსავლეთი ფერდობის ჩათვლით. ამ ზონაში $\Sigma_w Q_R$ და SS მერყეობენ შესაბამისად $4700-4900 \text{მჯ}/\text{მ}^2$ -ის და $2000-2200$ საათის საზღვრებში. ამ ზონაში შეიძლება გამოყენებული იქნენ საშუალო და მცირე ზომოს ჰელიოდანადგარები.

მეოთხე ზონა აერთიანებს კავკასიონის ჩრდილოეთი ფერდობის მაღალმთიან ნაწილებს ყაზბეგის, ახმეტის, თელავის და ყვარლის რაიონების ფარგლებში, აქვე შედის ბორჯომის ხეობაც. ამ ზონაში

შესაძლოა ცალკეული სახის მცირე სიმძლავრის პედიოდანა-
დგარების გამოყენება.

მეცნიერებული ზონაში გაერთიანებულია კავკასიონის ისეთი რაიონები,
რომლებიც წელიწადის თბილ პერიოდში ხასიათდებიან ორო-
გრაფიული ღრუბლიანობის ინტენსიური განვითარებით. ამ ზონაში
აღსანიშნავია მდ. არაგვის მაღალმთიანი ნაწილი (სადგურები გუ-
დაური და ჯვრის უდელტეხილი). აქ $\Sigma_w Q_R$ და SS მერყეობენ შესაბა-
მისად 5000-5700მ \ddot{m} /მ 2 -ის და 1800-1900სათის საზღვრებში.

მეცნიერებული ზონა განლაგებულია კავკასიონის მაღალმთიანი სარ-
ტყლის ზედა ნაწილში 3500 მეტრზე ზევით, რაც განაპირობებს ჯა-
მური რადიაციის ზრდას და საერთო მოღრუბლეულობის რაოდენობის
შემცირებას (შესაბამისად მზის ნათების ხანგრძლოვობის ზრდას),
რის შედეგად ამ ზონაში მ/მთ ყაზბეგის მონაცემებით აღინიშნება
აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის $\Sigma_w Q_R$ -ს აბსოლუ-
ტური მაქსიმუმი—6400მ \ddot{m} /მ 2 , მაშინ როდესაც პირველ ზონაში $\Sigma_w Q_R$ -ს
სიდიდე არ აღემატება 6000მ \ddot{m} /მ 2 -ს. ამ ზონაში შშ-ის სიდიდე მერყე-
ობს 2200-2350 სათის საზღვრებში. აქვე ავღნიშნავთ, რომ $\Sigma_w Q_R$ -ს
სიდიდე არის მთავარი ტერიტორიის პელიოდნერგებიკული დარაო-
ნების მახასიათებლებს შორის, ვინაიდან მასში კონცენტრირებულია
მზის ნათების ხანგრძლივობისა და ღრუბლიანობის გავლენა პელიო-
დანადგარის მიერ გამომუშავებულ ენერგიიში.

ლიტერატურა—REFERENCES—ЛИТЕРАТУРА

1. Г.Сванидзе, В.П.Гагуа, Э.В.Сухишвили, 1987., Возобновляемые
энергоресурсы Грузии гелио, ветро- и гидроэнергетические ресурсы. Л.
Гидрометеоиздат, 174с.
2. Г.А. Гриневич 1956. Пути исследования кадастровых характеристик
энергии воды, ветра и солнца. Труды Энергетического Института АНУЗ
ССР, вып. 9. с. 13-28.
3. Г.А.Гриневич 1963. Задачи и принципы исследования характеристик
возобновляющихся источников энергии. Исследования характеристик
режима возобновляющихся источников энергии. Ташкент, изд-во АНУЗ
ССР, с. 6-22.

უაკ 551.521

აღმოსავლეთ საქართველოს პელიოდნერგებიკული ტერიტორი-
ული განაწილების თავისებურებები. /რ.სამუკაშვილი, ც.დაისამიძე/ პმი-ს
შრომათა კრებული 2007, გ.111,გვ.106-111, ქართ., რეზ., ქართ., ინგლ., რუს.
ჩატარებულია აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დარაიონება პელიო-
დნერგებიკული პოტენციალის მიხედვით. შესაბამის სქემაზე რუსულება
მოყოფილია 6 ზონა. პელიოდული განვითარების მაღალი დონით ხასიათდებიან
ივრის ზეგანი, მესხეთ-ჯავახეთის ცენტრალური და სამხრეთი ნაწილები, კავ-
კასიონის მაღალმთიანი ზონა. ნახ.1, ლიტ. დას. 3.

UDC 551. 521

The peculiarity of territorial distribution of helioresources the eastern Georgia
/R.Samucashvili, Ts. Diasamidze/ Transaction of the institute of Meteorology of Georgia
Academy of sciences.2007, v.111,p.106-111, Georg:, sum.Georg., Eng., Russ.

The territory of Eastern Georgia is divided into districts according to the helioenergetic potential. Six zones are given on the thematic map. The level of helioresources central and southern parts of Meskhet-Javakhety high-mountains zone of the Caucasus. Tab.2, Ref. 3.

Удк 551. 521

Особенности территориального распределения гелиоэнергетических ресурсов Восточной Грузии. /Р.Д. Самукашвили, Ц.О. диасамидзе/ Сборник трудов ГМИ. 2007- т. 111 , стр.106-111, Груз., рез., Груз.,Англ., Русск.

Проведено районирование территории Восточной Грузии по потенциалу гелиоэнергетической ресурсов. На соответствующей схематической Карте выделено 6 зон. Высоким уровнем гелиоресурсов характеризуются Иорское плоскогорье, Центральная и южная части Месхет-Джавахети, высокогорная зона Кавкасионы. Рис. 1, лит. 3.

რ. სამუკაშვილი, ც. დიასამიძე
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551. 582.

**ჯამური რადიაციის ცელილებების თავისებურებები მასხათ-
ჯავახეთის რაიონებში მომზადები ცის პირობებში**

საქართველოს ტერიტორიის მესხეთ-ჯავახეთის ნაწილისათვის, სა-
დაც დაგეგმილია საკომუნიკაციო სახით სისტემების (ნავთობსადენი,
გაზსადენი) მშენებლობა ჩვენს მიერ გაანალიზებული იქნა მზის ჯამ-
ური რადიაციის ($Q_0=S_0^Z+D_0$, სადაც S_0^Z წარმოადგენს მზის
პირდაპირ რადიაციას პორიზონტალურ ზედაპირზე, D_0 კი -
გაბნეულ რადიაციას ამავე ზედაპირზე) ინტენსივობის საშუალო
სიღიდეები მოწმენდილი ცის პირობებში (დაკვირვების ვადა 12სთ.
30წთ.), როდესაც ადგილი აქვს ვარიაციას მაქსიმუმს. საყრდენ მასალად
გამოყენებული იქნა საქართველოს აქტინომეტრიული ქსელის
მრავალწლიური დაკვირვებების მონაცემები (1953-1991 წლები) ჯამურ
რადიაციაზე აღნიშნულ ვადაზე მოწმენდილი ცის პირობებში.
წელიწადის ყველა თვისათვის (I-XII) ჯამური რადიაციის
მაქსიმალური სიღიდეების ცელილებების კანონობრივებები
დადგენილი იქნა მშენებარე და დაგეგმილი საკომუნიკაციო
სისტემების გასწვრივ ან მახლობლად განლაგებული შემდეგი
პუნქტებისათვის: გარდაბანი (300მ.), თეთრი წყარო (1140მ.), წალკა
(1457მ.), ნინოწმინდა (2100მ.), ბაკურიანი (1665მ.), ახალციხე (982მ.) და
თბილისი (430მ.). აქტინომეტრიული სადგურების-თბილისი, წალკა,
ჯვრის უღელტეხილი (2385მ.ზ.დ.) და მ/მთ. ყაზბეგი (3653მ.ზ.დ.) ჯამუ-
რი რადიაციის ინტენსივობაზე მრავალწლიური დაკვირვებების ინფო-
რმაციის გამოყენებით მოწმენდილი ცის პირობებში (დაკვირვებების
აქტინომეტრიული ვადა 12სთ. 30წთ.) დადგენილი იქნა ჯამური რადი-
აციის ინტენსივობის იგვატ/ მ^2 ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე
(კმ) დამოკიდებულების სახეები, რიმელთა საშუალებით ტრასის გა-
სწვრივ ან მის მახლობლად განლაგებული პუნქტებისათვის ინტერ-
პოლაციის მეთოდის გამოყენებით განისაზღვრა ი-ის სიღიდეები.

როგორც ცნობილია [Пивоварова З.И., 1977], მოწმენდილი ცის პირ-
ობებში დამხმარე (საყრდენ) პუნქტებზე ვარიაცია გაზომილი ინტენსივ-
ობებით შესაძლებელია განისაზღვროს მისი სიღიდეები მათგან გარ-
კვეულ მანძილზე დაშორებულ საკვლევ პუნქტებში. დადგენილია,
რომ საყრდენ და საკვლევ პუნქტებს შორის დაშორების მანძილი,
რომელზედაც უზრუნველყოფილი იქნება ვარიაციის სას-

ურველი სიზუსტე (0,5 და $\eta=0,25$, სადაც არის საშუალო კვადრატული გადახრა, η -ინტერპოლაციის ცდომოლების სიდიდე პუნქტებს შორის ოპტიმალური მანძილის შემთხვევაში) შეადგენს ზაფხულის თვეებში 300კბ-ს, ხოლო ზამთრის თვეებში 400კბ-ს. ამ ხერს სშირად მიმართავენ რადიაციულ კლიმატოლოგიაში იმ საკვლევ პუნქტებში ინსოლაციის დონის გაბაზაზღვრის მიზნით, სადაც არ გარდება სათანადო აქტინომეტრიული გაზომვები.

ცხრ.1-ში მოცემულია Q_0 -ის საშუალო ინტენსივობა თვეების მიხედვით შეადგის საათებში (დაგვირვების ვადა 12სთ. 30წთ.) საკვლევ პუნქტებში და ჯამური რადიაციის მაქსიმალური (შესაძლო) ინტენსივობა. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდისას ჯამური რადიაციის საშუალო და მაქსიმალური ინტენსივიბა მატულობს.

ცხრილი 1. ჯამური რადიაცია მოწმენდილი ცის პირობებში ($\text{ვატ}/\text{მ}^2$), დაგვირვების ვადა 12სთ. 30 წთ.

თვე		3 უ ნ ე ტ ი						
		გარდაბანი	თვეთრი წყარო	წალება	ნინოვმინდა	ბაკურიანი	ახალციხე	თბილისი
საშუალო ინტენსივობა	H,მ	300	1140	1457	2100	1665	982	450
	I	445	510	525	560	535	490	460
	II	558	628	650	685	660	630	565
	III	768	802	825	870	845	795	775
	IV	880	935	950	980	960	935	890
	V	910	985	1010	1050	1015	975	930
	VI	921	1010	1020	1060	1045	990	935
	VII	880	965	985	1020	995	955	915
	VIII	840	880	920	960	930	895	850
	IX	740	795	810	840	830	785	755
	X	615	680	690	720	700	655	625
	XI	460	515	540	560	545	500	470
	XII	360	420	440	475	450	400	375
მაქსიმალური ინტენსივობა	,მ	300	1140	1457	2100	1665	982	450
	I	490	560	580	595	585	550	505
	II	810	695	715	755	730	670	650
	III	935	870	895	920	905	860	840
	IV	980	985	1005	1060	1030	975	945
	V	990	1040	1050	1115	1075	1010	990
	VI	960	1050	1090	1145	1100	1040	1010
	VII	895	1025	1055	1095	1065	1005	975
	VIII	800	975	1005	1045	1010	960	910
	IX	660	860	895	935	910	845	815
	X	520	730	745	790	760	705	680
	XI	450	585	585	615	595	560	535
	XII	360	485	500	540	510	475	465

Q₀-ის მაქსიმუმი წელიწადის განმავლობაში აღინიშნება პუნქტი ნინოწმინდაში, მინიმუმი - გარდაბანში. ფიქსირებულ აბსოლუტურ სიმაღლეზე ჯამური რადიაციის საშუალო მაქსიმალური ინტენსივობა განიცდის გარკვეულ რყევებს: სადგურ წალკაში ივლის-აგვისტოში (12სთ. 30წთ.) Q₀-ის ინტენსივობა დაკვირვებების პერიოდში (1954-1991 წლები) მერყეობდა შესაბამისად 880-1060გატი/მ²-ის და 824-1005 გატი/მ²-ის საზღვრებში. აღსანიშნავია, რომ ჯამური რადიაციის რეგვები მოწმენდილი ცის პირობებში გაპირობებულია ატმისფეროს ფიზიკური მდგომარეობის (გამჭვირვალობა, სიმღვრივე) ცვლილებებით.

როგორც დამოკიდებულების Q₀=f(H)ანალიზი გვიჩვენებს, ისინი შეიძლება ანალიზურად წარმოდგენილი იქნენ მეორე რიგის პარაბოლის (Q₀=a+bH+cH²)სახით. რომელშიც შემავალი კოეფიციენტები წელიწადი განმავლობაში იცვლებიან გარკვეულ საზღვრებში.

(o.შეგველია, 1998)-ში აგებული იქნა მოწმენდილი ცის შემთხვევაში ჯამური რადიაციის ველის მოდელირების სქემა, ხოლო მისი საშუალებით რადიციული ველის სივრცით-დროითი მოდელი. ინტეგრალური ჯამური რადიაციისათვის (Q₀) დაღენილი იქნა მისი აღგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე ()დამოკიდებულების შემდეგი ანალიზური სახე:

Q₀=aH^b რიმელშიც a და b არიან ემპირიული პარამეტრები. ამ გამოსახულებით გამოოვლილ და სქემით მიღებულ რადიაციის მნიშვნელობებს შორის საშუალო კვადრატული გადახრა (σ) ივლისში შეადგენს 30,9გატ/მ². რადიციის პაროქსიმირებულმა და გაზომილმა მნიშვნელობებმა ივლისში შეადგინა თბილისისათვის 928 და 943გატ/მ², წალკასათვის-946 და 960გატ/მ².

ჯამური რადიაციის ინტენსივობის (Q₀) წლიური სვლა სადგურებში თბილისი და წალკა გვიჩვენებს, რომ ორივე პუნქტში წელიწადის პირველ ნახევარში იგი მონოტონურად იზრდება (აღწევს მაქსიმუს ივლისში), მეორე ნახევარში კი ასევე მონოტონურად მცირდება (აღწევს მინიმუს დეკემბერში), რაც განპირობებულია მზის სიმაღლის და შესბამისად S₀'-ის წლიური ცვალებადობის თავისებურებებით. Q₀-ის წლიური სვლის ეს კანონზომიერება, როგორც ცხრ.1-ში, მოყვანილი ინფორმაციის ანალიზიდანაც ჩანს, სამართლიანია დაბლობი და მთიანი რაიონებისათვის. ივლისში ი-ის საშუალოთვიური ინტეგნივობა თეთრწყაროში 2,3-ჯერ, ნინოწმინდაში 2,1-ჯერ, წალკაში და ბაკურიანში 2,2-ჯერ, ახალციხეში, გარდაბანში და თბილისში 2,4-ჯერ მეტია დეკემბრის შეაბამის მნიშვნელობებზე. ანალოგიურ კანონზომიერებას აქვს აღგილი ჯამური რადიაციის მაქსიმალური ინტენსივობის შემთხვევაშიც.

Q₀-ის ყოველდღიური საშუალო მნიშვნელობები (დაკვირვების ვადა 12სთ. 30წთ.) ივლისში და აგვისტოში კლებულობენ თვის პირველი რიცხვიდან ბოლო რიცხვის ჩათვლით, რაც გამოწვეულია

წელიწადის მეორე ნახევარში მზის სიმაღლის კლებით. ივლისში და აგვისტოში დაკვირვების აღნიშნულ ვადაზე 0-ის სიდიდე იცვლება შესაბამისად გარდაბანში 950-850 და 850-740, წალკაში 1070-940 და 940-810, ახალციხეში 1030-880 და 880-780, თერმიკოში 1050-900 და 900-800, ბაკურიანში 1085-940 და 940-830, ნინოშინდაში 1120-960 და 960-870გაზ/მ²-ის საზღვრებში. 0-ის მინიმუმი აღინიშნება გარდაბანში, მაქსიმუმი—ნინოშინდაში.

ლიტერატურა—REFERENCES—ЛИТЕРАТУРА

1. შენგელია ი., 1998, ჯამური სპექტრალური რადიაციის ცვლილება ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლის მიხედვით. საქ. მეცნ. აკად. პმი-ს შრომები, ტ. 101, გვ. 184-187.
2. Пивоварова З.И., 1977, радиационные характеристики климата СССР.Л., Гидрометеоиздат, 335 ст.

უაკ 551.582

ჯამური რადიაციის ცვლილებების თავისებურებები მესხეთ-ჯავახეთის რაიონში მოწმენდილი ცის პირობებში. /რ. სამუხაშვილი, ც. დაისამიძე/ პმი-ს შრომათა კრებული 2007, ტ.111, გვ.112-115, ქართ., რუს., ქართ., ინგლ., რუს.
მესხეთ-ჯავახეთის რაიონში მშენებარე საკომუნიკაციო სისტემების (ნავთობ-დამზადები, გაზსადენი) მიმდინარე ზონაში განლაგებული 7 პუნქტისათვის დადგენილია ჯამური რადიაციის საშუალო და მაქსიმალური ინტენსივობის ცვლილებების თავისებურებები, ადგილის სიმაღლეზე დამიკავშირებულებით მოწმენდილი ცის პირობებში (დაკვირვების ვადა 12სთ. 30წთ.). სიმაღლის ზრდისას ადგილი აქვს ინტენსივობის მატებას. ცხრ..1, ლიტ. დას. 2.

UDC. 551. 582

The peculiarity of change of total (summary) radiation in Meschet-javahety region in condition of clear sky /R. Samucashvili, Ts. Diasamidze/. Transaction of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. –2007, Vol.111, p.112-115, Georg., Summ,Georg., Eng., Russ.

To 7 stations disposed in zone of communication lines (oilpipe – line, gas pipeline) will be constructed peculiarity of total radiation in dependence to absolute height in case of clear sky (date of observation 12h. 30 min.) In case of increase of altitude observe it increasing of intensivity. Tab.1, Ref. 2.

Удк. 551. 582

Особенности изменения суммарной радиации в Месхет-Джавахети - районе в условиях ясного неба. /Р.Д. Самукашвили, Ц.О. диасамидзе/ Сборник трудов ИГМ Грузии. 2007- т.111, стр.112-115, Груз., рез., Груз., Англ., Русск.

Для 7 пунктов, расположенных в зоне строящихся коммуникационных систем (нефтепровод, газопровод) установлены особенности изменения средней и максимальной интенсивностей радиации взависимости от абсолютной высоты места в случае ясного неба (срок наблюдения 12ч. 30 мин.) При росте высоты места наблюдается рост интенсивности. Таб. 1, лит. 2.

რ.სამუკაშვილი

უკა 551. 584.
მდინარე ენგზოს აუზის და გალის ტყებისა და გევების ზედაპირიდან
აღრთმდებარების თავისებურებები

ბუნებრივ პირობებში შედარებით მცირე ფართობის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების ინტენსივობა და სიდიდე დამოკიდებულია ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში მიმდინარე თერმოდინამიკური პროცესების თავისებურებებზე. ასეთი ზომის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების ხელშეკრულობით სიდიდე მათი წყლის ბალანსის ფორმირებაში უმნიშვნელოა, თუმცა, მიუხედავად ამისა, იგი თავისი აბსოლუტური სიდიდით შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი. ამის გათვალისწინებით აორთქლების ინტენსივობისა და სიდიდის შეფასებას გააჩნია აქტუალური მნიშვნელობა მიმდებარე ტერიტორიის პარასტერი ტენიანობის რეჟიმის ფორმირებაში. ბუნებრივ პირობებში წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების პროცესზე დაკავირვებების შედეგად დადგენილია აორთქლების სიდიდის დამოკიდებულება ქარის სიჩქარეზე, წყლის ზედაპირისა და პარასტერი ტემპერატურების სხვაობის და პარასტერის ტენიანობის დეფიციტის სიდიდეზე.

წეალსაცავებიდან წყლის ორთქლების სიდიდე განისაზღვრება მცურავი ამაორთქლებლების საშუალებით. ამ მეორედით მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამაორთქლებლიდან და წეალსაცავიდან მიმდინარე აორთქლების ინტენსივობისა და სიდიდის იდენტიფიკაციას. იმის დადგენა, თუ რა სიზუსტით ასახავს ამაორთქლებლის საშუალებით აორთქლების პროცესების მოღვაწეობა ბუნებრივ პირობებში წეალსაცავიდან მიმდინარე აორთქლების პროცესს (ე.წ. რედუქციის კოეფიციენტების განსაზღვრის საკითხს).

აორთქლებაზე დაკვირვებების ინფორმაციის არ არსებობის შემთხვევაში აორთქლების სიდიდის გამოსათვლელად გამოიყენება ტურბულენციური დიფუზიის, სითბური ბალანსის, წყლის ბალანსისა და პიდრომეტეოროლოგიური მეთოდები. ამ მეთოდებიდან პიდრომეტეოროლოგიურ მეთოდს გააჩნია გარკვეული უპირატესობა, რაც განაპირობა მისმა სიმარტივემ და გამოთვლებისათვის აუცილებელი პიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის არსებობაში.

ლი ზედაპირის დინამიური მახასიათებლები და მეტეოროლოგიური ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, ქარის სიჩქარე) ვერტიკალური განაწილების თავისებურებები. ამ მეთოდით წყლის ორთქლის გადატანა განისაზღვრება განტოლებიდან:

$$E = \rho K \frac{de}{dz}, \quad (1)$$

სადაც ρ არის ჰაერის სიმკერივე, K – ტურბულენტური დიფუზიის კოეფიციენტი, $\frac{de}{dz}$ – ჰაერის ტენიანობის ვერტიკალური გრადიენტი.

გრადიენტული დაკვირვებების ორგანიზაციის სიძნელეები მნიშვნელოვნად ამცირებენ ტურბულენტური დიფუზიის მეთოდის ფართო გამოყენების შესაძლებლობებს.

წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლების პროცესის შესასწავლად გამოიყენება სითბური ბალანსის განტოლებაც:

$$R \pm LE \pm P \pm \theta = 0, \quad (2)$$

რომელშიც R არის წყლის ზედაპირის რადიაციული ბალანსი, LE – აორთქლებაზე დახარჯული ან კონდენსაციის შედეგად გამოყოფილი სითბოს რაოდენობა, P – ტურბულენტური სითბოს ნაკადი, θ – სითბოს ნაკადი წყლის ზედაპირსა და წყლის მასას შორის. (2)-ში შემავალი კომპონენტების გამოსათვლელად აუცილებელია აქტინომეტრიული, გრადიენტული, რეიიდული და მეტეოროლოგიური დაკვირვებების ინფორმაცია. ამ გამოსახულებიდან LE -ს სიდიდე განისაზღვრება როგორც ნაშთური წევრი. R განისაზღვრება აქტინომეტრიული დაკვირვებების მონაცემებით, P და θ გამოითვლებიან შემდეგი განტოლებებიდან:

$$P = -C_p \rho K_T \frac{\partial T}{\partial Z}, \quad (3)$$

$$\theta = K^* \rho^* c^* \frac{\partial T^*}{\partial Z}, \quad (4)$$

რომელშიც C_p არის ჰაერის სითბოტევადობა მუდმივი წნევის პირობებში, ρ და T არის სიმკერივე და ტემპერატურა, K_T – თბოცვლის კოეფიციენტი, K^* , ρ^* , c^* და T^* – შესაბამისად წყლის თბოცვლის კოეფიციენტი, სიმკვრივე, ხელდროითი სითბოტევადობა და ტემპერატურა. და ბოლოს, წყალსაცავიდან აორთქლების სიდიდე მრავალწლიური პერიოდისათვის შესაძლებელია გამოთვლილი იქნეს წყლის ბალანსის განტოლებიდან:

$$Z=X+Y_S-Y_m$$

(5)

რომელშიც Y_S და Y_m არის წყალსაცავში შემოსული და წყალსაცავიდან გასული წყლის რაოდენობა, X -წყალსაცავზე მოსული ნალექების ჯამი, Z -წყალსაცავის ზედაპირიდან აორთქლების შედეგად წყლის მასის დანახარჯი. ბალანსის Y_S და Y_m მდგრენელები შედგებიან ზედაპირული და მიწისქვეშა ნაწილებისაგან, რომელთა განსაზღვრის სიზუსტე, განსაკუთრებით მიწისქვეშა კომპონენტების შემთხვევაში რთულია და ხშირ შემთხვევაში ძნელად გადასაჭრელ ამოცანას წარმოადგენს, განსაკუთრებით მთიანი რეგიონის წყალსაცავებისათვის, რომელთა გეოლოგიური და ტექტონიკური სპეციფიკა განაპირობებს წყლის ფილტრაციის ინტენსიურ პროცესებს, რაც ამცირებს Y_S და Y_m მდგრენელებისა და აორთქლების სიდიდის განსაზღვრის სიზუსტეს, რომლის ხევდრითი წილი სხვა მდგრენელებთან შედარებით წყლის ბალანსის ფორმირებაში განუხომდად მცირეა: მაგალითად, სიონის წყალსაცავისათვის აორთქლების წლიური სიდიდე შეადგენს წყლის საერთო რაოდენობის 1,5%-ს.

მთის მდინარეების ჩამონადენის განსაზღვრის ცდომილება, როგორც წესი, 5%-ზე მეტია. ამ შემთხვევაში(5) განტილებიდან აორთქლების სიდიდის გამოთვლა, როგორც ნაშთური წევრისა, მიუდგენია ვინაიდან Y_S და Y_m განსაზღვრის ცდომილება რამდენჯერმე აღემატება საძიებელი აორთქლების სიდიდეს, რის გამოც აღნიშნული მეთოდი დამაკმაყოფილებელ შედეგებს იძლევა მხოლოდ გაუმდინარე წყალსაცავებისა და ტბების შემთხვევაში.

ჯერის, გალისა და ხუდონის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთქლების ოფიციური და წლიური სიდიდეები გამოიგლილი იქნა ჰიდრომეტეროლოგიური მეთოდით, შემდგვი ფორმულის დახმარებით:

$$E=0,14n(l_0-l_{200})(1+0,72U_{200}), \quad (6)$$

რომელიც ამყარებს ფუნქციონალურ კავშირს აორთქლების სიდიდეს E , წყლის ზედაპირიდან 200სმ სიმაღლეზე წყლის ორთქლის დრეკადობასა (l_{200}), წყლის ზედაპირის ტემპერატურით განსაზღვრულ წყლის ორთქლის მაქსიმალურ დრეკადობასა (l_0) და იმავე სიმაღლეზე ქარის (U_{200}) სიდიდეებს შორის. აღნიშნული პარამეტრების სიდიდეები იზომება წყალსაცავის აკვატორიაზე ან სანაპიროს ტერიტორიის რამდენიმე წერტილში.

წყალსაცავების განლაგების რაიონისათვის საჭირო მეტეოროლოგიური ელემენტებისა და აორთქლების სიდიდეების გამოსათვლელად მდ. ენგურის აუზისათვის დაგენილი იქნა მათი ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულებების კანონზომიერებები. ამავე მიზნით გამოყენებული იქნა სადგურ ხუბერში, რეწეში და ფრცხელ-წერში წყლის ზედაპირის ტემპერატურაზე და აორთქლებაზე

წარმოებული დაკვირვებების მონაცემები. ფორმულა (6)-ში პაერის ტემპერატურა t_{200} არ ჟედის, მაგრამ მისი ცოდნა აუცილებელია წყლის ზედაპირის ტემპერატურის დასადგენად, რომლითაც გამოითვლება პაერის აბსოლუტური ტენიანობის მაქსიმალური სიდიდე ლი. ამ მიზნით კავკასიის მთიან და დაბლობ რაიონებში არსებული ამაოროთქლებელი აუზისათვის წყლის ზედაპირის და პაერის ტემპერატურებზე სინქრონული სისტემატური და ეპიზოდური დაკვირვებების მონაცემების გამოყენებით დადგენილ იქნა დამოკიდებულებების ტფ=ფ(ტ₂₀₀) ანალიზური სახეები. გარდა ამისა, საკვლევი წყალსაცავების წყლის ზედაპირიდან 200სმ სიმაღლეზე ქარის სიჩქარის საშუალო თვიური სიდიდეები \bar{U}_{200} გამოთვლილი იქნა $\bar{U}_{200} = K_1 K_2 K_3 U_f$ გამოსახულების დახმარებით, რომელშიც U_f –არის ქარის საშუალო თვიური სიჩქარე ფლუგერის სიმაღლეზე (9-12მ) K_1 , K_2 , K_3 წარმოადგენენ პარამეტრებს, რომლებიც ითვალისწინებენ მეტეოროლოგიური სადგურის დაცვის ხარისხს (K_1), სადგურის განლაგების რაიონის რელიეფის თავისებურებებს (K_2), პაერის ნაკადის წყალსაცავის ზედაპირზე საშუალო განარებების სიდიდეს (K_3). (Метревели Г. С. 1985)

მდ. ენგურის აუზისათვის 268-1441მ სიმაღლეთა დიაპაზონში ინსტრუმენტალური დაკვირვებებისა და ოეორიული გათვლების შედეგად მიღებული მონაცემების გამოყენებით დადგენილი იქნა წყალსაცავებიდან აორთქლების წლიური სიდიდეების ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე დამოკიდებულების სახ:

$$h = 872,2 \ell^{-0,312H}, \quad (7)$$

რომელშიც h (აორთქლების ფენის სიდიდე) მოცემულია მმ–ში, H – კი კმ–ში. გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ 0,1კმ სიმაღლეზე h შეადგენს 870მმ, 0,4კმ–ზე 750მმ, 1კმ–ზე 558მმ, 1,4კმ–ზე 513მმ.. ამრიგად საკვლევი წყალსაცავების განლაგების რაიონში ადგილის აბსოლუტურ სიმაღლის ზრდასთან ერთად აღინიშნება აორთქლების წლიური სიდიდის შემცირება 357მმ-ით.

აღსანიშნავია, რომ 1981-86 წლების პერიოდში ჯვრის წყალსაცავიდან უქცევრიმენტული მონაცემების თანახმად აორთქლების მოცემულობამ საშუალოდ შეადგინა იანვარში –0,29, აპრილში –0,27, ივლისში –0,97, ოქტომბერში –0,71 მლნ.მ³.

ლიტერატურა—REFERENCES—ЛИТЕРАТУРА

1. Метревели Г.С. 1985 Водохранилища Закавказья. Л. Гидрометеоиздат. 13 ст.

უაკ 551.584

მდინარე ენგურის აუზის და გალის წყალსაცავების ზედაპირიდან აორთ-ქლების თავისებურებები. /რ.სამუხვილი/ პმი-ის შრომათა ქრებული 2007, გ.111, გვ.116-120, ქართ., რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

წყალსაცავებიდან აორთქლების სიდიდის შეფასებას გააჩნია დიდი მნიშვნელობა მიმდინარე ტერიტორიაზე პაერის ტენიანობის ფორმირებაში. ჯვრის, ხელონისა და გალის წყალსაცავებისათვის დადგენილია აორთქლების სიდიდის ადგილის აბსოლუტურ სიმძლეებზე დამოკიდებულების თავისებურება. ლიტ. დას.1.

UDK 551.584

The peculiariti of evaporation from surfaces of of the river Enguri Basin und Gali reservoir /R. Samukashvili/. Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. 2007, v.111, p.116-120, eorg. Summ. Georg., Eng., Russ.

The estimation of evaporation from reservoirs has great meaning in forming of the air moustoure in the adjoinig territory. The peculirity of dependence of evaporation value on absolute altitute of plase is Settled for Jvari, Khudoni and Gali reservoirs.

УДК 551. 584.

Особенность испарения с поверхности водоемов бассейна реки Ингури и Гали. /Р. Д. Самукашвили/ Сб. Трудов института Гидрометеорологии Грузии, -2007, -т.,111-с.116-120 ,Груз., рез. Груз., Анн., Русск.

Оценка величины испарения с водоемов имеет большое значения в формировании влажности воздуха на прилегающей территорией. Для водохранилищ Джвари, Худона и Гали установлены особенности зависимости величин испарения от абсолютной высоты места. лит.1.

რ.სამუკაშვილი, ც.დიასამიძე
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

ঢাঙ্গ 551. 582

მეტის სპეციალის ულტრაიდისზევრი და ახლოინფრაზიტელი არეალის
ჰალიოთერაპიაში გამოყენების პრისტიციზები საჩართველოს
მთიან პურილებები

საქართველოს მთიანი რაიონების საკურორტო რესურსების რაციონალური გამიყენება მოითხოვს ბიოკლიმატური პოტენციალის განსაზღვრას, რომელიც წარმიაღდებს ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე გეოგრაფიული გარემოს მეტეოროლოგიური და რადიაციული ფაქტორების გავლენის ინდიკატორს. ამის შედეგად ისეთი ბიოკლიმატური მახასიათებლის გარდა, როგორიცაა ნორმალური ჰქვივალენტური ეფექტური ტემპერატურა, რომელიც დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე, ფარდობის ტენიანობაზე და ქარის სიჩქარეზე, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული მზის ინტენსიური რადიაცია (რომელიც მთიან ან მაღალმდიან რაიონებში დაბალი თერმული ფონის პირობებში თამაშოს მნიშვნელოვან ექოლოგიურ როლს კლიმატის კომფორტული პირობების ფორმება) და აგრეთვე მზის სკექტრის ულტრაიისფერი და ახლო ინფრაწილები არები, რომელთაც გააჩნია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე გარკვეული ბიოლოგიური ზემოქმედების უნარი. აღსანიშნავია, რომ პრობლემების ასეთ ასკექტში განხილვა საშუალებას იძლევა დადგინდეს გარკვეული კორელაციური და ფუნქციონალური კავშირები კლიმატის მახასიათებლებსა და ადამიანის სითბური და ფიზიოლოგოური მდგომარეობის ამსახველ პარამეტრებს შორის (ტანისამოსის კომფორტული ლიმიტი, კლიმატორეაპიული პროცედურების დოზირება და სხვა).

საქართველოს მთიან და მაღალმთიან კურორტებზე ზოგადად და კერძოდ, რადიაციული კლიმატის თავისებურებების გათვალისწინების გარეშე არ შეიძლება ნორმალურად იქნეს ორგანიზებული მოსახლეობის სამეცნიერო საქმიანობა, მისი ყოფითი და დასკვნების პორტები. მზის სხივური ენერგიის. როგორც დაბალი, ასევე მაღალი ინტენსივობა, ხანგრძლივი ან ხანმოკლე მოქმედება ხელს უშლის მცენარეულობისა და ცხოველური ორგანიზმების ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ამიტომ ადამიანის ფიზიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით მზის სხივური ენერგიის ოპტიმალური დოზირების საკითხს, როგორც ინტენსიური ნაკადის, ასევე მისი სპეციალური ნაწილების (ულტრააირფფრი, ახლოინფრალური არები) შემთხვევ-

ვაში აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა კურორტოლოგებისა და პიგი-ენისტებისათვის ყოველდღიური კლიმატო-ტერაპიული პროცედურების დანიშვნის პრაქტიკაში. გსათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოს მთიან კურორტებზე ადგილის სიმაღლის მატების პარალელურად აღინიშნება მზის სხივური ენერგიის როგორც ინტეგრალური ნაკადის, ასევე მისი ულტრაინფერი და ახლოინფრაწიოლი ნაწილების ინტენსივობის ზრდა, რაც საჭიროებს კლიმატორგობაში სათანადო კონტროლის დაწესებას მოსალოდნელი ხეგატიური შედეგების პროფილაქტიკის მიზნით. ცნობილია, რომ მზის სიმაღლის მატებისას 15-60 -ის ფარგლებში ულტრაინფერი რადიაციის ინტენსივობა მატულობს თოვქმის 20-ჯერ. გარდა ამისა, მთიან რაიონებში აბსოლუტური სიმაღლის ზრდისას ყოველ 100მ სიმაღლეზე ულტრაინფერი რადიაციის ინტენსივობა მატულობს 3-4%-ით (Гурский А.В. и др. 1985). ამასთან ერთად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მზის სიმაღლის ზრდის პარალელურად ადგილი აქვს ულტრაინფერ სპექტრში შედარებით მოკლეებადლების წილის ზრდას, რაც აძლიერებს მისი მოქმედების კლინიკურ ეფექტს: იზრდება მისი ბაქტერიოციდული ზემიქმედება პათოგენურ მიკროფლორაზე, რომელიც შეიძლება იყოს ნიადაგში, წყალში, ჰაერში, ადამიანისა და ცხოველების კაზე და ლორწოვან გარსზე. სისტი (მოკლეებადლიანი) ულტრაინფერი სხივების მოქმედებისას ადგილი აქვს პაერში შეგრინარებული მტერის ნაწილაკებიდან (აეროზოლი) ელექტრონების ამოგლეჯვას, რომლებიც პაერის შემაღებენ გაზების მოლექულებთან შეერთების (ასოციაცია) შედეგად წარმოქმნიან უარყოფითად დამუხტეულ იონებს-აეროზოლებს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ადამიანის ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემებზე, პიპერტონით დაავადებულ ავადმყოფებზე, ბრონქიალურ ასთმაზე, ადამიანის ზემო სასუნთქ გზებზე (აეროიონოლოგია).

ულტრაინფერი რადიაციის სპექტრალური არე ბიოლოგიური აქტივობის მიხედვით იყოფა სამ ნაწილად, რომლებიც მოიცავს 0,315-0,400; 0,280-0,315 და 0,280მმ-ზე ნაკლებ ტალღების დიაპაზონებს. მისი მოკლეებადლიანი ნაწილის ზემოქმედების შედეგად ცოცხალორგანიზმებში ხდება ცილის მოლექულების დაშლა (რაც იწვევს ორგანიზმის დაღუპვას), სინთეზური მასალების, ლაქსალებავების და ტანსაცმლის ინტენსიურ რღვევას. ულტრაინფერი რადიაციის გაფლენა მცენარეებზე, ცხოველებზე და ადამიანებზე დამოკიდებულია მისი ღოზირების დონეზე: მისი არასაკმარისი ღოზირება ბავშვებში იწვევს რაქიტის განვითარებას (რაც ცნობილია “მზის სიმშრალის” სახელწოდებით), ჭარბი ღოზირება კი კანის კიბოს. ულტრაინფერი რადიაციის ზომიერი ღოზირება ადამიანის ორგანიზმში ამაღლებს მის მდგრადობას ინფექციური დაავადებების მიმართ, ნივთიერებათაცვლის პროცესებს, საერთო ტონუსს და შრომის უნარიანობას. აღ-

სანიშნავია, რომ ულტრაიისფერი რადიაციის მოკლებალღიანი ($\lambda < 0,287\text{მ} \mu\text{m}$) ნაწილის გადამეტებული დოზირება აფერხებს, ხოლო გრძელტალღიანი ნაწილი ($\lambda = 0,315-0,400\text{მ} \mu\text{m}$) ხელს უწყობს მცენარეების ზეფასების შედეგად ერებში. ერთი ერთ შეესაბამება $0,297\text{მ} \mu\text{m}$ ტალღის სიგრძის და ერთი ვატის სიმძლავრის ულტრაიისფერი რადიაციის მაქსიმალურ ერითემულ ეფექტურობას. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება მილიერი-ათასჯერ ნაკლები ერთეული. ერითემული ულტრაიისფერი რადიაციის ($\lambda = 0,297\text{მ} \mu\text{m}$) ინტენსივობა მილიერი/ მ^2 , დოზა კი-მილიერი/სთ. მ^2 ერთეულებში. მიღებულია, რომ ზღვრული ერითემულის მისადებად (სუსტად პიგმენტირებული კანის ძლივს შესამჩნევი გაწითლება) საჭიროა 80 მილიერი/ მ^2 -ზე ტოლი ბიოდოზა.

ყოფილი საბჭოთა აკადემიის 160 პუნქტისათვის (Белинский В. А. 1972)-ში რადიაციული მოდელის გამოყენებით გამოვლილია პირდაპირი, გაბნეული და ჯამური ულტრაიისფერი რადიაციის სიდიდეები ენერგეტიკულ (ვატი/ მ^2) და ეფექტურ ერითემულ ერთეულებში (ერებში) ატმოსფეროს გამჭვირვალობის, ღრუბლიანობის, ქვეფენილი ზედაპირის ალბედოს და ატმოსფეროში ოზონის საერთო შემცველობის (30პუნქტი) გათვალისწინებით. მიღებული შედეგების საფუძველზე დადგინდა ულტრაიისფერი რადიაციის ტერიტორიული განაწილების თავისებურებები. შესაბამის რუპაზე საქართველოს ტერიტორია მოქცეულია ულტრაიისფერი კომფორტის (42,5 განედის ჩრდილოეთი) და ჭარბი ულტრაიისფერი (42,5 სამხრეთი) გამოსხივების ზონებში. ზღურბლური ერითემის წარმოქმნისათვის საჭირო დასხივების ხანგრძლივობა და პორიზონტის შემთხვევაში ივნის-ივლისში შეადლისას და დილის 10 საათზე შესაბამისად მერყეობს ულტრაიისფერი კომფორტის ზონაში 12-14 და 16-18 წუთის, ჭარბი ულტრაიისფერი გამოსხივების ზონაში კი 8-10 და 11-13 წუთის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ულტრაიისფერი რადიაციით ოპტიმალური პელიოთერაპიისა და ჭარბი დასხივების პერიოდების ხანგრძლივობა განისაზღვრება ჯამური ერითემული რადიაციის იმ საშუალებო მნიშვნელობით, რომლებიც შესაბამისად მერყეობენ $160-240\text{მილიერ/მ}^2$ -ის საზღვრებში (პირველი ზონა) და აღემატებიან 320 მილიერ/ მ^2 -ს (მეორე-ჭარბი გამოსხივების ზონა). მეორე ზონაში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სუსტად პიგმენტირებული დამსვენებლების დაცვა ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან, რადგან აქ არსებობს კანის კიბოთი დაავადების დიდი ალბათობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიის ამ ორ ზონად დაყოფა სამართლიანია საქართველოს დაბლობი რაიონებისათვის. საქართველოს მთიანი რაიონები კი აღილის აბსელუტური სიმაღლის მატების სინქრონულად მზის ინტენსიური რადიაციის მისი ულტრაიისფერი და ახლოინფრა-

წითელი ნაწილების ზრდის შედეგად ასევე განექუთვნებიან ულტრაიისფერი რადიაციის ჭარბი გამოსხივების ზონას. მაგრამ ამ ფაქტს მთიან კურორტებზე კლიმატოთერაპიის ორგანიზაციაში მზის რადიაციის დიფერენცირებული დოზირების თვალსაზრისით ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგრადერებაზე დამოკიდებულებით დაგემდე სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამის გათვალისწინებით საქართველოს მთიან კურორტებზე, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, პელიოდურაპიული პროცედურები უნდა ტარდებოდეს დილის საათებში, როდესაც ულტრაიისფერი გამოსხივების ინტენსივობა შედარებით დაბალია. ვინაიდან პელიოდუროცედურებში მონაწილეობას იღებს მზის პირდაპირი, ცის თაღის მიერ გაძნეული და ქვეფენილი ზედაპირიდან არეკლილი ულტრაიისფერი რადიაცია, პელიოდუროცედურების თერაპევტული ეფექტურობის გაზრდის მიზნით ისინი უნდა ტარდებოდნენ და პორიზონტის შემთხვევაში. ზამთრის პირობრბში კი სეზონური თოვლის საფარის არსებობისას აუცილებელია არეკლილი ულტრაიისფერი რადიაციისაგან (რომლის ამრეკლავი უნარიანობა აღწევს 90%-ს და მეტს) თვალების დაცვა.

მზის საქეტრის ახლოინფრაარაწითელ არეს ($0,76-2,4\text{მ}^2$) ასევე გააჩნია ცოცხალ თრგანიზმებში კერძოდ, ადამიანში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებზე გარკვეული ბიოლოგიური ზემიქმედების უნარი. მზე წარმოადგენს ახლოინფრაარაწითელი რადიაციის გამოსხივების მძლავრ წყაროს, რომლის საქეტრი იყოფა ორ არედ: უახლოეს ინფრაარაწითელ არედ $0,76-1,4\text{მ}^2$ ტალღების სიგრძის დიაპაზონით (სპექტრის ეს ნაწილი ღრმად აღწევს ადამიანის სხეულის ქსოვილებში), და შორეული ანუ გრძელტალდიანი ინფრაარაწითელი გამოსხივების არედ ($1,4-2,4\text{მ}^2$ ტალღების სიგრძით), რომელიც შთაინთქმება ადამიანის კანის ზედა ფენების მიერ. ინფრაარაწითელი გამოსხივება მთავარ როლს ასრულებს ადამიანის ორგანიზმის თერმორეგულაციაში სისხლძარღვების გამტარუნარიანობისა და მათში სისხლის გადანაწილების გზით. ინფრაარაწითელი რადიაციის გავლენა მნიშვნელოვანია ადამიანის კანის პიგმენტაციის პროცესში. დაბალი თერმული რეჟიმის პირობებში მყოფ მთიან და მაღალმთიან კურორტებზე ინფრაარაწითელ გამოსხივებას, როგორც სითბური ენერგიის წყაროს გააჩნია აგრეთვე დიდი ეკოლოგიური მნიშვნელობა. ინფრაარაწითელი რადიაცია ულტრაიისფერ სხივებთან სინქრონული მოქმედებისას საგრძნობლად ზრდის მათ ბაქტერიოციდულ აქტიურობას. ინფრაარაწითელი რადიაციის მოკლეტალდოვანი ნაწილი ადამიანის ორგანიზმში 4სმ სიღრმემდე შედწევის შედეგად ახდენს სითბოს დანაკარგების კომპენსაციას და შინაგანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების მუდმივი თერმული რეჟიმის (37) ფორმირებას (Парфенов А. П. 1983).

ცხრ.1-ში მთიანი კურორტებისათვის მოცემულია სხივისადმი მართობულ სიბრტყეზე ინფრაწითელი რადიაციის ინტენსივობის მნიშვნელობები (დაკვირვების ვადა 12სთ 30წთ) მოწმენდილი ცის შემთხვევაში, რომლებიც აღებული იქნა (ცნობრალურ კავკასიონზე (0,4-3,8გმ) ჩატარებული მრავალწლიური დაკვირვებების მონაცემების გამოყენებით აგებული $S_{iw}=f(H)$ დამოკიდებულებებიდან. დაკვირვებები წარმოებდა თერმოელექტრული აქტინომეტრებით და მინის ჟესაბამისი ოპტიკური შუქფილტრებით.

ცხრილი 1. ინფრაწითელი რადიაციის საშუალებელი (დაკვირვების ვადა 12სთ 30წთ) მნიშვნელობები მოწმენდილი ცის პირობებში, კვტ/გ².

პუნქტი	HH, გ	თ 3 9			
		I	IV	VII	X
აბასთუმანი	1265	0,58	0,56	0,54	0,57
ბაკურიანი	1665	0,61	0,60	0,57	0,59
ბახმარო	1926	0,62	0,61	0,58	0,60
გუდაური	2197	0,64	0,63	0,59	0,62
ჯავა	1109	0,57	0,55	0,53	0,56
ყაზბეგი	1744	0,61	0,60	0,57	0,59
ლებარდე	1610	0,60	0,61	0,56	0,58
ფასანაური	1070	0,57	0,58	0,54	0,56
შოვი	1507	0,60	0,59	0,56	0,58
ბორჯომი	789	0,56	0,58	0,52	0,54
მანგლისი	1194	0,57	0,56	0,54	0,56
ომალო	1880	0,62	0,61	0,58	0,60
ბარისახო	1325	0,57	0,58	0,54	0,57

როგორც ცხრ.1-ში მოცემული სიდიდეებიდან ჩანს, ახლოინფრაწითელი რადიაციის ინტენსივობა მაქსიმალურია წელიწადის ცივი პერიოდის განმავლობაში, რაც აისხება ამ დროს ატმოსფეროს ტენიანობის შემცირებით, რომელიც ინტენსიურად შთანთქავს მზის სხივური ენერგიის სპექტრის ამ ნაწილს.

აღსანიშნავია, რომ მზის რადიაციის დოზირება აბაზანების მიღების პროცესში შეიძლება წარმატებით ჩატარდეს სათანადოდ მომზადებული საშუალო რგოლის სამედიცინო პერსონალის მიერ, მით უმეტეს იმ შემთხვევაში თუ მთიან კურორტებზე არსებობს სათანადო ხელსაწყოები: დოზიმეტრები, აქტინომეტრები, ალბედო-მეტრები. გაზომვების გარეშე სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში მზის რადიაციის დოზირება ხდება წინასწარ შედგენილი სპეციალური ცხრილების დახმარებით, რომლებშიც მოცემულია მზის პირდაპირი, ჯამური და არეალილი რადიაციის ინტენსივობის საშუალო სიდიდეები მოწმენდილი ცის, ღრუბლიანობისა და ქვეფენილი ზედაპირის მდგომარეობის სხვადასხვა პირობებში.

ლიტერატურა—REFERENCES—ЛИТЕРАТУРА

- 1.Белинский В.А., 1972, Ультрафиолетовая радиация солнца и неба-важный элемент географической среды. Климат и человек. Вопросы географии, сб. 89. Издат. "Мысль", ст. 17-28.
- 2.Гурский А.в., Остапович Л.Ф., Соколов Ю.М., 1985, Влияние горных условий помирского типа на высшие растения. "Проблемы ботаники", т.7, ст. 23-29.

უაგ 551. 582
მზის სპექტრის ულტრაინფერი და ახლოინფრაწითელი არეაბის პელი-ოთერაპიაში გამოყენების პერსპექტივები საქართველოს მთიან კურორტებზე /რ. სამუკაშვილი, ც. დიასამიძე/ ჰმი-ს შრომათა კრებული 2007, ტ.111, გვ.121-126,ქართ., რეზ., ქართ., ინგლ., რუს.
მზის სპექტრს გააჩნია ადამიანის ორგანიზმზე გარკვეული ბიოლოგიური ზემოქმედების უნარი. რომელიც საქართველოს მთიან კურორტებზე კლიმატოთერაპიაში რაციონალურად უნდა იყოს გამოყენებული. საქართველოს 13 მთიანი კურორტისათვის მოცემულია მზის სპექტრის ახლოინფრაწითელი არის საშუალოოფიური ინტენსივობები წელიწადის სეზონის შეს თვეებისათვის მოწმენდილი ცის პირობებში. ცხრ.1, ლიტ. დას. 2.

UDC 551. 582

The prospects of usage of ultraviolet and near infrared areas of the sun spectrum in heliotherapy in the mountain resorts of Georgia /R.Samucashvili, Ts. Diasamidze/ Transaction of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. v.111., p.121-126, Georg., Summ. Georg., Eng., Russ.

These areas have the ability for biological influence upon humen body, which Should be used rationally in climatotherapy in the mountain resorts. The average monthly intensivities for the middle months of every season of a year in the conditions of the clear sky are given for the 13 mountain resorts of Georgia, Tabl.1, Ref. 2.

УДК 551. 582

Перспективы использования ультрафиолетовой и близкой инфракрасной областей солнечного спектра на горных курортах Грузии. /Р.Д. Самукашвили, Ц.О. Диасамидзе/ Сборник трудов ИГМ. Грузии 2007- т.111, с.121-126, Груз., рез., Груз., Англ., Русск.

солнечный спектр обладают способностью определенного биологического воздействия на организм человека, что должно рационально использоваться в климатотерапии. Для 13 горных курортов Грузии приводятся среднемесячные интенсивности близкой инфракрасной области солнечного спектра для средних месяцев года в случае ясного неба. Табл. 1, лит. 2.

შ.ელიზბარაშვილი პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი


ጂጽ ፩ 551.577

ატმოსფერული ნალექების გეოგრაფიული პარტიობრაფიული კარტოგრაფიკა

თანამედროვე პირობებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დიდ ინტერესს იქნებს გეოინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართ, რასაც კარტოგრაფია ხარისხობრივად ახალ საფეხურზე გადაჰყავს. ასეთი ტექნოლოგიების ერთ-ერთი მთავარი გამოსავალია ციფრული ოქმატური რუკა. ნალექების ასეთი რუკა მთლიანად პასუხობს ფართო საზოგადოების მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის, მიწების გამოყენებისა და დაგეგმვის, ნალექების სივრცითი მოდელირების პროცესებთან. ამასთან დაკავშირებით ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატის მოდელირების ლაბორატორიაში დაწყებულია სამუშაოები საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების გეოინფორმაციული კარტოგრაფირების საკითხებით. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია სამხრეთ საქართველოს მაგალითზე ჩატარებული კვლევის შედეგები. ნაშრომში გამოყენებულია კლიმატური ცნობარისა (Справочник по климату СССР, 1971) და ჰიდრომეტინსტიტუტის საარქივო მასალები სამხერო საქართველოში განლაგებული 20-მდე მეტეოროლოგიური სადგურების დაკირვებათა მონაცემების შესახებ.

საკვლევი ტერიტორიის ნალექების გეოინფორმაციული კარტოგრაფიული სისტემის, პროგრამა MapInfo v.7.5-ში შეიქმნა ციფრული კარტოგრაფიული საფუძველი საქართველოს 500 000-იანი მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების გამოყენებით. აღნიშნული საფუძველი შეიცავს შემდეგ ხაზებან ფენებს: სახელმწიფო და ადმინისტრაციული საზღვრები, ნაკრძალები და დაცული ტერიტორიები, საავტომობილო და სარკინიგზო ძირითადი მაგისტრალები და მდინარეები მათი დასახელების ატრიბუტებით, პორიზონტალები, რომლებიც გატარებულია ყოველ 100 მეტრში ზღვის დონიდან სიმაღლის ინფორმაციით; პოლიგონური ფენები: ტბები და წყალსაცავები დასახელებისა და ზღვის დონიდან სიმაღლის ინფორმაციით; წერტილოვანი ფენები: დასახლებული პუნქტები, მწვერვალები და უღელტესილები დასახელებისა და ზღვის დონიდან სიმაღლის ინფორმაციით. რის საფუძველზეც შემდგომში დატანილია ძირითადი კლიმატური ბარიერები, ლანდშაფტების საფუძველი და ტერიტორიაზე არსებული მეტეოროლოგიური სადგურები რომელიც შეიცავს ინფორმაციას შემდეგ ველებში: “Name”-მეტეოროლოგიური სადგურის დასახელება,

“Z” – სიმაღლე ზღვის დონიდან, “Longitude” და “Latitude” – გეოგრაფიული კოორდინატები, “Naleqebi” – ფაქტიური ნალექების რაოდენობა, “ID” – მეტეოროლოგიური სადგურის რიგითი ნომერი კლიმატურ ცნობარში, “Data” – დაკვირვებათა რიგის სიგრძე. საკვლევ ტერიტორიაზე კლიმატური ბარიერების, ლანდშაფტების თავისებურებების (Н.Л. Беручашвили, 1996) და ნალექების სიმაღლის მიხედვით ცვლილების დამოკიდებულებების გათვალისწინებით გამოყოფილია ხუთი რაიონი. (ნახ.1)



ნახ 1. საკვლევ ტერიტორიის კლიმატური ბარიერების, ანდშაფტების თავისებურებების და ნალექების სიმაღლის მიხედვით ცვლილების დამოკიდებულებების გათვალისწინებით გამოყოფილი ხუთი რაიონი

თითველი რაიონისათვის ნალექების ცვლილება სიმაღლის მიხედვით აღწერილია მეორე ან მესამე რიგის პოლინომიური განტოლებებით. ამ დამოკიდებულებების საშუალებით გამოანგარიშებულია ნალექების რაოდენობა არსებული მეტეოროლოგიური სადგურებისათვის, რომლებიც კარგ თანხმობაშია მათ ფაქტიურ მონაცემებთან, ამას ადასტურებს ცხრილში მოყვანილი მაგალითები (ცხრ.1). სადაც Q ატმოსფერული ნალექებია, Z - ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან, ხოლო e-004 ნიშნავს, რომ მოცემულ სიდიდეში მძიმე გადატანილია 4 ციფრით მარცხნივ.

ცხრილში მოცემული გამოთვლითი ატმოსფერული ნალექები წარმოადგენს ნალექების რაოდენობას კონკრეტული მეტეოროლოგიური


სადგურისათვის. კარტოგრაფირებისათვის და ოქმატური რუკების შესადგენად კი საჭიროა მათი სივრცითი განზოგადოება, ანუ მათი გაანგარიშება გაცილებით მეტი წერტილისათვის, რომლებიც მოგვცებს სურათს კონკრეტული ტერიტორიისათვის ამისათვის იზოპიფ-სების ხაზოვანი ფენის საფუძველზე მოდულ “OBJ_CONV”-ის გამოყენებით შეიქმნა რელიეფის წერტილოვანი ფენა, სადაც იზოპიფსების ყოველ საკვანძო წერტილში მიღებულია წერტილოვანი ობიექტი, მასზე არსებული გეოგრაფიული კოორდინატებითა და სიმაღლის ატრიბუტებით ინფორმაციით. ასეთი წერტილების რაოდენობა საკვლევ ტერიტორიაზე 52000 შეადგენს, ხოლო მათ შორის მანძილი 0.2-დან 4-კმ-მდე იცვლება ფერდობის ექსპოზიციისა და რელიეფის ფორმის გათვალისწინებით. ყოველი წერტილისათვის, იმისდა მიხედვით თუ რომელ რაიონში მდებარეობს, შესაბამისი განტოლებებით გამოოვლილია ატმოსფერული ნალექების რაოდენობა, ფენა გადაეცვანილია UTM-84 კოორდინატთა სისტემაში და ექსპორტირებულია *TXT (ASCII) ფორმატში.

ცხრილი 1.ატმოსფერული ნალექების მოდელირების შედეგები

რაიონი	რეგრესიის გაიტოლება	კოორდინატული მდგრადი მოდელირებები	დანართის მიხედვის მიზანი	ნალექების რაოდენობა	
				გაერთიანებული	თარიღი
1	$Q=8.646989822e004+0.607923845$ $5*Z+-7.392526662e-005*Z^2$	0.852	1.ახალგიბეჟ 2.მინამე	554 507	526 520
2	$Q=3.443113998e010+4.514005369$ $e-007*Z+4.444239001e-004*Z^2+-$ $1.39759013e-007*Z^3$	0.575	1.ხათხე 2.როდიონოვა	636 667	634 666
3	$Q=1.300008947e003+0.857948847$ $9*Z+-1.921981518e-004*Z^2$	0.914	1.ციხიჯვარი 2.ლიბანი	893 826	891 814
4	$Q=4.294677986e-$ $004+0.4000796948*Z+3.99479136$ $9e-005*Z^2$	0.969	1.თურქისი 2.ცსრაწყარო	685 1212	690 1230
5	$Q=3.546183024e010+4.444477380$ $7e-007*Z+4.196068955e-004*Z^2+-$ $1.226126614e-007*Z^3$	0.723	1.კონდურა 2.სულდა	701 731	698 718

წერტილებს შორის ინტერპოლირებისათვის არჩეული იყო პროგრამა Terramodel 10.1 , სადაც ASCII ფაილის გამოყენებით შეიქმნა იზოპიფების რუკა ,რომელიც წარმოადგენს ცნობილ DXF ფაილს და ადვილად აღიქმება MapInfo –ში.

ამრიგად, მიღებულია ვექტორული რუკა სადაც იზოპიეტები გატარებულია ყოველ 100 მმ შეალებით. ამ საბაზისო გრაფიკული მასალის გამოყენებით პროგრამა MapInfo v.7.5-ში შეიქმნა ნალექების წლიური ჯამების თემატური რუკა. (ნახ.2)



ნახ.4 ნალექების წლიური ჯამების თემატური რუკა. მმ.

ანალოგიური მიღებომით შეიძლება ატმოსფერული ნალექების გეოინფორმაციული კარტოგრაფიული და მოდელირება სხვა მთიან რაიონებში და სისტემებში.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Беруцашвили Н. Л. 1996. Кавказ: ландшафты, модели, эксперименты, Тбилиси .
2. Справочник по климату СССР, 1970.в.14 ч. IV , Л., Гидрометеоиздат.

უაკ 551.577

ატმოსფერული ნალექების გეოინფორმაციული კარტოგრაფიულება. /შ.ელიზება-რაშვილი/პმი-ს შრომათა კრებული. -2007-ტ.111-გვ.127-131,-ქართ.;რენ. ქართ., ინგლ., რუს.

ჩატარებულია სამსროვე საქართველოს ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული ნალექების გეოინფორმაციული კარტოგრაფიულება. მიღებულია

ნადექტის წლიური ჯამების ტერიტორიული განაწილების რეპ. ცხ.1,
ოფ.2, ლიტ. დას.2.

UDC 632.151.

Atmosphere Precipitation modeling on the basis of GIS./Sh.Elizbarashvili/Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. – 111- p.127-131, – Georg. Summ. Georg.,Eng.Russ.

Geo informational cartography of Atmosphere Precipitation in South Georgia territory is carried out. Territorial distribution of annual sums of precipitations is obtained.

УДК 632.151.

Геоинформационное картографирование атмосферных осадков /Ш.Э.Элизбашвили/Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. – 2007 – т.111. – с.127-131, – Груз.; рез. Груз. Анг. Русск.

Выполнено геоинформационное картографирование атмосферных осадков, выпадающих на территории южной Грузии. С учётом характерных климатических барьеров, закономерностей распределения осадков с высотой и ландшафтных особенностей выделены 5 районов. Для каждого из них разработана модель распределение осадков и составлена векторная карта изогиет. Таб. 1, рис.2, лит 2.

გ. კორძახია, ლ.ქართველიშვილი

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

6. კუტების აღმასრულებელი

ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი,

კლიმატის კალევის ცენტრი

383 551,583,14

ესატომალური ტემპერატურების განვითარების განაწილება
საქართველოს ტერიტორიაზე

კლიმატის თანამედროვე ცვლილებამ გამოიწვია ამინდისა და კლიმატის მახასიათებელი სიდიდეების ექსტრემალური მნიშვნელობების ინტენსივობისა და სიხშირის დროითი და სივრცული განაწილების ჟეცვლა (Climate Change 2001). ბუნება და საზოგადოება გარკვეულწილად ასწრებენ კლიმატის საშუალო მნიშვნელობების მცირე ცვლილებასთან ადაპტაციას, მაგრამ განსაკუთრებით მოწყვლადი არიან „ექსტრემალური მოვლენების“ მიმართ, რომელებიც საშუალო მნიშვნელობათა მცირე ცვლილებებს ზოგჯერ საოცრად გაზრდილი სიხშირითა და ინტენსივობით პასუხობენ.

კლიმატური ვარიაციისა და ექსტრემალური კლიმატური მოვლენების თავისებურებების შესწავლას აძინებს ურთიერთდამოკიდებულება საშუალოსა და ვარიაციას შორის, რადგანაც ვარიაცია თავისთვის დამოკიდებულია პარამეტრის ალბათობების სტატისტიკურ განაწილებაზე და ცვლილების სურათი სხვადასხვაგვარია იმისდა მიხედვით, საშუალოს ცვლილებასთან გვაქვს საქმე, ვარიაციასთან თუ ორივესთან ერთად. ამგარად, „ექსტრემალური მოვლენები“ კლიმატის ცვლილების სრულყოფილი ინტერპერეტაციის ერთგვარი გასაღებია.

კონკრეტულად ამან დღის წესრიგში დააყენა ამინდისა და კლიმატის მახასიათებელი სიდიდეების ექსტრემალური მნიშვნელობების შესწავლისათვის ახალი მიდგომისა და მეოროლოგიის ჩამოყალიბება (IPCC, 2002).

ნაშრომში გამოკვლეულია ათწლეულებზე (მცოცავი ათწლეულებით), ექსტრემალურად მაღალი და დაბალი ტემპერატურებისა განხევრადობის სიხშირის ცვლილება დროით და სიკრცეში მასშტაბზე.

ტემპერატურის ექსტრემალურად მაღალი და დაბალი წლისა და თვეების აბსოლუტური მაქსიმუმისა და მინიმუმის განხორცილების შესასწავლად გამოყენებულია პირველადი დაკვირვების მასალის საფუძველზე შექმნილი წლის აბსოლუტური მაქსიმუმისა და მინიმუმის მონაცემთა ბაზა 8 მეტადაგურისათვის, რომელთაგან 4

ადმოსავლეთ და 4 დასავლეთ საქართველოში მდებარეობს. ადმოსავლეთ საქართველოში ბარის 2 - თბილისისა და გორის და მაღალმთიანი-დუშეთისა და ფასანაურის, ხოლო დასავლეთში-ბარში ფოთისა და ქუთაისის, ხოლო მთაში-ხელოსა და ონის მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემები იქნა შესწავლილი.

დროითი პერიოდი მოიცავს 1930-2000 წლებს. გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის მეტეოროსადგური, სადაც დაკვირვების მასალა რეპრეზენტატულია 1910 წლიდან.

ტემპერატურის მონაცემთა მასივებში ექსტრემალურობის კრიტერიუმად აღებულია რანჯირებული რიგის უკიდურეს 10%-ში შემავალ მონაცემთა მნიშვნელობები. მათ შორის საშუალოსთან (საშუალო მრავალწლიური) ყველაზე ახლოს მდებარეს ეწოდა ექსტრემალური ზღურბლი. ამგვარად, თვითოვეული სიდიდისათვის ორი (ზედა და ქვედა) ზღურბლი იქნა გამოვლენილი და შესაბამისად დათვლილი იქნა ყველა შემთხვევა ამ ზღურბლის გადამეტებისა (Brunetti, M., 2000; Easterling, D.R., J.L., 2000).

ტემპერატურის ექსტრემალურად მაღალი და დაბალი მაქსიმუმებისა და მინიმუმების განმეორადობა გამოვლეულია როგორც წლის, ასევე თვითოვეული თვისათვის. თვეების ექსტრემალური გადახრების განმეორადობა ათწლეულებში ჯამურად არის დათვლილი.

ექსტრემალური ტემპერატურების განმეორადობის განაწილებაში ანთროპოგენური ცვლილების გამოვლენის მიზნით აღნიშნული სამუშაო ორ ეტაპად გაიყო და ცალ-ცალკე არის შესწავლილი დროის 1930-1960წწ. და 1960-2002წწ. პერიოდებისათვის. თვითოვეულ პერიოდში გამოთვლილია მრავალწლიური საშუალო (ნორმა), ყველა ზემოთ ხსნებული სიდიდისათვის, დადგენილია შესაბამისი ექსტრემალური ზღურბლები, აგებულია ექსტრემალური შემთხვევების განმეორადობის გრაფიკები. გამოვლენილია ამ სიდიდეთა წრფივი ტრენდები (Gruza, G., E., 1999).

მიღებული შედეგების საილუსტრაციო მასალები წარმოდგენილია ადმოსავლეთ საქართველოში - თბილისის, ხოლო დასავლეთში ქუთაისის მეტეოროსადგურების მაგალითზე.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, თბილისის მეტეოროსადგურის მონაცემთა რიგი ერთ-ერთი ყველაზე გრძელი და სრულყოფილია. ადსანიშნავია, რომ აბსოლუტური მაქსიმუმის მნიშვნელობა 1999 წელს გაიზარდა $0,4^{\circ}\text{C}$ -ით, ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, რომ პირველიდან მეორე პერიოდში გადასვლისას საშუალო მრავალწლიური ნორმა $1,7^{\circ}\text{C}$ -ით, მაღალი და დაბალი ზღურბლის მნიშვნელობები კი 1°C -ით გაიზარდა, თვეებისათვის შეიძლება გასაშუალოებული მნიშვნელობების მოყენა, კერძოდ, საშუალო ნორმა დაახლოებით $1,5^{\circ}\text{C}$ -ით, ზედა ზღურბლი 2°C -ით, ხოლო ქვედა -1°C -ით გაიზარდა. მაღალი მაქსიმუმებისათვის განმეორადობებს I პერიოდში წლის აბსოლუტური სიდიდისათვის

განურჩეველი ტრენდი აქვს, II პერიოდში იგი იცვლება მცირე შემცირებით (ნახ.1.ა.,ბ.). ე.ი. ინტენსივობის გაზრდას მოჰყვა განმეორადობის შემცირება. რაც შეეხება დაბალ მაქსიმუმებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ინტენსივობაც გაზრდილია, განმეორადობა ორივე პერიოდში მცირდება(ნახ.1.გ.,დ.).

რაც შეეხება მინიმუმებს, აბსოლუტური მინიმუმის მნიშვნელობა მკვეთრად გაზრდილია (აბსოლუტური სიდიდით), საშუალო მრავალწლიური ნორმა $1,8^{\circ}\text{C}$ -ით, ქვედა ზღურბლი $2,4^{\circ}\text{C}$ -ით და ზედა $2,3^{\circ}\text{C}$ -ით გაიზარდა. განმეორადობებს დაბალი მინიმუმებისათვის მკვეთრი კლების (ნახ.1.ე.,ვ.), ხოლო მაღალი მინიმუმებისათვის კი მატების (ნახ.1.ზ.,თ.) ტენდენცია აქვთ დროის ორივე მონაკვეთში.


ფასანაურის მეტეოსადგურის მონაცემებით მიღებული შედეგები ახლოსაა თბილისის შედეგებთან, იმ განსხვავებით, რომ აქ წლის აბსოლუტური მაქსიმუმის საშუალო მრავალწლიური ნორმა უფრო მცირედ, $0,3^{\circ}\text{C}$ -ით, ხოლო ორივე ექსტრემალური ზღურბლი $\pm 0,7^{\circ}\text{C}$ -ით გაიზარდა.

ამ ორი სადგურისათვის შეიძლება ითქვას, რომ ტემპერატურის ამპლიტუდის დიაპაზონი შემცირდა, რადგანაც მინიმუმები მაქსიმუმებთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა.


დუშეთისა და გორის მეტეოსადგურებისათვის მრავალწლიური ნორმა უცვლელია, ექსტრემალური ზღურბლების მნიშვნელობები კი უნიშვნელოდ გაიზარდა, მაგრამ განმეორადობა მაღალი მაქსიმუმებისათვის II პერიოდიდან მკვეთრად იზრდება. ამ სადგურებზეც მინიმუმების განმეორადობაცა და ინტენსივობაც მკვეთრად შემცირებულია მეორე პერიოდში.

ქუთაისის მეტეოსადგურის მონაცემებით მიუხედავად იმისა, რომ 1999 წელს აბსოლუტური მაქსიმუმი 1°B -ით გაიზარდა, ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ დროის მეორე პერიოდში წლიური ნორმა $0,4^{\circ}\text{B}$ -ით შემცირდა, ზედა ზღურბლის $0,2^{\circ}\text{B}$ -ით შემცირების მიუხედავად მისი განმეორადობა I პერიოდთან შედარებით შემცირდა (ნახ.2.ა.,ბ.). ქვედა ზღურბლი გაიზარდა $0,7^{\circ}\text{B}$ -ით და განმეორადობებიც გაიზარდა (ნახ.2.გ.,დ.). მაქსიმუმების ინტენსივობაცა და განმეორადობაც ქუთაისში კლებულობს.


აბსოლუტური მინიმუმი უცვლელია, საშუალო წლიური თითქმის 2°C -ით არის გაზრდილი. ქვედა და ზედა ზღვრული მნიშვნელობები შესაბამისად $2,3^{\circ}\text{C}$ -ით და $2,1^{\circ}\text{C}$ -ით არის გაზრდილი (აბსოლუტური სიდიდით), მათი განმეორადობების ქვევა ერთნაირია, პირველ ნახევარში იზრდება, მეორეში კი განურჩეველი ტრენდი აქვს (ნახ.2. ე., ვ. ზ.,თ.).




ნახ.1 ექსტრემალური ტემპერატურების განმეორადობა. თბილისი




5.




6.




7.




8.




9.



10.



11.



12.

ნახ.2. ექსტრემალური ტემპერატურების განმეორადობა. ქუთაისი

ონისა და ხულოს მეტეოროლოგურებისის მონაცემებით, მრავალწლიური ნორმაცა და ექსტრემალური ზღურბლების მნიშვნელობაც მცირდება გაიზარდა, ხოლო განმეორადობა შემცირდა.

მინიმუმისათვის საშუალო მრავალწლიური ნორმა გაიზარდა დაახლოებით $1,6^{\circ}\text{C}$ -ით, ზედა ზღურბლი – $2,7^{\circ}\text{C}$ -ით, განმეორადობა მართალია მეორე პერიოდში უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც იზრდება. ქვედა ზღურბლიც გაზრდილია თითქმის 2°C -ით (აბსოლუტური სიდიდით), განმეორადობები კი ორივე პერიოდში იკლებს.

აღმოსავლეთ საქართველოსათვის ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ექსტრემალურად დაბალი მინიმუმების ინტენსივობაცა და სიხშირეც შემცირებულია. მაქსიმუმების შემთხვევაში იქ, სადაც ინტენსივობა გაზრდილია, განმეორადობები მცირდება, თუ ინტენსივობის მატებას არა აქვს ადგილი, მომატებულია განმეორადობა.

დასავლეთ საქართველოსათვის ექსტრემალური მინიმუმები მცირდება ინტენსივობითაც და სიხშირითაც, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით აქ არც მაქსიმუმების ზრდაა დაფიქსირებული.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Climate Change 2001. The Scientific Basis. Contribution of working Group I to the Third Assessment Report of the Intergovernmental Panel on Climate Change. Cambridge. p.92-105.
2. IPCC Workshop on changes in Extreme Weather and Climate Events 11-13 June, 2002.. Beijing, China Workshop Report.
3. Brunetti, M., L. Buffoni, M. Mangeri and T. Nanni, 2000 a: Trends of Minimum and Maximum Daily Temperatures in Italy from 1865 to 1996. Theoretical and Applied Climatology, 66, 49-60.
4. Easterling, D.R., J.L. Evans, P.Ya. Groisman, T.R. Karl, K.E. Kunkel and P. Ambenje, 2000: Observed Variability and Trends in Extreme Climate Events. Bull. Am. Met. Soc., 81, 417-425.
5. Gruza, G., E. Rankova, V. Razuvaev and O. Bulygina, 1999: Indicators of Climate Change for Russian Federation. Clim. Change, 42, 219-242.,

უაკ 551.583.14

ექსტრემალური ტემპერატურების განმეორადობის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე. /გ.კორძახია, ლ.ქართველიშვილი, ნ.კუტადაძე/. პმ-ს შრომათა კრებული. –2007–გ. 111,გვ.132-138.ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს. ნაშრომში შესწავლილია ათწლეულებში (მცოცავი ათწლეულებით) ტემპერატურების ექსტრემალური მნიშვნელობების სიხშირეთა და ინტენსიურობის ცვლილება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში კლიმატის თანამედროვე ცვლილების ფონზე. დადგენილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურების ექსტრემალურად დაბალი მნიშვნელობების სიხშირე და ინტენსიურობაც შემცირებულია, ხოლო მაქსიმუმებთან მიმართებაში – იზრდება ან ინტენსიურობა ან სიხშირე. დასავლეთ საქართველოში ტემპერატურების ექსტრემალურად დაბალი მნიშვნელობების სიხშირე და ინტენსი-

ურობაც მცირდება, მაგრამ მაქსიმუმების ზრდა არ დაიკვირვება. ილ.2, ლიტ. 5.

UDC 551.583.14

Distribution of the recurrence of extreme temperatures in Georgia /G.Kordzakhia, L.Kartvelishvili, N. Kutaladze/ Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology.-2007-v. 111,- p.132-138,- Georg.; Summ.Georg.,Eng., Russ.

In the study changes of the intensity and frequency of extreme temperatures in the decades (sliding decades) in East and West Georgia are investigated. It is established that in East Georgia the intensity and frequency of extremely low temperatures are decreased, concerning the maximum values – the intensity or frequency is increased. In West Georgia the intensity and frequency of extremely low temperatures are decreased, but increasing of the maximum values are not determined. Fig.2. Ref. 5.

УДК 551.583.14

Распределение повторяемости экстремальных температур в Грузии /Г.И.Кордзахия, Л.Г. Картвелишвили, Н.Б.Куталадзе/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. – 2007. – т.111, – с.132-138, – Груз.; рез. Груз., Анг., Русск.

В работе исследованы изменения интенсивности и частоты экстремальных значений температур в десятилетиях (скользящими десятилетиями) в Восточной и Западной Грузии на фоне современного изменения климата. Установлено, что в восточной Грузии интенсивность и частота экстремально низких значений температур уменьшено, а в отношении максимумов – увеличивается или интенсивность, или частота. В Западной Грузии интенсивность и частота экстремально низких значений температур уменьшено, но увеличение максимумов не установлено. Рис.2, лит. 5.

ნ. ბერაძე, ნ. ნოზაძე, მ. ნოზაძე

ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი

უაკ 551585

**ბარემოს მდგომარეობის ოპერატიული მონიტორინგის როლი
შვეიცარი შავაზრთხოვები (ერაყის მაგალითზე)**

ერთიანი ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესები ატმოსფეროს მიწისპირა ფენაში არეგულირებს მეტეოროლოგიური მოვლენების ფორმირებასა და დაბინძურების მდგომარეობას. გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხავასხვა მეთოდები (დასტული ამოცანების მიხედვით).

გარემოს მდგომარეობის მონიტორინგისათვის ფართოდ გამოიყენება თანამგზავრული ინფორმაცია, რაც საშუალებას იძლევა გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებები განხორციელდეს როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ მასშტაბებზე იმის მიხედვით, თუ რა ამოცანებს ვაყენებთ.

საქართველო დამოუკიდებელი განვითარების გზას ადგას, რაც ახალ მოთხოვნებს უქმნებს მატეროლოგიურ სამსახურს. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მაქსიმალური შესაბამისობა ქვეყნის მოთხოვნებთან.

გარდა ყოველდღიური ოპერატიული პროცენზირებისა, ქვეყანაში ხორციელდება რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლებიც საჭიროებს ჰიდრომეტეოროლოგიურ უზრუნველყოფას, მოქმედებს საწარმოები, რომლებიც იწვევს გარემოს დაბინძურებას; ტექნოგენური ავარიების შემთხვევაში არსებობს გარემოს დაბინძურების საფრთხე ტრანსსასაზღვრო გადატანებით. კლიმატის ცვლილების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა სტიქური მოვლენების რიცხვი, ადამიანის მოღვაწეობის შედეგად კი გაიზარდა ეკოლოგიური კატასტროფების რიცხვიც.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების პროექტი ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, რომელიც ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე არის "სატრანსპორტო კორიდორი ევროპა-კავკასია-აზია". ამ სატრანსპორტო კორიდორის ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურების უზრუნველყოფა უნდა განაპირობდეს ქვეყანაში ეკონომიკური და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ჰიდრომეტეოროლოგიური მომსახურება, ამ შემთხვევაში, შეიძლება მოიცავდეს შემდგენი პარამეტრების პროცენზირებას: ხილვადობა, მიწისპირა აირ-

დაგროვება, კორიდორის კომპლექსური კლიმატური პარამეტრები, აგრეთვე ოპერატიული ჰიდრომეტეოროლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო ტრასაზე მოძრაობის გრაფიკის შედეგნა. მნიშვნელოვანია აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაზრდილი რაოდენობით მოძრაობისას ქვეყნის ტერიტორიაზე გამონაბოლქვი აირებით გარემოს დაბინძურების მდგომარეობის ოპერატიული კონტროლისა და შეფასების სრულყოფილი სისტემის შექმნა.

სატრანსპორტო გადაზიდვებისას ტკიროის უსაფრთხოდ გადაზიდვისთვის მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს სატრანსპორტო კორიდორის მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური საშიში მოვლენების დროულ პროგნოზირებასა და შესაბამისად, ტრასაზე მოძრავი ტრანსპორტისათვის ინფორმაციის დროულ მიწოდებას. ეს კი აპერატიული პროგნოზირების მაღალ დონესთან ერთად მოითხოვს კავშირის სისტემების თანამედროვე საშუალებებით აღჭურვას.

ზემოთ განხილული პროექტის ანალოგიურად საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება მთელი რიგი პროექტებისა, რომელთა წარმატებისათვის აუცილებელია მათი ჰიდრომეტეოროლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მათ რიგში შეგვიძლია განვიხილოთ: ნავთობსადენის მონიტორინგი, შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და სუფსის ტერმინალის ჰიდრომეტეოროლოგიური და გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, სართიჭალისა და ნინოწმინდის ჭაბურღილების მონიტორინგი, საწარმოო გამონაბოლქვების, გლობალური ეკოლოგიური კატასტროფებისა და სხვათა მონიტორინგი.

ცალკე საკითხად გვინდა გამოვყოთ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის როლის მიმოხილვა ქვეყნასას თუ რეგიონში საომარი მოქმედებების მომდინარეობისას. ასეთ პერიოდებში ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის თითოეულ რგოლს გააჩნია თავისი უზრუნველყოფის სფერო: მნიშვნელოვანია საავიაციო მომსახურება, პარაზიტების მასების მოძრაობის ოპერატიული პროგნოზი. შესაძლო დაბინძურების არების განსაზღვრისათვის და ამ ტერიტორიებზე გარემოს მონიტორინგის გაძლიერებისათვის.

გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის განსახორციელებლად დაკვირვების სხვადასხვა მეთოდებთან ერთად ფართოდ გამოიყენება თანამგზავრული ინფორმაცია. თანამგზავრული ინფორმაცია საშუალებას იძლევა გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებები განხორციელდეს როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ მასშტაბებში. იმის მიხედვით, თუ რა ამოცანებს ვაყენებთ, თანამგზავრული ინფორმაცია შეიძლება მიღებულ იქნას სხვადასხვა მეტეოროლოგიური და ბუნება-რესურსის ტიპის თანამგზავრებიდან. დღეისათვის მოქმედი თანამგზავრები სივრცული გარჩევითობის მიხედვით იყოფა დაბალი, მაღალი და ზემადალი გარჩევითობის თანამგზავრებად.


მაღალი (35 მ) და საშუალო (150 მ) სივრცელი გარჩევითობის თანამგზავრებიდან მიღებული მიწის ზედაპირის მრავალარხიანი გამოსახულებები ფართოდ გამოიყენება გარემოს მონიტორინგის ამოცანების გადაწყვეტაში. თანამგზავრული ინფორმაციის მონაცემთა დამუშავება შესაძლებელს ხდის შემდეგი სახის დაკვირვებების ანალიზის ჩატარებას:

- სამრეწველო აეროზოლებითა და გამონაბოლქვებით დაჭუჭყიანება და მისი მოსალოდნელი შედეგები;
 - გარემოს რდევების მონიტორინგი – ეროზიული პროცესები, მტვრის ქარიშხლები;
 - ნავთობ და გაზმომპოვებელი რაიონებისა და სადენების მონიტორინგი;
 - აკვატორიისა და სანაპირო ზოლის სამრეწველო დაჭუჭყიანების კონტროლი, გარემოს დაბინძურების ანთროპოგენული წარმოშობის კომპონენტების შეფასება სანაპირო ზონებში;
 - ხანძრები ნავთობჭაბურღილებზე და ტყის მასივებში.
- ზემოთ მოყვანილი ინფორმაციის დამუშავებისას ზედაპირის ამრეკვლადობებს შორის განსხვავება საშუალებას იძლევა სატელფ-ვიზიო არხით მიღებულ სურათებზე გაირჩეს სხვადასხვა სტრუქტურების კონტურები. ხილულ სპექტრში მიღებულ სურათებზე ნათლად იკვეთება ქვეფანილი ზედაპირის თავისებურებები, რომელიც ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება ამრეკვლადობით. ყველაზე მეტად მათ შორის დამახასიათებელია:
- 1) გაუდაბნოებული რაიონები (ალბედო – 28-35%);
 - 2) წყლის ზედაპირი (ალბედო – 2-7%);
 - 3) თოვლიანი ზედაპირები (ალბედო – 50-70%);
 - 4) მცენარეული საფარით დაფარული რაიონები (ალბედო – 10-15%).

NOAA-ს სერიის პოლარულ-ორბიტალური თანამგზავრების ფრენის სიმაღლე დაახლოებით 800 კმ-ია. ინფორმაცია გადმოიცემა სურათის ავტომატური გადაცემის რეჟიმში (APT) ორ სპექტრულ დიაპაზონში: ხილულ და ინფრაწითელ სპექტრებში. მოწმებდილ, უღრუბლო ამინდში ქვეფანილი ზედაპირი თავისი მახასიათებელი ნიშნებით გაირჩევა მკაფიოდ, რაც იძლევა გარემოს მონიტორინგი-სათვის აუცილებელი მონაცემების დაფიქსირებისა და შეფასების საშუალებას.

პიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში თანამგზავრული ინფორმაცია შემოდის NOAA-ს სერიის პოლარულ-ორბიტალური თანამგზავრებიდან. მიღებული ინფორმაცია საშუალებას იძლევა შედგეს ჰაერის მასების გადაადგილების პროგნოზი, რაც გამოიყენება არა მხოლოდ ტემპერატურული რეჟიმის დასადგენად, არამედ დაბინძურებული ჰაერის მასების შემოჭრისა და ტერიტორიაზე გადაადგილების პროგნოზისათვისაც.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პაერის მასების მოძრაობის პროგნოზი რეგიონში საგანგებო სიტუაციების დროს, როდესაც არსებობს ტერიტორიის დაბინძურების საფრთხე შემოჭრილი დაბინძურებული პაერის მასებით. 2003 წლის მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები. ამ პერიოდში ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურები მუშაობდნენ ოპერატიულ რეჟიმში, რაც მოიცავდა: გახშირებულ დაკვირვებებს გარემოს ქიმიურ დაბინძურებაზე დამატებითი ინგრედიენტების გაზომვით და პაერის მასების გადაადგილების ოპერატიულ პროგნიზირებას. აღნიშნულ პერიოდში ძალზედ მცირე იყო ერაყის ტერიტორიიდან საქართველოს ტერიტორიაზე პაერის მასების შემოჭრის ალბათობა. სულ ასეთი დაფიქსირდა ოთხი დღე.



სურ.1 პაერის მასების მოძრაობა სამხრეთიდან (ერაყის ომის დასაწყისი).

მიუხედავად იმისა, რომ ოპერატიული დგებოდა პაერის მასების გადაადგილების პროგნოზი, ძალზედ მნიშვნელოვანი იყო რადიომეტერული და ქიმიური დაბინძურების ქსელის დაკვირვებების გახშირებულ რეჟიმში მუშაობა. საომარი მოქმედებების პერიოდში ვერ ვფლობდით სრულ ინფორმაციას, თუ რა გეოლოგიური მდგომარეობა იყო შექმნილი ერაყის ტერიტორიაზე, მაგრამ საინფორმაციო საშუალებებით შემოდიოდა ინფორმაცია ერაყში ჭაბურდილების აფეთქებით.

ბის, აგრეთვე ბირთვული და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების საშიშროების შესახებ. NOAA-ს სერიის პოლარულ-ორბიტალური თანამგზავრებიდან მიღებული ინფორმაცია კი საშუალებას არ გვაძლევდა გვემსჯელა რეგიონში არსებულ რეალურ კოლორიულ მდგომარეობაზე.

რეგიონალური კოლორიური პროცესების მიმდინარეობისას, როდესაც მოკლებული ვართ სრულყოფილ ინფორმაციას და არის საფრთხე რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამახინჯებისა, მნიშვნელოვანია მაღალი და საშუალო სივრცული გარჩევითობის თანამგზავრული ინფორმაციის ფლობა. ეს იძლევა რეგიონის დაბინძურების სრულყოფილ სურათს და საშუალებას მოგვცემს ტერიტორიაზე დაბინძურებული პაერის მახების შემოჭრამდე გატარდეს გამაფრთხილებული და დამცავი ღონისძიებები. ეს მაქსიმალურად შეამცირებს გარემოსათვის მიეკუთვნებულ ზარალსა და ამაღლებს მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიებს რეგიონში კოლორიური კატასტროფების დროს.

უაკ 551585

გარემოს მდგომარეობის ოპერატორული მონიტორინგის როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში (ერაყის მაგალითზე) /ბერაძე ნ. ნოზაძე მ. ნოზაძე ქ/ ჰმი-ს შრომათა კრებული.-2007- ტ.111 –გვ.139-143, – ქართ., რეს. ქართ., ინგლ., რუს. სტატიაში განხილულია პიდრომეტეოროლოგიური სამსახურის როლი ქვეყნის უსაფრთხოებაში. აქცენტი გადატანილია მეტეოროლოგიურ თანამგზავრულ ინფორმაციაზე და თანამგზავრული ტექნოლოგიების განვითარებაზე.

UDK 551585

Role of operational monitoring of environmental condition in country Zs safety (at the example of Iraq) / N.Beradze.M. Nozadze. N. Nozadze./ Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. –V.111, p.139-143, Georg. summ.Geor. Eng. Russ.

The Article concerns the role of the hydrometeorological Service in the sphere of country Zs safety. Focus is made on significance of satellite information and future development perspectives of satellite systems.

УДК 551585

Роль оперативного мониторинга состояния окружающей природной среды в безопасности (на примере Ирака) /Берадзе Н. И. Нозадзе М. Р. Нозадзе Н. Р./ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии . – 2007.- Т.111, ст.139-143, – Груз. Рез. Груз., АН., Русск.

В статье рассматривается роль Гидрометеорологии в обеспечение безопасности страны. Особое внимание уделяется использованию спутниковой информации и развитию спутниковых технологий.

ბ. ბერიბაშვილი, რ. მესხია
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უკა 551. 583. 14

**ტემპერატურული ანომალიების საუკუნობრივო
სტანდართების ტერიტორიაზე**

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დაფიქსირებულმა გლობალური დათბობის პროცესებმა პაკერის საშუალო წლიური ტემპერატურის ცვლილებების თვალსაზრისით განსხვავებული რეაქცია გამოიწვია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. კერძოდ, 1955–1974 და 1975–1994 წწ. პერიოდების საშუალო წლიური ტემპერატურების შედარებითმა ანალიზმა გამოავლინა დედამიწის ზედაპირის უმეტეს ნაწილზე დათბობის, ხოლო ზოგიერთ რეგიონში აგრილების ტენდენცია (ჰაუტონი და სხვ., 1996). დათბობის კველაზე მკაფიოდ ($0,5 - 1,0^{\circ}\text{C}$ -მდე) გამოხატული ზონები აღმოჩნდა ევრაზიისა და ჩრდილო ამერიკის კონტინენტების პოლარულ სექტორებში. $0,5^{\circ}\text{C}$ – მდე დათბობის დიდმა არებმა მოიცვა წყნარი ოკეანის აღმოსავლეთი და ცენტრალური ნაწილები, აგრეთვე ინდოეთის ტყეანის სამხრეთი სეპტორი. განსხვავებით ამისაგან, $0,5^{\circ}\text{C}$ – მდე აცივების საკმაოდ დიდი ფართობები დაფიქსირდა წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ და სამხრეთ სექტორებში, ატლანტიკის ტყეანის ჩრდილო ნაწილში, ხოლო $0,25^{\circ}\text{C}$ – მდე აგრილების ზონები – ატლანტიკის ტყეანის დასავლეთ სექტორში და აფრიკის კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში. ამავე რიგის აგრილება გამოაშეარავდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შავი ზღვის აკატორიის ჩათვლით.

აღნიშნული გამოკვლევის ჩვენთვის ერთ-ერთ საინტერესო ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე დაფიქსირებული აგრილების ზონის საზღვარი გადის ლიხის ქედზე, რომლის აღმოსავლეთით იწყება დათბობის მკვეთრად გამოხატული არე ცენტრით ახალ მიწასთან. განხილული გარემოების დასაზუსტებლად 1996 – 1999 წწ. პერიოდში კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის ფარგლებში 90 მეტეორსადგურის დაკვირვების მასალების ანალიზის საფუძველზე ჩატარებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე 1906 – 1995 წლებში ჰაერის ტემპერატურის ცვლილებების გამოკვლევა, რომლის შედეგები თაგმოყრილია მონოგრაფიაში (თაგართებილაჟი და სხვ., 1999). გამოკვლევის შედეგებმა დაადასტურა გასულ საუკუნეში

საქართველოს ტერიტორიისათვის გლობალური მონაცემებით მიღებული სურათის სამართლიანობა.

ამავე დროს, კლიმატის ცვლილებების პირველი ეროვნული მოხსენების შესრულებასთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა XX საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე განსხვავებული გენეზისის ცირკულაციური პროცესებისა (ბერიტაშვილი და ჩოგოვაძე, 1999; მეტრეველი და მეტრეველი, 2001) და რეგიონში სხვადასხვა ტიპის ლანდშაფტების (ელიზბარაშვილი და ელიზბარაშვილი, 2002) რეაქცია გასულ საუკუნეში დაფიქსირებულ გლობალურ დათბობაზე.

რამდენადაც რაიმე მეტეორელემენტის მრავალწლიური ცვლილების ტრენდს განაპირობებს ცალკეულ წლებში საერთო საშუალოდან გადახრის (ანომალიების) ამპლიტუდა და სიხშირე, ჩვენ მიზნად დავისახეთ საქართველოს ტერიტორიაზე ინსტრუმენტული გაზომვების საფუძველზე პაერის ტემპერატურის მრავალწლიური ცვლილებების ტრენდის რაოდენობრივი შეფასება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან 2000 წლამდე საშუალო თვიურ ტემპერატურაზე და მის ანომალიებზე ($\Delta T \geq 0,1^{\circ}\text{C}$, ან $\Delta T \leq -0,1$) დაკვირვების მასალის გამოყენებით.


ამისათვის ჩვენს მიერ გამოყენებულ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე მეტნაკლებად თანაბრად განაწილებული და დაკვირვების ხანგრძლივი პერიოდის მქონე ოც-ოცი სადგური (ჯავახიშვილი, 1981).

დაკვირვების რიგებში წყვეტილი პერიოდები აღდგენილ იქნა მახასიათებელ სადგურებთან არსებული კორელაციური კავშირების გამოყენებით. დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პაერის საშუალო თვიური ტემპერატურის ანომალია, ანუ გადახრა მრავალწლიურ საშუალოდან, ფიქსირდებოდა როგორც მოვლენა იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავდა განსახილველი ტერიტორიის 50%-ზე მეტს.

ნახ.1-ზე მოცემულია განვლილი საუკუნებასევრის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ათწლეულებში თვის საშუალო ტემპერატურის დადებითი ანომალიების საშუალო რიცხვის ცვალებადობა დასავლეთ და აღმოსავლეთი რეგიონებისათვის ცალ-ცალკე-გასაშუალოება წარმოებდა რეგიონში შერჩეული სადგურების მონაცემთა მიხედვით.

ამ ნახაზიდან ჩანს, რომ ათწლეულში პაერის ტემპერატურის საშუალო თვიური მნიშვნელობების დადებითი ანომალიების რიცხვი დასავლეთ და აღმოსავლეთი საქართველოში ნაკლებ ცვლილებას განიცდის და საშუალოდ შეადგენს დასავლეთში 50% (ვარიაციის კოეფიციენტით 0,08), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 53%-ს (ვარიაციის კოეფიციენტით 0,15). ნახაზიდან აშკარაა აგრეთვე, რომ დასავლეთ საქართველოში 1900 – 1930-იან წლებში ადგილი პქონდა დადებითი ანომალიების რიცხვის ზრდას, შემდგომ ეს

რიცხვი თითქმის უცვლელი იყო 40 წლის მანძილზე 1940 – 1980 წწ. პერიოდში, ამის შემდეგ კი ხასიათდება გარკვეული რეევალობით. აღმოსავლეთ საქართველოში 1900-იანი წლებიდან აღინიშნება დასაცლობით 20-წლიანი პერიოდული ვარიაციები, რომლებიც მეტნაკლებად სინქრონულად მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოს ვარიაციებთან. კორელაციის საერთო კოეფიციენტი მონაცემთა ამ ორ ჯგუფს შორის აღმოჩნდა 0,38 ტოლი, რაც, მიუხედავად გარკვეული სინქრონულობისა, მიუთითებს მონაცემთა ამ ორ ჯგუფს შორის დაბალ ურთიერთკავშირზე. რაც შეეხება გასულ საუკუნენახევრის განმავლობაში დადგებითი ანომალიების სიხშირის ცვლილებას, ნახ. 1-ზე მოყვანილი მისი ტრენდებიდან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში იგი უმნიშვნელოდ შემცირდა 1%-ით, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა 10%-ით.




ნახ. 1. დასავლეთ (1) და აღმოსავლეთ (2) საქართველოში პაერის ტემპერატურის დადგებითი ანომალური თვეების ათწლედებში განმეორადობის (%) საშუალო რიცხვის მსვლელობა XIX–XX სს.


მეტად საინტერესო სურათი გამოიკვეთა მიღებულ მონაცემთა წლის ცივ (ნოემბერი – მარტი) და თბილ (აპრილი–ოქტომბერი) პერიოდებად დაჯგუფების შედეგად (ნახ.2).

ამ ნახაზიდან ჩანს, რომ როგორც დასავლეთი (ა), ასევე აღმოსავლეთ საქართველოს (ბ) ტერიტორიაზე საშუალო თვიური ტემპერატურების დადგებითი ანომალიების განმეორადობის მრავალწლიური სვლა წლის ცივ (1,3) და თბილ (2,4) პერიოდებში შეგნაკლებად ასინქრონულად მიმდინარეობს ე.ი. მრავალწლიურ ჭრილში ცივ პერიოდში დადგებითი ანომალიების განმეორადობის ზრდას თან სდევს ამ ანომალიების განმეორადობის შემცირება თბილ სეზონში და პი-

რეკუ, ანუ თბილ ზამთარს თან სდევდა შედარებით გრილი ზაფხული და პირიქით - შედარებით მკაცრ ზამთარს - ცხელი ზაფხული.



(ბ)



ნახ.2. პაერის ტემპერატურის დადებითი ანომალიური თვეების ათწლებულების განვითარების (%) საშუალო რიცხვის მსვლელობა XX სს. დასავალეთ საქართველოში (ა) წლის ციკ (1), და წლის თბილ (2) პერიოდებში; აღმოსავლეთ საქართველოში (ბ) წლის ციკ (3) და წლის თბილ (4) პერიოდებში.

მართალია, ვარიაციების დადგენილი ამპლიტუდა არ შეიძლება ჩაითვალოს დიდად, რადგან იგი ძირითადად მერყეობს ათწლებულები 5-10% ფარგლებში, მაგრამ შეფარდებით ერთგულებში იგი არც თუ მცირეა და აღწევს 50%-ს. აღნიშული კანონზომიერება, როგორც ჩანს, დაირღვა 1990 წლიდან, როდესაც ორივე რეგიონში წლის ორივე სეზონში ტემპერატურის დადებითი ანომალიების ზრდის

ტენდენცია ფიქსირდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ბოლო მონაცემთა თანახმად (WMO, 2003), გლობალური დათბობის პროცესმა განსაკუთრებით გამოკვეთილი სახე მიიღო 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან.

რაც შეეხება განვლილ საუკუნეში საშუალო თვიური ტემპერატურების დადებითი ანომალიების საერთო ცელილების ტენდენციას რეგიონების მიხედვით, ნახ.2-ზე მოყვანილი მონაცემების თანახმად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე წლის თბილ პერიოდში საუკუნის მანძილზე მათი განმეორადობა გაიზარდა 25-დან 28%-მდე, ხოლო წლის ცივ პერიოდში უმნიშვნელოდ შემცირდა 2%-ით. შესაბამისი მაჩვენებლები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიისათვის ტოლი აღმოჩნდა 8% (თბილი სეზონი) და უცვლელი (ცივი სეზონი).

საშუალო თვიური ტემპერატურების დადებითი ანომალიების განმეორებადობასთან ერთად გამოივლილ იქნა აგრეთვე საშუალო თვიური ტემპერატურების უარყოფითი ანომალიების განმეორებადობა (ცხ. 1).


ცხრილი 1. XX საუკუნის განმავლობაში დასვლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში პარენტული ტემპერატურის დადებითი და უარყოფითი ანომალიური თვეების განმეორადობა (%) წლის ცივ და თბილ სეზონებში.

რეგიონი	ტემპერატურის ანომალია, °C	XI–III	IV–X	წლიური
დასავლეთ საქართველო	$\Delta T \geq 0,1$	55	45	49
	$\Delta T \leq -0,1$	45	55	51
აღმოსავლეთ საქართველო	$\Delta T \geq 0,1$	58	52	54
	$\Delta T \leq -0,1$	42	48	46

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ XX საუკუნეში პარენტულის დადებითი ანომალიების განმეორადობა, უარყოფით ანომალიების განმეორადობასთან შედარებით, წლის ცივ პერიოდში დასავლეთ საქართველოში 10% -ით მეტია და წლის თბილ პერიოდში 10%-ით ნაკლებია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში წლის ცივ პერიოდში 16%-ით და წლის თბილ პერიოდში კი 4%-ით მეტია. წლიურ ჭრილში დასავლეთ საქართველოში უარყოფითი ანომალიების განმეორადობა მცირდება (2%-ით) სჭარბობდა დადებითი ანომალიების განმეორადობას, მაშინ როცა აღმოსავლეთ საქართველოში დადებითი ანომალიების განმეორადობა 8%-ით მეტი აღმოჩნდა უარყოფითი ანომალიების განმეორადობაზე.

განხილულ პერიოდში უარყოფითი ანომალიების განმეორადობის რეგებით ათწლეულების მიხედვით ნაჩვენებია ნახ. 3-ზე. მოყვანილი ორი გრაფიკი მოწმობს იმას, რომ წლიური გასაშუალოებისას უარყოფითი ანომალიების მსვლელობა დასავლეთ და აღმოსავლეთ

საქართველოში დასაცავებით სინქრონულად წარმოებს. კორელაციის კოეფიციენტი მონაცემთა ამ ორ ჯგუფს შორის ტოლი აღმოჩნდა 0,54-ისა. ამასთან უარყოფითი ანომალიების საშუალო რიცხვმა დასაცავებით საქართველოში შეადგინა 51% (ვარიაციის კოეფიციენტით 0,08), ხოლო აღმოსაცავებით საქართველოში 46% (ვარიაციის კოეფიციენტით 0,13).



ნახ. 3. დასაცავები (1) და აღმოსაცავები (2) საქართველოში ჰაერის ტემპერატურის უარყოფითი ანომალური თვეების ათწლეულებში განმეორადობის (%) საშუალო რიცხვის მსვლელობა XIX–XX სს.

უარყოფითი ანომალიების საერთო ცვლილების ტრენდების განხილვა მოწმობებს, რომ დასაცავები საქართველოში უარყოფითი ანომალიების განმეორადობა გასული საუკუნის მანძილზე უმნიშვნელოდ გაიზარდა, ხოლო აღმოსაცავები საქართველოში დაფიქსირდა მათი განმეორადობის შემცირება 50-დან 44%-მდე.

ამრიგად, განხილული მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ განვლილ პერიოდში, რომელიც საუკუნეზე მეტ ხანს მოიცავს, დასაცავები საქართველოს ტერიტორიაზე აღგილი პქრება სუსტად გამოხატულ აგრილებას, მაშინ როდესაც აღმოსაცავები საქართველოში აშეარად გამოვლინდა დათბობის ტენდენცია. ნახ.1 და ნახ.3-ზე მოყვანილი მრუდების შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველოს ორ რეგიონს შორის დადებითი ანომალიების განმეორადობაში გაცილებით ნაკლები კავშირი შეიმჩნევა, ვიდრე უარყოფითი ანომალიების განმეორადობაში. მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ის შემთხვევები, როდესაც რაიმე ნიშნის ანომალია ერთდროულად მოიცავს ორივე რეგიონის ტერიტორიას, უფრო ხშირად მეორდება გაზაფხულზე. ამავე დროს, ტემპერატურის უარყოფითი ანომალიების სინქრონულობა ძირითადად უნდა მიეწეროს დასაცავებით ჰაერის

ცივი მასების მძლავრ შემოჭრებს, ხოლო ანომალიების ასინქრონულობა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში აცივების ფონზე ფიონური ეფექტის შედეგად ადგილი აქვს დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვან დათბობას, უმეტესწილად დაკავშირებულია პაერის შედარებით ცივი მასების აღმოსავლეთიდან ძლიერ შემოჭრებთან. ზემოთ ხსენებულ ნაშრომში (**ბერიტაშვილი და ჩოგოვაძე, 1999**) გლობალურ დათბობასთან კავშირში დადგენილი პროცესების შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე ამ ტიპის პროცესების განმეორადობის შემცირებაა მოსალოდნელი, რაც უფრო იშვიათს გახდის რეგიონებს შორის მკვეთრი ანომალიების წარმოქმნას.

მიღებული შედეგები აღტერნატიული მიღვომით ადასტურებს (**თავართქილაძის და სხვ., 1999**) მიერ დადგენილ დაზუსტებულ მონაცემებს გლობალურ დათბობის პროცესებზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს განსხვავებული ტემპერატურული რეაქციის შესახებ. პაერის ტემპერატურის ანომალიების გამოვლენილი კანონზომიერებანი შეიძლება გათვალისწინებულ იქნას XXI საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე ტემპერატურის მოდელურ გამოთვლებში.

აგტორები მადლობას უხდიან პროფ. კ. ელიზბარაშვილს ხელნაწერის გულდასმით გაცნობისა და გამოთქმული შენიშვნებისათვის.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

- 1.ბერიტაშვილი ბ., ჩოგოვაძე ი., 1999:** საქართველოს ტერიტორიაზე დათბობის ცირკულაციური ფაქტორების გამოყვლევა. გაერთს კლიმატის ცვლილებების კონვენციის ეროვნული ბიულეტენი № 8. თბილისი, გვ.66-71
- 2.თავართქილაძე კ., ელიზბარაშვილი ე., მუმლაძე დ., გაჩნაძე ჯ., 1999:** საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილებების ემპირიული მოდელი. საქმეცნაკად. პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი, 128 გვ.
- 3.ჯაგახიშვილი შ., 1981:** ატმოსფერული ნალექები საქართველოს ტერიტორიაზე. თსუ გამომცემლობა. თბილისი, გვ. 84-89.
- 4.Houghton J. T., Meira Filho L. G., Callander B. A., Harris N., Kattenberg A. and Maskell K (eds), 1996: Climate Change 1995. The Science of Climate Change.** IPCC, Cambridge University Press, pp. 133 – 192.
- 5.WMO 2003: The Global Climate System Review, June 1996-December 2001.WMO # 950,144 pp.**
- 6.Метревели Г.С., Метревели М.Г.2001:** Фоновые факторы глобального потепления климата в прибрежной зоне Чёрного моря. Водные ресурсы, т.28, №5, с.45-50.
- 7.Элизбарашили Э.Ш.,Элизбарашили М.Э.,2002:** Реакция различных типов ландшафтов Закавказья на глобальное потепление. Изв.АН, сер.геогр.,№5,с.52-56.

უაკ 551. 583. 14

ტემპერატურული ანომალიების საუკუნოებრივი სელდა საქართველოს ტერიტორიაზე. /ბ.ბერიტაშვილი, რ.მესხია/. პმი-ს შრომათა ქრებული – 2007 ტ.111 გვ.144-151, ქართ., რეზ. ქართ. ინგლ. რუს.

XIX–XX სს. დაკვირვების მასალების საფუძველზე განხილულია დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში პაერის საშუალო ოვიური ტემპერატურის ანომალიების აოზღედებში განმეორადობის ცვლილება წლის განმავლობაში, წლის (XII–III) და თბილ (IV–X) სეზონებში. დადგენილია დასავლეთ საქართველოში ტემპერატურის დადებითი ანომალიების განმეორადობის უმნიშვნელო კლების, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში მატების ტენდენციები. შებრუნებული მსვლელობა აქვს უარყოფით ანომალიებს. ეს ირიბად ადასტურებს სხვა ავტორთა მიერ მიღებულ შედეგებს და შეიძლება გამოყენებული იქნეს XXI საუკუნეში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ამოცანების გადასაჭრელად.

УДК 551.583.11

Secular course of temperature anomalies on the territory of Georgia /B. Beritashvili, R. Meskhia/. Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology, 2007 , v.111, p.144-151,- Georg., Summ. Georg., English., Russ.

On the basis of observational data for XIX – XX centuries mean number of recurrence of average monthly air temperature anomalies through the year, in the cold (XI – III) and warm (IV – X) seasons for western and eastern parts of Georgia is discussed. The tendencies for insignificant decrease of positive anomalies in Western Georgia and their increase in Eastern Georgia are revealed. The inverse course is established for negative anomalies. This indirectly confirms the results obtained by other authors and could be used for the solution of different problems related with the climate change processes.

УДК 551. 583- 14

Вековой ход температурных аномалий на территории Грузии / Б. Ш. Бериташвили, Р. Ш. Месхия / Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии, 2007, т.111, с.144-151, Груз., Рез. Груз., Анг., Русск.

На основе данных наблюдений за XIX – XX вв. рассмотрена повторяемость среднего числа аномалий среднемесячной температуры воздуха за год, за холодный (XI – III) и тёплый (IV – X) сезоны на территории Западной и Восточной Грузии. Установлены тенденции незначительного уменьшения частоты положительных аномалий в Западной Грузии и их возрастания в Восточной Грузии. Обнаружен обратный ход для отрицательных аномалий. Это косвенно подтверждает справедливость результатов, полученных ранее другими авторами и может быть использовано для решения различных задач, связанных с процессами изменения климата.

დ. არველაძე

ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უკ 581.143

**მრავალფლიანი გულტურების მოსავლის
ზომირების მათემატიკური მოდელირება**

აკადემიკოსმა ქსენია ბახტაძემ შექმნა თეორია, რომლის მიხედვითაც ჩაის ბუქების ყლორტწარმოქმნის საერთო რიტმში შეიძლება აღნიშნული ყოფილიყო ზრდის ორი, მეტნაკლებად თვალსაჩინოდ გამოხატული, პერიოდი: გაზაფხულის-მაისში და ზაფხულის-ივლის-აგვისტოში. ზრდის ამ პერიოდების შემდეგ ადგილი აქვს გარკვეულ შესვენებებს: ზაფხულში (ივნისში) მოკლე ხნით და ზამთარში (ნოემბრიდან მარტის შუა რიცხვებამდე) ე.წ. ზამთრის შესვენება (ბახტაძე 1971). ამ თეორიამ ივნისის დეპრესიის შესახებ საქმაოდ ფართო გავრცელება და აღიარება მოიპოვა, მაგრამ, პრაქტიკულად, არავის არ უჩვენებია ჩაის ფოთლის მოსავლის ასეთი დინამიკა სავაჭრებაციო პერიოდში. თუ ჩაის ფოთლის მოსავლის საშუალომრავალწლიურ დინამიკას დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ არცერთ მრუდს ჩავარდნა არა აქვს ივნისის თვეში, პირიქით, ვეკლა ნაკვეთზე მოსავალი ივნისში გაცილებით მეტია, ვიდრე მაისში. როგორც ჩანს, ზოგიერთი აგვისტო სწორედ ამ საფუძველზე არ ეთანხმებოდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ წამოყენებულ თეორიას (ხამზავი, 1950). 1970 წელს მე ობინისკიდან ჩავდი ჩაქში და შევხვდი ქსენია ბახტაძეს. ის მოხუცი იყო, მე კი ახალგაზრდა, თანაც მიხვდა, რომ შექმედო გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით დამტუშავებინა დიდადი მასალა, რის გამოც მომცა საკუთარი შრომით ათეული წლების მანძილზე დაგროვილი უნიკალური ქსაკერიმენტალური მონაცემები-ეს იყო დიდი სიზუსტითა და შეუპოვრობით მოპოვებული შედეგები. მე ეს მონაცემები ობინისკში წავიდე და დავიწყე შრომა. მაშინ ახალგაზრდა გახდით და დდე და დამეს ვაწორებდი. თვიურს და დეკადურს კი არა და ყოველდღიურ მონაცემებს ვაანალიზებდი. რამდენიმე თვეში აღმოჩნდა, რომ ჩაის ფოთლის მოსავლის დინამიკაში არსებობს არა მარტო ივნისის “ჩავარდნა”, არამედ, უფრო მეტიც, აშკარა გახდა ჩაის ბუქების ყლორტწარმოქმნის ტალღური ბუნება. კრევის სეზონის განმავლობაში რიტმულად იცვლებიან ჩაის ყლორტის საშუალო ნაზრდი, მოსაკრევად შემოსული ყლორტების რაოდენობა და ჩაის ფოთლის მოსავალი.

ადმონიდა, რომ ამ მოვლენას ადგილი აქვს აჭარაში, გურიაში, აფხაზეთში და იმერეთში. ჩაის მოსავლის დინამიკის რიტმულობა შეიძლება ინდოეთში, მალაიზიაში, ცეილონზე და სხვ.

აქტიური პერიოდების პასიურით შეცვლის მიზეზად ბახტაძე ჩაის მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებებს მიიჩნევს. მ. დარასევლიას აზრით, მოსავლის შემცირება იყნისის თვეში არაა გამოწვეული საკვები ელემენტების ნაკლებობით ან ამინდის პირობებით. თუმცა მ. ხამზაევი (ხამზაევი, 1950) აღნიშნავს, რომ იმ წლებში, როცა ტარდებოდა დარასევლიასა და ბახტაძის დაკვირვებები, იყნისის დეპრესია სწორედ ამინდის პირობებით იყო გამოწვეული. ბახტაძისა და კრასნოვისაგან განსხვავებით პოეროვსკი (პოეროვსკი, 1936) და ალი-ზადე (ალი-ზადე, 1959, 1964) თვლიდნენ, რომ ჩაის მცენარის შესვენების პერიოდი იმულებითია და ფარდობითი. ალი-ზადემ კრევის სეზონში მცენარის ორგანოებში ვერ აღმოაჩინა ნუკლეინის მჟავების ცვლაში გადახრები და, ამ საფუძველზე, დაასკვნა, რომ ტენიო უზრუნველყოფის პირობებში ჩაის ბუქჩს არ აქვს ზაფხულის შესვენება.


საზღვარგარეთულ ავტორთა უმრავლესობას უკვი არ კარება ჩაის მოსავლიანობის დინამიკის რიტმულობაში, მაგრამ ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ამ ციკლების სიგრძე უცნობ ფაქტორებზეა დამოკიდებული (ლაიკოკი, 1960, პორტსმუტი, 1957, ვიგტი და ბარუა, 1955).

საკმოდ მაღლ დავამტკიცე, რომ ჩაის მოსავლის აღნიშნული რიტმულობა არაა დამოკიდებული პარის ტემპერატურაზე, ნალჯებზე, პარის ტენიანობაზე, მზის ნათების ხანგრძლივობასა და ნიადაგის ტენიანობაზე, მაგრამ მივხვდი, რომ ყლორტწარმოქმნის ტალღური ბუნების შესწავლისა და შესაბამისი მოდელის შესაქმნელად აუცილებელია დიდი რაოდენობის ბიომეტრული ინფორმაციის დაზუშავება (არველაძე, 1998).

ნახ.1-ზე წარმოდგენილია ყლორტების ხილვადი ზრდის დაწყებისა და მოსაკრეფად შემოსვლის ექსპერიმენტალური ფუნქციები. ა-ზე ნაჩვენებია $\varphi(t)$ ფუნქცია, რომელიც გამოხატავს ზრდადი ყლორტების დამოკიდებულებას დროზე, რომლის ათვლა წარმოებს წინა რიგის ყლორტების მოკრეფიდან. სურათის ბ-ნაწილზე აგებულია $\psi(t)$ ფუნქცია, რომელიც გამოხატავს მოსაკრეფად შემოსული ყლორტების რაოდენობის დამოკიდებულებას დროზე, რომელიც აითვლება ხილვადი ზრდის დაწყებიდან. ორივე შემთხვევაში დრო t პენტადებშია გამოხატავული.

როგორც ნახაზიდან ჩანს, ყოველი შემდეგი რიგის ყლორტები ზრდას იწყებენ არაერთდოროულად, სხვადასხვა დროის გასვლის შემდეგ წინა რიგის ყლორტების მოკრეფიდან. ერთი და იმავე რიგის ყლორტების მოსაკრეფად შემოსვლაც არაერთდოროულად ხდება.

ერთი და იმავე რიგის ყლორტების მოსაკრეფად შემოსვლა შეიძლება წარმოდგენილი იქნას ხილვადი ზრდის დაწყების ფუნქციის უმუალო გათვალისწინების გარეშე. საშუალოდ, დასავლეთ საქართველოს პირობებში დაახლოებით ცხრა პენტადის განმავლობაში შემოდის საკრეფად ერთიდაიგივე რიგის ყლორტები.




ნახ. 1 ყლორტების ხილვადი ზრდის დაწყების და მოსაკრეფად შემოსვლის ფუნქციები: ა – ხილვადი ზრდის დაწყების ფუნქცია $\varphi(t)$;
ბ – ყლორტების მოსაკრეფად შემოსვლის ფუნქცია $\Psi(t)$.

ერთი რიგის ყლორტების მოსაკრეფად შემოსვლის პროცესი შეიძლება აპროქსიმირებული იქნას $F_t = F_{\max} / 1 + e^{a-bt}$ დოგისტიკური მრუდით, სადაც F_t არის რაოდენობა ერთი რიგის ყლორტებისა, რომლებიც t დროისათვის მომწიფდნენ მოსაკრეფად; F_{\max} – ერთი რიგის ყლორტების მაქსიმალური რაოდენობა პროცენტში (100%); a და b პარამეტრები განსაზღვრავენ ინტეგრალური მრუდის დახრას, სიმრუდეს და გადაღუნვის წერტილს; t -დრო (პენტადებში), რომელიც გავიდა ყლორტების კრეფის დაწყებიდან.

სწორედ ამის შემდეგ იწყება ყველაზე მთავარი: როგორ აღწეროთ ყლორტწარმოქმნის დინამიკა სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში ამ ფუნქციების საშუალებით. გითხრათ სიმართლე, ძალიან გამიჭირდა, ადამიანები, რომლებიც ამ საკითხებით არ იყვნენ დაკავებული, ვერაფერს მეუბნებოდნენ. საჭირო გახდა ახალი ბიომეტრული პროცესის მათემატიკური აღწერა. საბოლოოდ, რა თქმაუნდა, მე თვითონ შევქმნი ყლორტწარმოქმნის პროცესის მათემატიკური მოდელი.

აღნიშნული პროცესის კომპიუტერზე გამოთვლის შედეგები ნაჩვენებია ნახ. 2-ზე.



ნახ.2. მოსაკრეფად შემოსული ყლორტების რაოდენობა ავეგეტაციო პერიოდში: 1-მოდელით გამოთვლილი $N(t)$; 2-აპროქსიმაცია $\hat{N}(t)$.

ემპირიული მრუდი $N(t)$ შეიძლება აპროქსიმირებული იქნას მიღებადი რხევის განტოლებით $\hat{N}(t) = A_0 e^{\alpha t} \cdot \sin(\omega t + \varphi_0) + A_0$, სადაც $\hat{N}(t)$ მოსაკრეფად შემოსული ყლორტების გამოთვლილი რაოდენობაა, t -დრო; A_0 , α , ω , φ_0 -ემპირიული პარამეტრებია, რომლებიც განსაზღვრული იქნა k ხარისხის ფუნქციის მინიმიზაციის შედეგად $K = \sum_{t=0}^n \{N(t) - [A_0 e^{\alpha t} \sin(\omega t + \varphi_0) + A_0]\}^2$.. პარამეტრების განსაზღვრავად გამოყენებული იქნა როზენბროკის (როზენბროკი, 1966) მეთოდი.

შექმნილი მოდელების მიხედვით ჩატარებულმა გამოთვლებმა გვიჩვენეს, რომ ისინი ყლორტწარმოქმნის პროცესებს ადექტატურად აღწერენ და თვალსაჩინოდ წარმოადგენენ ჩაის მოსავლის დინამიკის ტალღურ ბუნებას კრეფის სეზონში.

ამრიგად, ჩაის ბუნების ყლორტების ზრდის პროცესის ზოგადი ბიოლოგიური კანონზომიერებების საფუძველზე შემუშავებული იქნა ყლორტწარმოქმნის ნახევრადემპირიული მათემატიკური მოდელი, რომელიც მოსავლის ფორმირების პროცესს აღადგენს სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (მოდელის პარამეტრია t -დრო).

მოდელის პირველ ვარიანტში გამოყენებულია ჩაის ყლორტების ზრდისდაწყებისა და მოსაკრეფად შემოსვლის $\varphi(t)$ და $\psi(t)$ ფუნქციები, რომელთა ყოველი კრეფის შემდეგ განმეორებითა და

ერთმანეთზე ზედღებით ფორმირდება მოკრეფილი ყლორტების რაოდენობის $N(t)$ -ს ტალღური ბუნება.

მოდელის მეორე ვარიანტი ეყრდნობა ერთი რიგის ყლორტების მომწიფების $F(t)$ ფუნქციას და მოსავლის დინამიკას წარმოადგენს კრეფების მიხედვით სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (კრეფების სიღრმისა და სიხშირის გათვალისწინებით).

მოდელის მესამე ვარიანტში, რომელსაც საფუძვლად უდევს ყლორტის ზრდის კანონზომიერება, მატრიცული ოქორის ელემენტების გამოყენებით გამოითვლება ჩაის ყლორტის საშუალო ნაზრდის დინამიკა სავეგეტაციო პერიოდში.

რა მოგვცა, საბოლოოდ, პროცესის მათემატიკურმა მოდელმა? უპირველეს ყოვლისა, აასუხო გავვციოთ კითხვას აქვს თუ არა ჩაის მოსავლის დინამიკას სავეგეტაციო პერიოდში ტალღური ბუნება? მეორე და მთავარი ისაა, რომ ეს პროცესი აღმოჩნდა ბიოაგროტექნიკური ბუნების: მცენარის ზრდის კანონზომიერებას თან ერთვის აგროტექნიკური პროცესი-კრეფა. ყოველივე ეს წარმოშობს ტალღურ დინამიკას. გარდა ამისა, უკვე საშუალება გვეძლევა შევისწავლოთ სხვა ფაქტორების წელილი, კერძოდ, ამინდის გავლენა ჩაის ბუნქის მოსავლიანობაზე. თუ მოსავალს განვიხილავთ მთელი სეზონის განმავლობაში, მაშინ ბიოაგროტექნიკური ბუნება იმდენად არევს მოსავლის დინამიკას, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება ამინდის გავლენის შეფასება. ამჯერად კი, ეს მოდელი საშუალებას იძლევა გავათავისუფლოთ ჩაის მონაცემები ტალღური ბუნებისაგან და დარჩენილი ნაწილი დავუკავშიროთ ამინდს.

ასეთ რეგრესიულ მოდელს “კლიმატი-ჩაის მოსავალი” აქვს სახე

$$Q_i = \exp[c_1(a_1 T_i + a_2 T_i^2) + c_2(b_1 R_i + b_2 R_i^2) + c_0],$$

სადაც $a_1, a_2, b_1, b_2, c_1, c_2, c_0$ კოეფიციენტებია, რომელთა განსაზღვრა ხდება უმცირეს კვადრატთა მეთოდით. კორელაციის კოეფიციენტი ამ მოდელით გამოთვლილსა და ფაქტიურ მოსავლებს შორის $r=0.95$. აღმოჩნდა, რომ ჰაერის საშუალოდებური ტემპერატურის გაზრდისას იზრდება შესაბამისი კრეფის მოსავალი. დასავლეთ საქართველოს პირობებში არ გვხვდება თვიური ტემპერატურის მაღალი მნიშვნელობები, რომლებიც შეამცირებენ მოსავალს. მოსავლის ნალექებთან კავშირიც არაწრფივია.

კუბაზე მუშაობისას ჩემს განკარგულებაში აღმოჩნდა კუბის 150 წერტილში 50 წლიანი მონაცემები-შაქრის ლერწამში შაქრიანობის შემცველობა და ბიომასა. ამ მასალაზე ბევრი კარგი შედეგი იქნა მიღებული, მაგრამ ამჟამად მინდა მხოლოდ ერთი მომენტი გავიხსენო.

შაქრის ლერწმის შაქრიანობის მრავალწლიური დეკადური მონაცემების ანალიზის შედეგად ცხადი გახდა, რომ ნოემბრის ოვიდან შაქრიანობა თანდათან იზრდება და მომდევნო წლის მარტის ბოლოს- აპრილის დასაწყისში აღწევს მაქსიმუმს, რის შემდეგაც იწყებს საკმაოდ სწრაფ შემცირებას და ივლისის თვეში მინიმუმამდე ეცემა. შაქრიანობის კუბისათვის გასაშუალოებული მრუდი $\alpha(t_k)$ (შაქრიანობის მნიშვნელობები გამოსახულია მისი მაქსიმალური მნიშვნელობის ნაწილებში. დეკადების მიხედვით $t_j=1$ მიმდინარე წლის სექტემბრის პირველი დეკადა, ხოლო $t_6=36$ მომდევნო წლის აგვისტოს ბოლო დეკადა) გამოხატავს კლიმატის ეფექტს შაქრიანობის დინამიკაში და მისი დამაკმაყოფილებელი აპროქსიმაცია ასე გამოიყენება

$$\alpha(t_k)=0.5/1+\exp(4.777-0.444t_k)\cdot1/1+\exp(-15.85)(1+0.58t_k),$$

სადაც ე არის ნატურალური ლოგარითმის ფუძე. ამ გამოსახულებაში კოეფიციენტები განსაზღვრულია ხ. როზენბროკის მიხედვით.

შაქრის საერთო რაოდენობა C დამოკიდებულია საშუალო საპექტარო ბიომასის \bar{m} , საშუალო შაქრიანობის \bar{c} და შაქრის ლერწმით დაკავებული საერთო ფართობის S სიდიდეზე $C = \bar{m} \cdot \bar{c} \cdot S$. ამ ფორმულაში $\bar{m} \cdot S = M$ წარმოადგენს ლერწმის ლერწმის ჯამურ ბიომასას, რომელიც აღებულია S ფართობიდან. აქედან გამომდინარე, $C = M \cdot \bar{c}$. თუ μ არის აგროსამრეწველო კომპლექსების საშუალო, სამეურნეო სიმძლავრე, საფრის (შაქრის ლერწმის აღების პერიოდი)

სანგრძლივობა T_z შეიძლება განისაზღვროს ფორმულით $T_z=M/\mu$. μ -ს სტაბილურობის შემთხვევაში ლერწმის აღება და დამუშავება თანაბრად მიმდინარებს დროში, რის გამოც \bar{c} განისაზღვრება როგორც საფრის მანძილზე გასაშუალოებული სიდიდე $\bar{c} = \frac{c_{\max}}{t_k - t_H} \int_{t_H}^{t_k} \alpha(t) dt$,

სადაც t_H და t_k საფრის დაწყებისა და დამთავრების თარიღებია.

ამ ფორმულიდან კარგად ჩანს, რომ საშუალო შაქრიანობა საფრის განმავლობაში c უშუალო კავშირშია საფრის დაწყებისა და დამთავრების თარიღებთან და, აქედან გამომდინარე, საფრის სანგრძლივობასთან $T=t_k-t_H$.

საშუალოდ, კუბაზე, სამოციან წლებამდე საფრა მიმდინარეობდა სამი თვის მანძილზე (თებერვალი-აპრილი), სამოციანი წლებიდან კი მისი სანგრძლივობა დაახლოებით თვენახევრით გაიზარდა (იანვარი-მაისი); საფრის პერიოდის ასეთი გასანგრძლივების შედეგად საშუალო შაქრიანობა შემცირდება

$$\bar{\Delta c} = \frac{c_{\max}}{9} \int_9^{18} \alpha(t) dt - \frac{c_{\max}}{14} \int_6^{20} \alpha(t) dt = 0.978c_{\max} - 0.938c_{\max} = 0.04c_{\max}.$$

კუბაზე, ყოველწლიურად, დაახლოებით, 50-60 მილიონი ტონა შაქრის ლერწამი გადამუშავდება და მისი მაქსიმალური შაქრიანობა, საშუალოდ, $c_{\max} = 12.50\%$ შეადგენს. ამ შემთხვევაში \bar{c} შემცირდება $\bar{\Delta c} = 0.50\%-ით$. შაქარზე გაანგარიშებით ეს სოლიდური სიღიღეა და ქვეყნის მასშტაბებით 250-300 ათას ტონა სუფთა შაქარს ნიშნავს.

ამრიგად, მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს კვლევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ პროცესის ფიზიკურ-მათემატიკური მხარე და, რაც მთავარია, მასში მონაწილე ცალკეული ფაქტორების სრული ეფექტი შევაფასოთ

ლიტერატურა-REFERENCES -ЛИТЕРАТУРА

1. Арвеладзе Г.А., 1998. Полуэмпирическая математическая модель формирования урожая чая. Метеорология и гидрология, №7, с.105-113.
2. Бахтадзе К.Е., 1971. Биологические основы культуры чая. Мецниереба, Тбилиси.
3. Хамзаев В.Н., 1950. К вопросу о причинах снижения в июне урожайности чайного куста. Труды ГрузНИИГиМ, вып. 4, 1956.
4. Покровский В.Н., Мерабян С.Г., 1936. Фотопериодизм и вегетация чайного растения. Сов. субтропики, №11, с.37-55.
5. Али-Заде М.А., 1959. К вопросу о периоде покоя листосборного чайного куста. Рост растений. Изд-во Львовского университета.
6. Али-Заде М.А., 1964. Физиология чайного куста. Баку. Изд-во АН АзССР.
7. Laycock D.H., 1960. A progress report on the first six years of a pruning experiment with Nyasaland tea. Trop. Agr., Vol. 37, №2, p. 125-134.
8. Portsmouth G.B., 1957. Factors effecting shoot production in tea when grown as a plantation. Crop.11. The influence of climatic conditions and age front pruning flush shoot production tea Quarterly, 28, p.16-24.
9. Wight W. and Barua D.N., 1955. The nature of dormancy in the tea plant. J. Exper. Bot., Vol.,6, №16, p.1-5.
10. Rosenbrock N.H., 1966. An automatic method for finding the greatest or least value of a function. The Computer Journal, Vol.3, p.175.

უაკ 581.143

მრავალწლიანი კულტურების მოსავლის ფორმირების მათემატიკური მოდელირება. /დ.არველაძე/. მძი-ს შრომათა კრებული. –2007.-ტ.111 –გვ.152-159. ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

შემუშავებულია ჩაის ბუჩქის ყლორტზარმოქმნის ნახევრადექმპირიული მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ყლორტების მოსაქრევად შემოსვლა და აგენსათ ჩაის მოსავლის ტალღისებური დინამიკის მიზეზი სავაგეტაციით პერიოდის განმავლობაში. მოდელი გამოიყენება მოსავლის ამინდის ფაქტორებთან ფორმალური კავშირის წარმოსადგენად. აგებულია ჩაის მოსავლის მეტეოროლოგიურ ფაქტორებზე დამოიდებულების რეგრესიული მოდელი.

შაქრის ლერწამში შაქრიანობის დინამიკის ანალიზის საფუძველზე აგებულია საფრის განმავლობაში შაქრის შემოსვლის მოდელი, რომელიც, გამოყენების შემთხვევაში, იძლევა დამატებით 250-300 ათას ტონა სუფთა შაქარს ყოველწლიურად.

ნაჩვენებია, რომ მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს კვლევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ პროცესის ფიზიკურ-მათემატიკური მხარე და, რაც მთავარია, შევაფასოთ მასში მონაწილე ცალკეული ფაქტორების სრული ეფექტი.

УДК 581.143

Matematikal Modeling of Perennisl Crop Formation. /G. Arveladze/ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. –v.111,-p.152-159.-Georg.-Summ. Georg., Ing., Russ.

A semi-empirical mathematical model of tea shoot production is developed. The model reproduces the growth of tea shoots and explains the cause of the wave-type dynamics of tea yield during the vegetative period. It is used for a formal representation of the correlation between weather and tea yield. The regression model of the dependence of tea yield on meteorological factors is developed.

On the basis of data analysis a model is developed describing the accumulation of sugar in the sugar-cane during the safra period, which makes it possible to get extra 250-300 thousand tonnes of pure sugar annually.

It is shown that mathematical modelling is a mighty tool of research that allows to examine the physical and mathematical aspects of the process and, that is most important, to assess total effect of separate factors taking part in it.

УДК 581.143

Математическое моделирование формирования урожая многолетних культур. /Г.А. Арвеладзе/ сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии –2007.-т.111- с-152-159, –Груз. рез. Груз., Анг., Русск.,

Разработана полуэмпирическая математическая модель побегообразования чайного куста, которая позволяет восстановить временной ход поступления побегов к сбору и объяснить причину волнообразной динамики урожая чая в течение вегетационного периода. Она используется для формального представления связи урожая с погодными условиями. Построена регрессионная модель зависимости урожая чая от метеорологических факторов.

На основе анализа данных построена модель поступления сахара в сахарный тростник в течение сафры, которая даёт возможность получения дополнительно 250-300 тысяч тонн чистого сахара ежегодно.

Показано, что математическое моделирование представляет собой значительный инструмент исследования, который позволяет изучить физико-математические стороны процесса и, что главное, оценить полный эффект участвующих в нем отдельных факторов.

გ.მელაძე, მ.ოუთარაშვილი, მ. მელაძე
პიდრომეტეოროლოგის ინსტიტუტი

၃၃၂ ၆၃၀:၅၅၁.၅၈

პახეთის რეგიონში უკრაინულ მუზეუმების გაციითარება
აბროვალიგარული პირობების გათვალისწინები

სოფლის მეურნეობაში მრავალდარგოვანი ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, აგროკლიმატური რესურსების მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენებას, რადგან ისინი ძირითადად განსაზღვრავენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქტიულობას. ამიტომ ფერმერები უნდა ითვალისწინებდნენ თავიანთი მეურნეობების ტერიტორიებზე როგორია აგროკლიმატური მახასიათებლები, პაერისა და ნიაღაგის ტემპერატურები, აგმოსფერული ნალექები, საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები (ყინვები, წაყინვები, ძლიერი ქარები), როგორიცაა მიხედვით შეიძლება განისაზღვროს, თუ რა მიმართულების ფერმერული მეურნეობა შეუხამონ არსებულ პირობებს- მევნეობის, მეხილეობის, მემარცვლეობის მებოსტნეობის, მეცხოველეობის თუ სხვა. ფერმერული მეურნეობებისადმი ასეთი მიღვომა აამაღლებს მათი წარმოების რეგისტრაციას.

სსენებული დარგების წარმატებით განვითარების მიზნით, ჩავა-
გარეთ კახეთის რაიონების აგროკლიმატური პირობების შეფასება,
რომელიც ფერმერულ მეურნეობებს დაეხმარება მის პრაქტიკულ რე-
ალიზაციაში. ამასთან დაკავშირებით ავღნიშვნავთ, რომ კახეთის
ტერიტორიის აგროკლიმატური რესურსების შეფასება ჩატარებულია,
მხოლოდ ვაზის კულტურის მაგალითზე [1,2].

კახეთის რეგიონის აგროკლიმატური პირობების შეფასებისათვის გამოვყენეთ საქართველოს კლიმატური ცნობარების მასალები [3,4] და ნაწილობრივ შ.ჯავახიშვილის ნაშრომში [5] მოყვანილი ზოგიერთი კლიმატური მაჩვენებლები. აღნიშნული მასალები ჩვენს მიერ გაანალიზდეს და დამუშავებული იქნა რაონების მიხდვით. მიღწეული

ბული მასალების საფუძველზე გამოვთვალეთ სავეგეტაციო პერიოდში სათანადო აგროკლიმატური მახასიათებლები (ცხრ.1).

ცხრილი 1.კახეთის რეგიონის ზოგიერთი მეტეოროლოგიური ფაქტორების მახასიათებლები თბილ პერიოდში (IV-X)


პერიოდი	საგარეჯო დედოფლისწყ. შიომის ელდარი ახმეტა თელავი გურჯაანი წნორი ყვარელი ლაგოდეხი	აღმოჩენის დრო (დღე) აღმოჩენის დრო (დღე)	აღმოჩენის დრო (დღე)	აღმოჩენის დრო (დღე)	აღმოჩენის დრო (დღე)	აღმოჩენის დრო (დღე)	აღმოჩენის დრო (დღე)
საგარეჯო დედოფლისწყ. შიომის ელდარი ახმეტა თელავი გურჯაანი წნორი ყვარელი ლაგოდეხი	— — 1670 — 1650 1660 1550 — — —	3420 3230 3390 3750 3660 3730 3920 4100 3960 3980	550 490 380 360 560 590 540 420 760 740	68 72 72 66 68 66 70 67 69 68	7.5 6.8 7.4 9.1 7.8 8.3 7.9 9.2 8.2 8.6	222 209 175 208 238 233 245 224 239 242	7 — 2 — 4 6 — — 20 4

ცხრილში მოტანილი აგროკლიმატური მახასიათებლები ძირითადად ხელსაყრელია კახეთის ყველა რაიონის აგროფერმენტულ მეურნეობათა რენტაბელობისათვის.

დადგნილია, რომ ტერიტორიაზე, სადაც სიობური რეჟიმი ვერ უზრუნველყოფს აგროკულტურების ნორმალურ ზრდა-განვითარებას მოსავალი და მისი ხარისხი დაბალია. გამომდინარე აქვთან სასურველია ვიცოდეთ კახეთის რაიონებში, როგორია პაერის ტემპერატურის ჯამი 10° -ის ზევით, რომლის პირობებში შესაძლებელი იქნება ფერმერულ მეურნეობებში ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმატებით განვითარება. ამისათვის ვსარგებლობთ [6] ტემპერატურათა ჯამის უზრუნველყოფის მრუდით (ნახ.1). ტემპერატურის ჯამის განსაზღვრისათვის, ამასთანავე უნდა ვიცოდეთ მოცემული რაიონის მრავალწლიური საშუალო ტემპერატურის ჯამი (ცხრ. 1).

მაგალითისათვის ავიღოთ თელავის რაიონი და ვნახოთ ათ წელიწადში რამდენჯერ მიაღწევს სრულ სიმწიფეს ვაზის საგვიანო ჯიში (რქაწითელი, საფერავი), რომლისთვისაც საჭიროა 3500° . მოცემულ რაიონში პაერის ტემპერატურის ჯამი (10° -ის ზევით) 3730° -ია (ცხრ.1). აღნიშულ ტემპერატურებს შორის სხვაობა შეადგენს 230° -ს.

ნახაზი 1-ის აბსცისთა დერძხე 0-დან მარცხნივ გადავთვლით სხვაობას -230 და იქნეან ავღმართავთ ორდინატის პარალელურ ხაზს მრუდის გადაკვეთამდე, რომლის წერტილში ვპოულობოთ ტემპერატურის ჯამის უზრუნველყოფას დაახლოებით 90%-ს. მაშასადამე, ვაზის მტკვნების სრული სიმწიფისათვის სითბოს უზრუნველყოფა იქნება 9-ჯერ ყოველ ათ წელიწადში. ასევე შეიძლება განისაზღვროს სხვა აგროკულტურების სითბოთი უზრუნველყოფა დანარჩენი რაიონებისათვისაც.



- ნახ.1. ტემპერატურათა ჯამის უზრუნველყოფის მრუდი
 — (+6 – -7) ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურების განმეორადობის მრუდი
 - - - (-600 – +700) ტემპერატურათა ჯამების უზრუნველყოფის მრუდი
 - - - (-200 – +350) 700 მმ და ნაკლები ნალექების ჯამის უზრუნველყოფის მრუდი 100-ზე ტემპერატურის პერიოდში

სასოფლო-სამეურნეო კულტურები, დიდ მოთხოვნას უქმნებენ, აგრეთვე აგრძელებენ ნალექებს, რომლისადმი მოთხოვნილება, მათი ფაზათა განვითარების ამა, თუ იმ პერიოდში სხვადასხვაა. გამომდინარე აქედან, ტენიანობის პირობების აგრომეტეოროლოგიური შეფასებისათვის უნდა ვიცოდეთ მცენარეთა ფაზების ოვითეულ პერიოდში ტენით უზრუნველყოფა. კახეთის ტერიტორიაზე, სადაც გაშენებულია ვაზი, მარცვლეული და სხვა კულტურები, ზოგჯერ სავეგეტაციო პერიოდში, განსაკუთრებით ივლის-აგვისტოში განიცდიან ტენის დეფიციტს. ამიტომ საჭიროა მათი ტენით უზრუნველყოფა (მორწყვა, ნიადაგის გაფხვიერება).

ნ.ბიძინაშვილის [1] მიხედვით კახეთის ტერიტორიაზე ყველაზე მეტად ტენით უზრუნველყოფილია ვაზი გეგმებაციის პირველ პერიოდში (კვირტების გახსნიდან – ყვავილობის დასასრულდამდე). ამ ფაზებს შორის საშუალოდ მშრალ და ტენით წლებში ვაზი არ საჭიროებს მორწყვას. თუმცა განსაკუთრებულ უნაღვექობისას საჭიროა ერთხელ მორწყვა. ეს ეხება კახეთის მშრალ ზონას (პიდროთერმული კოეფიციენტი 0,5-1,0), რომელიც მოიცავს მდ. ალაზნის ქვემო ნაწილს, შირაქის ვაკეს და მდ. იორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს.

ვაზის მეორე პერიოდის ვეგეტაცია (ყვავილობის დასასრული-სიმწიფის დასაწყისი) წარმოადგენს გადამწყვეტს, რადგან იგი ემთხვევა გაღლვების პერიოდს, ამიტომ საჭიროა ჩატარდეს 2-3-ჯერ მორწყვა, რათა ვაზი ამ ფაზაში უზრუნველყოთ ტენით და შევინარჩუნოთ მოსავალი.

კახეთის რაიონებში ნალექების ჯამის უზრუნველყოფის განსაზღვრისათვის, შევადგინეთ ნალექების ჯამის დაგროვების უზრუნველყოფის მრუდი სავეგეტაციო პერიოდისათვის (ნახ.1). მასზე განსაზღვრის წესი, ტემპერატურათა ჯამის განსაზღვრის ანალოგიურია (ნალექების ჯამი იხილეთ ცხრ.1-ში).

კლიმატური მახასიათებლების ანალიზმა გვიჩვენა, რომ კახეთის ივრის ზეგანზე პაერის საშუალო ტემპერატურა იანვარში უარყოფითია, ყველაზე დაბალია შირაქში (-2,3°), თებერვალში და დეკმბერში დადებითია. გამონაკლიისია შირაქი (-0,4, -0,2 შესაბამისად). რაც შეეხება კახეთის შიგნით ბარზე ზამთრის თვეებში პაერის საშუალო ტემპერატურას, იგი ყველგან დადებითია (0,1-დან 2,9°-მდე). ზაფხულის თვეებში საშუალო ტემპერატურები დაიკვირვება 22,4, 24,4° (ახმეტა, წნორი შესაბამისად). ასევე დაიკვირვება აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურები, იმავე პუნქტებში 37-40°.

აღნიშნული ტემპერატურები სრულიად აქმაყოფილებს აგროფერ-მერულ მეურნეობებში მარცვლეულის, ვაზის, ტექნიკური, ბოსტნეული თუ სხვა კულტურების წარმატებით ზრდა-განვითარებას.

კახეთის ტერიტორიის ივრის ზეგანზე პაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა მერყეობს -24, -32°-მდე, ხოლო შიგნით კახეთის ბარზე -22, -25°-მდე. ივრის ზეგანზე უარყოფითი ტემპერატურები (-1-დან -4°-მდე) მაისში და სექტემბერშიც დაიკვირვება, ხოლო შიგნით კახეთის ბარზე აღნიშნულ თვეებში შენარჩუნებულია დადებითი ტემპერატურები (1°-დან 0°-მდე).


ავღნიშნავთ, რომ გაანალიზებულ ზამთრის აბსოლუტურ მინიმალურ ტემპერატურებს ანგარიში უნდა გაეწიოს. ამიტომ ფერმერებმა თავიანთ ტერიტორიებზე უნდა შეარჩიონ შედარებით ნაკლებად ყინვასაში ადგილები, განსაკუთრებით ვაზის კულტურის წარმოებისათვის.

კახეთის რაიონების აგროფერმერული მეურნეობებისათვის მოგვყავს [6] ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურების განმეორების მრუდი (ნახ.1), რომლის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს ვაზისა და სხვა კულტურებისათვის კრიტიკული (დამაზიანებელი) ტემპერატურების განმეორება ყოველ ათ და მეტ წელი წადში. განსაზღვრის წესი იხილეთ ზემოაღნიშნულ ტემპერატურათა ჯამის განსაზღვრის მაგალითზე. ამავე დროს უნდა ვისარგებლოთ კახეთის რაიონების ჰაერის საშუალო აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურებით. საგარეჯოში იგი შეადგენს - 12°, დედოფლისწყაროში - 15°, ახმეტაში - 12°, თელავში - 11°, გურჯაანში - 10°, სიღნაღში (წნორი) - 12°, უვარევში და ლაგოდებში - 11°.

საშიში მეტეოროლოგიური მოვლენებიდან სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის არახელსაყრელია, აგრეთვე წაყინვები, რომელსაც ცალკეულ წლებში დიდი კონომიკური ზარალი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის. ამიტომ ფერმერებმა უსაუოდ, უნდა გაითვალისწინონ წაყინვები და გამოიყენონ მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, რათა თავიდან აიცილონ კულტურების ყვავილობის, ახალგაზრდა ნაზი ფოთლების, ზოგიერთი ტექნიკური თუ ბოსტნეული კულტურების ჩითილების დაზიანება.

კახეთის ტერიტორიაზე განხილული კლიმატურ მახასიათებლებთან ერთად სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით გასათვალისწინებელია, აგრეთვე ძლიერი ქარები (≥ 15 მ/წმ და მეტი), რადგან იგი სოფლის მეურნეობისათვის არახელსაყრელია. იგი აზიანებს მცენარეებს მექანიზურად, იწვევს ყვავილების და ნაყოფების ცვენას, აძლიერებს ნიადაგიდან ტენის ორთქლებას, რაც უარყოფითად მოქმედებს მცენარეებზე და სხვა. ამიტომ ძლიერ ქარიან რაიონებში უნდა შეიქმნას ქარსაფარი ზოლები, სათანადო მცენარეების გაშენებით, რომლებიც შეასუსტებენ მათ მოქმედებას.

ზემოგანხილულიდან გამომდინარე, ფერმერული მეურნეობები რენტაბელურია, თუ აგროკლიმატური პირობები ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის შესწავლილია მეცნიერულ საფუძველზე. როგორც ვხედავთ, ფერმერული მეურნეობებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგროკლიმატურ რესურსებს, რომელიც განსაზღვრავს, მათ სწორ განლაგებას და განვითარების შესაძლებლობას. ამიტომ კახეთის რეგიონში ფერმერული მეურნეობების რენტაბელობისათვის, საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კულტურები განვალაგოთ აგროკლიმატური ფაქტორების მოთხოვნილების გათვალისწინებით, ძირითადად სითბური რეეიმის შესაბამისად. ამასთან დაკავშირებით ტემპერატურათა (10° -ის ზევით) და ატმოსფერული ნალექების (წლიური) ჯამების მიხედვით კახეთის რეგიონისათვის შევადგინეთ აგროკლიმატური ზონების რეგა (ნახ. 2).



ნახ.2. კახეთის რეგიონის აგროკლიმატური ზონები

პირველ ზონაში, სადაც ტემპერატურის ჯამი 4000° და მეტია, ატ-მოსფერული ნალექების ჯამი $400\text{-}600$ მმ, ხოლო თბილ პერიოდში $300\text{-}350$ მმ, შეიძლება ვაწარმოოთ სხვადასხვა ჯიშები (სააღრეო, სა-გვანონ და სუფრის). ზონა პერსპექტიულია, აგრეთვე მეხილეობის, მარცვლეული, ბოსტნეული, შაქრის ჭარხლის, ტექნიკური ეთერზეო-ვანი და სხვა კულტურების წარმოებისათვეის.

აღნიშნული ზორა ნაკლებად არის ტენით უზრუნველყოფილი. ამიტომ კულტურების ნორმალური პროცესებისათვის, საჭიროა ნიადაგის მორწყვა თრჯერ მაინც ივლის-აგვისტოში.

მეორე ზონა მოიცავს კახეთის ტერიტორიის შედარებით დიდ ნაწილს, სადაც ტემპერატურის ჯამი 3000° და მეტია, ატმოსფერული ნალექები რეგიონის სამხრეთ ნაწილში შეადგენს 400 მმ-ს, თბილ პერიოდში 300 მმ-ს, მის ცენტრალურ ნაწილში 500-600 მმ-ია, თბილ პერიოდში 400-450 მმ, ხოლო ჩრდილოეთით 700-800 მმ-ია, თბილ პერიოდში 550-650 მმ (ყვარელი, ახმეტა).

ამ ზონაში ფერმერული მეურნეობებისათვის რეკომენდებულია ვაზის ყველა ჯიშის, ხეხილოგნების, ტექნიკური კულტურების, მარცვლეულის, მათ შორის საშემოდგომო ხორბლის და სანაწერალო

კულტურების წარმოება. მოსავლის შენარჩუნების მიზნით აუცილებელია ჩატარდეს კულტურებისათვის წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებები.

მესამე ზონა მოიცავს შედარებით მცირე ტერიტორიას. ტემპერატურის ჯამი 2000° და მეტია, ატმოსფერული ნალექები 600-800 მმ-ია, თბილ პერიოდში 550-600 მმ. რეგიონის ჩრდილოეთი ნალექები 1000 მმ-მდე აღწევს, ხოლო თბილ პერიოდში 600-700 მმ-მდე. ზონა ხელსაყრდია მემარცვლეობის, მევენახეობის (საადრეო ჯიშები), მებილეობის, მებოსტნეობის, სათიბ-საძოვრების განვითარებისათვის.

მეოთხე ზონა კიდევ უფრო მცირე ტერიტორიას მოიცავს. ტემპერატურის ჯამი 1000° და მეტია, ნალექები 800-1000 მმ, თბილი პერიოდში 600-750 მმ.

მოცემული ზონის პირობებში შესაძლებელია, მხოლოდ მებილეობის, მებოსტნეობის, მეთამბაქოეობის დარგების განვითარება, ასევე სათიბ-საძოვრების.

ეხუთე ზონა წინა ზონასთან შედარებით დიდია. იგი განიცდის ტემპერატურის ჯამის დეფიციტს (1000° და ნაკლებია), ნალექები 800-1200 მმ-ია, თბილ პერიოდში 600-900 მმ-მდეა. ამ ზონაში არსებული მცირე ტემპერატურის ჯამი ზღვდავს ვერმერულ მეურნეობებში სხვადასხვა სახის აგროკულტურების წარმოებას. მაგრამ ამ ზონაში შესაძლებელია ბოსტნეულის, საბაოდ მაღალი პროდუქტებისა, ასევე მეცხოველეობის საკვები ძირხენოვანი კულტურების, სათიბ-საძოვრების განვითარება.

ლიტერატურა –REFERENCES –ЛИТЕРАТУРА

1. Бидзинашвили Н.М. Оценка агроклиматических ресурсов территории Кахети применительно к культуре винограда. Вопросы агрометеорологии. 1986, Под ред. д.с.-х. наук Г.Г.Меладзе, труды Зак РНИИ, вып. 79 (86), гидрометеоиздат, М., с.3-11
2. ჭინჭარაშვილი ი. კახეთის რეგიონის კლიმატური რესურსების კომპლექსური შეფასება. 2002, ავტორუფერატი, თბილისი, 2-26 გვ.
3. Справочник по климату СССР, 1967, вып. 14, температура воздуха и почвы, гидрометиздат, Л., 374 с.
4. Справочник по климату СССР, 1970, вып. 14, влажность воздуха, атмосферные осадки, снежный покров, гидрометиздат, Л., 426 с.
5. ჯავახიშვილი შ. საქართველოს ჰავის დახსიათება თვეების მიხედვით. 1988, გამომცემლობა ძმგანათლება, თბილისი, 158 გვ.
6. მელაძე გ. სუბტროპიკული ტემპიკური კულტურების აგროკლიმატური პირობები და პროგნოზები. 1971, “საბჭოთა საქართველო,” თბილისი, გვ.156

უაკ 630:551.58

გახეთის რეგიონში ვერმერული მეურნეობების განვითარება აგროკლიმატური პირობების გათვალისწინებით/გ.მელაძე, მ.თუთარაშვილი, გ.მელაძე/.

პმი-ს შრომათა კრებული. -2007 .ტ.111.-გვ.160-167. -ქართ.; რეზ. ქართ.; ინგ.; რუს.

დასაბუთებულია კახეთის რეგიონში ფერმერულ მეურნეობათა წარმატებით განვითარება, აგროკლიმატური რესურსების გათვალისწინებით.

სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ჩატარებულია აგროკლიმატური პირობების შეფასება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნას ფერმერული მეურნეობების მიერ.

მოცემულია ჰაერის ტემპერატურის და ატმოსფერული ნალექების ჯამების უზრუნველყოფის მრუდები, ასევე ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურების განმეორების მრუდი. რომელთა მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს კახეთის ნაბისმიერ რაიონში აღნიშნული მაჩვენებლებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების უზრუნველყოფა და განმეორება სხვადასხვა სიდიდით, ყოველ ათ და მეტ წალიწადში.

შედგენილია კახეთის რეგიონის აგროკლიმატური ზონების რუკა, სადაც ზონების მიხედვით მითითებულია აგროკულტურების შესაძლო წარმოება უკრძალებული მეურნეობებისათვის.

UDC 630:551.58

The Development of Farming in Kakheti Region in accordance With the Agroclimatic Conditions. /G. Meladze, M.Tutarashvili, M. Meladze/ Transactions of the Georgian Georgian Institute of Hydrometeorology. 2007. –V.111.-p.160-167, Georg.; Samm. Georg., Eng., Russ.

The successful development of farming in Kakheti region in accordance with the agroclimatic resources is stated.

In order to develop different fields of farming, the agroclimatic conditions are evaluated, that can be used in farming.

The curves of provision of air temperature and atmospheric precipitation totals are presented, as well as the curve of absolute minimal temperatures recurrence.

The map of Kakheti region agroclimatic zones is created, where the possible production of agrocultures for farming according to different zones is indicated.

УДК 630:551.58

Развитие фермерского хозяйства в регионе Кахетии с учётом агроклиматических условий. Г.Г.Меладзе, М.У.Тутарашвили, М.Г.Меладзе/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. –2007. –т.111.-с160-167.- Груз.; рез. Груз., Анг.; Русск.

Обоснована возможность успешного развития фермерского хозяйства в регионе Кахетии с учётом агроклиматических условий.

Для развития различных отраслей сельского хозяйства, проведена оценка агроклиматических условий, которая может быть использована фермерскими хозяйствами.

Даны кривые обеспеченности сумм температур воздуха и атмосферных осадков, а также кривая повторяемости абсолютно минимальных температур воздуха, по которым в любом районе Кахетии могут быть определены обеспеченности указанных показателей и их повторяемость в каждые десять и более.

Составлена карта агроклиматических зон Кахетии, где указаны возможности производства сельскохозяйственных культур в фермерских хозяйствах.

**ქ.თავართქილაძე
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი**

უაკ 630:551.58

**ჰაერის ტემპერატურის ექსტრემალური გარიაციები
საქართველოში ჰავის ცვლილების ფონზე**

გლობალური ჰავის ონამედროვე დათბობის პირობებში დიდ ინტერესს შეადგენს ექსტრემალური გადახრების სიხშირისა და სიძლიერის ცვალებადობის დადგენა ატმოსფერული პარამეტრების ვარიაციებში ხშირია შემთხვევან როცა ჰავის ცვლილების შესწავლის პროცესში მეტეოროლოგიური ელემენტების მხრივ ექსტრემალური გადახრების გარიაციებს ეყრდნობიან

მიუხედავად ექსტრემალური გადახრების კანონზომიერებათა შესწავლის უდიდესი მნიშვნელობისა ლიტერატურული წყაროების მიხედვით დადგენა იმისა თუ სად შეიძლება გავატაროთ საზღვარი ჩვეულებრივი და ექსტრემალური პროცესების გასამიჯნად თითქმის შეუძლებელია ხშირად ჰავის განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრის - მიწისპირა ჰაერის ტემპერატურის ექსტრემალურ გადახრას აიგივებენ მინიმალურ და მაქსიმალურ ტემპერატურასთან (როგორც ცნობილია პიდრომეტეოროლოგიურ ქსელში მათი განსაზღვრა დამოუკიდებლად ხდება, ფაქტია რომ მათ შორის უშუალო კაგშირი არსებობს მაგრამ მინიმალური და მაქსიმალური თერმომეტრები რომელთა მიხედვით განისაზღვრება მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურა აღრიცხავენ მხოლოდ ექსტრემალური ტემპერატურის უკიდურეს მნიშვნელობას და რეჟიმის სრულყოფილ ინფორმაციას ვერ იძლევიან ექსტრემალური გარიაციების შესწავლის შესაძლებლობას როგორც მინიმალური და მაქსიმალური ასევე ე.წ. “ვადიანი” თერმომეტრიც იძლევა საკმარისია აღვნიშნოთ რომ ყოფილი საბჭოთა კაგშირის პიდრომეტეოროლოგიური სამსახური ტემპერატურული ცნობარის პირველ ნაწილში [1] აქვეყნებს ჰა-

ერის მაქსიმალურ ტემპერატურას ვადიანი თერმომეტრების ჩვენებიდან ხოლო იგივე გამოცემის გაგრძელებაში [2] მაქსიმალური ტემპერატურები აღებულია მაქსიმალური თერმომეტრების მონაცემებიდან

მიგვაჩნია რომ საქართველოს ტერიტორიაზე ექსტრემალური ტემპერატურული რეჟიმისა და გლობალური თუ რეგიონალური ჰავის ცვლილების ფონზე ამ რეჟიმის ცვლილების შესწავლა მიზანშეწონილია ვადიანი თერმომეტრების მონაცემთა გამოყენებით თუნდაც იმიტომ რომ მინმიალურ და მაქსიმალურ თერმომეტრებთან შედარებით ისინი გაცილებით ზუსტად განსაზღვრავენ ტემპერატურის სიდიდეს

ამ ნაშრომის მიზანს შეადგენს საქართველოში ჰავის თანამედროვე ცვლილების ფონზე შეირჩეს მიწისპირა ტემპერატურული კელის ვარიაციებში ექმდებალური გადახრების სავარავულო საზღვრები, დადგინდეს ექსტრემალურ გადახრებად მიღებული ტემპერატურული ვარიაციების რეჟიმი და რეგიონალური ჰავის ცვლილების ფონზე განისაზღვროს მისი ცვლილების მიმართულება და სიდიდე

გლობალური თუ რეგიონალური ჰავის რეჟიმისა და მისი ცვლილების შესწავლის პროცესში მიწისპირა ჰაერის ტემპერატურულ კელს მუდამ გადამწყვები როლი ეკისრებოდა, ხოლო ტემპერატურული კელის ვარიაციებში ექსტრემალური გადახრები კვლევის უმნიშვნელოვანებს საგანს შეადგენდა 8 წირ შემთხვევაში იგი ჰავის ცვლილების ძირითად ფაქტორადაც კი გვევლინებოდა. მიუხედავად ჩატარებული მრავალრიცხვანი გამოკვლეულებისა [3-8 და სხვ.] შეუჭდებელია გადაჭრით ითქვას მიწისპირა ტემპერატურის ვარიაციებში ექსტრემალურ გადახრათა შემთხვევები კლებას თუ ზრდას განიცდიან.

იკვლევდნენ რა თავისუფალი ატმოსფეროს ექსტრემალური ტემპერატურების ვარიაციებს ჩრდილოეთ ნახევარსფეროსათვის [8] შრომის ავტორები მივიღნენ დასკვნამდებ რომ დაახლოებით 1930-1980 წლების პერიოდში ექსტრემალური ტემპერატურების შემთხვევათა რიცხვი 3 - 4 - ჯერ გაიზარდა.

დაახლოებით იგივე პერიოდისთვის საწინააღმდეგო დასკვნამდე მიდიან კანადის არქტიკული ნაწილის საშუალო თვიური ტემპერატურების ექსტრემალური გადახრების შესწა-

ვლისას დაკვირვების 40 პუნქტის მონაცემთა გაანალიზების შემდეგ ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ ექსტრემალური გადახრები დროის მიხედვით მნიშვნელოვან ცვლილებას არ განიცდის.

განიხილავდნენ რა აშშ და კანადის სოფლის ტიპის დასახლებულ ადგილებში არსებული 130 დაკვირვების პუნქტის 1941-1980 წლების ტემპერატურულ ვარიაციებს [10] ავტორები მივიღნენ დასკვნამდე რომ დღელამური ტემპერატურული ამპლიტუდა შემცირებას განიცდის აღნიშნული ნაშრომიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ რომ ექსტრემალური გადახრები განხილულ პერიოდში პირიქით მცირდება.

მიწისპირა ტემპერატურის ვარიაციებში ექსტრემალური გადახრების ცვლილებებს ინგლისის ტერიტორიაზეც არა აქვს ადგილი 1875-1984 წლების მონაცემების მიხედვით [11]. ასეთივე დასკვნას აკეთებენ [12] შრომის ავტორები აშშ ჯორჯის შტატის 1940-1982 წლების მონაცემთა ანალიზის შედეგად.

გამოკვლევებში სადაც შესწავლილია მათი ცვლილებები ყაზახეთის ტერიტორიაზე, მიწისპირა ტემპერატურის ძლიერი ექსტრემალური გადახრების ცვალებადობის შესაფასებლად 1894-1984 წლებში გამოყენებულია შემთხვევითი ფუნქციის ემპირიულ, ორთოგონალურ მდგენელებად დაშლის მეთოდი [13]. მიუხედავად იმისა, რომ 1960 წლამდე შეიმჩნევა ექსტრემალურად ცივი პერიოდის ცოტაოდენი სიჭარბე, ხოლო შემდეგ პერიოდში ექსტრემალურად თბილი პერიოდის მცირები ზრდა, ავტორის დასკვნით მკვეთრად გამოხატული, ძლიერ ექსტრემალურ გადახრათა შემთხვევების რიცხვის ცვლილება 10-წლეულების მიხედვით არ შეიმჩნევა.

აღსანიშნავია, რომ ექსტრემალური ტემპერატურების შემთხვევათა რიცხვის მკვეთრი ზრდა აღინიშნა 1956-1983 წლებში პუნქტორიკოში, სან-ხუანის აეროპორტის დაკვირვებათა მონაცემებით [14]. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ირგვლივ არსებული დაკვირვების პუნქტები მსგავს სურათს არ იძლეოდნენ. სან-ხუანის აეროპორტის ტერიტორიის მკვეთრი დათბობა მიაწერეს აეროპორტის გაფართოებას, რასაც მწვანე საფარის მკვეთრი შემცირება მოჰყვა.

საქართველოში ჩატარებულია რიგი გამოკვლევებისა, რომ-ლებშიც ექსტრემალური ტემპერატურის ვარიაციები სხვადას-ხვა კუთხითაა განხილული მაგალითად, შესწავლილია მისი გავლენა მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე [15], მათ ვარიაციებში ნაპოვნია ციკლური პროცესები ხმ თბილისისთვის განხილულია მისი პროგნოზირების შესაჭლებლობები [17], მიღებულია რომ ექსტრემალური ტემპერატურის ვარიაციებს დროის მიხედვით ზრდის ტენდენცია ახასიათებთ [18,19] და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე ტემპერატურული ველის ვა-რიაციებში ექსტრემალური გადახრების შემთხვევათა რიც-ხვის წლების მიხედვით ცვლილების შესასწავლად გამო-გყენეთ 1906-1995 წლებში დაკვირვების პუნქტის საშუალო თვიური (12 თვე) და საშუალო წლიური ტემპერატურის მო-ნაცემები რომელთა საერთო რიცხვმა 104130 შემთხვევა შე-ადგინა გამოყენებული მონაცემთა ბაზის საიმედოება (ერ-თგვაროვნების შემოწმება და სხვადასხვა მიზეზით გამოტო-ვებული გაცდებილი დაკვირვებების აღდგენა) სრულყოფილად შემოწმდა შემთხვევითი ფუნქციის დაშლის მეთოდით მრა-ვალგანზომილებიან სივრცეში ბუნებრივ ორთოგონალურ მდგენელებად [16]).


როგორც ზემოთ აღნიშნული იყო მიწისპირა ტემპერატუ-რის ექსტრემალური გადახრების შესწავლის მიზნით ჩატა-რებული გამოკვლევების დიდი უმრავლესობა მინიმალური და მაქსიმალური თერმომეტრების მონაცემებს იუნებს ასეთ შემ-თხვევაში ჩვეულებრივ და ექსტრემალურ მნიშვნელობებს შო-რის საზღვრის გატარებას ნაკლები მნიშვნელობა აქვს თუ ექსტრემალურ შემთხვევათა რიცხვის ცვლილებებს ტემპერა-ტურული ველის ვარიაციებში ე.წ. “ვადიანი” თერმომეტრების მონაცემების გამოყენებით შევეცდებით აქ გადამწყვეტი მნიშ-ვნელობა აქვს საზღვრის დადგენას რომელიც ჩვეულებ-რივიდან ექსტრემალურ გადახრებს გამოჰყოფს ჩატარებული გამოკვლევების უმეტესი ნაწილი საზღვრებს ატარებს ტემპე-რატურის იმ დიაპაზონზე რომლის გარეთ შემთხვევათა სა-ერთო რიცხვიდან დაახლოებით 10-15% გამოიყოფა განსხვა-ვებული მიღგომაა გამოყენებული ყაზახთის ტერიტორიის-თვის [13], სადაც ექსტრემალურად მიჩნეულია ის შემთხვევ-

ვები როცა ემპირიულ ორთოგონალურ მდგენელებად დაშლის შედეგად მიღებული პოლინომის პირველი კოეფიციენტის მნიშვნელობა $1,5\text{--}3$ აჭარბებს საშუალო კვადრატულ გადახრას.

მიგვაჩნია, რომ რაიმე პროცესის, მათ შორის ტემპერატურული ველის ვარიაციებში ექსტრემალური გადახრის გამოყოფას ყველა შემთხვევაში ერთნაირად მისაღები საზღვარი არ შეიძლება გაჩნდეს. ასეთი საზღვრის დადგენა დამოკიდებული უნდა იყოს ამოცანის პირობებზე ამიტომ მიზანშეწოგილია ავიდოთ არა ერთი შემთხვევათა გამოყოფის დიაპაზონი, არამედ სისტემა დიაპაზონებისა, რომელთაც განსხვავებული საზღვრები ექნებათ.

გავითვალისწინეთ რა ზემოთადნიშნული, ექსტრემალური გადახრების საზღვრებად ავიდეთ ტემპერატურათა ის დიაპაზონები, რომელთა გარეთ მოხვედრილი შემთხვევები მოცემული სიმრავლის მათვემატიკური მოლოდინიდან უკიდურესი გადახრების 1, 2, 3, 5, 10, 15 და 20 %-ის რაოდენობებში მოხვდებიან.

სხვადასხვა პროცენტიანი გადახრების შესაბამისი ტემპერატურული დიაპაზონის საზღვრების დადგენისათვის ავაგეთ ტემპერატურის მოცემული სიმრავლის ანომალიების ალბათობათა სიმკვრივის განაწილების მრუდები 12 თვისა და საშუალო წლიური მონაცემებით. ამრიგადნ თითოეული მრუდი აგებული იქნა 8010 შემთხვევით საილუსტრაციოდ სამი მათგანი - საშუალო წლიური, იანვრის და ივლისის მონაცემებით წარმოდგენილია ნახ.8.1-ზე, სადაც კარგად ჩანს მათი მკაცრად სიმეტრიული განაწილება. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი საზღვარი უარყოფითი და დადგებითი ექსტრემალური გადახრებისთვის სიდიდით ერთნაირია და მხოლოდ ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ორდინატთა დერძზე გადაზომიდია შემთხვევათა რიცხვი, ხოლო აბსცისზე - გადახრა ნორმიდან ანუ ანომალიაზ აღსანიშნავია, რომ შედარებით დიდ გადახრებს ადგილი აქვს ზამთრის თვეებში, ზაფხულის თვეებში გადახრის ალბათობები თითქმის ორჯერ ნაკლებია, ხოლო საშუალო წლიური ტემპერატურების მიხედვით იგი მნიშვნელოვნად მცირდება და $\pm 2^{\circ}\text{S}$ -ის ფარგლებშია.



ნახ.8 1. მიწისპირა ჰაერის ტემპერატურის ანომალიების ალბათობათა სიმკვრივეები საქართველოს ტერიტორიაზე (1 – იანვარი, 2 – ივლისი, 3 – საშუალო წლიური.)

ექსტრემალურ გადახრებად მიჩნეულ შემთხვევებს, როგორც აღვნიშნეთ, გამოვყოფთ მოცემული სიმრავლის ნორმიდან 1-დან $20\%-მდე$ უკიდურესი გადახრების რაოდენობებით. შესაბამისი ტემპერატურული დიაპაზონის საზღვრების მნიშვნელობები შეიძლება განისაზღვროს ცდომილების ალბათობათა ინტეგრალით, როცა ცნობილია ნორმა და საშუალო კვადრატული გადახრა. თუ ცდომილების ალბათობათა ინტეგრალს აღვნიშნავთ F -ით, ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$F\left(\frac{\bar{T} \pm Ti}{\sigma}\right) = \frac{2}{\sqrt{2\pi}} \int_0^{\frac{\bar{T} \pm Ti}{\sigma}} \exp\left(-\frac{x^2}{2}\right) dx$$

8 №9

აღნიშნული ინტეგრალი დატაბულირებულია და მოვიყვანოთ მისი ჩვენს შემთხვევაში გამოყენების ერთი მაგალითი, საქართველოს ტერიტორიაზე 89 დაკვირვების პუნქტის 90 წლის იანვრის საშუალო ტემპერატურების ანომალ-

იათა სიმრავლის საშუალო გვადრატული გადახრა $\sigma=1.90^\circ\text{C}$, როგორც იანვრის, ასევე ყველა დანარჩენი თვეების და საშუალო წლიური ნორმა $\bar{T}=0.1\%-იანი$ გადახრისათვის (1) ფორმულის დატაბულირებულ ცხრილში გპოულობთ

$$F\left(\frac{\bar{T} \pm Ti}{\sigma}\right) = 0.99 \rightarrow \text{ს } \bar{T} \pm Ti \text{ შეაბამის } \text{ არგუმენტს, } \text{ რომელიც } \text{ შეადგენს}$$

$$2.58. \text{ კ.ი. } \frac{\bar{T} \pm Ti}{\sigma} = 2.58 \text{ ანუ } T_i = \pm 4.90^\circ\text{C}.$$

აღწერილი გზით ნაპოვნი საზღვრები საშუალო წლიური, იანვრის და ივლისისათვის, 1-დან 20%-მდე გადახრების შემთხვევაში მოცემულია ცხრილში 1-ში

საშუალო წლიური და თვეების მონაცემების მიხედვით, დამოუკიდებლად ნორმიდან უარყოფითი ($\bar{T}<0$) და დადებითი ($\bar{T}>0$) გადახრებისთვის განისაზღვრა (დათვლილი იქნა 9) შემთხვევათა რიცხვი, როცა ნორმიდან გადახრის სიდიდე აღმატებოდა ცხრილ 1-ში მითითებულ საზღვრებს.

ცხრილი 1 ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის 1-დან 20%-მდე ექსტრემალური გადახრების შესაბამისი ტემპერატურის დიაპაზონის საზღვრები


ექსტრემალური გადახრები %	საშუალო წლიური	იანვარი	ივლისი
1	± 1.52	± 4.90	± 2.53
2	± 1.35	± 4.37	± 2.26
3	± 1.24	± 4.01	± 2.07
5	± 1.08	± 3.49	± 1.81
10	± 0.84	± 2.73	± 1.41
15	± 0.69	± 2.22	± 1.14
20	± 0.55	± 1.79	± 0.92

მიწისპირა ტემპერატურული ველის ვარიაციებში ექსტრემალური გადახრების დროში ცვლილების დასადგენად განხილული 90 წელი დაყვავით სამ ოცდაათწლიან პერიოდად

(1906-1935 წწ 1936-1965 წწ და 1966-1995 წწ). ტემპერატურული ველის ვარიაციებში ექსტრემალური გადახრების ცვლილების დადგენა აღნიშნულ სამ პერიოდში შემთხვევათა რიცხვის განაწილებითაა შესაძლებელი. განვსაზღვრეთ რა აღნიშნულ პერიოდებში უარყოფითი და დადებითი ექსტრემალური გადახრების შემთხვევათა რიცხვები, შედეგები საშუალო წლიური, იანვრის და ივლისისთვის ნახ. 8.1-ზეა წარმოდგენილი, რომელთა პორიზონტალურ ღერძებზე მითო-თებულია ექსტრემალურ გადახრებად ჩათვლილი 1,2,888, 20 %-იანი შემთხვევები.

ნახ.8.1-ზე წარმოდგენილი დიაგრამები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ ექსტრემალური გადახრების დროში ცვლილებათა თავისებურებები. საშუალო წლიური მონაცემების მიხედვით “დიაგრამა I – XII) უარყოფითი ექსტრემალური გადახრები (-), თუ ექსტრემალურ გადახრებად 1, 2, 3 და 5 %-იან შემ-თხვევებს ჩავთვლით, სამი ოცდაათწლიანი პერიოდის მიხედვით შემცირებას განიცდის. შემცირება გაცილებით ინტენსიურია როცა ექსტრემალურად მივიჩნევთ 1 და 2 %-იან შემთხვევებს. (+)-ის შემთხვევაში ექსტრემალური გადახრების რაოდენო, ამორე და მესამე პერიოდებში (1936-1965 და 1966-1995 წწ) თითქმის თანაბარია და მნიშვნელოვნად ნაკლებია პირველ პერიოდთან (1906-1935 წწ) შედარებით. სურათი იცვლება თუ ექსტრემალურ გადახრებად მივიჩნევთ 10, 15 და 20 %-იან შე-მთხვევებს. აქ მეორე პერიოდში უარყოფითი უქსტრემალურ გადახრათა რაოდენობა მესამე პერიოდთან შედარებით გა-დახრათა ამოკრეფის პროცენტის გაზრდის პარალელურად თანდათან მცირდება, ხოლო გადახრის რაოდენობათა მაქსი-მუმი კალავ პირველ პერიოდზე მოდის. ე.ი. თუ ექსტრე-მალურ გადახრებად მოცემული სიმრავლის საერთო რაოდე-ნობის 1 ან 2 %-ის უკიდურეს უარყოფით გადახრებს მივი-ჩნევთ, მაშინ უარყოფითი ექსტრემალური გადახრები დროის მიხედვით თანდათან მცირდება. 3 და 5 %-ის შესაბამისი გადახრების შემთხვევაში უარყოფითი ექსტრემალური გადახ-რები პირველ პერიოდთან შედარებით მცირდებიან რა მეორე და მესამე პერიოდებში ცვლილებას არ განიცდიან. თუ ექ-სტრემალურ უარყოფით გადახრებად 10, 15 ან 20 %-ის შესაბამის გადახრებს ავიდებთ, მაშინ მეორე პერიოდში შემ-

თხვევათა რიცხვი მცირდება, ხოლო მესამე პერიოდში შედარებით ზრდას განიცდის. ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე საშუალო წლიური მიწისპირა ტემპერატურული კლის უარყოფითი ექსტრემალური გადახრები 1935 - 1995 წლებში, 1906-1935 წლებთან შედარებით, შემცირებას განიცდის. რაც შეეხება უარყოფითი ექსტრემალური გადახრების ცვლილებას 1935-1995 წლებში, დამოკიდებულია იმაზე თურას მივიჩნევთ ექსტრემალურ გადახრად. თუ მივიჩნევთ 1-დან 5 %-მდე გადახრებს ექსტრემალურად - იგი მცირდება, თუ ავიღებთ 10-დან 20 %-მდე პირიქით, იზრდება.



ნახ 1. მიწისპირა პაერის ტემპერატურის ანომალიების უარყოფითი (-) და დადგებითი (%) ექსტრემალური გადახრების შემთხვევათა რიცხვები 1906-1995 წლების სამი ოცდაათწლიანი პერიოდების მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე ~I - XII- საშუალო წლიური, I იანვარი, VII - ივლისი

ასევე არაერთგვაროვან ცვლილებებს აქვს ადგილი საშუალო წლიური ტემპერატურის დაღებითი ექსტრემალური გადახრების შემთხვევაშიც. დამოკიდებულია იმაზე თუ რას მივიჩნევთ ექსტრემალურ გადახრებად. 1-დან 5%-მდე დადებითი ექსტრემალური გადახრები წლების მიხედვით იზრდება, ხოლო 10-20%-ის შემთხვევაში ჯერ მკვეთრად იზრდება, ხოლო შემდეგ შემცირებას განიცდის.

მიწისპირა ტემპერატურული ველის ექსტრემალური უარყოფითი ან დადგებითი გადახრები საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეულ თვეებში აგრეთვე არაერთგვაროვანია და დამოკიდებულია იმაზე თუ უკიდურესი გადახრების რამდენ პროცენტს მივიჩნევთ ექსტრემალურ გადახრებად თითქმის უკელა შემთხვევაში განსხვავება ვლინდება 5 %-დან 10 %-ზე გადასვლისას.

ამრიგად, მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ თუ ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრისას აუცილებელია საქართველოში მიწისპირა ტემპერატურული ველის ვარიაციებში ექსტრემალური გადახრების გამოყენება, აუცილებელია დადგინდეს ექსტრემალური გადახრის გამყოფი საზღვარი და დასაბუთდეს მისი შესაბამისობა დასმულ ამოცანასთანაც 68

რაც შეეხება ტემპერატურული ველის ექსტრემალური გადახრების მიხედვით საქართველოს პირობებში პაგის ცვლილების პროცესის შესწავლას, იგი სრულიად მიზანშეუწონელია.

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Климатический справочник СССР. 1954, вып.14, Температура воздуха, Отдельные годы, Гидрометеоиздат, 658 с.
2. Справочник по климату СССР.1971, вып.14, Температура воздуха, Отдельные годы, Гидрометеоиздат, 480 с.
3. Будыко М.И. Изменение климата. 1974, Л., Гидрометеоиздат, 280 с.
4. Кондратьев К.Я. Глобальный климат. 1992, Наука, 358 с.
5. Винников К.Я. Чувствительность климата. 1986, Л. Гидрометеоиздат, 224 с.
6. Manabe S. Carbon dioxide and climate change. 1983, Adv. Geophys., v. 25, p. 39-82.

7. Clark W.C. Scales of climate impacts. 1985, Climate Change, v.7, N1, p. 5-27.
8. Воробьева Е.В., Приемова Л.П. Временные и пространственные изменения повторяемости экстремальных температур свободной атмосферы за последние 90 лет и возможные их причины. 1986, Тр. ГГО, в.503, с. 62-76.
9. Higuchi K., Etkin D., MacDonaldW. Trends in the variability of surface air temperature, Canadian Arctic. 1986, Phys. Geogr., 7, N4, p. 306-319.
10. Karl Thomas R., Kukla George, Govin Joyce. Relationship between decreased temperature range and precipitation trends in the United States and Canada, 1941-1980. 1986, J. Clim. and Appl. Meteorol., 25, N12, p. 1878-1886.
11. Meaden G.T., Webb J.D.C. Britain's highest temperatures for every day of the year, 1 January to 31 December. 1984, J. Meteorol. , 9, N 90, p. 169-176.
12. Suekling Philip W. Temperature variability in Georgia recent years. 1984, Southeast Georg., 24, N 1, p. 30-41.
13. Чучасов Г.Н. О пространственно-временой структуре крупных аномалий термического режима в Казахстане. 1987, Тр. регион. НИИ Госкомгидромета, N 96, с. 47-63.
14. Duchon Claude E. Temperature Trends at San Juan, Puerto Rico. 1986, Bull. Amer. Meteorol. Soc., 67, N 11, p. 1370-1377.
15. მელაძე გ., ქორეკაშვილი ც. პაერის ექსტრემალური ტემპერატურის გავლენა მცენარეთა ზრდა-განვითარებაზე. 2002, პმი-ის შრომები, გ. 105. გვ. 36-42.
16. თავართქილაძე გ., ელიზბარაშვილი ე., მუმლაძე დ., ვაჩნაძე ჭ. საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული კელის ცვლილების ემპირიული მოდელი. 1999, თბილისი, 12. გვ.
17. ხელაპე თ. თბილისისათვის მაქსიმალური ტემპერატურის მოკლევადიანი პროგნოზი. პმი-ის შრომები, გ. 101. გვ. 44-49.
18. Климат Тбилиси. Под ред. Сванидзе Г.Г. и Папинашвили Л.К. 1992, Гидрометеоиздат, 230 с.

19. Мумладзе Д.Г. Экстремально-холодные зимы во влажных субтропиках Грузии. 1987, Геогр. и природ. ресурсы, N 3, с. 165-167.

უგ 551

ჰაერის ტემპერატურის ექსტრემალური გარიაციები საქართველოში ჰავის ცვლილების ფონზე /კ.თავართქილაძე/ ჰმის შრომათა კრებული -2007.-ტ.114.-გვ.168-180.- ქართ.; რებ. ქართ., ინგლ., რუს.
დადგენილია მიწისპირა ჰაერის ტემპერატურის ექსტრემალური გადახრების ცვლილება საქართველოს ტერიტორიაზე 1906-1995 წლებში. ექსტრემალურ გადახრებად მიჩნეულია ტემპერატურული მასივების ნორმიდან მაქსიმალური გადახრების 1, 2, 3, 5, 10, 15 და 20 %-ის რაოდენობები. შესაბამისი ტემპერატურული საზღვრების დასადგენად გამოყენებულია ამ მასივების ალბათობათა სიმკვრივის განაწილების ფუნქცია. მიღებულია, რომ ექსტრემალურ შემთხვევათა რიცხვის ცვლილება საქართველოში ჰავის ცვლილების ფონზე სრულიად განსხვავდებულია გადახრების სხვადასხვა 5-ული რაოდენობებისთვის.

UDC 551

Extreme variations of air temperature on the background of climate change in Georgia/. Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. -2007. - t.114. – p.. 168-180, - Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ.

Change of extreme deviations of surface layer air temperature on the territory of Georgia in 1906-1995 is studied. The deviations are considered as extreme in case of 1, 2, 3, 5, 15 and 20% number of maximum deflections of air temperature series from the norm. To define the corresponding temperatures limits the distribution function of probability density of temperature values has been used. It is derived that the variation in the number of extreme deviation cases in Georgia on the Background of climate change is absolutely different for the various percentage quantity groups.

УДК 551

Экстремальные вариации температуры воздуха на фоне изменений климата в Грузии. /К.А.Тавартиладзе/. Сб.Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии. –2007. – т.114. – с.168-180, – Груз.; рез. Груз., Анг.,Русск.

Изучено изменение экстремальных отклонений температуры приземного воздуха на территории Грузии в 1906-1995 гг. Экстремальными отклонениями сочтены 1, 2, 3, 5, 10, 15 и 20 %-ные количества максимальных отклонений от нормы температурных рядов. С целью установления соответствующих границ была использована функция распределения плотности вероятности значений температуры. Получено, что изменение случаев экстремальных отклонений в Грузии на фоне изменения климата совершенно различаются для разных %-ных количественных групп.

ეგროლოგია-ECOLOGY-ЭКОЛОГИЯ

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის გროვები, ტომ 111

TRANSACTIONS OF THE GEORGIAN GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111

გ. მელაძე ნ.ნასყიდაშვილი
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
თ.ჭავჭავაძე,
გარემოს დაცვის ინსტიტუტი

უაკ 577. 46. 48 : 634. 5

პაგლოგანი გულტურების მეორადი ნედლეულიდან ეპოლოგიურად
სუზო ამტიური ნახშირის მიღება და მისი გამოყენების
პრისამშტივები

მრავალი საწარმოო ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი პროცესი მოითხოვს აქტიური ნახშირების გამოყნებას (ოქროს წარმოება, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოება, სასმელი წყლის გაწმენდა, სამედიცინო სფერო, გამონაბოლევი აირებისა და ჩამდინარე წყლების გაწმენდა). აქტიური ნახშირების შემოტანა საქართველოში ხდება სხვადასხვა ქვეყნებიდან, მაშინ როცა ქვეყანაში არსებობს იაფფასიანი თხილისა და კაკლის მეორადი ნედლეული (ნაჭუჭი), რომლიდანაც შეიძლება მიიღებული იქნას გკოლოგიურად უსაფრთხო აქტიური ნახშირი.

ლაბორატორიულ-ექსპერიმენტული ცდებით დავადგინეთ, რომ 1 კგ თხილისა და კაკლის ნაჭუჭისაგან მიიღება 0,2 კგ მაღალი ხარისხის აქტიური ნახშირი. ამ პროდუქტის მიღება მოხდა სპეციალურ საცდელ დანადგარში, რომელიც აწყობილია გარემოს დაცვის ინსტიტუტის საწარმოო უბანზე. ამ დანადგარის სქემაში ორი ძირითადი კომპონენტია: ნახშირის გამოსაწვავი მბრუნვავი ღუმელი და გადახურებული წყლის ორთქლის ქვაბი, რომელიც ახდენს მიღებული ნახშირის აქტივაციას. ღუმელის შიდა არეში იტვირთება ნედლეული. ღუმელის ბრუნვა რევერსულია, ბრუნვის სიჩქარეა 1,5-2 ბრ/წთ-ში, გამოწვის ტემპერატურა 900⁰ჩ, გამოწვის პროცესი მთავრდება 1 სთ-ში, ღუმელის წარმადობა არის 10 კგ სთ-ში.

ექსპერიმენტულად მიღებული ნახშირის ერთი სინჯის აქტივაცია მოვახდინეთ 1 სთ-ს, ხოლო მეორე სინჯის აქტივაცია - 3 საათის განმავლობაში. ამის შემდეგ ექსიკატორული მეთოდით შევისწავლეთ მათი ადსირბციული უნარი ბერზოლისა და წყლის ორთქლის მიმართ. ეს მონაცემები მოვყანილია ცხრ.1-ში.

როგორც ცხრ.1-დან ჩანს, 3 სთ-იანი აქტივაციით მიღებული აქტიური ნახშირების ადსირბციული უნარი ბერზოლისა და წყლის ორთქლის მიმართ საკამაოდ მაღალია და უტოლდება ლიტერატურიდან ცნობილ საუკეთესო ადსორბენტების სორბციულ სიდიდეებს. ეს ფაქტორი განაპირობებს მიღებული აქტიური ნახშირების

წარმატებით გამოყენების პერსპექტივებს ადსორბციულ და გამჭვინდ პროცესებში.

ცხრილი 1.კაკლოვანი კულტურების მეორადი ნედლეულიდან მიღებული აქტიური ნახშირების ადსორბცია ბენზოლისა და წყლის ორთქლის მიმართ

მეორადი ნედლეულის და ეტალონის სახეობა	სიმკლივებული დოზა	ნედლეული დოზის მიმართულება (%)	მარტივი დოზის მიმართულება (%)
კაბალი	1	0,173	0,048
კატალი	3	0,391	0,060
თხილი	1	0,153	0,067
თხილი	3	0,346	0,084
ეტალონი ცეოლიტი	-	0,318	0,286
ეტალონი აქტიური ნახშირი	-	0,256	0,057

ჩვენს მიერ შესწავლიდი კაკლოვანი კულტურების მეორადი ნედლეულიდან მიღებული აქტიური ნახშირების ფიზიკური მახასიათებლები მოყვანილია ცხრ.2-ში.

ცხრილი 2.კაკლოვანი კულტურების მეორადი ნედლეულიდან მიღებული აქტიური ნახშირების ფიზიკური მახასიათებლები

მეორადი ნედლეულის სახეობა	სიმკლივე გ/ხ ³	სინესტე %	ნაცრიანობა %
კაკლის ნაჟუჭი	2,10	8,5	9,5
თხილის ნაჟუჭი	2,05	8,0	9,8


ვინაიდან ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს კაკლოვანი კულტურების მეორადი ნედლეული, ამიტომ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ განგვესაზღვრა ამ კულტურების მოსავლიანობის ტენდენცია საქართველოში, რათა გვეხვენებინა, რომ ქვეყანაში საკმაო რაოდენობით მოიპოვება შესაბამისი საწყისი ნედლეული აქტიური ნახშირების წარმოებისათვის.

საქართველოში ხელსაყრელი ნიადაგურ-კლიმატური პირობები განაპირობებს კაკლოვანი კულტურების მაღალ მოსავლიანობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამინდის პირობებთან დაკავშირებით მათი მოსავლიანობა წლიდან წლიდე მნიშვნელოვნად მერყეობს. აგროკლიმატურ პირობებთან ერთად კაკლისა და თხილის მოსავლიანობა ძირითადად დამოკიდებულია ნიადაგის ნაყოფიერებასა და აგროტექ-

ნიკური ღონისძიებების დროულად ჩატარებაზე, რაც დღესდღეობით ყოველთვის და ყველგან არ ხორციელდება.


პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე აგებული იქნა კაპლოვანი კულტურების მოსავლიანობის ცვლილების ტრენდი (1960-1984 წწ.) აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსათვის, რომელსაც დავუმატეთ ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემები მოსავლიანობის შესახებ 1985-1992 წლებში, რაც ასახულია ტრენდში (ნახ.1 და 2).

$$y=0,003x+2,45$$



ნახ.1. კაპლოვანი კულტურების მოსავლიანობის ტრენდი 1960-1992 წ.წ. აღმოსავლეთ საქართველოსათვის.

$$y=0,024x+1,76$$



ნახ.2. კაპლოვანი კულტურების მოსავლიანობის ტრენდი 1960-1992 წ.წ. დასავლეთ საქართველოსათვის.

ნახაზებზე მოცემულია კაპლოვანი კულტურების მოსავლიანობა 1960 წლიდან 1992 წლამდე. ტრენდები აგებულია რეგრესიის

განტოლებებით. კერძოდ, საქართველოს აღმოსავლეთ რაიონისათვის მიღებულია $Y=0,003x+2,45$ რეგრესიის განტოლება და დასავლეთ რაიონისათვის – $Y=0,024x+1,76$. უნდა აღინიშნოს, რომ ტრენდის განტოლება შეიძლება გამოფიქნოთ კაპლოვანი კულტურების საშუალოდ 2-3 წლით შემდგომი პერიოდის მომავალი მოსავლიანობის გამოსათვლელად.

ნახ.1 და 2-დან ჩანს, რომ კაპლოვანი კულტურების მოსავლიანობა 1960-1992 წლებში იზრდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. უნდა აღინიშნოს, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით უკანასკნელ (1998-2001) წლებში კაპლისა და თხილის მოსავლიანობა მკვეთრადაა გაზრდილი წინა წლებით შედარებით, რაც გამოწვეულიამ კულტურების საექსპორტო ბიზნესთან დაკავშირებული ინტერესით (ცხრ.3).

ცხრილი 3.საქართველოში კაპლისა და თხილის მოსავლიანობა 1998-2001 წლებში (ტონა)

წლები	კაპალი	თხილი
1998	17349	15841
1999	18343	16836
2000	15492	14220
2001	12394	11375

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მონაცემებით დღესდღეობით საქართველოს მიერ წარმოებული კაპალი და თხილი უმეტესად გადის საზღვარგარეთ. ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სიმნელეების გამო კაპალი და თხილი დარჩეული სახით გადაიზიდება. შესაბამისად კაპლოვანი კულტურების გადამამუშავებელი ქარხნების სასაწყობო მეურნეობებში უმეტესობაში გროვდება კაპლისა და თხილის მეორადი ნედლეული (ნაჭუჭი), რომელიც ვერანაირ გამოყენებას ვერ პოულობს, ხოლო ჩვენს მიერ მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით ეს ნარჩენი წარმოადგენს საუკეთესო საწყის ნედლეულს ეკოლოგიურად უსაფრთხო აქტიური ნახშირის წარმოებისათვის.

საქართველოში აქტიურ ნახშირზე დაინტერესებული არიან შემდგენი საწარმოები, რომელიც საზღვარგარეთიდან ყიდულობენ ამ პროდუქტს:

1. მადნეულის ოქროს წარმოებას სჭირდება 27 ტონა აქტიური ნახშირი წელიწადში;
2. სამედიცინო სფეროს – 2 ტონა წელიწადში;
3. ლიქიდურ-არყის წარმოებას - 10 ტონა წელიწადში.

ასევე დიდია აქტიური ნახშირების გამოყენების პერსპექტივები სასმელი წელის გაწმენდის პროცესში, ჩამდინარე წყლებისა და გამონაბოლქვის აირების გაწმენდის პროცესში, სიგარების წარმოებაში.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვინაიდან ჩვენს მიერ მიღებული აქტიური ნახშირების სორბციული ოვისებები და ფიზიკური მახასიათებლები სავსებით აქმაყოფილებს ადსორბენტებზე წაკუნებულ მოთხოვნებს და, ასევე, ქვეყნაში საკმარისი რაოდენობით მოჰოვება ამ პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო საწყის ნედლეული, ამიტომ აქტიური ნახშირების მიღებასა და გამოყენებას საქართველოსათვის გააჩნია როგორც ეკონომიკური, ისე გაოდოგიური მნიშვნელობა.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ГОСТ 12596-67. Угли активные. Метод определения зольности.
2. ГОСТ 12597-67. Сорбенты. Метод определения содержания влаги в активных углях и катализаторах на их основе.
3. Х.Кинле, Э. Бадер «Активные угли и их промышленное применение». Ленинград, «Химия», 1984 г.
4. М.М. Дубинин «Адсорбция и пористость». Москва, 1972 г.
5. «Оценить агрометеорологические условия возделывания орехоплодных культур на территории Грузии». Отчет фонда ЗакНИГМИ. Тбилиси, 1985 г.

უაკ 577. 46. 48 : 634. 5

კაპლოვანი კულტურების მეორადი ნედლეულიდან ეკოლოგიურად სუფთა აქტიური ნახშირის მიღება და მისი გამოყენების პერსპექტივები /თ. ჭავჭანიძე, ნ. ნასყიდაშვილი, გ. მელაძე/ჰმი-ს შრომათა კრებული.-2007.- გ.111.გვ.181-186.-ქართ.:რეზ.ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლითი კაპლოვანი კულტურების მეორადი ნედლეულიდან მიღებული აქტიური ნახშირების ფიზიკურ-ქიმიური ოვისებები. დადგენილია, რომ საცდელ დანადგარზე ამ კულტურების მეორადი ნედლეულიდან მიღებული აქტიური ნახშირების ფიზიკური მახასიათებლები და ადსორბციული სიიდეები მაქსიმალური აქტივაციის დროს უზრუნდება დიტერატურიდან ცნობილ საცდეთებო აქტიური ნახშირების თვისებებს. შესწავლითი კაპლოვანი კულტურების მოსავლიანობის ცვლილების ტენდენცია საქართველოში. ამ კულტურების მეორადი ნედლეული ყოველწლიურად გროვდება შესაბამის გადამამუშავებელი ქარხნების სასაწყიბო მეურნეობებში და წარმოადგენს საცდეთებო საწყის ნედლეულს ეკოლოგიურად სუფთა აქტიური ნახშირის წარმოებისათვის. ცხრ.3,იღ.2,ლიტ.დას.4.

UDK 577. 46. 48 : 634. 5

Accepting of ecological pure active coal from walnut cultures secondary raw materials and their perspectives of application /T. Chavchanidze, N. Naskidashvili, G. Meladze/ Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology Gorgian. 2007.-V.111.-p.181-186,Georg.: Summ.Georg., Eng., Rus.

We have studied physical-chemical properties of active coals received from secondary raw materials from walnut cultures. It has been stated that physical and adsorption properties of active coals received from experimental equipment at a maximum activation are high and equal those reported in literature. We have studied tendency of walnut cultures production in

Georgia. It has been stated that various working firms stored yearly hazel and nutshells and from these secondary raw materials it is possible to receive such a valuable and useful product as active coal.

УДК 577. 46. 48 : 634. 5

Получение экологически чистого активного угля из вторичного сырья ореховых культур и перспективы его применения /Т.Г. Чавчанидзе, Н.Н.Наскидашвили, Г.Г. Меладзе/. Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии. – 2007. – т.111. – с.181-186. – Груз.; рез. Груз.,Анг.,Русск.

Изучены физико-химические свойства активного угля, полученного из вторичного сырья ореховых культур. Установлено, что физические характеристики и адсорбционные свойства активного угля, полученного из вторичного сырья на экспериментальной установке, при максимальной активации, характеризуется высокой адсорбционной способностью и соответствует лучшим адсорбентным свойствам угля известным по литературе. Изучена тенденция урожайности ореховых культур в Грузии и установлено, что ежегодно в соответствующих фирмах накапливается вторичное сырье ореховых культур, которое представляет собой ценный ресурс для получения активного угля.

გ. გუნია, ნ.ხუფენია ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

303 551.510.42

କେଣ୍ଟରିଶାନ୍ତର ପରିମାଣରେ ଏହାର ଅଧିକାର ଦେଇଲାଗଲା ଏହାର ପରିମାଣରେ ଏହାର ଅଧିକାର ଦେଇଲାଗଲା

ჩატარებული კვლევები მიუთითებენ ხელოვნური წყალსაცავების გავლენაზე მათ მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატზე. ამასთან, ნაჩვენებია, რომ ჯვრის წყალსაცავის გავლენა მიმდებარე ტერიტორიის რიგი მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილებით გამოიხატდა.

შესავალი.

ცნობილია, რომ ენგურის აუზი მთლიანად მოიცავს ძალზედ როულ ოროგრაფიის ქვეშ ტერიტორიას. ეს, კი, განაპირობებს ამ რეგიონში მიკროკლიმატის ნაირსახეობის არსებობას, რომელიც წარმოიქმნება კლიმატის გლობალური, რეგიონალური და ადგილობრივი ფაქტორების გავლენით. ამ უკანასკნელის მოკლევადიანმა ცვლილებებმა შეიძლება არ გამოიწვიოს მიკროკლიმატში შესამჩნევი შესაბამისი გადახრები, მაგრამ, საკმარისად გრძელ დროში ეს ცვლილებები უთუოდ მნიშვნელოვანი შეიქმნება, რომლის მსვლელობა შეიძლება არაუკაუჭველი და, კატასტროფული აღმოჩნდეს არა მარტო ამ მიკრორაიონისათვის, არამედ რეგიონალური კლიმატის ნებაზიური ცვლილებებიც კი გამოიწვიოს.

1. კალების მიზანი და მეთოდი.


განსაკუთრებით, მე-20 საუკუნის ბოლო ათეული წლებიდან დაწყებული, საქართველოში ფართოდ მიმდინარეობს სამუშაოები, რომელებიც ითვალისწინებენ რიგი წყალსაცავების კასკადების დაგეგმარებასა და აშენებას, მათ შორის მდ. ენგურის აუზში: გალის, ჯვრის და ხუდონის წყალსაცავებისა. ამან, კი, უნდა გამოიწვიოს კლიმატის შექმნელ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის – დედამიწისპირა ჰაერის ფენის არსებული ოვისებების ცვლილება (Г.С. Гуняя, 1985), რამაც, თავის მხრივ, მოცემული რაიონის მიკროკლიმატის აღკვაბურ ცვლილებას ხელი უნდა შეუწყოს. აქედან, ცხადია, რომ ინტერესს მოკლებული არ არის კვლევა, თუ, როგორ ზემოქმედებას ახდენს არსებული ჯვრის წყალსაცავი მდებარე ტერიტორიების მიკროკლიმატზე, შეფასდეს ეს გავლენა და მიღებული შედეგებით ვიმსჯელოთ აღნიშვნული წყალსაცავების კასკადების აშენების მიზანშეწონილობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ, ამჟამად უკვე კარგადაა შესამჩნევი ლო-
გალური კლიმატის ანთროპოგენური ცვლილებები, დღეისათვის არაა
შეფასებული, თუ კლიმატის შემქმნელი პროცესების ელემენტების რა-
დონის ცვლილებებია სატარისი, ამა თუ იმ მასშტაბის კლიმატზე
ზემოქმედებისათვის. ჩვენთან, ამ საკითხის შესწავლას, აქამდე, მცი-
რე ყურადღება ეთმობოდა და იგი განიხილებოდა მხოლოდ ზოგა-
დად, გლობალური და მაკრომასშტაბური პროცესების შესწავლის
კონტექსტში. შესაძლოა, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მდ. ენგურის
აუზის მიმდებარე ტერიტორიის მიკროოროგრაფიული სტრუქტურა
ძალიან რთულ სისტემას წარმოადგენს. მას კვეთენ მრავალი ქედები
და მერიდიანულად მიმართული ენგურის შენაკადების ხეობები. ასე-
თი ადგილობრივი რელიეფის სირთულე, დიდი სხვაობა ხეობებისა
და ქედების სიმაღლეებში, და მრავალი სხვა, განაპირობებები ამ მე-
ზოკლიმატური რაიონის სხვადასხვა ნაწილის მიკროკლიმატის თავი-
სებურებებს, რომელთა შესწავლა დიდ სიმნელეს წარმოადგენს. ეს
რთულდება იმითაც, რომ, ამჟამად არ არსებობს მიკროკლიმატის
ელემენტებზე დაკვირვებების მონაცემები და დასაყრდენი კოეფიციენ-
ტები, რომლითაც გახდებოდა შესაძლებელი, გაგვეთვალისწინებინა
რელიეფის ფორმებისა და შესაბამისი მიკროკლიმატური მახასიათებ-
ლების ნაირსახეობა. აქედან ჩანს, თუ რა სიმნელეებთან გავაქვს საქმე
დასახული ამოცანის გადასაწყვეტილ. ვინაიდან სპეციალური ექსპ-
რიმენტების ჩატარება ვერ მოხერხდა, გადავწყვიტო, გაგვეხილა რი-
გი მეტეოროლოგიური ელემენტების საშუალო წლიური მნიშვნელო-
ბების ცვალებადობა დროის, საქმაოდ, დიდ პერიოდში /1971–
1990წ.წ./, რომელიც მოიცავს, როგორც წყალსაცავის არსებობას ამ
რეგიონში /1981–1990წ.წ./, ასევე, პერიოდს, მის აშენებამდე /1971–
1980წ.წ./. ამისათვის, მდ. ენგურის აუზში შევარჩიოთ 5 მეტეოსადგური
–ზუგდიდი, გალი, ჯვარი, ხაიში და მესტია. ხოლო მეტეოროლოგი-
ური ელემენტებიდან –პაერისა და ნიადაგის ზედაპირის ტემპერატუ-
რები ($t^{\circ}\text{C}$), ფარდობითი ტენიანობა (f %), ატმოსფერული ნალექები,
ქარის მიმართულება და სიჩქარე.

სადგურების ასეთ ფართო დიაპაზონში შერჩევა, საშუალებას მო-
გვცემდა, გამოგვეყო მეზოკლიმატურ ფონზე მიკროკლიმატური მოვ-
ლენები, რომლებიც განპირობებული იქნებოდა ადგილობრივი ეფექტ-
ების, კერძოდ, ჯვრის წყალსაცავის გავლენით. ხოლო განსახილველი
პერიოდის მეტეოლემენტების საშუალო წლიური მნიშვნელობების
ნორმირება, ამ ელემენტების ნორმებად მიღებულ მნიშვნელობებზე,
კლიმატური ცნობარებიდან (Справочник по климату СССР. Грузинская
ССР., 1967; Справочник по климату СССР. Грузинская ССР., 1970), საშ-
უალებას მოგვცემდა, ჩვენი დასკვნები უფრო თვალსაჩინო და და-
საბუთებული ყოფილიყო.

2. კვლევის შედეგების ანალიზი.


ჩვენს მიერ შემუშავებული, ზემოადნიშნული მიდგომით შესრულებული კვლევის შედეგად მიღებული ნახ.1-ის გრაფიკებზე ნაჩვენებია, პაერის საშუალო წლიური ნორმირებული ტემპერატურების –T განაწილება განსახილველ პუნქტებზე. როგორც ამ ნახაზიდან ჩანს, 1971–1980წ.წ. პერიოდში პაერის ტემპერატურის საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები, მიუხედავად მათი საშუალო წლიური მნიშვნელობების ნორმიდან შესამჩნევად გადახრისა ცალკეულ წლებში, მთლიანად თავიანთი ნორმების ფარგლებშია. ხოლო 1981 წლიდან მესტიასა და ხაიშში, შეინიშნება საშუალო წლიური ტემპერატურის საკმაოდ შესამჩნევი გადახრები ნორმიდან იმ დროს, როდესაც დაახრჩენ პუნქტებზე საერთო ტენდენცია ინარჩუნებს თავის პირველად სვლას. ამასთან, 1981–1990წ.წ. პერიოდში, მესტიაში, აღინიშნება პაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა, დაახლოებით, 10%-ით, ხოლო ხაიშში შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის ცვლილების ტენდენცია შემცირებისკენ, დაახლოებით, 5 %-ით.



ნახ.1. პაერის ნორმირებული საშუალო წლიური განაწილება წლიბის მიხედვით

მიწისპირა ნიადაგის, ზედაპირის ტემპერატურაზე დაკვირვებათა მასალების ანალიზი (ნახ. 2) გვიჩვენებს, რომ ზუგდიდსა და გალში, მათი საშუალო მრავალწლიური მნიშვნელობები, მთლიანად განსახილველ პერიოდში, პრაქტიკულად, თავიანთ ნორმებს შეესაბამებიან, ხოლო დაარჩენ სამ პუნქტზე, კი, ეს ედემუნტი შესამჩნევ ცვლილებებს განიცდის. მაგალითად, 1981–1990წ.წ. მისი ნორმირებული


მნიშვნელობების $-T$ წლიური ცვალებადობის ამპლიტუდა მკვეთრად მატულობს, ხოლო მათი ასხლუტური მნიშვნელობები მიისწრაფვიან შემცირებისკენ. გაანგარიშებები გვიჩვენებენ, რომ 1981–1990წ.წ. გან- ბავლობაში, 1971–1980წ.წ. შედარებით, მიწისპირა ნიადაგის ზედაპი- რის ტემპერატურა, მესტიაში, ხაიშსა და ჯვარში, შემცირდა, შესა- ბამისად, დაახლოებით, 2, 10 და 4 %-ით. თავიანთ ნორმებთან შედა- რებით, ეს ცვლილებები უფრო შესამჩნევი ხდება.



ნახ.2. ნიადაგის ზედაპირის ნორმირებული საშუალო წლიური ტემპერატურის განაწილება წლების მიხედვით

განსახილებელი საკითხის შესწავლისას, ატმოსფერული ჰაერის ტენიანობის ცვლილებების კალების გზით, ჩვენს მიერ იქნა გა- თვლილი და გაანალიზებული საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგი- ური სამსახურის ქსელის მოცემულ პუნქტებში, ამ ელემენტზე ჩატა- რებული დაკვირვებათა მასალები. ანალიზი გვიჩვენებს (ნახ.3), რომ გალში, ეს პარამეტრი, მოცემულ პერიოდში, არ განიცდის მნიშვნე- ლოვან ცვლილებებს. ხოლო დანარჩენ პუნქტებზე მას აქვთ ზრდის ტენდენცია /ზუგდიდში, ხაიშსა და მესტიაში –საშუალოდ, 3 %-ით/. განსაკუთრებით, ოვალნათლივ, ეს გამოიხატება 1981–1990წლების პე- რიოდში. ჯვარში აღნიშნული ტენდენცია უფრო მკაფიოდაა გამოხა- ტული და უდრის 10 %-ს, რაც, უთუოდ, გამოწვეულია წყალსაცავის სიახლოეთი, საიდანაც ნოტიო ჰაერი გამოედინება, აქ გაბატონებული, ჩრდილოეთის მიმართულების ქარების მეშვეობით. აღნიშნულთან ერთად, მოსული ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური მნიშვნელობების ცვალებადობის ტენდენციის დეტალური კვლევის

შედეგად, ძირითადად, მთელს განსახილვებს რეგიონში, აღნიშნულია ამ ელემენტის მატების ტენდენცია მოცემული პერიოდის 20 წლის განმავლობაში. მათ შორის, მესტიასა და ჯვარში, 5 %-ით, ხოლო ზუგდიდსა და გალიში, საშუალოდ, 15 %-ით. ამასთან, ანალიზმა გვიჩვენა, რომ ეს ვითარება, მხელია მივაკუთვნოთ ადგილობრივი ფაქტორების გავლენას, ვინაიდან არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ იგი შესაძლოა იყოს გამოწვეული, ძირითადად, გლობალური ჟვეპტემბერით, მაგალითად, ატმოსფეროს გლობალური დაბინძურებით (გუნია გ., 2001), რომელთა ფონზე რეგიონალური ფაქტორების გამოვლენა, საკმაოდ დიდ სიძნელეებს წარმოადგენს. ამისათვის, შესაძლოა, უფრო ეფექტური აღმოჩნდეს ამ ელემენტის მოკლევალიანი მოვლენების განხილვა.



ნახ.3. პაერის ფართობითი ტენიანობის ნორმირებული საშუალო ჭდიური
მნიშვნელობის განაწილება ჭდების მიხედვით

წყალსაცავების მიმდებარე ტერიტორიის მიკროკლიმატისა და მეტეოროლოგიური რეჟიმის შესწავლისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სიობური ბალანსის შემადგენელი ნაწილების ცვლილებების კანონზომიერების დადგენას. ამან განაპირობა ის, რომ საკვლევ რეგიონში, პაერის ტემპერატურისა და ტენიანობის ცვლილებების გათვალისწინებით, სამეცნიერო შრომებში (Гуния Г. С., 1985; Рекомендации по расчету изменений температуры и влажности воздуха на побережье водоемов., 1981; Русин Н. П., 1979), მიღებული შედეგების გამოყენებით, იქნა გაანგარიშებული ქვეფენილი ზედაპირის სიობური ბალანსის ცალკეული მდგრელები, როგორც ჯვრის წყალსაცავის არსებობის პირობებში, ისე მის აშენებამდე. ქვლევის შედეგები ცხადპყოფენ, რომ წყალსაცავის შექმნით, 15m^2 ფართობზე მკვეთრად მცირდება ქვეფენილი ზედაპირის ალბერ /საშუალოდ, 50 %-ით/. ხოლო ქვეფენილი ზედაპირის ტემპერატურისა /შემცირება, საშუალოდ, 15 %-ით/ და წყლის ორთქლის დრეკადობის /მატება, საშუალოდ, 8 %-ით წელიწადში/ ერთობლივი ცვლილებებით გამოწვეული ზემოქმედება იწვევს წყალ-

საცავის ზედაპირის ეფექტური გამოსხივების შემცირებას, დაახლოებით, 2 %-ით წელიწადში და წყალსაცავის ზედაპირის რაღიაციული ბალანსის მატებას, დაახლოებით, 15–25 %-ით.

გამოთვლები, აგრეთვე, ცხადპყოფები, რომ ამ მეტეოლოგების მნიშვნელობები წელიწადის სხვადასხვა პერიოდებში, მკვეთრად განსხვავდებიან. მაგალითად, ზამთრის პერიოდში, წყალსაცავის შექმნის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე რადიაციული ბალანსის მნიშვნელობა მატულობს, საშუალოდ, 90 %-ით, გარდამავალ პერიოდებში – 40 %-ით, ზაფხულში, დაახლოებით, 20 %-ით, ხოლო მთელი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 30 %-ით. ეს სიდიდეები წარმოადგენენ, საქმიად მაღალ რიცხვებს და წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიის მეტეოროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების არსებობაზე მეტყველებენ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ გაანგარიშებების მიხედვით, წყალსაცავიდან საკმაო დაშორებით, ეს ეფექტები მცირდება და უახლოვდება თავიანთ ნორმალურ მნიშვნელობებს.

დასკვნა.

ამრიგად, ჯვრის წყალსაცავის გავლენით, ჩვენ გვაქვს ჰაერის ტემპერატურის (მესტია, ხაიში), ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურის (მესტია, ხაიში, ჯვარი), ტენიანობის (განსაკუთრებით, ჯვარში) და რადიაციული რეჟიმების მკვეთრი ცვლილებები. ამ ცვლილებებით გამოწვეული ნეგატიური ეფექტები, უკვე იწვევენ ადგილობრივი სახალხო მეურნეობის მუშაკთა და მცხოვრებთა აღშვიოთებას. ჩატარებული ძიება გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ცვლილებებს აქვს მატების ტენდენცია, ხოლო საკვლევ რაიონში წყალსაცავების ახლი კასკადების აგება, გამოიწვევს ადგილობრივი მიკროკლიმატის მკვეთრ ნეგატიურ ცვლილებებს, რომელმაც, შესაძლოა იქთიოს ფართომასშტაბური ხასიათი.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გ.გუნია, 2001: საქართველოს ტერიტორიაზე კლიმატის ცვლილების ანთროპოგენური ფაქტორების მონიტორინგის შესახებ. საქ. მეცნ. აკად. პმი-ის შრომები, ტ.104, გვ. 146-163.
2. Г. С.Гуния , 1985: Вопросы мониторинга загрязнения атмосферного воздуха на территории Грузинской ССР. - Л., Гидрометеоиздат, 84 стр.
3. Рекомендации по расчёту изменения температуры и влажности воздуха на побережье водоёмов. 1981, - Л., ГГО, 16 стр.
4. Н.П.Русин,1979: Прикладная актинометрия. Л.Гидрометеоиздат, 235 стр.
5. Справочник по климату СССР. Грузинская ССР. 1967,- Л., Гидрометеоиздат, вып. 14, ч. 2, 120 стр.
6. Справочник по климату СССР. Грузинская ССР. 1970, - Л., Гидрометеоиздат, вып. 14, ч. 4, 130 стр.

უაკ 551.510.42

ხელოვნური წყალსაცავების ექო-მეტეოროლოგიური გავლენა მიმღებარებაიონის მიეროდლიმატზე. /გ.გუნია, ნ.ხუფენია/, პმი-ს შრომათა კრებული – 2007-ტ. –გვ.187-193, – ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს.

ხატარებული კვლევები მიუთითებენ ხელოვნური წყალსაცავების გავლენაზე მათ მიმღებარებ ტერიტორიის მიეროკლიმატზე. ამასთან, ნაჩვენებია, რომ ჯვრის წყალსაცავის გავლენა მიმღებარებ ტერიტორიის რიგი მეტეოროლოგიური პარამეტრების მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოიხატება.

UDC 551.510.42

Eco-meteorological impact of artificial reservoirs on the microclimate of adjacent regions./G.Gunia, N.Xufenia/.Transactions of Georgian Institute of Hydrometeorologyof Georgian, 2007- V.111., -p.187-193, -Georg.:Summ.Georg.Eng..Russ.

Performed investigations demonstrate that the R. Inguri watershed includes territory with very complex orography. This, in its turn, causes wide diversity of microclimatic conditions in this Region that are forming under the combined action of global, regional and local climate forming factors.

In the paper it is shown that under the influence of Jvari Reservoir in a number of districts of the examined territory the notable changes of mean annual values of air temperature and soil surface temperature occur, as well as of air humidity and radiation regime. Investigations suggest that the above mentioned meteorological elements indicate the growth tendency that may bring sharp negative changes of local climate in case of the construction of a new cascade of reservoirs in the given Region.

УДК 551.510.42

Эко-метеорологическое влияние искусственных водохранилищ на микроклимат прилегающих районов. /Г.С. Гуния, Н.Хуфения /. Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии, -2007- т. 111 , -с.187-193, -Груз., рез. Груз., Анг., Русск.

Выполненные исследования показывают, что бассейн р.Ингури полностью охватывает территорию с очень сложной орографией. Это, в свою очередь, обуславливает наличие в данном регионе разнообразных микроклиматических условий, образующихся под влиянием совместных действий глобальных, региональных и местных, локальных климатообразующих факторов. Краткосрочные изменения последнего, возможно, не вызовут заметных адекватных отклонений микроклимата, однако, результаты их воздействий за достаточно длительный промежуток времени, безусловно, могут стать существенными, ход которых, очевидно, окажется необратимым, катастрофическим не только для данного микрорайона, но может вызвать негативные изменения климата, даже и в региональном масштабе.

В статье показано, что под влиянием Джварского водохранилища, в ряде районов исследуемой территории, отмечаются заметные изменения среднегодовых температур воздуха и поверхности почвы (Местия, Хаиши, Джвари), влажности воздуха и радиационного режима. При этом, выполненные исследования показывают, что указанные изменения метеорологических параметров имеют тенденцию роста и при строительстве новых каскадов водохранилищ, в данном регионе, могут вызвать резкие негативные крупномасштабные изменения местного климата.

გ. გუნია
პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი
ზ. სვანიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უაკ 551.510.42

ატომიზატორ „კაფსულა-ალის“ გამოყენება ატმოსფერულ ჰამაში
ტემპის ატომურ-აპსორბციული განსაზღვრისათვის

ნაშრომში მოცემულია ატომიზატორ „კაფსულა-ალის“ გაუმჯობესების გაული კონსტრუქცია, რომელიც ავტორების მიერ გამოიყენება ატმოსფერულ ჰაერში ტემპის რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრისათვის. დადგენილია ქთბილისისა და რეაციურის ატმოსფერულ ჰაერში ტემპის რაოდენობრივი შემცველობა, რომლის დაჭუქების ხარისხი მნიშვნელოვნად აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

ცნობები ატმოსფეროს დამაბინძურებელ აეროზოლთა ქიმიურ შედგენილობასა და დროში მისი ცვლილებების შესახებ დიდ პრაქტიკულ ინტერესს წარმოადგენს, კერძოდ, ეს ეხება ატმოსფეროს მტვრის შედგენილობაში შემავალი მმიმე ლითონების ჯგუფს, რომელთა შედგენილობასა და შემცველობის გამოკვლევას გააჩნია მნიშვნელოვანი მეტეოროლოგიური, პიგიურული და სამეურნეო-ეკონომიკური ასპექტები. მათ მიეკუთვნება უპირველეს ყოვლისა, ემისიების წყაროებიდან ატმოსფეროში მინარევების განაწილების კანონზომიერების შესწავლა და მათი პროგნოზირება.

როგორც ცნობილია ატმოსფეროს მტვრის შედგენილობაში შემავალი ლითონები შეადგენს 10^{-2} – 10^{-12} წონით პროცენტს. ატმოსფერული ჰაერის დაცვის ამოცანებთან დაკავშირებით მათი განსაზღვრა დიდ ინტერესს იწვევს. ამასთან ტემპის კონცენტრაციებს დადგენის პრობლემების გადაჭრა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რაც წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს. ტემპი მაღალი ტოქსიკური თვისებების გამო ნორმირებულ ელემენტთა რიცხვს მიეკუთვნება, რის გამოც ატმოსფეროში მის შემცველობაზე საერთაშორისო სტანდარტებია დადგენილი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის (ზდკ) სახით, ამასთან ატმოსფერულ ჰაერში ტემპის ზდკ $0,0007$ მგ/მ³-ს შეადგენს (Лозановская, Орлов. и Садовникова, 1998).

ატმოსფეროში ტემპის შემცველობა და მისი კონცენტრაციის ცვლილებების მიზეზების გამოსავლენად საჭიროა ანალიზის სრული მეთოდის გამოყენება, რომელიც განსაზღვრის სიზუსტისა და მგრძნობელობის ამაღლების საშუალებას იძლევა და შესაძლებელი იქნება მისი გარემოს დაბინძურების მონიტორინგის პრაქტიკაში მარტივად

გამოყენება. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა (Гуняя, 1978) მტკრის ძირითად შედგენილობაში ალუმინი, მანგანუმი, რკინა და კალციუმი შედის, რომელთა შემცველობა იცვლება ნიმუშის აღებიდან ნიმუშა-მდე, რაც ხელს უშლის მათი მცირე სიდიდეების განსაზღვრას. ამისათვის დასახული ამოცანის გადასაჭრელად გამოყენებული უნდა იქნას ისეთი ქიმიური დამუშავების მეთოდი რომელიც მდგომარეობს ძირითადი კომპონენტებიდან კვალის მქონე ელემენტთა მოცილებაში, რასაც დაგისათვის უზრუნველყოფს ქელატწარმომქმნელი ბოჭკოვანი სორბენტი ПОЛИОРГС VII M, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს თანმხლები კომპონენტების გავლენას ტყვიის განსაზღვრის დროს. თანმხლები კომპონენტების გავლენის მოხსნა სორბენტის თანაობი-სას აისხება შემდგენიარად: ორგანული მატრიცის დესტრუქციის შედ-ეგად დუმელის აირად ფაზაში არსებობს თავისუფალი ნახშირბადი. აღმდგენელი გარემო დუმელის ზედაპირზე ხელს უშლის ინტერმეტა-ლიდების წარმოქმნას, ხოლო განსასაზღვრავი ელემენტი გამოიყოფა აირად ფაზაში თავისუფალი ატრების სახით. ქელატწარმომქმნელი სორბენტი ფართო გამოყენებას პოულობს გარემომცველი ობიექტების და მათ შორის ატმოსფერული ჰაერის დაჭუჭუიანების კვლევის პრაქტიკაში (სვანიძე, ზვიადაძე, გუნია, 1997).

ატმოსფერული ჰაერიდან სინჯის ასაღებად გამოყენებულია ელე-ქტროასპირატორი ტА-822, რომლის დახმარებითაც ვატარებთ ჰაერს მასთან მიერთებულ 3,5 სმ დიამეტრის მინის ძაბრში მოთავსებულ 1გ სორბენტში. ეს საშუალებას იძლევა აღებულ იქნას არა მარტო ატ-მოსფერულ მტკვერზე ადსორბირებული მიკრომინარევების სინჯები, არამედ ჰაერში დისპერგირებულ ლითონთა (ტყვიის) უმცირესი ნა-წილაკებიც. შემდეგ ვახდენთ სორბენტიდან ტყვიის დესორბციას და მიღებულ ელიტარში ტყვიას ვსაზღვრავთ ატომურაბსორბციული მე-ორდიო ატომიზატორ „პაფსულა-ალის“ გამოყენებით.

ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის განსაზღვრა ქელატწარმომქმნელ სორბენტზე კონცენტრირების შემდეგ შესაძლებელია რენტგენოფლუ-ორესცენტრული, ნეიტრონულ-აქტივაციური, მასსაექტრომეტრული მეთ-ოდების საშუალებით, მაგრამ დღეისათვის ფართოდ გამოყენებას პო-ულობს ატომურ-აბსორბციული მეთოდი, რომელიც გამოირჩევა მა-დალი მგრძნობიარობით, ანალიზის სისტრაფით და მაღალი სიზუსტით (Хавезов и Цалев, 1983). მასში ელემენტების შემცველობასთან დაკავშირე-ბით გამოყენებულია ალური ას ელექტროთერმული ატომიზატორი.

ალური ატომიზატორი ფართოდ გამოიყენება ელემენტების განსაზღვრისათვის 0,01 მგგ/მლ და უფრო მაღალი შემცველობის დროს. ელემენტების მგრძნობელობის ასამაღლებლად გამოყენებუ-ლია ელექტროთერმული ატომიზატორი, რომელიც სინჯის ორქლის ლოკალიზების ხარისხის მიზედვით იყოფა ორ ჯგუფად: ნახევრად და ტიპის ატომიზატორებით – მიღოვანი დუმელები და დია ტიპის

ატომიზატორები – ტიგელები. უფრო მოხერხებულ ატომიზატორს, რომელიც საშუალებას იძლევა გაიზარდოს ელემენტის განსაზღვრის მერქნობელობა, წარმოადგენს კომბინირებული ატომიზატორი „კაფულა-ალი“. თავისი შესაძლებლობებით – მგრძნობელობის და ადვილად აქრილადი ელემენტების განსაზღვრის სიზუსტის მიხედვით, კონსტრუქციის მყარი სინჯების ატომიზატორი „კაფულა-ალი“ წარმოადგენს ერთ-ერთ პერსპექტიულს. ანალიზური ლაბორატორიების პრაქტიკაში ფართოდ დანერგვისათვის, იგი დიდ ინტერესს იწვევს სინჯების პირდაპირი ანალიზის მეთოდში. გამოყენებული მყარი ობიექტების უშუალო ანალიზისათვის.

„კაფულა-ალის“ ტიპის ატომიზატორში (Сваниძэ и Варшал, 1991) მყარი ნივთიერების განსაზღვრისათვის გამოყენებულია ცილინდრული ფორმის კაფულა, იგი დამზადებულია წვრილმარცვლოვანი МПГ-6 გრაფიტისაგან, რომელიც არ შეიცავს ტყვიას. კაფულა-ალი, რომელიც პორიზონტალურ მდგომარეობაშია ორ გრაფიტულ კონტაქტს შორის, თავსდება სინჯი (0,25გ სორბენტი). ელექტროდენით გაცხელებისას იგი ორთქლდება და დიფუნდირებს ფორმავან კედლებს შირის. ეს მთლიანად გამორიცხავს გაფანტვას და სინჯის ამოფრქვევას ატომიზაციის პროცესში.

ატომიზატორი (Сваниძэ и Варшал, 1991) შედგება აცეტილენ-ჰაერის სანთურისაგან, გრაფიტის კაფულისა და კვების ბლოკისაგან. კვების ბლოკი შედგება დენის მაღალამპერიანი წყაროსაგან ДФ-101. იგი საშუალებას გვაძლევს თანდათანობით ავტომატური კაფულის ტემპერატურა 200-დან 2600°C-მდე. კაფულაზე გადაცემული დენის ძალა შეადგენს 40A-ს, რაც მოლიანად აკმაყოფილებს კაფულის გახურებას ატომიზატორის საჭირო ტემპერატურაზე. ტემპერატურა იზომება „პრომინის“ მარკის პიროვნებით. ანალიზური სიგნალის რეგისტრაცია წარმოებს КСП მარკის თვითმწერზე. კონსტრუქცია შესაძლებლობას იძლევა არ გამოვიყენოთ სპეციალური გამაგრილებელი მოწყობილობები დენგამტარი კონტაქტებისათვის. კაფულის მაქსიმალური გახურება ხდება მისი დრუს ზონაში გრაფიტის დეროს უმცირესი კვეთის ადგილებში, რაც უპირატესობას ანიჭებს მას არსებული ატომიზატორებთან შედარებით.

ატომიზატორ „კაფულა-ალში“ შერჩეულია განსაზღვრის ოპტიმალური ტემპერატურული დროის რეზიმი. სორბენტის სრული წვა 700°C-ზე ხდება, ისე რომ ელემენტის ატომიზაციის სტადიაზე არასელექციური შთანთქმა არ შეინიშნება. ტყვიის დანაკარგები დანაცრების სტადიაზე 800°C ტემპერატურაზე ხდება. სორბენტის დანაცრება კაფულაში ტყვიისათვის მიმდინარეობს სამ სტადიად: 200, 400 და 800°C. კაფულის ტემპერატურა, რომლის დროსაც განსასაზღვრავი ელემენტის აორთქლება ხდება, ტყვიისათვის 2000°C შეადგენს.

წინამდებარე ნაშრომში ტყვიის რაოდენობრივი შემცველობის და-სადგენად, ქ.თბილისისა და რუსთავის ატმოსფერულ ჰაერში გამოყე-ნებულია: სინჯის ასაღებად – ქელატწარმომქმნელი ბოჭკოვანი სორ-ბენტი პოლიორგს VII M, განსაზღვრისათვის ატმოსფერ-აბსორბციული მეთოდი ატომიზატორ „კაფსულა-ალის“ გამოყენებით (ცხრ.).

ფაქტობრივი მასალების საფუძველზე აღინიშნება ქ. თბილისისა და რუსთავის ატმოსფერულ ჰაერში ტყვიის დაბინძურების მაღალი მნიშვნელობები ზექ-სთან შედარებით. ნათლად ჩანს რომ განსაპუ-თორებით დიდია ავტოტრანსპორტის როლი ატმოსფეროს დაბინძურებაში (გ.გუნია, ზ.სვანიძე, 2000) და ეჭვს არ იწვევს, რომ საჭიროა ანთროპოგენური ზემოქმედების უფრო მკაცრი გაკონტროლება.

ცხრილი. ტყვიის შემცველობა ატმოსფერულ ჰაერში

№	სინჯის აღების ადგილი	Pb-ის კონცენტრაციები, მგ/მ³
	ქ. თბილისი	
1.	თავისუფლების მოედანი	0,003
2.	რესპუბლიკის მოედანი	0,0025
3.	გმირთა მოედანი	0,008
4.	ფილარმონია	0,005
5.	რკინიგზის სადგური	0,007
6.	დიდუბის ავტოსადგური	0,012
7.	ავტოსადგური (გულიას ქ.)	0,015
8.	დეზერტირების ბაზარი	0,007
9.	დინამო სტადიონი	0,008
10.	ნავთლუდის ბაზარი	0,009
	ქ. რუსთავი	
11.	რუსთავის მეტალურგიული კომბინაციი	0,008
12.	ცემენტის ქნის მიმდებარე ტერიტორია	0,088
13.	სასტუმრო რუსთავის წინ	0,061
14.	ავტოსადგური	0,092
15.	ქალაქის მერიის წინ	0,025
16.	ქიმიური კომბინაციის ადმინისტრაციული შენობის წინ	0,009
17.	ახალგაზრდობის პარკთან	0,0081

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. И.Н.Лозановская, Д.С.Орлов, Л.К. Садовникова 1998. Экология и охрана биосферы при химическом загрязнении. - М. Высшая школа. 288 с.
2. Г.С.Гуния 1978. Современные проблемы запыленности атмосферы.– Обнинск, ВНИИГМИ - Мировой Центр Данных, 60с.
3. გ.გუნია, ზ.სვანიძე 2000. ტრანსპორტის ზოგიერთი ეკოლოგიური პრობლემების შესახებ საქართველოში. - მეცნიერება და ტექნიკა. № 1-3, გვ. 90-93.
4. ზ.სვანიძე, უზვიადაძე, გ.გუნია. 1997. ატმოსფეროში მიკროელემენტების შემცველობის განსაზღვრის ხერხი. - „საქართველო“, სამრეწველო საკითხების ოფიციალური ბიულეტენი, 3(12).

5. И.Х.Хавезов, Д.Цалев 1983. Атомно-абсорбционный анализ. - Л. Химия.. 143 с.
6. З.С.Сванидзе, Г.М. Варшал 1991. Новая конструкция атомизатора типа "капсула-пламя". - Сообщение АНГ., Т., 142. № 3.

უაკ 551.510.42

ატომიზატორ „კაფუსულა-ალის“ გამოყენება ატმოსფერული ჰაერში ტევით ატომური ბენზინის განსაზღვრისათვის. /გ.გუნია, ზ.სვანიძე/, პმი-ს მრომათა კრებული -2007-ტ.111,-გვ.194-198,- ქართ. რეზ. ქართ ინგლ. რუს. ნაშრომში მოცემულია ატომიზატორ „კაფუსულა-ალის“ გაუმჯობესებული კონსტრუქცია, რომელიც ავტორების მიერ გამოიყენება ატმოსფერულ ჰაერში ტევით რაოდენობრივი შემცველობის განსაზღვრისათვის. დადგინდია ქ. თბილისისა და რუსთავის ატმოსფერულ ჰაერში ტევით რაოდენობრივი შემცველობა, რომლის დაჭუჭვიანების ხარისხი მნიშვნელოვნად აღმატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

УДК 551.510.42

Use of sprayer "Capsule-Flame" for the determination method of LeadZs impurity in atmospheric air /G.Gunia, Z.Svanidze/.Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorologyof Georgian, 2007-V.111., -p.194-198, -Georg.:Summ.Georg.Eng..Russ. For the purpose to increase the precision of determination of LeadZs impurity in atmospheric air the developed by the author Sprayer "Capsule-Flame" is suggested. Atomic-Absorption method of LeadZs determination using the mentioned Sprayer made possible to carry out the investigations of ecological condition of atmospreric air within the Tbilisi and Rustavi cities. There is indicated on the hign level of contamination of air by LeadZs impurity within the Tbilisi and Rustavi limits, caused, according to the opinion of the author, by intensive autotraffic.

УДК 551.510.41

Применение атомизатора "капсула-пламя" для определения атомно-абсорбционным методом примесей свинца в атмосферном воздухе. /Г.С.Гуния, З.С.Сванидзе/. Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузии, -2007- т.111, -с.194-198, - Груз., рез. Груз., Анг., Русск.

С целью улучшения определения примесей свинца в атмосферном воздухе предлагается использовать, разработанный авторами, атомизатор "капсула-пламя". Атомноабсорбционный метод определения концентраций свинца, с использованием данного атомизатора, позволил авторам провести исследование экологического состояния атмосферного воздуха городов Тбилиси и Рустави. Указывается на высокий уровень загрязнения воздуха этих городов данной примесью, в чем ведущая роль, по заключению авторов, принадлежит автотранспорту.

Использование низкокачественного бензина, содержащего примеси свинца в качестве антидetonатора, является источником негативных экологических и санитарных последствий.

Кроме того, исследования выявили, что применение хелатобразующих сорбентов POLIORGS-7 М упрощает ход анализа и повышает точность определения концентраций микропримесей свинца в воздухе. Показано, что в различных районах городов Тбилиси и Рустави величины концентраций свинца в воздухе меняются в пределах 0,003-0,015 и 0,008-0,092 мг/м³, соответственно.

ეკოლოგია-ECOLOGY-ЭКОЛОГИЯ

ჰიდროელექტრონულის ინსტიტუტის შრომები, ფომი №111

**TRANSACTIONS OF THE GEORGIAN INSTITUTE OF HYDROMETEOROLOGY, VOL.111
ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ, ТОМ № 111**

ლ.შავლიაშვილი, გნიკვაძე
პიდრომებეროროლოგის ინსტიტუტი
ნ.ტუდუში
ნიადაგმცოდნების, აგროქიმიისა და
მელიორაციის ინსტიტუტი

უკა 631 416/417
დამდებარებული და გიცოდიანი ნიადაგების მიმზრი
შეფრენილობის ცვალებას მეტიორაციის შედეგას

აღმოსავლეთ საქართველოში გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაძის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის და ქარელის რაიონებში (ი.გოგიძემიერ და სხვ., 1990, 6.ტურუში და სხვ., 1990) ფართოდ არის გავრცელებული დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგები, რომელთა ფართობი 205 ათას ჰა-ს აღმატება. აქედან 84 ათასი ჰა-მდე ათვისებულია, მაგრამ ისინი გამოირჩევიან დაბალპროდუქტიულობით.

დამდაშვებული და ბიცობიანი ნიადაგები ხასიათდებიან: მმიმე მექანიკური (თიხიანობით), ნიადაგგრუნტში ადგილად ხსნადი მარილების შემცველობით (ძირითადად ქლორიდულ-სულფატური ტიპის) გმთანმთქავ კომპლექსში ნატრიუმის დიდი შემცველობით (ე.ი. ბიცობიანობით), დაწილულობით, რაც განაპირობებს მშრალ მდგომარეობაში ნიადაგის ძლიერ სიმკვრივეს, ხოლო ტენიან მდგომარეობაში გაჯირჯვებას და უსტრუქტურობას.

დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესებისათვის წარმატებით გამოიყენება აგროტექნიკური, ირიგაციული, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა სახის ღონისძიებები. ამ ღონისძიებების შერჩევა და გამოყენება ხდება დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების ქიმიური შედგენილობისა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გათვალისწინებით.

აგროტექნიკური ღონისძიებებიდან ფიზიკური ბიცობიანობის მოსპობისათვის საჭიროა ბიცობიანი, ძლიერ მკარივი, გაძეებილი ფენის გაფხვიერება. უნდა მოხდეს ამ ფენის მექანიკურად დარღვევა. ეს მიღწეული იქნება ღრმა მელიორაციული ხენით და ხნეულის შემდგომი დამუშავებითი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანული და მინერალური სასუქების შეტანასა და მრავალწლიანი ბალახების თესვას, აგრეთვე ერთწლიანი ბალახების თესვას საკვებად და მწვანე სასუქად. ერთწლიანი ბალახების მწვანე მასის ჩახვანა ნიადაგში ხელს უწყობს ბიოქიმიური პროცესების გააქტივებას და ამით ძირფესვიანად ცვლის ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ, ბიოლოგიურ და წყალმართვა თვისებებს.

დამლაშებული ნიადაგების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ირიგაციული მელიორაცია – ნიადაგის ზედაპირის წყლით დატბორვა და ჩარეცხვა. ამ დროს მარილები დატბორილ წყალში ისხნება და ირეცხება უფრო დრმა პორიზონტებში. გრუნტის წყლის დონემ კრიტიკულ სიღრმეზე დაბლა უნდა დაიწიოს და ირიგაციულ წყალთან ერთად დრენაჟის საშუალებით გამოყიდეს მინდვრიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მარილიანი წყალი კაპილარულად ისევ მაღლა აიწვეს და ნიადაგს ხელახლა დაამლაშებს.

მდაშობიან ბიცობებზე ათვისების პირველ წელს ჭარბი მარილების მოცილების მიზნით უნდა ჩატარდეს ჩარეცხვები და მასთან ერთად ქიმიური მედიორაცია.

ბიცობ ნიადაგებში შთანთქმული ნატრიუმის გამოძევება და ტუტერეაქციის განვიტრალება ხდება თაბაშირის შეტანით. თაბაშირი ($\text{CaSO}_4 \bullet 2\text{H}_2\text{O}$) საშუალოდ ხსნადი მარილია, ამისათვის ის უცებ ვერ გამოაძევებს მთელ შთანთქმულ ნატრიუმს, მაგრამ მისი შეტანის შემდეგ ნიადაგში ნატრიუმის განმეორებითი შთანთქმა შეუძლებელი ხდება და ბიცობიანობის პროცესიც წყდება.

თაბაშირის შეტანით ხდება მაგნე შთანთქმული ნატრიუმის გამოძევება და შენაცვლება კალციუმით, ეს რეაქცია მიმდინარეობს შემდეგნაირად:



გათაბაშირებით ხდება აგრეთვე ნიადაგში არსებული სოდისა და ტუტიანობის განვიტრალება:



რეაქციის შედეგად წარმოქმნილი Na_2SO_4 , თუმცა გაცილებით ნაკლებ ტოქსიკურია ვიდრე სოდა, მაგრამ ფესვთა სისტემის გავრცელების არიდან მისი მოცილება მაინც აუცილებელია. სარწყავ პირობებში ეს ადგილად მისადწევია მორწყვით, ხოლო ურწყავში – ტენის დაგროვებით (თოვლის დაგროვება, ღრმა ხენა და სხვა).

ქიმიური მელიორაციის მიზნით თაბაშირის გარდა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიოლოგიურად მჟავე მინერალური სასუქები და მჟავე რეაქციის მქონე წარმოების ნარჩენები – გაჯი, დეფეკატი და სხვა.

საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჯანდარის საყრდენ პუნქტზე 1976-1983 წლებში ჩატარდა მინდვრის ცდები კალციუმის შემცველ და მჟავე ბუნების მელიორანტებზე, რომლის შესწავლის მიზანს შეადგენდა თუ როგორ შეიცვალა ბიცობიანობის ხარისხი მელიორანტების გამოყენების შემდგებ გამოცდილი მელიორანტებიდან ყურადღებას იქცევს დეფეკატი.

დეფეკატი აგარის შაქრის ქარხნის წარმოების ნარჩენია, რომლის წლიური მარაგი 15-20 ათას ტონას აღემატება. დეფეკატი თითქმის არ მოითხოვს ტექნოლოგიურ დამუშავებას, ამდენად, ეკონომიურად ხელსაყრელია და შესატანადაც იოლი. გარდა ამისა, სხვა მელიორაციებით შედარებით იმ უპირატესობითაც გამოირჩევა, რომ 60-70%-ზი კირის გარდა, იგი შეიცავს მცენარისათვის ძირითად საკვებ ელემენტებს: აზოგს 1-2%, ფოსფორს 1,5-2%, კალიუმს 0,6-0,9%, მცირე რაოდენობით გოგირდს, მიკროელემენტებს და ორგანულ ნივთიერებებს 15%-მდე.

დეფეკატის მელიორაციული ეფექტი მკვეთრად იზრდება ნაკელთან ერთად შეტანით, რაც დაკავშირებულია კალციუმის ბიკარბონატების წარმოქმნასთან. კალციუმის ბიკარბონატები კი წარმოიქმნება დეფეკატში არსებული კირისა და ნაკელის დაშლისას გამოყოფადი ნახშირორჟანგის ურთიერთქმედების შედეგად.

დეფეკატის შეტანის ტექნოლოგია ასეთია: მოშანდაკებულ ნაქვეთზე გამფანტველით უნდა შევიტანოთ ქიმიური მელიორაციი ნიადაგში გაცვლითი ნატრიუმის ექვივალენტური რაოდენობის მიხედვით. ამასთან ერთად შეაქვთ მინერალური (N₉₀ P₁₈₀) და ორგანული სასუქი – ნაკელი (80-100 ტ/ჰა-ზე). ქიმიური მელიორაციის ნიადაგში კულტივატორით ჩატარების შემდეგ ნაკვეთი უნდა მოიხსნას დრმად 40 სმ სიღრმეზე. მორწყვა უნდა მოხდეს დიდი ნორმით ჰა-ზე 1500-2000 გ³.

დეფეკატის ნორმაა 7,3 ტ/ჰა-ზე. ქიმიური მელიორაცია უნდა ჩატარდეს 5-6 წელიწადში ერთხელ.


დეფეკატის გამოყენებით ბიცობიან ნიადაგებში უმჯობესდება მარილთა რეჟიმი და შთანთქმული კათიონების შემცველობა, ბიცობჲორიზონტში დაბლა იწევს დისპერსიულობის ზღვარი, აქტიურდება მიკრობილოგიური და კოლოიდურ-ქიმიური ხასიათის პროცესები. აღნიშნული ცვლილებები იწვევენ ბიცობიანი ნიადაგის საერთო ფიზიკური და ქიმიური თვისებების გაუმჯობესებას, რის გამოც მკვეთრად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა (ტურუში 6. და სხვ., 1990).

ცდის მიმდინარეობის პერიოდში საკვლევ ობიექტზე ისწავლებოდა ნიადაგში მიმდინარე პროცესების მიმართულება – მარილთა შედეგენილობისა და შთანთქმული კათიონების დინამიკა, საკვები ელემენტების ცვალებადობა, სხვადასხვა ფიზიკური თვისებები, დაკვირვება ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობაზე.


საკვლევი ობიექტის ნიადაგი წარმოადგენს რუხ-ყავისფერ საშუალო სეეტისებურ, საშუალოდ დამლაშებულ ბიცობიან ნიადაგს, დამლაშება ქლორიდულ-სულფატურია. ასეთ ნიადაგებზე ქიმიური მელიორაციის – დეფეკატის გამოყენების შედეგად ხდება ნიადაგის ძირითადი თვისებების ცვლილებები:

ა) ნიადაგის პროფილში მცირდება ადვილად ხსნადი მარილების რაოდენობა;

- ბ) მცირდება შთანთქმული ნატრიუმისა და მაგნიუმის რაოდენობა, იზრდება შთანთქმული კალციუმის რაოდენობა;
- გ) უმჯობესდება სტრუქტურული შედგენილობა, მცირდება დისპერსიულობის კოეფიციენტი, უმჯობესდება წყალმართი და ფიზიკური თვისებები (იხ. ნახ.1-2).



ნახ.1 გაცვლითი ნატრიუმის ცვალებადობა რუხ-ყავისფერ ნიადაგებში მელიორაციის შედეგად.



ნახ.2 გაცვლითი კალციუმის ცვალებადობა რუხ-ყავისფერ ნიადაგებში მელიორაციის შედეგად აღნიშნული მარილები უარყოფითად (ტოქსიკურად) მოქმედებენ მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

ნიადაგის მშთანთქავი კომპლექსიდან გამოძევებული ნატრიუმი ნიადაგში ქმნის სხვადასხვა მარილებს, როგორიცაა Na_2CO_3 , NaHCO_3 ,

NaCL, Na₂SO₄, ხოლო გამოძევებული მაგნიუმი - MgCL₂, MgSO₄, ხოლო კალციუმი - CaCL₂

ნიადაგის დამლაშების მიზეზს წარმოადგენს სწორედ ტოქსიკური მარილები, რომელთა შორის ყველაზე მაღალი ტოქსიკურობა ახასიათებს სოდას, ხოლო ყველაზე ნაკლები – სულფატებს. გამოკვეულია, რომ სოდის შესაძლებელი მაქსიმალური რაოდენობა ნიადაგში, რომელსაც კულტურული მცენარე გაუძლებს 0,003%-ს არ აღემატება. ყველაზე უფრო მომწამვლელად მცენარეზე მოქმედებს ქლორის იონი, რომლის მეასედი პროცენტიც კი იწვევს მცენარის საგრძნობ დაზიანებას, ხოლო 0,1% - სრულ დაღუპვას (დგედევანიშვილი და სხვ., 1961).

შემდგომში ჩვენი შესწავლის მიზანს შეადგენს დავადგინოთ ამ ტოქსიკური მარილების პროცენტული შემცველობა, დავადგინოთ გაჭუჭყიანების და ტოქსიკურობის ხარისხი.

ლიტერატურა-REFERENCES

1. დგედევანიშვილი, გ.ტალახაძე. 1961.ნიადაგმცოდნეობის კურსი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ობილისი.
2. ი.გოგობერიძე, ნ.ტუდუში. 1990. აღმოსავლეთ საქართველოს დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგები. მეთოდური მასალები ლექტორთა დასახმარებლად. ობილისი, 15 გვ.
3. ნ.ტუდუში, ი.გოგობერიძე. 1990.აღმოსავლეთ საქართველოს რუხი ყავისფერი ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესება ქიმიური მელიორანტებით. საქართვრლოს ნიადაგმცოდნეობის აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მელიორაციის განყოფილების დასკვნითი ანგარიში. ნიადაგმცოდნეობის აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა. ობილისი, 32 გვ.,

უაკ 631 416/417

დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების ქიმიური შედგენილობის ცვალებადობა მელიორაციის შედეგად. /ლ.შავლიაშვილი, გ.ჩიკვაიძე, ნ.ტუდუში/. პმ-ს შრომათა კრებული. – 2007. – ტ.111. – გვ.199-204, ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში ნაჩვენებია დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების გაუმჯობესებისათვის გამოყენებული ღონისძიებები. კერძოდ, აგროტექნიკური, ირიგაციული და ქიმიური. ქიმიური მელიორანტებიდან აღსანიშნავია დეფეკატის ზემოქმედებით ნიადაგის ძირითადი თვისებების ცვალებადობა:

- ა) ნიადაგის პროფილში მცირდება ადგილად ხსნადი მარილების რაოდენობა;
- ბ) მცირდება შთანთქმული Na და Mg-ის რაოდენობა, იზრდება შთანთქმული Ca-ის რაოდენობა;
- ც) უმჯობესდება სტრუქტურული შედგენილობა, ნიადაგის წყალმართი და ფიზიკური თვისებები.

იდ. 2, ლიტ.დას.-3.

UDC 631 416/417

Canging of chamical composition of salined and alkaline soils as a result of ameliorantion. /L.Shavliashvili, G.Chikvaidze, N.Tugushi/. Transactions of the Georgian Institute of Hydrometeorology. - 2007. - v.111, - p.199-204. - Georg.; Summ. Georg., Eng., Russ.

The paper deals with the improvement measures (namly agritechnical, irrigational and chamical) for salined and alkaline soils. Among the ameliorants defecate influence must be noted canging main soil properties:

- a) the amount of easily soluble solts decreases in the soil profile;
- b) the amount of absorbed Na and Mg decreases, the amount of absorbed Ca increases;
- c) the structural composition and wather and physical properties of soil improve.

Fig.2, Ref.3.

УДК 631 416/417

Изменение химического состава засоленных и солонцеватых почв в результате мелиорации. /Л.У.Шавлиашвили, Г.Д.Чикваидзе, Н.К.Тугуши/ Сб.Трудов Института Гидрометеорологии АН Грузии. – 2007. – т.211. – с.199-204. – Груз.; рез.Груз., Анг., Русск.

В работе рассматриваются разные мероприятия для улучшения засоленных и солонцеватых почв: в частности, агротехнические, иригационные и химические. Из химических мелиорантов при воздействии дефеката отмечаются изменения основных свойств почв:

- a) в профиле почвы снижается легкорастворимые соли;
- b) уменьшается количество поглощенного Na и Mg, повышается количество поглощенного Ca;
- c) улучшается структурный состав, водные и физические свойства почвы.

Рис.2, лит.3.

დ.დ.ელაშვილი, ნ.ლორია, გ.სუპატაშვილი
თსუ ანალიზური და გარემოს ქიმიის კათედრა

უაკ 550.42;456.19

დარიშხანის განაწილება საქართველოს მცხინვალ
საგვეპ პროდუქტებში

საქართველოს ბუნებრივ რესურსებს შორის მნიშვნელოვანი ადგი-
ლი ჟავაია დარიშხანის სულფიდურ მადნებს, რომელთა მოპოვება-გა-
დამუშავება გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ზე-
მო რაჭასა და ქვემო სვანეთში. დარიშხანის ნაერთები გამოირჩევან
ტრქისიკურობით, ამიტომ მათი კონტროლი ვარემოში უკოლოგიის აქ-
ტუალური საკითხია. დარიშხანის განაწილება საქართველოს ბუნე-
ბრივ ობიექტებში (წყლები, ნიადაგები, ქანები) კარგად არის შეს-
წავლილი (სუპატაშვილი გ. და სხვ., 2002; სუპატაშვილი გ. და სხვ., 2003; Labar-
tkava N. at al., 2003). მათგან განსხვავებით დარიშხანის შემცველობა
მცხნარეულ საკვებ პროდუქტებში (მათ შორის ზემო რაჭასა და ქვე-
მო სვანეთში) შეუსწავლელია, რაც ართულებს მისი ეკოქიმიური რო-
ლის შეფასებას. ლიტერატურის მონაცემებით დარიშხანის ზღვრული
დასაშვები კონცენტრაცია მცხნარეულ საკვებ პროდუქტებში შეად-
გენს 0,2–2,0 მგ/კგ-ს (Скурихин И.М., 1981; Шер А. А. и др., 1988).

ეკოქიმიური ოვალთახედვით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს
მდ. ლუხუნის ხეობა (ზემო რაჭა). სოფ. ურავის მიდამოებში მდებარე
რაჭის სამთოქიმიური კომბინატის მრავალწლიანი ფუნქციონირების
შედეგად ხეობის ნიადაგებში დარიშხანის შემცველობა 100–400 მგ/კგ
აღწევს (სუპატაშვილი გ. და სხვ., 2002; Labartkava N. at al., 2003), რაც
ბევრად აღმატება მის კლარტულ სიდიდეს (5–10 მგ/კგ).

ჩვენ მიერ 1999–2002 წლებში ავლილი იყო დარიშხანის განაწი-
ლება მდ. ლუხუნის ხეობის მცხნარეულ საკვებ პროდუქტებში. შედა-
რების მიზნით გამოკვლეული იყო ამბოროლაურის და ონის, აგრეთვე
საქართველოს სხვა რაიონების საკვები პროდუქტები (სულ 300–მდე
სინჯი ცხრ.1.).

საანალიზო სინჯებს ვანაცრებდით მშრალი წესით 450–500°C-ზე
 $MgO + Mg(NO_3)_2$ ნარევის თანაობისას. დარიშხანის ვსაზღვრავდით ფო-
ტომეტრული მეთოდით ვერცხლის დიეთოლდითოვარბამინატის გამო-
კვენებით (Немордук А. 1976). ანალიზის შედეგების მეტროლოგიური
შეფასების მიზნით ვისარგებლეთ დანამატის მეთოდით. მიკრორაო-
დენობა დარიშხანის განსაზღვრის ფარდობითი სტანდარტული გა-
დახრა ნაკლებია 5%.

ცხრილი 1. დარიშხების შემცველობა საქართველოს მცენარეულ საკვებების პროდუქტებში (მგ/კგ მშრალ მასაში)

პროდუქტი	მშრალ მასაში				ნაცარზე გადათვლით			
	კგ მგ/კგ	კგ მგ/კგ	კგ მგ/კგ	კგ მგ/კგ	კგ მგ/კგ	კგ მგ/კგ	კგ მგ/კგ	კგ მგ/კგ
სიმინდი	0,33	0,12	0,12	0,11	23,1	6,3	9,1	9,0
ლობიო	0,24	0,20	0,18	0,15	6,9	6,4	5,4	4,3
ძარტოფილი	0,85	0,19	0,16	0,30	24,6	3,5	4,5	8,8
კომბოსტო	2,31	—	—	—	33,3	—	—	—
სტაფილო	1,51	0,34	0,33	0,37	15,5	3,4	3,3	3,7
ხახვი	2,24	0,15	0,17	0,20	38,1	2,9	3,7	4,8
ნიორი	1,48	0,30	0,25	0,29	18,3	9,2	13,5	15,9
წიწაკა	2,42	—	0,70	0,63	46,8	—	13,6	12,2
ჭარხალი	1,08	0,23	0,23	0,18	11,4	3,7	3,7	1,7
ვაშლი	0,41	0,12	0,20	—	14,1	4,1	7,2	—
მსხალი	0,56	0,15	0,22	—	28,0	3,0	6,9	—
ყურძენი	0,41	—	0,22	—	16,5	—	5,3	—
სოკო	0,42	0,26	0,32	0,33	4,5	2,8	3,3	3,6
საშუალოდ	1,10	0,21	0,26	0,28	21,6	4,7	6,6	7,1

მიღებული შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ დარიშხების ფონური შემცველობა საქართველოს მცენარეულ საკვებებში პროდუქტებში საკმარიდ თანაბრადაა განაწილებული და იცვლება 0,11–0,70 მგ/კგ–ის ფარგლებში, რაც ახლოს არის ლიტერატურის მონაცემებთან (0,003–2,4 მგ/კგ) (Скурихин И.М. 1981; Шер А. А. и др., 1988; Кабата-Пендиас А., Пендиас Х. 1989; Церевитинов Ф. В. 1949; Reilly C. 1980; FAO Nutr. Meet. Rep. Ser.; №43). როგორც მოსალოდნელი იყო სოფ. ურავის მიღამოებში აღებულ სინჯებში დარიშხების შემცველობა სხვა რაიონებთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (0,24–2,42 მგ/კგ).

ცალკეული მცენარეული საკვები პროდუქტიდან დარიშხების მაღალი შემცველობით გამოიჩევა: სტაფილო, ნიორი და განსაკუთრებით წიწაკა (2,42 მგ/კგ).


საკვები პროდუქტების ნაცრების ქიმიური ანალიზის შედეგებიდან (ცხრ.2, ნახ.1) ჩანს, რომ ჟილრო კორელაციური კავშირი არსებობს დარიშხებისა და სხვა მიკროელემენტების შემცველობებს შორის (As-Fe r=+0,83, As-Cu r=+0,75 და As-SiO₂ r=+0,73).

ჩვენ მიერ დაგროვილი ინფორმაციის ანლიზი გვიჩვენებს, რომ ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა მცენარეულ საკვებებში დარიშხების შემცველობაზე მკვეთრად არის გამოხატული. საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით სოფ. ურავის მიღამოებში

ადგბულ მცენარეულ საკვებ პროდუქტებში დარიშხანის შემცველობა “ 5-ჯერა გაზრდილი. ამასთან, გარემოს ანთროპოგენური დაჭუქებიანება აგრძებს დოკალურ ხასიათს და ძირითადად შემოიფარგლება მდ. დაუხუნის ხეობით. დარიშხანის შემცველობით ამბროლაურისა და ონის რაიონების მცენარეული საკვები პროდუქტები პრაქტიკულად არ განსხვავდებიან საქართველოს სხვა რაიონებისგან (ცხრ.1).

ცხრილი 2. საკვები პროდუქტების ნაცრების ქიმიური შედეგნილობა

პროდუქტი	მგ/კგ		გ/კგ	
	As	Cu	Fe	SiO ₂
თაფლი	2,75	195,3	0,83	32,81
მსხალი	1,99	36,2	0,32	5,55
სიძიხები	1,56	12,0	0,28	2,45
ხახვი	1,53	17,6	0,23	5,06
ნორი	1,26	9,6	0,18	5,24
ჭარხალი	0,63	17,6	0,17	1,68
ლობიო	0,62	22,7	0,28	1,30



ნახ.1. ნაცარში დარიშხანის შემცველობის დამოკიდებულება რკინის(1), სპილენძის(2) და SiO₂-ის(3) მასურ წილზე

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გ.სუპატაშვილი, ნ.ლორია, ნ.ლაბარტყავა, გ.ჯოხაძე, 2002. დარიშხანის განაწილება საქართველოს ბუნებრივ ობიექტებში. ექოლოგიის საკითხები, ტ.1, თხუ. გვ.101-109.
2. Joint FAO/WHO Expert committee on Food Additives: Tenth Rep (FAO Nutr. Meet. Rep. Ser.; №43; Org. Techn. Rep. Ser.; №373).
3. N. Labartkava, G. Supatashvili, N.Loria, 2003: Chemical and Ecological Investigation of the River Lukhuni Gorge (Upper Racha). Bulletin of the Georgian academy of sciences. 168, N1, p.141-144.

4. C.Reilly 1980. Metal contamination of food. L.
5. А.Кабата-Пендиас, Х.Пендиас. 1989. Микроэлементы в почвах и растениях. М., «Мир», с.252-261.
6. А.Немордук. 1976. Аналитическая химия элементов. Мышьяк. М., Наука.
7. И.М. Скурихин. 1981. Вопросы питания., №2,с. 10.
8. Г. Д. Супаташвили. 2003. Гидрохимия Грузии. ТГУ.
9. Ф. В. Церевитинов. 1949. Химия и товароведение свежих плодов и овощей. Том I. М., Госторгиздат, с. 357.
10. А.А.Шер, Н.М.Муратова, В.Н.Жир-Лебедь, Л.М.Романцева, И.М. Скурихин. 1988. Аналитические проблемы определения мышьяка в продуктах растительного и животного происхождения. Методы анализа пищевых продуктов. Проблемы аналитической химии. М., Наука, с. 226-245.

უაკ 550.42;456.19

**დარიშხანის განაწილება საქართველოს მცხნარეულ საკვებ პროდუქტებში/დ.დ.უღაშვილი, ნ.ლორია, გ.სუპატაშვილი/ პმ-ის შრომათა კრებული.-2007-ტ.111-გვ205-208, -ქართ.; რეზ. ქართ., ინგლ., რუს.
შესწავლითი დარიშხანის განაწილება მისი სულფიდური მადნების მოპოვება-გადამუშავების რაომების (ზემო რაჭა) მცხნარეულ საკვებ პროდუქტებში. შედარების მიზნით გამოკვლეულია საქართველოს სხვა რეგიონებიც. ანთროპოგენური დაჭუქებიანების ზონის მცხნარეულ საკვებ პროდუქტებში დარიშხანის შემცველება 0,17-2,42 მგ/კგ-ს შეადგენს მდრალ მასაში, რაც საშუალოდ 5-ჯერ აღემატება მის ფონურ შემცველობებს. ცხრ.2, ნახ.1, ლიტ.დას.10.**

UDC 550.42;456.19

Distribution of Arsenic in vegetative food products of Georgia. /D. Dugashvili; N. Loria; G. Supatashvili;/ Transaction of the Georgian Institute of the hydrometeorology – 2007. V.111.– P205-208. -Georg. Summ. Georg.. Eng. Russ. Is investigated distribution of Arsenic in vegetative food products of the regions of extraction and processing of its sulphidic ores (Upper Rucha). By comparing aim is investigated other regions of Georgia. Arsenic in vegetative food products of anthropogenic pollution area is 0,17- 2,42 mg/kg in dry material, which is 5 more of its background composition.Tab.2. Fig.1. Ref.10.

УДК 550.42;456.19

**Распределение Мышиака в растительных пищевых продуктах Грузии./
Д.Т.Дугашвили, Г. Д.Супаташвили, Н.В.Лориа / Сб. Трудов института
Гидрометеорологии Грузии - 2007. т.111- с205-208. -Груз.; рез.
Груз.,Анг.,Русск.**

Исследованно распределение мышиака в растительных пищевых продуктах районов добычи и переработки его сульфидных руд (Верхняя Рача). С целью сравнения исследованы другие регионы Грузии. Мышиак в растительных пищевых продуктах областей антропогенного загрязнения составляет 0,17-2,42 мг/кг в сухой массе, что в 5 раз превышает его фоновое содержание. Таб.2, рис.1, лит.10.

გ. გუნია, მ. კაიშაური, რ. სარალიძე
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

უაკ 551.510.42

მეტეოროლოგიური რეზიმის გავლენის თავისებურებასი
აფთოსფეროს მინარევთა გაღალი კონცენტრაციების
განაწილებაზე

ნაშრომში შესწავლილია რიგი მეტეოროლოგიური პარამეტრების გავლენა ქანების აღმოსფერული პარამეტრების მინარევთა განაწილებაზე. მთლიანად, განსახილების ქალაქის საპარამეტრო უზრის მინარევთა განაწილებას ხელს უწყობს: პარამეტრის მიწისპირა ტემპერატურის მატება, მცირე ტენიანობა, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მცირე სიჩქარეების (2 მ/წმ) ქარები, უღრუბლო ცა, ქარბუქი და ბურუსი.

შესავალი.

ატმოსფეროს დაბინძურებისადმი მიძღვნილმა გამოკვლევებმა დაბანახა, რომ სამრეწველო ქალაქების ტერიტორიაზე მინარევთა კონცენტრაციების განაწილება და გადატანა შორ მანძილზე დამოკიდებულია მეტეოროლოგიური ელემენტების კომპლექსზე, რომელთა პარამეტრების შესწავლა იძლევა რიგი დასკვნების გაკეთების საშუალებას ატმოსფეროში ინგრედიენტთა დაგროვებისა ან გაფანტვის პირობებში (M.E.Берлянд, 1975).

ამასთან, შესწავლება პარამეტრის მიწისპირა დაბინძურების დამოკიდებულება: ქარის სიჩქარეზე დედამიწიდან 2 კმ-დან, სხვადასხვა სიმაღლეზე; პარამეტრის ტემპერატურაზე და ტემპერატურის გრადიუნგებზე ატმოსფეროს 500 მ და 750 მ-ის სისქის ფენებში; მიწისპირა და აწეული ინვერსიებზე; ნალექებზე, ღრუბლიანობასა და ნისლებზე, ფარდობით სინოტივეზე და ა.შ. (Г.С Гуния., 1985).

აღნიშნული მეტეოროლოგიური პარამეტრებისა და ატმოსფეროს დაბინძურებაზე დაკვირვებათა მასალების ერთობლივი სტარისტიკური დამუშავება იძლევა საშუალებას მეტეოროლოგიური ელემენტების კრიტიკულ მნიშვნელობათა გამოვლისა. ამ უკანასკნელით, კი, ატმოსფეროში მავნე ინგრედიენტთა დაგროვებისა და გაფანტვის პერიოდებში ხასიათდება ვერტიკალური გადატანის და პორიზონტალური გაფანტვის პირობები.

ამიტომ, ცალკეული ქალაქისათვის (სამრეწველო ცენტრისათვის), ასეთი მეტეოროლოგიური დაგენა და დაზუსტება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, რომელსაც, თავის მხრივ, გააჩნია სამეცნიერო და პრაქტიკული დირექტულება.

1. კვლევის მიზანი და მეთოდი.

ატმოსფეროს დაბინძურების სიდიდესა და მეტეოპირობებს შორის კავშირების დადგენისადმი მიძღვნილ კვლევებში აუცილებელი აღმოჩნდა ატმოსფეროს ცირკულაციის პირობებისა და საკვლევი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინება. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან ატმოსფეროს დაბინძურების შესაძლო გადატანისა და ზოგიერთი საშიში მიმართულების ქარების არსებობის გათვალისწინება, რომლის დროსაც ადინიშნება მინირევოთა კონცენტრაციების მაქსიმალური მნიშვნელობები. დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, საკვლევი რაიონების ტერიტორიაზე სამრეწველო ობიექტების განლაგების ხასიათს.

უკანასკნელი საკითხის კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში სამრეწველო ქალაქები ორ ჯგუფად იყოფა:

პირობითად, პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ქალაქები, რომ-ლებ-შიც მრეწველობის ობიექტები მთელ მათ ტერიტორიაზე განლაგებული (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი), ატმოსფეროში მინარევოთ გაფანტვის ხელშემწყობი მეტეოროლოგიური ფაქტორების გაუთვალისწინებლად, რის გამოც ამ ქალაქების მოსახლეობა განიცდის ატმოსფეროს დაბინძურების შედარებით ხანგრძლივ ზემოქმედებას.

მეორე ჯგუფის ქალაქებში სამრეწველო ობიექტები განლაგებულია მის ერთ ნაწილში (რუსთავი, ზესტაფონი), რის გამოც, სამრეწველო გამონაბოლქვთა გადატანის გაბატონებული მიმართულების მიხედვით, დაბინძურებით გამოწვეულ წევაზე კოლოგიურ ზემოქმედებას მხოლოდ ქალაქის ცალკეული რაიონები განიცდიან. ამიტომ, ასეთ რაიონებში არც ისე დიდია პარის დაბინძურების მაღალი დონის განმეორებადობა.

ცნობილია, რომ ქალაქები საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია ძლიერ დასერილი მდინარეთა ქსელის ხეობებში, და, გარემომცველ მთაგორაკებს სხვადასხვა სიმადლის მაჩვენებლები და ორიენტაცია გააჩნიათ, რაც თავისებურ გავლენას ახდენს მინარევოთ კონცენტრაციის ველის ფორმირებაზე. შესაბამისად, ქალაქის საპარეო აუზში მინარევთა სივრცებრივი განაწილების შესასწავლად, აუცილებელია მრავალრიცხოვანი მასალის ფლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ინფორმაციული მახასიათებლები, რომლებიც კონკრეტული ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების პროგნოზირებისათვის იყო გამოყენებული, არ გამოდგება სხვა ქალაქის ატმოსფეროს დაბინძურების პროგნოზირების შეზუშავებისას. ამიტომ, აღნიშნული საკითხი ექვემდებარება დებალურ შესწავლას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ჩვენს მიერ ქ. ზესტაფონისათვის იქნა შესრულებული.

ვინაიდან ქ. ზესტაფონში აეროლოგიური დაკვირვებები არ წარმოებს, საკელევი საკითხის დამუშავება ატმოსფეროს მტვრის მინარევით დაბინძურებაზე და მეტეოროლოგიურ ელემენტებზე 1981-1985 წ.წ. პარალელური მიწისპირა დაკვირვებათა მონაცემების სტატისტიკური დამუშავების გზით იქნა შესრულებული.

ამასთან, იქნა შესწავლილი ატმოსფეროს მაღალი დონის დამტვრიანების დამოკიდებულება რიგ მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე.

მიღებული შედეგების პირველადმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინფორმატიულ მეტეოროლოგიურ ელემენტებს წარმოადგენენ: ჰაერის მიწისპირა ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ქარის სიჩქარე და მიმართულება, ატმოსფერული მოვლენები და დრუბლიანობა.

ატმოსფეროში მტვრის მაღალი დონის კონცენტრაციის დასაღენად ვისარგებლეთ ფორმულით:

$$K = \frac{\bar{q}_i}{\bar{q}_{ix}} , \quad (1)$$

სადაც, \bar{q}_i მოცემული i -ური ატმოსფეროს დაბინძურების დაკვირვების საგუშაგოზე (დდს) მტვრის მაღალი კონცენტრაციების საშუალო მნიშვნელობაა, რომელიც აქმაყოფილებს მოთხოვნას $\bar{q}_i \geq \bar{q}_{ix}$,

სადაც \bar{q}_{ix} – მთელი ქალაქისათვის მიღებული მტვრის მინარევთა საშუალო მრავალწლიური სიდიდეა.

2. გვლევის შედეგების ანალიზი.

ცხრ. 1-ში მოცემულია, თანმიმდევრობით: ქალაქის შესაბამის (i-ურ) დდს-ზე ცივსა (იანვარი, თებერვალი, მარტი, ნოემბერი, დეკემბერი) და ობილ პერიოდებში ატმოსფეროს დაბინძურებაზე და ცალკეულ მეტეოპარამეტრებზე ჩატარებული პარალელური დაკვირვებათა რაოდენობები— m_i ; მათ შორის რეგისტრირებული მაღალი კონცენტრაციები— n_i და მათი წილი (განმეორებადობა) m_i , Σn_i და Σm_i -ში, გამოსახული პროცენტში— p_i %, n % და n'' %, შესაბამისად.

როგორც ცხრ. 1-დან ჩანს, ქალაქში ჩატარებული დაკვირვებათა რიცხვის, დაახლოებით, 30%-ს მაღალი კონცენტრაციები შეადგენენ, რომელთა უდიდესი ნაწილი, დაახლოებით, 80%, 1-სა და მე-3 დდს-ზე მოდის. ამასთან, მიუხედავად წელიწადის განსახილველ პერიოდებში შესაბამის დაკვირვებათა რიცხვებს შორის შესამჩნევი განსხვავებისა, რაც, უთუოდ, განპირობებულია ამ კლიმატური პერიოდების ამსახველი თვეთა რიცხვების სხვაობით, მაღალი კონცენტრაციების განაწილებები, პრაქტიკულად, თითქმის ერთნაირია.

აღნიშნული მასალის დახმარებით, ქვემოთ განხილულია ქ. ზესტაფონის მიწისპირა ატმოსფერულ ჰაერში მტვრის მინარევით ატ-

მოსფეროს მაღალი დაბინძურების მაჩვენებლის განაზილების თავისებურებანი სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პარამეტრზე დამოკიდებულებით. ასე, მაგალითად, ცხრ.2-ში მოცემულია ამ კვლევის შედეგები, რომლებშიც ასახულია ქ ზესტაფონის სპეციალური აუზის მაღალი დაბინძურების დამოკიდებულება ჰაერის უძრაობაზე და ქარის მიმართულებებზე.

კერილი 1. საანალიზო მასალის მოცულობა და ხასიათი

ড়েল N	ঢ স ব স ল স ও স ট গ দ ল গ দ স					
	m _i	n _i	n _i %	n' _i %	n'' _i %	
ଜ ନ କ ପ ର ମ ଲ						
1	1831	643	35	31	8	
3	2334	1019	44	49	13	
4	1845	256	14	12	3	
5	1824	182	10	9	2	
Σ	7834	2100	27			
ମ ଦ ନ ଲ ମ ନ କ						
1	2632	1161	44	37	10	
3	3388	1321	39	42	12	
4	2613	505	19	16	5	
5	2590	178	7	6	2	
Σ	11223	3165	28			

ამ ცხრილში $m_{ic}\%$ -მოცემულ დდს-ზე საერთო დაკვირვებათა განაწილებებია ატმოსფეროს უძრაობისა და ქარების გარკვეულ პირობებში; $n_{ic}\%-i$ -ურ დდს-ზე აღრიცხული მაღალი დაბინძურების რიცხვების განაწილებებია ატმოსფეროს აღნიშნულ პირობებში; $n_{ic}\%-a$ ასახავს n_{ic} -ს წილს m_{ic} -ში, ხოლო K_{ic} - ატმოსფეროს მაღალი დაბინძურების მაჩვნებლის სიდიდეებია გარკვეულ სივრცესა და მეტაპირობებში.

როგორც განსახილველი ცხრილიდან ჩანს, შტილის ალბათობები, ორივე კლიმატურ პერიოდებში, საშუალოდ, 65%-ზე მეტს შეადგენს. ცივ პერიოდში, მეორე ადგილზე, 20%-ზე მდგრად მეტი ალბათობით, აღმოსავლეთის, ხოლო მომდევნოზე (დაახლოებით 10%) – დასავლეთის ქარები იმყოფებიან. თბილ პერიოდში ამ მიმართულებების ქართა განაწილებების გადანაცვლება ხდება და ისინი, შესაბამისად, მიახლოებით 14% და 22%-ის მნიშვნელობებს ღებულობენ. დანარჩენი ქარების შემთხვევათა ალბათობები ორივე სეზონში ძალზე მცირება და 2-1% არ აღემატება. თუმცა, როგორც ვნახავთ, მათი მოსვლის ფაქტს ჰაერის მაღალი დაბინძურების პროგნოზში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი აღგილი დაეთმოს.

ცხრილი 2. ქ. ზესტაფონის საპაერო აუზში მტვრის მაღალი კონცენტრაციების განმეორებადობისა და სიდიდის განაწილება შტილზე და ქარის მიმართულებებზე დამოკიდებულებით

დღეს N	მახასია- თებლები, %	შტილი	ქარის მიმართულებები				
			δ	ρ	სა	სდ	ჩა
ცივი პერიოდი							
1	m _{ic}	65,0	22,8	10,6	1,3	0,1	0,2
3	“—”	69,7	20,4	8,7	1,0	0,1	0,1
4	“—”	65,1	22,9	10,5	1,2	0,1	0,2
5	“—”	64,9	23,1	10,6	1,2	0,1	0,2
1	n _{ic}	62,2	30,3	4,7	2,6	0,2	—
3	“—”	59,8	34,7	4,2	1,2	—	0,1
4	“—”	65,6	26,2	6,3	1,6	—	0,4
5	“—”	65,9	26,4	4,4	3,3	—	—
1	n' _{ic}	33,6	46,7	15,5	73,9	50,0	—
3	“—”	37,5	74,5	21,1	50,0	—	33,3
4	“—”	14,0	15,8	8,2	18,2	—	33,3
5	“—”	10,1	11,4	4,1	28,6	—	—
1	K _{ic}	1,9	2,8	1,9	2,0	2,5	—
3	“—”	1,6	3,3	1,4	2,2	—	2,0
4	“—”	1,3	1,4	1,5	1,6	—	1,0
5	“—”	1,3	1,6	1,3	1,3	—	—
საშ.	“—”	1,5	2,3	1,5	1,8	2,5	1,5
თბილი პერიოდი							
1	m _{ic}	62,9	14,1	22,4	0,3	0,2	0,1
3	“—”	68,3	12,6	18,6	0,3	0,2	0,1
4	“—”	63,2	13,9	22,3	0,3	0,2	0,1
5	“—”	63,0	14,2	22,2	0,3	0,2	0,1
1	n _{ic}	52,2	21,5	25,4	0,6	0,1	0,2
3	“—”	54,0	26,3	19,2	0,3	0,2	0,2
4	“—”	56,4	15,0	28,1	0,2	0,2	—
5	“—”	48,3	34,3	15,7	1,1	0,6	—
1	n' _{ic}	36,6	67,4	50,1	87,5	20,0	66,7
3	“—”	30,8	81,5	40,1	44,4	40,0	66,7
4	“—”	17,3	20,9	24,4	12,5	20,0	—
5	“—”	5,3	16,6	4,9	28,6	20,0	—
1	K _{ic}	2,2	2,1	2,1	2,6	1,7	1,4
3	“—”	1,5	3,5	1,5	2,3	1,2	1,5
4	“—”	1,3	1,4	1,4	1,5	1,7	—
5	“—”	1,2	1,2	1,2	2,2	1,7	—
საშ.	“—”	1,6	2,1	1,6	2,2	1,6	1,5

რაც შეეხება მაღალი კონცენტრაციების შემთხვევათა განაწილებას, მათი რიცხვები შტილისას, ორივე პერიოდში, მნიშვნელოვნად მაღალია და შესაბამისად, 60-ს და 50%-ს აღემატება. ასევე, შედარებით მაღალია მათი რიცხვი (დაახლოებით, 30%-ზე მეტი) ცივ პერიოდში აღმოსავლეთის ქარებისას, ხოლო დასავლეთის მიმართულების ქარებისას 5%-ს არ აღემატება.

თბილ პერიოდში, მათი განაწილებები, ამ ქარების პირობებში, შესამჩნევად განსხვავდება აღნიშნულისაგან. დასავლეთის ქარების როლი საკვლევი მოვლენის განაწილებაში მნიშვნელოვნად მატულობს (20%-ზე მეტი) და თითქმის უტოლდება მათ სიხშირეს აღმოსავლეთის ქარებისას. დანარჩენი მიმართულებების ქარებისას, მათი რიცხვები უმნიშვნელოდ ორივე განსახილველ პერიოდში, და, შესაბამისად, 2-სა და 1%-ს არ აღემატებიან.

ატმოსფეროს უძრაობისა და ქარების სხვადასხვა პირობებში დაკვირვებათ საერთო რიცხვებში, მაღალი დაბინძურების სიხშირის განაწილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი რაოდენობა შტილის პირობებში ჩატარებულ დაკვირვებათა მასივში შედარებით მცირე პროცენტს შეადგენს. იგი მაღალი დაბინძურების რაიონებში (1 და 3 დღს-ების პუნქტები) ციგსა და თბილ პერიოდებში, საშუალოდ, დაახლოებით 35%-ს უდრის, ხოლო შედარებით მცირე დაბინძურების რაიონებში (4 და 5 დღს-ები) $\frac{1}{4}$ -ს მნიშვნელობები იმავე პერიოდებში, საშუალოდ, 10%-ზე ოდნავ მაღალია.

როგორც აქვე მოტაცემებიდან ვრწმუნდებით, წელიწადის ორივე პერიოდში, მაღალი დაბინძურების ყველაზე უფრო დიდი ალბათობა, შესაბამისად, დაახლოებით 75 და 90% სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარების პირობებში, ქალაქის 1 დღს-ის რაიონშე მოდის, სადაც თბილ პერიოდში, ასევე, მაღალი დაბინძურების საშიშროების დიდი ალბათობა, დაახლოებით 70% არსებობს. მე-3-ე დღს-ის მიმდებარე რაიონში ატმოსფეროს მაღალი დაბინძურება, საშუალოდ, დაახლოებით 80% ალბათობით, მოსალოდნელია აღმოსავლეთის ქარებისას. აქ, აგრეთვე, საცმაოდ საშიშია ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები წელიწადის თბილ პერიოდში (დაახლოებით 70% ალბათობა), მიუხედავად, საერთოდ, მათი მოსვლის დაბალი შესაძლებლობისა.

რაც შეეხება ქალაქის შედარებით სუფთა რაიონებს, აქ აღრიცხული ქარების გაყლენა პაერის დაბინძურების საშიში დონის გამოწვევაზე, თითქმის ერთნაირია და 5-30% ფარგლებში იცვლება.

ზემოაღნიშნულს შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ დასავლეთის მიმართულების ქარებს, შტილთან და ქარის დანარჩენ მიმართულებებთან განსხვავებით, ძირითადად, ქალაქის ტერიტორიის საპარო აუზის გასუფთავება მოაქვთ, რაც, განსაკუთრებით მე-5-ე დღს-ის რაიონშე – კვალითის დასახლებაზე ვლინდება მკაფიოდ.

და, ბოლოს, როგორც ცნობილია, მკვლევართა დიდ ინტერესს მაღალი დაბინძურების მნიშვნელობები იწვევნ, სამრეწველო რაიონებისათვის დამასასიათებელი, აგრძელებული პაროის უძრაობისა და მოძრაობის სხვადასხვა პირობებში. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ცხრ.2-ში მიღებული მაღალი დაბინძურების მაჩვენებლის – K_{ic} აბსოლუტური სიდიდების განაწილება შტილისა და ქარის მი-მართულებების შემთხვევებისას.

განსახილეველი განაწილების თანახმად, მაღალი დაბინძურების მაჩვენებლების სიდიდეები 1-სა და მე-3-ე დღს-ებზე, ძირითადად, საშუალო მნიშვნელობაზე მაღალია, ხოლო მე-4-ე და მე-5-ე დღს-ებზე ამ მნიშვნელობაზე დაბალია. ამასთან, K_{ic} -ს მაქსიმალური მნიშვნელობები მიღებიან პირველ წყვილ პუნქტებზე, აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარებისას, მათი მინიმალური მნიშვნელობები, კი, მე-4-ე და მე-5-ე დღს-ებზე, უმთავრესად, შტილისას დაიკვირვება.

ამრიგად, აგრძელებულოს უძრაობისა და მოძრაობის პირობების გათვალისწინება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აგრძელებულოს მაღალი დაბინძურების განაწილების კანონზომიერებების დადგენას, რაც აადგილებს მის პროგნოზირებას მაღალი სიზუსტით. ცხრ. 3-ში მოცემულია კვლევის შედეგები, რომლებშიც ასახულია მტვრის მინარევით ქალაქის საპარტო აუზის მაღალი დაბინძურების დამოკიდებულება აგრძელებულოს მიწისპირა ფენის ფარდობით ტენიანობაზე. ამ ცხრილში, მონაცემები, ზემოაღნიშნულის თანახმად, გაანგარიშებულია ცივი და თბილი სეზონებისათვის ცალ-ცალკე, ხოლო ფარდობითი ტენიანობა წარმოდგენილია 10-დან 100%-მდე ათ-ათი პროცენტის ინტერვალში. მასასიათებლების m , n , n' , K ინდექსები i და f , შესაბამისად, დღსისა და ფარდობითი ტენიანობის ინტერვალების ნომრებს წარმოადგენენ, ხოლო თვითონ მათი ფიზიკური არსი იგივეა, რაც ზემოთ. მაგალითად, m_{if} , მოცემულ ი პუნქტზე ჩატარებულ საერთო დაკვირვებებში, ფარდობითი ტენიანობის f ინტერვალში წარმოებული პარალელურ დაკვირვებათა რაოდენობის წილებს წარმოადგენენ. ასეთივე დატვირთვა აქვთ n_{if} -ებს იმის განსხვავებით, რომ ისინი მაღალი დაბინძურების წილებს ასახავენ მოცემულ დღს-ზე მიღებულ მაღალი დაბინძურების ჯამურ რიცხვებში, ხოლო n'_{if} და K_{if} , შესაბამისად, წარმოადგენენ n_{if} -ის წილს m'_{if} -ში და მაღალი დაბინძურების მაჩვენებლის მნიშვნელობებს ფარდობითი ტენიანობის f ინტერვალებში.

ცხრილიდან ჩანს, ფარდობითი ტენიანობის სიდიდეთა სიხშირები მოცემულ პუნქტებზე, პრაქტიკულად, თანაბრადაა განაწილებული მათი მნიშვნელობების ცალკეულ ინტერვალებში. ამასთან, ამ ინტერვალებში მოცემული სიდიდეების ზრდასთან ერთად, დაიკვირვება მათი განმეორებადობის პერმანენტული მატება, საშუალოდ, დაახლოებით 0,2%-დან 23%-მდე, რომლებიც ფარდობითი ტენიანობის 11-20 და 91-100% ფარგლებში მყოფ მნიშვნელობებს შეესაბამებიან.

ცხრილი 3. ატმოსფეროს ფარდობითი ტენიანობის გათვალისწინებით პაერის მაღალი დაბინძურების მაჩვენებლის განმეორებადობის განაწილება ქ. ზესტაფონის ტერიტორიაზე

დღეს N	მდებარეობა	ფარდობითი ტენიანობა, %								
		11–20	21–30	31–40	41–50	51–60	61–70	71–80	81–90	91–100
		ც ი ვ ი პ ე რ ი თ დ ი								
1	$m_{if} \%$	0,2	1,3	5,3	9,6	11,7	13,9	15,2	20,4	22,5
3	“—”	0,1	0,9	4,4	8,0	10,8	14,1	15,2	21,7	24,8
4	“—”	0,2	1,2	5,4	9,5	11,4	13,9	15,0	20,6	22,8
5	“—”	0,2	1,2	5,3	9,8	11,5	13,7	15,1	20,4	22,8
1	$n_{if} \%$	0,2	2,5	8,6	15,2	15,9	17,4	16,0	15,2	9,0
3	“—”	0,2	1,5	7,0	11,5	14,7	17,2	16,5	18,0	13,5
4	“—”	—	2,7	10,9	15,6	16,0	18,8	14,1	13,3	8,6
5	“—”	—	1,6	7,1	9,3	18,1	19,8	13,7	16,5	13,7
1	$n'_{if} \%$	33,3	69,6	56,7	55,7	47,7	44,1	36,9	26,3	14,1
3	“—”	66,6	75,0	69,6	62,2	59,5	53,4	47,3	36,1	23,8
4	“—”	—	30,4	28,0	22,7	19,5	18,8	13,0	8,9	5,2
5	“—”	—	14,2	13,4	9,5	15,7	14,5	9,1	8,0	6,0
1	K_{if}	1,5	2,8	2,5	2,3	2,1	2,0	1,8	1,7	1,4
3	“—”	5,5	5,4	2,8	3,3	2,5	2,2	1,8	1,5	1,5
